

155



მნათობი

4

თბილისი
1939


მნათობი




სრულიად საბჭოთაეთის საშჩეთთა მწერლუბის
კავშირის ყოფულთვიური სალიტერატურთ,
სახელთვნთ და საბოტკადიტუბრთ-საპოლიტიკთ
ქურნალი

წალიწადი მეთექვსმეტე

4




19 აკრილი 39
სახელბაში



101034

3550



პ/მმ. რედაქტორი — ალიო მავაუჭვილი

პ/მმ. მდივანი — ლევან ასათიანი

ვადეცა წარმ. 21/IV — 39 წ. ხელმ. დასაბ. 10/VI — 39 წ.

შეცვ. № 1140. მთავლ. რწმ. № 1817 ტირ. 6000.

სახელგამის შექმნის სიტყვის კომპონატი, კორცის ქ. № 5.

ალექსანდრე აბაშელი

ლექსები

ივანე ჯავახიშვილს

შენ გადალაზე წარსულის ცხრა მთა,
საუკუნეთა მისდევ ქარავანს.
გესმის გუგუნი გარდასულ ეამთა
და ჰხედავ ბნელში ჩამჭრალ შარავანდს.

შეგაქვს ეინელი დაბნულ ღამეში,
რომ გაანათო ბნელი უბნები.
შედიხარ დინჯად ცივ აკლდამებში
და იქ გმირთა ძვლებს ესაუბრები.

და შენს ოცნებას გარს ეხვევიან
ძველი ურარტუს ტყიანი მთები.
ო, რამდენ არწივს მიუმსხვრევია
იმ შავ კლდეებზე გაშლილი ფრთები!

რამდენი ფარი დაულეწია
ასურეთიდან მოვარდნილ ქარბუქს, —
ქვეყანა მაინც ბედს ვერ ეწია:
დაემხო ზეცა დანგრეულ ქალღუს!

შენ გადმოხვეწილ ხალხს გამოჰყვები,
წინ განსაცდელით სავსე გზებია.
კოშკებს აგებენ ზღვისპირს კოლხებო
და მოსიულ მტრებს უმკლავდებიან.

იქ ამობრწყინდა ზეცა ახალი,
ცეცხლი აყვავდა ახალ კერაზე.
ფრთები მოშუშდა, კლდეს შენახალი,
და მტრებს კარები გადაერაზა.

ქართულმა მიწამ აქ დაიჭუხა
ჩვენი სიმღერა ათასწლიანი,
აქ გაიზარდა ქართული მუხა,
ზედ მზე შემოგდა ოქროს ფრთიანი.



წვიმას ახლიდა ზეცა კარ-ლია,
ენარცხებოდა ელვა და ქარი,
მაგრამ აედარმა ვერ შეარყია,
ვერც მოუღუნა ტოტი მაგარი.

და შენ ამ მუხის ერთი ტოტი ხარ,
მასავით ქარში გაუღუნავი.
დაუძლეველი ნებით მოდიხარ,
ვით ისტორიის ჩარხი მბრუნავი.


მოდიხარ სიბრძნით წელგამართული,
ითელი წარსულმა ჩვენს ხალხს რა მისცა.
სიღარბაისლე მოგაქვს ქართული,
მოგაქვს მხნეობა ამირანისა.

მოჰყვები დროთა მღვრიე მდინარეს
ჩვენი წარსულის მეგზური დიდი.
ხალხის დიდება დღეს შენს წინ არის,
მუდმივი ნატვრით გულში რომ ზრდიდი.

ლამეგამოვლილს ზურგს უკან დაგრა
ბნელი მანძილი შორ ქვეყანათა.
მზემ გადმოშალა ბრწყინვალე ფარჩა. —
სტალინის დროშა შემოგანათა.

სად არის მტრისგან აოხრებული
ბუდეშოშლილი ძველი თუბალი? —
დგას საქართველო განახლებული,
საკუთარ ბედის ხელისუფალი!

თოვლი

გალაქიონ ტაბიძე 
 ქართველთა
 კავშირი

რა უცნაური მოაქვს ცახცახი
 მდუმარ ჩრდილებში ჩაღვრილ სინათლეს?!
 თითქოს დამცხრალი მთვარის ნასახი
 ღამის გახელილ თვალში ბზინავდეს.

თეთრი პეპლები ცას დაჰხვევია,
 დგას თეთრი ფრთების კორიანტელი,
 მალლა მთა არის, დაბლა ხევია,
 ირგვლივ რძისფერი შუქის მფანტველი.

ეს რბილი შუქი ნეტავ რისია,
 ასე ჩუმად რომ ჰყვავის ვაშლივით?
 მღვრიე ჰაერში თეთრი ნისლია,
 ნისლში მთვარეა თითქოს გაშლილი.

რა უსასოო ფრთების ცახცახი
 მოაქვს ვალეულ მთვარის სინათლეს!
 თითქოს ნათელი ღამე გასძახის
 უშარავანდო ღამეს წინანდელს.

ზეცა შროშანი და ზამბახია,
 თუ ვარსკვლავების თეთრი კრებული?!
 თითქოს ვაშლის და ნუშის ბალია
 რძიან ღრუბლებში აყვავებული.

თითქოს გრივალი ცაში მძვინვარებს,
 ბალი იმსხვრევა და იღეწება,
 უბე აუფესს მიწას მძინარეს
 ჩამოცვენილმა ციდან ლერწებმა.

და მთელი ღამე თეთრი ყვავილის
 ისმის ნაზი და ჩუმი ვედრება,
 რომ არ გათავდეს მძინარ მთა-ველის
 გასაკვირველი გადათეთრება.

და რომ გათენდა, ცამ გადაიღო,
 ჩადგა გრივალი, იქ რომ შფოთავდა.
 ბალი ციური ქარმა წაიღო
 და ყვავილების ცვენაც მოთავდა.

აპრილი



გამთბარ გულიდან სხივს ამოვიტან,
რომ გავანათო ჩემი ქალარა,
რადგან აპრილის სითბო მოვიდა
და ყვავილები გადმომაყარა.

სხივებმა მიწას თოვლი გაჰხადეს,
წყალი წყრილით იწყებს გალობას.
გახარებული გული ღაღადებს
ამ სიხარულის გარდღევალობას.

ატმის ყვავილი გუნდივით მღერის
ზამთრის ღეშისთვის გათხრილ ხაროზე.
დამისახელებთ თუნდ ერთი მწერი,
რომ გაზაფხული არ უხაროდეს!

და ჩემს გულშიაც მღერით შემოდის
წყაროს ჩხრიალი დაუცხრომელი.
ვინ დაიჩემებს წყურვილს ჩემოდენს:
კაცი, ფრინველი ან ხე რომელი?

ზაფხულის პირზე მუდამ ასეა:
მზემ ერთხელ ფრთები თუ შეარზია, —
მიწის სურნელით სიერცე საესეა
და ვარსკვლავებიც თითქო ბაღია.

ნუშის კვირტები თვალებს ახელენ,
მზე არ ენახოთ თითქოს აროდეს.
თუნდ ერთი ჩიტე დამისახელებთ,
აპრილის მოსვლა არ უხაროდეს!

მეც ხომ ამ ბალის ერთი მწერი ვარ,
ყვავილთა მტვერით ფრთაშეგლესილი?
მეც ჩემი ჭვეყნის ცაზე ვწერივარ
შეიდსტრიქონიან ფერად ლექსივით.

მუდამ შრიალა მწვანის მძებნელი,
მეც ხომ ამ ბალის ერთი ჩიტე ვარ?
ყელში გალობა — დაუღევენელი
ყვავილშემოსილ ტოტზე ვკიდივარ.

და დღეს ჩემს გულსაც ეს უხარია,
რომ ეგ სინათლე ასე დიდია,
რომ არც თოვლია, რომ არც ქარია,
და მზეც სამშობლოს ცაზე ჰკიდია!



1939 წ., 18 აპრილი

მზიანი დღე

თუმცა სიცოცხლე ჯერ კიდევ მინდა
და მრავალ დღეთა მოიმედე ვარ,
მაგრამ ისეა ჰაერი წმინდა,
მზის ელვარებაც ისე შედება,
ისე მაქვს სავესე სიმღერით ყელი
და გული — ნათელ დღის შემფოთებით,
რომ მზად ვარ ამ ხეს მოვხვიო ხელი
და დავუკოცნო თბილი ფოთლები,
ვაჩუქო ლექსის უკვდავ მისწობას
ეს დღე უჩრდილო და უქალარო
და ჩემი წილი მარადისობა
ერთ ამისთანა დღეში ჩაელვარო.

1939 წ., 18 აპრილი

ერთი მერცხალი

დაეფრინავ ჩემთვის ერთი მერცხალი,
წკრიალა ხმებით მკერდავსებული, —
მარადიული მზის ნაპერწკალი,
წუთიერ ფრთებში მოთავსებული.

ვნახე სრულქმნილი ჩემი მიზანი
და წლებმაც ვალი გადამიხადეს,
მაგრამ არ ცხრება გული მისანი
და კიდევ ახალ ზეიმს მიქადის.

როგორ დაიტევს ეს გული ამდენს, —
რა უნდა ვნახო კიდევ ისეთი,
რომ მის წინაშე ფერმკრთალად სჩანდეს
სხივმადლიანი ჩვენი მზისეთი?

მე შევესწარი ქვეყნის ალიონს
და აყვავების ბრწყინვალე ზენიტს.
ახლა თუნდ ჩემი სუნთქვა დალიოს,
მე ბედს არ ვეტყვი სამღურავს ენით.



წავიდე, დავთმო სამშობლოს მთები
და ჩემი ქვეყნის ტყბილი სახელი,
დამარჩეს შხუილი გაფრენილ ფრთების
და შორ სიმღერის გამოძახილი.

1939 წ., 20 აპრილი

ახალი ხელები

რ თ მ ა ნ ა

თავი მეხუთე¹

უტუმ აღრევე შეიტყო, არტელის ბიჭები შეტევასზე გადმოდიანო. გულს შინც არ იტებდა. სანამ თავაკაცები მხარს მიჭერენ, ზღმურტლიანები რას დამაკლებენო, — იკვებნიდა თავისიანებში. ამის უფლება ჰქონდა უტუს. კოკი ჩახაია კოლექტივიზაციის გამოცხადებისთანავე გადაასახლეს. მოგვიანებით ჯიბო კვარაცხელიაც მიაცილეს მას. ქონება ჩამოართვეს და სადღაც, სოფლის მოშორებით, სამოსახლო ეწერა მიუზომეს მათ კოლშვილს. უტუსთვის ხელი არავის არ უხლია. ცენტრიდან ჰქონდა ხელშეუხებლობის ქალაქი. რაიკომის მდივანმა გაბომ, კომისართა საბჭოს თავმჯდომარის საწინააღმდეგოდ, რაიკომის ბიუროს დადგენილება გაგზავნა, მაგრამ სწორედ იმ ხანებში ცნობა მიიღო თავისი განთავისუფლებისა და ბორჩალოს რაიკომის მდივანად გადაყვანის შესახებ.

უტუ გამარჯვებას ზეიმობდა.

მაისის დამდევს პირუტყვი მთაზე გარეკა და ცოტათი დაშოშმინდა. შემოდგომამდე ათასი წყალი ჩაივლისო, — იიმედებდა თავს უტუ.


იმედი არ გაუმართლდა, გაბოს მაგიერ რაიკომის მდივანად ვაშლომიძის ამხანაგი — დიმიტრი მამალაძე დანიშნეს. ერთ დროს ერთად მუშაობდნენ კომკავშირში. ვაშლომიძემ უტუ ბერულავას საკითხი კვლავ გაიხსენა. რაიკომის მდივანს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. ბიუროს სხდომაზე საღვამიხოს არტელის თავმჯდომარე — ბონდო ოჩიგავა გამოიძახა და წინასწარ გააფრთხილა — ყველაფერი დაწერილებით აუხსენ რაიკომის მდივანსო.

ბონდომ გაიმარჯვა. უტუს მუშა-საქონელი ჩამოართვეს. ოქმის ამონაწერი უტუსაც გაუგზავნეს. შუადღე იყო. უტუ ფანჩატურში ისვენებდა, დადგენილებას რომ დახედა, ჯერ სიცილით გაიგუდა, მოგვიანებით სათვალეები მოისადავა, ოქმის ამონაწერი მოშორებით დაიჭირა და ხელმოწერას დახედა.

უტუს ფერი ეცვალა. თავი დახარა. ფარატინა ქალაქს ცხვირი დაადო, თითქოს სათვალეებმა საგნის გადიდების ფუნქცია დაჰკარგესო.

ოქმის ამონაწერს პაკუ ხორავა აწერდა ხელს.

¹ იხ. „მნათობი“, № 3, 1939 წ.

— ოპო-ო! — წამოიძახა შემფოთებულმა უტუმ. — ესენი  ხუმრობენ...

— რა ამბავია ჩვენს თავს, უტუ? — აუკანკალდა ხმა უტუმს მარტოს, სკამიდან წამოდგა და ქმრის გვერდით კონინდარზე მოიფრინა.

მარტოს თავიდანვე ეშინოდა „ზომურტლიანებისა“ და უტუს აფრთხილებდა: ნუ უჩხიკინებ, გაბრაზდებიანო. სოფლის საბჭოს დარაჯი რომ დაინახა, გული გაუსკდა. გაფაციცებული შესცქეროდა უტუს, ქალაღის შინაარსს როგორ იმოქმედებს მის სულიერ განწყობილებაზეო. უტუ ენაძვირი კაცი იყო. ოჯახის წევრები მიმოხვრით ივებდნენ მის კარგსა თუ ცუდ გუნებაზე ყოფნას...

— ჯონდოს დამძახეთ! — ასწია თავი უტუმ, თითქოს მარტოს შეკითხვად არ გაუგონიაო, ქალაღი ოთხად დაკეცა და კონინდარზე დააგდო.

— რა ამბავია, აღარ იტყვი, ადამიანო? — გაუფართოვდა თვალები მარტოს.

უტუ გაქვავებული იჯდა. თითქოს მარტოდ-მარტო იყო სადღაც უდაბნოში ვადახვეწილი. მართამ „შეილობილს“ დაუძახა — ჯონდო მოიყვანეო. ცნობისმოყვარეობამ კვლავ წაძლია და უტუს მესამედ ჰკითხა: რა ამბავია ჩვენს თავზეო.

ნავაზივით შეირბა უტუ. მარტოს ოქმის ამონაწერი მიაჩენა ხელში და ცალკუბად დაატანა — წაიკითხო.

მართა სახტად დარჩა. ქმრის დაცინვამ გული ატკინა. ქალაღი მაშინაღურად გაშალა. უკუღმა დაიჭირა და თითქო კითხულობსო, კომბოსტოს კვლივით ერთმანეთზე მიჯრილ ასობის წყებას დააკვირდა.

ორი ფიჭვის მარცვალი დაეცა ოქმის ამონაწერს. მართა იცრემლებოდა დაუმსახურებელი შეურაცხყოფის გამო.

უტუ ვერც კურცხალმა მოტება. კუნძივით იჯდა, თითქო არც სუნთქავსო. ჯონდოს ფეხის ხმამ გამოაფხიზლა. ჯონდო ულაყივით ურტყამდა მიწას თხელ მურისოდენა ფეხებს. გაუპარსავი წვერ-ულვაში მტვერს შეეფიფქა. კაცი იფიქრებდა: განგებ ნაცარტუტა შეუყრია პირისახეზეო.

უხეში და გაურანდავი გარეგნობისა იყო ჯონდო. მის აზოვანებასა და ძალღონეს ბევრი ინატრებდა, მაგრამ მიხვრა-მოხვრა, გაზრდილობა და სიტყვაპასუხი ყველა უცხოს ჩააფიქრებდა. ვერვინ იტყოდა, ამ ყმაწვილს სკოლის კარი უნახავსო. დაკვირვებული თვალი უთუოდ შენიშნავდა, ამ სახის პატრონი ან ლენჩია, ან ბავშვობაში ტვინის ანთება გადაუტანია და დამანკებულაო.

ჯონდო არც ლენჩი იყო, არც ანთებამოხდილი. დაიბადა თუ არა, მშობლების ყურადღება მაშინვე მიიპყრო არაჩვეულებრივი სიდიდითა და წონით. დღითი-დღე საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. სამი წლის რომ გახდა, ღონით უფროს მძებს სკობნიდა. ხუთი წლისა — ათწლიანებს უმკლავდებოდა კრივსა და ჭიდაობაში. ჯონდოს „ბაყბაყ-დევი“ შეარქვეს ტოლ-სწორებმა. სკოლაში ჯერ დაბალი კლასების ფალავანი იყო. მეხუთე კლასში რომ გადავიდა, ცხრაწლედის ფალავნობა მიიღო. სწავლა აღარ აინტერესებდა. ისე გაერთო სპორტით, მეშვიდე-მერვე კლასში ორ-ორჯერ დარჩა. გამორიცხვას უპირებდნენ, მაგრამ უტუს პურმარიღმა სკოლაშიაც შეიხვდა. გასულ წელს დიდის ვაგ-

ლახით დაამთავრა აგროტექნიკუმი. უმაღლესში ველარ მოეწყო. არც სასწავლო ნიშნები უწყობდნენ ხელს. მთავარი კი ის იყო, რომ უტუს ხმა ჰქონდა წართმეული.

ჯონდომ ადვილად დასთმო: სწავლის გაგრძელებაზე უტუს თავი მიანება და მამას ამოუდგა გვერდით.

დღეს უთენია შევიდა კომბოსტოში, თავშეხვეულ ქუჩუჩებს მიწას აცლიდა ძირში. შეყვითლებულ ფოთლებს საქონლისათვის აგროვებდა. აგვისტოს პაპანაქება სულს უხუთავდა, მაგრამ ჯონდო აინუნშიაც არ იგდებდა შუადღის გახელებულ ხვატს.

„შეილობილს“ გაუწერა: გამეცა, ნუ მაცდენო. მაგრამ როცა ბუხუტიამ გაუმოვრა, მამა გეძახისო, ბუზლუნით დააგდო მოკლეთარიანი თოხი და კამეჩივით წამოძუნძულდა. უტუს წინ ბოძივით გაშეშდა. ჩვეულებად არა ჰქონდა მამისთვის ეკითხა: რაზე მეძახიო.

უტუ ხმას არ იღებდა.

ჯონდომ დედას გადახედა, იქნებ მან მითხრას რამეო, თვალზე ცრემლი შენიშნა და აიმრიზა: აქ რაღაც ამბავიაო.

— ჯონდო ხარ? — გვიან გამოერყვა უტუ. — ჩაიცვი, შენს ვაზრდას... (ბავშვობიდან ასე მიმართავდა ჯონდოს და ისე შეეჩვია, რომ ოცდაორი წლის ვაჟკაცს „შენს ვაზრდას“ ეუბნებოდა). შეჯექი ცხენზე და რაიონში გაფრინდი... განცხადებას გადასცემ...

— ჩამოგვართვეს? — შეაწყვეტინა ჯონდომ.

— ჩამოგვართვეს.

უტუმ ლმობიერი თვალებით შეხედა შვილს, თითქო ემუდარებო. წამოდგა და ოდისკენ გაუძღვა.

მართა გაქვავებული იჯდა. ახლა ცრემლებსაც ველარ პოულობდა გულის ამოსარეკად.



ნავახშმევს დაბრუნდა ჯონდო. ცუდი ამბავი მოიტანა. „პირუტყვს ნულა სჩივი, — ატყობინებდა სანდო კაცი რაიალმასკომიდან: — შეიძლება სახლკარი და ეზო-მიდამოც...“

— ვაიმე, ნანა! — უცნებოდ მოიბოტნა ლოყები მართამ და სავახშმო საინებს ხელი გაუშვა.

სამზადისში იყო უტუს ჯალაბი. ვახშამს განგებ აგვიანებდნენ — ჯონდო როგორ ამბავს მოიტანსო. ცუდმა ამბავმა მთელი ოჯახი შეაშფოთა.

საინების ზარალმა უტუს ცეცხლი მოუკიდა. უნდოდა რაღაც მწარე სიტყვა ეთქვა მართასთვის, როგორც ამას ჩვეული იყო ხელმარცხიანი ოჯახის წევრების მიმართ, მაგრამ ნამტვრევებს შეხედა... თვალები თევზივით წამოუწითლდა, დასწვდა შეშის ნაპობს, მთელი ძალღონით მოიქნია და ვეებერთელა საწინილე ხალამი დაამსხვრია. ხალამს ჩაფი მიაყრლა, ჩაფს კეცი, დოქები, ქოთ-

ნები... რასაც მისწვდა, ნამსხვრევებად აქცია. ბოლოს, ბუჯურში გაიხროლა ნაპობი და ჯამ-ქურქელი მიღწე-მოღწეა.

— თუ მტრევეა, ბარემ ერთად დაიმტერეს ყველაფერი...
თავი ჩაღუნა და ცეცხლს მიაშტერდა.

ხმა არავის ამოუღია. არც ნამტრევეებისთვის უხლია ხელი ვინმეს. მართამ იცოდა — ეს უფრო გააცოფებდა უტუს. მოთმინებიდან გამოიყვანდა. საეახშმო დაბალი სუფრა გაწყობილი იდგა. ხემსი არავის აუღია. არც ერთმანეთს შეჰპატივებია ვინმე.

ბუხუტია „შვილობილი“ ჩუმჩუმად ნერწყვს ყლაპავდა. ღრანჭი მოექცა სუფრისკენ ცქერით. მაგრამ არც მას უთხრეს, შენ მაინც ჭამე, ბუხუტიაო. ღღარში საეახშმო ცეცხლი ჩაქრა.

უტუმ ახლა აიღო თავი და ჯონდოს ყველაფერი გაამეორებინა.

— ასე, რომ ზღმურტლიანები დასტურ აღარ ხუმრობენ... — აბუხუნდა უტუ, როცა ჯონდომ „სანდო კაცის“ შემოთვლილი გაიმეორა. — თქვენ ჯერ ვერ გიცენიათ უტუ ბერულავა... მამაჩემს, უჩას აქვს სულის ცხონება! მამა მომიკლეს — შერჩათ... ხუთი ქცევა სახნავე წამართვეს, — არაფერი... უღლად ხარები და ცხვარი მიყავთ, — ესეც არაფერი... კარ-მიდამოსაც მოითხოვენ? მაშინ უტუ ცოცხალი აღარ იქნება. უტუ ჯერ კიდევ გავისინჯავთ მკლავის ღონეს... უტუ ადვილად არაფერს დაგიტოვობთ.

უტუ გაჩუმდა. ყველა მას მისჩერებია. ნუგეშსა და რჩევა-დარიგებას ვერა-ვინ უბედავს. მთელს ოჯახში უტუს მამას — უჩას ჰქონდა ეს უფლება მინი-ჭებული. უჩას სიკვდილმა ოჯახის უფროსობა უტუს არგუნა. მისი გადაწყვეტილება კანონია ოჯახის წევრებისათვის.

— ოდაში გავიდეთ! — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ სთქვა უტუმ და ჯონდოს თითი დაუქნია — გამომყევით.

უტუმ ფეხაკრეფით ათვალა ოდის უკანა პარმალის კიბე. სასტუმრო ოთახში შევიდა, ფარდები ჩამოუშვა და ლამპა აანთო.

ნახებსა და კედლის ხალებს მოავლო თვალი. უჩას ქამარ-ხანჯალსა და ხმალს მიაშტერდა.

— იქცევა ოჯახი... ორმოცი წლის ნაამაგარი ოჯახი... — ამოიოხრა მოგუდული ხმით.

ზანდუკს დაუჩოქა. შარვლის ხენჯარზე ჩამობმული ვასალები წაიგრძელა და ბოქლომს მოარგო. თავი რომ ახადა, სანთელ-საკმეველისა და სინესტის სუნი დადგა ოთახში.

უტუმ ხელი აურია ზანდუკში უწესრიგოდ ჩაყრილ ნივთებს. ორი-სამი თოფი მიტკალი ამოიღო, ამდენივე ჩითი და სატინი. შალ-აბრეშუმის შეუყვრავე ნაჭრები. საზღვარგარეთული კოვერკოტი, სამი შეკვრა ქალის ჩულქები, ნაირნაირი დარაიები... კონტრაბანდა რომ მოსპეს, უტუმ ნარჩენი საქონელი ზანდუკში ჩაკეტა — ვინ იცის, რა დრო დადგესო.

ორი-სამი წელიწადია ზანდუკში უდევს ძვირფასი საქონელი. არც ვასას-ყიდად იმეტებს, არც თვითონ იყერავს. ჯონდო რახანია ეხვეწება — ერთი

საკოსტუმე მანუქეო, მაგრამ უტუს ვითომ არ გაუგონია ^{შვილის ხეწუნა-}მუდარა, პასუხსაც არ აძლევს კოვერკოტზე დახარბებულ ჯონდოს.

უტუმ ზანდუკი ამოსცალა. ფსკერზე ხელი მოაფათურა. ^{შანდუკის შინამარ-}ჯვა და წერილი ლურსმნები ჭრიალით ამოაძრა.

ჯონდოს გაუგვირდა — ზანდუკს ფსკერს რატომ აცლისო.

ორი ღერი ვიწრო ფიცარი ამოიღო უტუმ. დაიხარა, ნიდაყვს დაეყრდნო და ხელი დარანში შეჰყო.

ჯონდომ ახლა იაზრა, ზანდუკს ორმაგი ფსკერი ჰქონიაო. გაფაციცებით მიაჩერდა უტუს.

უტუმ დიდხანს აფათურა ხელი ორკედელს შუა მომწყვედვულ დარანში. მარმაშში გახვეული რალაც ნივთი ამოიღო და სკამზე დასდო. ნივთი მძიმედ დაეცა სკამზე. ხელმეორედ დაიხარა და მუყაოს კოლოფები ამოიღო.

ჯონდო მარმაშში გახვეულ ნივთს არ აშორებდა თვალს.

უტუ არ ჩქარობდა. ფიცრები ისევ ჩააწყო და დააქედა. ახლა ამოლაგებულ ფართალსა და სხვა ნივთებს მოსდგა... წესიერად ჩაალაგა.

ფეხზე რომ წამოდგა, მარმაშში გახვეული ნივთი აიღო. პერანგი შემოახია და...

— მალხერი! — წამოიძახა ჯონდომ.

— დიხ, მალხერი! — წყნარად გაიმეორა უტუმ, ჩახმახი შემართა და სავანე კოლოფი შეამოწმა. — შენი იყოს, შვილო! — გაუწოდა ჯონდოს მალხერი, — არ გიმტყუნებს... ნურც შენ უმტყუნებ. გამომართვი!

ჯონდოს თვალები გაუბრწყინდა. მივარდა და ორივე ხელით ჩამოართვა მამას საჩუქარი.

— ვახნები იქ არის... — მიუთითა უტუმ კოლოფებზე, მარჯვენა ხელი ასწია და პირჯვარი გამოსახა შვილს, თითქო ომში ისტუმრებდნო.

— ახლა... — მძიმედ ამოიოხრა უტუმ, — მომეშველე და თუ რამე ძვირფასი ვაგვანია, ყუთებსა და ზანდუკებში ჩავალაგოთ. ორ საათზე მატარებელი ჩამოივლის ფოთიდან... ხომ გესმის?!

ჯონდო მიხვდა, ალბათ, ჩემს უფროს ძმას უგზავნის ტფილისში შესანახადო. გარეთ გავიდა და უტუს მითითებით ორი ვეებერთელა ყუთი შემოართრია ოთახში, რამდენიმე სკიერიც, მათ შორის ერთი მართას ნამზითვი.

შეუდგნენ ჩალაგებას.

ოთახში მართა შევიდა. აქოთებული ნივთები რომ დაინახა, კინაღამ შეჰკივლა. უტუმ დაასწრო: დედაკაცურ წრიპინსა და უთავბოლო მოთქმას თავი გაანებეო.

ჯონდომ ირანული ხალი ჩამოხსნა, დაკეცა და ყუთში შეინახა.

მართამ ყველაფერი გაიგო. წაიმკლავა და ქმარშვილს მიეშველა.

ვერცხლელული და ძვირფასი ნივთები ზანდუკში ჩაალაგეს. რკინიგზელეების თვალების ასახვევად თავზე კართოფილი დააყარეს. ნიკელის ტახტებს ტომრები შემოაკერეს. „სასტუმრო“ ფარჩის საბნებითა და თეთრეულით მაფრაშები ამოჰკერეს.

ლამის ორ საათზე ჯონდო ტფილისში მიმავალ მატარებელს ელოდებოდა
კალადიდის სადგურზე.

ჯიბეში უტუს წერილი ედო, უფროს ძმისათვის გადამსაცემი წერილი ასე თავდებოდა: „იქცევა ჩენი კარ-მიდამო, დატრიალდი შენებურად. შენი თავგაცებთან დაახლოება, ხომ იცი, რა ძვირი დამიჯდა... ამდროისთვის, მინდინხართ სულსველანი... დატრიალდი, ჩემო იმედო და ვამახარე!“

უტუმ ჯონდო რომ ტფილისში გაისტუმრა, დილით ბონდოს გამოგზავნილმა კაცმა დაიძახა ჭიშკართან: არტელში გიბარებენო.

ოჯახის ალაფი და ძვირფასი ნივთები სამშვიდობოს ეგულებოდა უტუს, მაგრამ ცხენი? ნისლა ხარები?

მთელ დღეს ეზოში ტრიალებდა. ათასი რალაც მოიფიქრა. ჭკუაში არც ერთი არ დაუჯდა. სალამო ხანს ბუხუტია „შვილობილი“ იხმო და ბოკუნა ჯალალანისთან აფრინა.



დღეიდან ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ იორდანე. მარინეს საორსულოდ საკაპოტე ჩითი მოუტანა, ათი მეტრი მიტკალი და ჭრელი თავსაფარი. არც ბავშვები დასტოვა უყურადღებოდ. თავისთვის არაფერი არ უყიდნია, მაგრამ რაჟი ცოლშვილი გაახარა, თვითონ ამითაც დაკმაყოფილდა.

— მაგვიანდება! — თითქო ვილაცას შესჩიოდა იორდანე, მაგრამ ნავაჭრით თვალგაბარწყინებულ ჯალაბს გულს ვერ აშორებდა. შესაკერავ ფართალს ხან ერთს დააზომებდა ტანზე, ხან მეორეს, როგორ მოუხდებოდა.

მოგვიანებით გარეკა ხარები სამუშაოზე. დილის ნაცდური სალამოს აინაზლურა. მთვარის შუქზე ორი გზა გააკეთა და მალალ ვახშობისას დაბრუნდა შინ. გოჩა ჭიშკართან შემოეგება. ხარებს ეზოში შეუძღვა.

გზადაგზა მამას ახარა: ბაბაია, მე და ნუნუმ ხარებს ბალაბი მოვუშაადეთო. იორდანეს გული მოეწვა: სხვის ხარებს ასე შეხარია, ჩემი რომ მყავდეს — რალას იზამდენო.

ფაცხის კარი შეაღო და ვახშამი იკითხა. მარინემ მორცხვად გამოუტანა ბუჯერიდან წაგრილებული მჭადისა და მხალის ნარჩენი. ნუნუ და გოჩა წყალისთვის აფრინა.

ნავახშმევს ბონდოს გაფრთხილება მოავონდა იორდანეს და ხარებს დახედა.

ლომა და ნიკორა წყნარად იცოხნიდნენ. მთვარე მალლა წამოსულიყო. იორდანემ უსაზღვრო კმაყოფილებით ახედა მოციმციმე ცას. „იომის ნახტომს“ თვალი გააყოლა და მარინეს გასძახა, ლოგინი პარმალში გამიშალეო.

— კოლოები დავხრავენ, ბეჩა! — გააფრთხილა მარინემ და ბავშვივით აჩემებულ იორდანეს განზრახვაზე ხელი ააღებინა.

— კაი, კაი! — ბუზღუნით დათანხმდა იორდანე, ხარები ახსნა და ფაცხის გვერდით დააბა: ახლო მყყოლებიანო.

ხეალ მოათავებს სამუშაოს იორდანე. საღამოს ხარებს ვარჯიშს და არტელს ჩაბარებს. რას იტყვის უტუ ბერულავა? ჩაბარების დროს იქ მინც იყოს. ჩემი რა ბრალია?! ჭირა არ მისცეო, გამაფრთხილებს, მთე ხუტყვა მინც არ გავტეხე: ნახევარი სათენი შეშა ცალკე დავაწყე ბერულავასთვის.

ეს ფიჭრები ჩაჰყვა იორდანეს და ჩაეძინა. მამლის ყვილიამდე დაბანგულივით ეძინა. მამლებმა რომ მოუხშირეს, თვალი გაახილა, მაგრამ ადგომა გაუძნელდა. საღსრები აღარ ემორჩილებოდნენ.

ფაცხაში სინათლე შეიპარა. თენდებო, — გაიფიქრა და უცნებოდ წამოვარდა. ფრთხილად ჩაიცვა, ჯალაბი არ გავადვიძოო — და ფაცხის კარი გააღო.

ჯერ აღიონი არ ამოსულიყო. „მომატყუა ამ ტურის არჩივმა“, — წაილულულა ხმადაბლა და დოქი გაანჯღრია — პირსაბანად თუ შეყოფაო.

ციემა წყალმა ერთბაშად გამოაფხიზლა. ერთხელ ტბილად დაამტქარა და ფაცხის გვერდით გაემართა ხარების გამოსაყვანად.

ფიჭრებში გართულმა უაზროდ მოაფათურა ხელი დოშკანის ბოძებზე. თოკი ვერ მიაგნო და გველნაკბენივით შეტბა. შიშის ფრუანტელმა დაურბინა ძარღვებში. ჩალის ნაკვრებებს ფეხი წაჰკრა, თითქო ხარებს იქ ეძებსო. თავზარდაცემული იორდანე ეზოს ყანაში გავარდა, იქნებ მოშვიდათ და აიშვესო. წაუყურადა. კალიების კრიჭინი ისმოდა მზოლოდ. ლელის პირად ილაგვაწყვეტილი ბაყაყები კრულალებდნენ.

ახლა ჭიშკრისკენ გაიქცა იორდანე. ჭიშკარი დაკეტილი დაუხვდა.

— ფრთები გამოისხეს? — გადაიწერა პირჯვარი.

მარინე გააღვიძა და სანამ ის წამოეშველებოდა, ჭრაქით ორჯერ შემოუარა ეზოს — იქნებ ნაკვალევს წაეაწყდეთ. გვალვით დახეთქილ მიწაზე კვალის ვერსად შენიშნა. ჭიშკარს ქვემოთ ახალი ნეხვი ნახა, მაგრამ ვერ გააჩიხა წინლამინდელი იყო თუ უფრო ადრინდელი.

ძაღლს დაუსტვინა იორდანემ.

არც ძაღლი გამოეხმაურა.

— სად დაიკარგა ეგ საცოფე! — აბუზღუნდა იორდანე და მარინეს შეეხვეწა, სანამ დავბრუნდებოდე, ახლო-მახლო მინდვრებს ჩამოუარე. იქნებ რამე კვალს წააწყდეთ. თვითონ ბერულავასას გაიქცა.

ბერულავას ჭიშკრამდე სული ძლივს მიიტანა. ალაგზე შედგა და ცოფიანი ხმით დაიძახა. არავინ გამოხედა.

იორდანემ ძახილს მოუხშირა. ბამბურა ქოფაკი მესერს ჰგლეჯდა უტიფარი სტუმრის შეუპოვრობის გამო, მაგრამ ჭიშკრიდან გადმოსვლას მინც ვერ ბედავდა. არც იორდანეს უშვებდა საგანგებოდ შეტხიხრულ ეზოში.

მოგვიანებით ბუხუტია „შვილობილი“ გამოვიდა და ზმორებით უთხრა იორდანეს, უტუ ფოთშია წასულიო.

— ხარები ხომ არ მოსულა, წიე?

ბუხუტიამ თავი გააქნია. თანაც გაუკვირდა, რომელ ხარებს მეკითხებო.

— ნისლა ხარები, წიე? — გაუმეორა იორდანემ.

— სამი დღეა არ მინახავს! — მოვიდა გონს ნამძინარევი ბუხუტია.

ახლა არტელის გამგეობას მიაშურა იორდანემ.
გარიერაქდა.

იორდანემ შორიდან შენიშნა, არტელის გამგეობის ოთახში დაკრული იყო საბჭოს ეზოში შეუხვია, იქნებ იქ იყოს ვინმეო.

დარაჯი გიზო ოთახებს ალაგებდა.

იორდანე პარმალზე ავიდა. სული მოითქვა. ბინდბუღში გახვეულ სოფლებს გახედა. თვალი გააყოლა ნისლის მთაგრეხილებს. აჭარის მთებს მიაშტერდა. მთის მწვერვალები ოქროსფრად მოვარაყდა.

იორდანეს წამით გადაავიწყდა კარს მომდგარი უბედურება. აელვარებულ მთაგრეხილებს თვალი ველარ მოაშორა. ვალდებულებული ბუნების სილიადემ შთანთქა და დაიმორჩილა.

დიდხანს იდგა გაშტერებული...

მტვერის კორიანტელი გამოვარდა ოთახიდან. იორდანემ ცხვირი აიბზუა. პარმალის რიკულებს მოშორდა და ოთახში შეიხვდა. მოურწყავად ჰგვიდა გიზო თავმჯდომარის ოთახს.

— წუხელ სად გეძინა, ბიძი, ამ დილით რომ ამტვერებ აქაურობას?

დარაჯმა აღმაცერად გადახედა არამკითხვებზე ჰკუთის მასწავლებელს. ჯიბრზე ხელუკულმა მოუსვა ცოცხი და იორდანეს ცხვირწინ მტვერის ბუჭი დააყენა, თანაც უკმეხად დაატანა: რაღა, შენი ჰკუთით, გუშინ არ დავგვიდი ამ ოთახს?

— დაგვიღოს რა უგავს, ბიძი, ერთი თვის თავნაყარი შაინც იქნება ეგ ნაგავი. პაპიროსის ნამწვევს ვერ უყურებ? ერთ ღამეს რა კაცმა მოსწია ამდენი პაპიროსი?!

— ელაპარაკე ამას!.. — ჩაიჭნია ზელი დარაჯმა და თავის ჭიციანით დახედა ნაგვით სავსე იატაკს. გრძელტარიანი ცოცხი უმარჯვა, ორსამკერ ღონივრად მოუსვა და ისევ დადგა. დონიჯი შემოიღდა და იორდანეს შედიდური ხმით მიუბრუნდა: — შენ იცი, რამოდენა კრება იყო წუხელ ამ ოთახში? რას მიყურებ? თუ არ იცი, დაჩუმდი. ოცდახუთ კაცს რა პაპიროსი აუვიდოდა დილის სამ საათამდე?

იორდანე მასლაათის გუნებაზე არ იყო. დარაჯთან საუბრის გამართვა აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ ეს ოცდახუთი კაცი ვინ იყო, დილის სამ საათამდე რა ჰქონდათ სალაპარაკოო, — გაიფიქრა და ცალკებად ჰკითხა დარაჯს:

— რა დაადგინეს, ბიძი, რაზე ლაპარაკობდნენ?

— რა დაადგინეს და... რიონს შესართავი უნდა შევეუცვალოთო, — თავმომწონედ უპასუბა გიზომ.

იორდანემ გესლოიანად ჩაიჭირქილა:

— არ შესმის, ბიძი, რაღა, რიონი უკან უნდა მოაბრუნონ თუ გურიაში უპირებენ გადაყვანას?!

— რას ქილიკაობ, ბიძია, გურიაში კი არ უპირებენ... აგერ სოფელი ფოთი რომ არის... ზომ იცი, სოფელი ფოთი? ფოთს ზემოთ თორმეტი კილომეტრი ყოფილა ამ სოფლამდი... პო-და, იქ არხი უნდა გასქრან და რიონი ნაბაღაში შეერთდება ზღვას.

— ფოთს უწყლოდ ტოვებენ?

— არა, ზღვა უნდა შემოუშვან თურმე ნარიონებში, ტბებზე გააკეთონ და... რა ვიცი, ფოთის ქუჩებში ნავეები იმოდრავებენო. პალიასტომში გიშინ თევზებს მოაშენებენ. მალთაყვაში აგარაკებს ააგებენო.

— ჰო-ო! — გამოზოგა იორდანემ. შუბლი მოიხრდილა და შიშვარისაკენ გაიხედა — თუ ვინმე მოდისო.

დღეს თითქო განგებ ავეიანებდნენ სოფლის თავკაცები. იორდანემ მძიმედ ამოიოხრა და თავისთვის წაიბურტყუნა:

— აბა, მალთაყვაში კურორტი უნდა დააწესონ? შექანებულა ეს ხალხი. გიზომ უშენიშენოდ არ დასტოვა იორდანეს გესლიანი ქარავმა.

— რავა, ვერ დააწესებენ?

— რატომ, ბიძი, რატომაც ვერ დააწესებენ. ქალაღზე დადგენას რა სიბრძნე უნდა. თუ რიონს „ვითარ ეამს“ ჩვეულ კალაპოტს კი უცვლიან... მალთაყვაში კურორტის გაშენებას რა დიდი საქმე უნდა. აქამდე ხალხი ბახ-მაროზე დადიოდა საავარაკოდ, ზოგი აბასთუმანში და ზოგი ბორჯომში. ამიერიდან მალთაყვაში ჩამოვლენ... კარგია, იოლად გავლენ მოავარაკენი, თუ კი ვინმემ გაბედა მალთაყვაში ჩამოსვლა.

— ვითომ რა შეაშინებს შენის ფიქრით?

იორდანემ წარბი შეათამაშა. უადგილოდ მოეჩვენა დარაჯთან „საქვეყნო საქმეზე“ საუბარი, მაგრამ საბჭოს ეზოში ჩამოსული ვერავინ დაინახა და „დროს მოსაკლავად“ ისევ დარაჯს მიუბრუნდა:

— შენ ციებ-ცხელება გაგიგონია, ბიძი?

— რავა არ ვამიგონია... მე თითონ მაციებდა სამ წელშიწადს.

— აბა, შე კურთხეულისშვილო, მალთაყვაში ბაყაყებს აცივებს წლიდან წლამდე... მოავარაკეს რომელი სულიწმინდა გადაარჩენს დაუხაშმავს...


გიზომ თავი მოიქექა. ცოცხს დასწვდა და ნაგავს ერთ კუთხეში მოუყარა თავი. გულში სულ იმას ფიქრობდა: ციებ-ცხელების მოსპობაზე რომ ილაპარაკეს თავკაცებმა, ის რატომ ვერ დაევიმხსოვრეო. გული დასწყდა, რომ იორდანეს უკანასკნელ კითხვას პასუხი ვერ გასცა. ნაგავი რომ გადაყარა, სანაგვე ყუთზე დამსხდარი კოლოები დაინახა და წუხანდელი სხდომა მოავონდა. სწორედ ასეთ კოლოებზე ლაპარაკობდნენ ქალაქიდან ჩამოსული თავკაცები. გიზომ თავბოლო ველარ გაართვა ნასწავლი ხალხის ლაპარაკს. რაღაც „ანოფელესი“ კი ჩარჩა გიზოს მახსოვრობაში (ამ სიტყვას მთელი დამე იმეორებდა)... მაგრამ თუ რა მოსპობდა ციებ-ცხელებას, ეს ველარ დაიმახსოვრა. იორდანემ კუშტად როგორ მაჯობაო, — თავის თავსაც უწყურებოდა გიზო.

იორდანე პარმაღის რიკულებს მიყრდნობოდა. ცალი თვალი ჰიშვარისკენ ეჭირა — თუ ვინმე მოდისო. ფეხზე დგომით რომ მოიქანცა, სკამზე ჩამოვდა. ნიდაყვს დაეყრდნო და შავბნელ ფიქრებს შეჰყვა. ფიქრებში მიელულა იორდანეს. გიზოს სტვენა ნანასავით ესმოდა.

— შენ აქ რა გინდა? — ჩაესმა წათვლემილ იორდანეს ბონდო ოჩიგავას ხმა და თვალი გაახილა.

მის წინ იდგნენ: ბონდო ოჩიგავა, მიხა კარსანიძე, უტუ ბერულავა და არტელის რამდენიმე წევრი, მათ შორის როსტომიც.

საქართველოს
კარლანძვის
ქალაქი



იორდანე უცნებოდ წამოვარდა სკამიდან. გონება ისე შეეკრა, ვერც სალაში დაუბრუნა ბონდოს და ვერც შეკითხვაზე გასცა პასუხი.

— მოათავე სამუშაო? — იჩქარა ბონდომ, სანამ იორდანე მთრუნხვად გამოერკვეოდა.

— არა... დღეს უნდა მომეთავებია...

— მოათავე და ხარები არტელს ჩააბარე, თუ კაცი ხარ! — ჩაერია საუბარში უტუ ბერულავა.

— რაღა ჩავაბარო, როცა... — აბორძიკდა იორდანე.

უტუმ თვალეზი გამოსჰყიტა, თითქო წინასწარ იაზრა, იორდანემ საზარელი რაღაც უნდა შეუცხადოსო.

— ხომ არ დამკალი, იორდანე, შენი ხელით? — დაასწრო უტუმ, სანამ ცნება-შეშლილი იორდანე წინადადებას დაასრულებდა.

— წუხელ ფაცხის გვერდით დავაბი, ორი დღის საყოფი ბალახი დავუყარე... დღეს ალიონზე ავდექი, საღლაა ხარები...

ყველანი გაოცდნენ, ერთმანეთს ვადახედეს.

— იქნებ აიწყვიტეს... — წამოიძახა კარსანიძემ.

— არა. მეც ვიფიქრე, იქნებ ეზოს ყანაში შევიდნენ, ან შინ გაიქცნენ-მეთქი... შევაწორილე ყველაფერი, უტუსას გათენებამდი მივეარდი, მაგრამ... ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ, ვერ გავიგე.

— ჩემსას რა მოგარბენინებდა, ჩემო იორდანე! შენ აუხვევ ამდენ ხალხს თვალეზს?

— თვალის ახვევა რა მოსატანია, უტუ-პატენი! ვითომ რაო? — ძლივს ამოღერლა იორდანემ და მიწასავით ჩაიტეტკა.

— რაღა, ჩამორთმეული ხარები გამიყიდე, შე ღეთის გლახავ?! — იგრვინა უტუმ საზარელი ბოხი ხმით და იორდანეს ახალბონის საყელოში ჩაველო დათვის თათისოდენა ხელი. — ვის მიყიდე ხარები?

იორდანემ აღმაცერად გახედა გავეშებულ ბერულავას. ნიდაყვის გაკვრით საყელო გაინთავისუფლა ბერულავას ხელისაგან.

— შე გავეყიდე ხარები? — გამომწვევი კილოთი შეეკითხა ბერულავას და განიერი გულმკერდი ფარით მიუშვირა. — სიბერის დროს ქურდიც ვინდა გამომიყვანო?

უტუმ უკან დაიხია. იორდანეს ანთებულ თვალეზს რომ შეხედა, მთელ თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო რაღაც გამოსურკვეველი შიში. ეს შიში უფრო ცხოველური იყო, ვიდრე ადამიანური.

— შე გავეყიდე ხარები? — გაიმეორა იორდანემ იმავე გამომწვევი, მაგრამ სასოწარკვეთილი ხმით.

— აბა, მე ხომ არ გავეყიდდი, შე დალოცვილისშვილო! მადლობა ღმერთს, წუხელ საღამოს მე და პატივემული ბონდო ერთად წავედით ფოთში და დღესაც ერთად დაებრუნდით...

— იქნებ არ დაკარგულა, კაცო, — ჩაერია მოზავედ კოსტაია ჩაჩუა. — ხარები ნემსი ხომ არ არის, იოლად მოიპაროს კაცმა... თუ კაცის ხელი არ ურევი მაგ საქმეში, ხარების მონახვას რა უნდა...

ბონდომ კარსანიძეს გადახედა. კარსანიძემ თვალი ჩაუკრა და ბონდო განზე გაიხშო. როსტომსაც დაუძახეს მოგვიანებით.

— მე ხომ გეუბნებოდი, ამხანაგო ბონდო, ნუ ვენდობით მაგ კაცს, ხარები დღესვე მოვიყვანოთ არტელში-მეთქი. ახლა თქვენ ვერც კაცს ვინდათ. მე ბიჯსაც არ გადავდგამ აქედან...

— კარგია, როსტომ! — შეაჩერა აყბედებული როსტომი ბონდომ. — დაიკარგა, უნდა მოვძებნოთ. ახლავე ასტეხეთ განგაში. დავაყენოთ სოფელი ფეხზე და ენახოთ; მოვძებნით თუ ვერა... კოსტაიას თქმისა არ იყოს, ხარები ნემსი ხომ არ არის, რომ ნაგავში დაიკარგოს.

დასცხეს ზარს.

მთელი სოფელი ფეხზე დააყენეს. კარსანიძემ რაიონს აცნობა ეს ამბავი და მილიციას გამოუძახა. პოლიტსამმართველოს რწმუნებულსაც შეატყობინეს ხარების დაკარგვა.

მოზევებულ ხალხს რომ შეხედა ბერულავამ, თავი გააქნია და ბონდოს მიმართა:

— კაცო, რას აწუხებთ ამ ხალხს... მოკიდეთ ხელი ამ ღვთის გლახას და ერთ საათში დაკაკლავს ყველაფერს.

იორდანემ დასაკლავი პირუტყვივით დაიბლუელა სიმწარისაგან. მზად იყო თავისივე ხელით გაეპო საკუთარი მკერდი და უმანკო გული ქვეყნისათვის ეჩვენებინა. მზად იყო სანაძლეო დაედო, რომ ხარების დაკარგვაში ბერულავას ხელი ფათურობდა, მიუხედავად იმისა, რომ წუხელი შეიძლება ის მართლაც ფოთში იყო რაიმე სხვა საქმის გამო წასული. მაგრამ როგორ დაამტკიცოს იორდანემ თავისი ალაღმართლობა? როგორ დაარწმუნოს ხალხი, როცა ხელთ არაფერი საბუთი არ გააჩნია?..

— სიმართლე არ დაიკარგება, უტუ! ქვეყანა უფრო დიდია, ვინემ ჩვენ ვხედავთ მას...

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ!... მოყვები რაღაც სოლომონბრძენობას!.. შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, რატომ არ იტყვი, წუხელ სად ათვედი ღამეს?

იორდანე გაცბა. ღამისთევა სიიდან მოიტანაო, — გაუელვა უცბათ და პასუხი აღარ დააყოვნა:

— ღამენათვეს რა მიგავს?

— ა, ბატონო, ხომ მოგახსენეთ, თვალდახელშეა ტყუის-მეთქი! — მიმართა უტუმ კარსანიძეს და ბონდოს. — ჩვენ რომ მოვედით, შენ გეძინა თუ არა, იორდანე? — სხვათა გასაგონადაც ჰკითხა უტუმ.

— დალღილ კაცს მიმელულა ერთი წამით... მერე რა მოხდა?

— ა, ბატონო! — შეისწორა უღვაშები უტუმ. — თუ მთელი ღამის ნათევი არ ხარ კაცი, დილა-ადრიან რა დაგაძინებს? მითხარით, ხალხო, შეიძლება გამოძინებულ კაცს მზის ამოსვლისას ფეხად დაეძინოს?

ყველამ ერთმანეთს გადახედა. ზოგმა თავი გააქნია, ზოგმა ხმადაბლა ჩაიღინღილა — რატომაც არ შეიძლებაო. აშკარა დამცველი მაინც არ გამოუჩნდა იორდანეს ამდენ ხალხში.

მოვიდნენ მილიციის თანამშრომლები. პოლიტსამმართველოს რწმუნებულ-
ლი მოუძღოდა მილიციელებს.

შეუდგნენ ძებნას.

განკარგულება

პოლიტსამმართველოს რწმუნებული ადგილობრივად მდგომარეობაში დასტოვე, დილით როგორ დაგვიხდაო, — ჰკითხა იორ-
დანეს. ძალღი თუ გყავსო, — შენიშნა მილიციის თანამშრომელმა, როცა რწმუ-
ნებულმა ჩვენება ჩამოართვა იორდანეს და მისი ოჯახის წევრებს.

— ძალღი არ სჩანს, დედაკაცო? — გასძახა იორდანემ მარინეს.

— არ სჩანს...

— ძალღი რალამ ჩაყლაპა?.. სად ხარ სამართალო, სად? — აღმოსქდა იორ-
დანეს ნიაღვარივით.

გავიდნენ კვალის საქებნელად.

ჯერ ეზოს შემოუარეს. შარის პირი მოითარეშეს. შემდეგ რიონის პირას
ჩავიდნენ სანაოზე...

პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა სველი ნავი დაინახა და იორდანეს
შეეკითხა: ვისიაო.

იორდანე მონუსხულივით მიაშტერდა ნავს, თითქო თვალს არ უჯერისო.

— ნავი ჩემია... მგვრამ... რამ დაასველა?

— ვადმოაბრუნეთ! — გასცა განკარგულება რწმუნებულმა.

ვადმოაბრუნეს.

ახალთ-ახალი სისხლის ლაქებით იყო დაწინწკლული იორდანეს კარკაპა.

— აღარც ახლა გჯერათ?! — იკივლა უტუმ და შემზარავი ხმით დაუმა-
ტა: — ვაიმე, ჩემი შევილივით გამოზრდილო ხარებო! ცოცხალი მინც ყოფი-
ლიყავით, ჩამორთმევას აღარ ვიდარდებდი!

შეიყარა ხალხი ნავის გარშემო. შეიქნა ბჭობა და განსჯა-განკითხვა. ზოგი
ვის აბრალებს, ზოგი ვის.

რიონის პირად ვადამდგარმა მილიციელმა ნაპირზე მწოლარე ძალღი დაი-
ნახა და ვისიაო, იკითხა.

იორდანემ სხვაზე აღრე მიიბნინა. შეხედა, იცნო თავისი ნავაზი. ათაია
თვალს ძლივს ახელდა. წინა ფეხები რიონში ჩაეწყო და გამუდმებით თქლა-
ფავდა წყალს.

მილიციელმა ვადაპრით სთქვა: მოწამლულია, მგვრამ წყალს უშველიაო.
რწმუნებულმა ძალღის ამბავიც შეიტანა გამოძიების ოქმში.

— ძალღიც მე მოეწამლე? — სასოწარკვეთით დაიგმინა იორდანემ და
ახლა ბევრმა შეხედა თანაგრძნობით.

აქ მართლაც ბნელი ხელი ტრიალებსო, — დაასვენეს ზოგიერთებმა.

უტუმ იბტიბარს არ იტებდა: ასთუმნიან ხარებს თუ ქეციანი ძალღი შეს-
წირა, რა დიდი ამბავიაო. ვულდაგულ რომ ვინმეს მოეწამლა, წყლის პირს
ვერ ჩამოაწვედაო.

არც ეს შენიშვნა დასტოვა ხალხმა უყურადღებოდ...

სალამო ხანს იორდანე და უტუმ დააპატიმრეს.

— მე რატომ უნდა დავისაჯო? — გაქირვეულდა უტუ ბერულავა და პოლიტსამმართველოს რწმუნებულის ნახვა მოისურვა: — ბრალდება არ უნდა გამაცნოთ?

უტუს გააცნეს დაპატიმრების საფუძველი.

გაქირვეულა
ბერულავა
და პოლიტსამმართველოს
რწმუნებულის ნახვა
მოისურვა: — ბრალდება
არ უნდა გამაცნოთ?

სახელდახელო საპატიმროდ მოზრდილი ოთახი ჰქონდათ გამოყოფილი საღვამიჩაოს სოფლის საბჭოს შენობაში. ერთ დროს კოოპერატიული დუქნის საწყობი იყო ეს ოთახი. ვიწრო, გრძელი, ნახევრად ჩაბნელებული. იატაკს ახლაც ანდა პურის ფქვილის ფერუმარიალი. ნავთის ვანაფონი ჯერაც არ გამშრალიყო დაფოტრილ ფიცრებზე. გაქვარტლულ ჭერზე ღამურებივით ეკიდნენ მტკრით შეფიფქილი აბლაბუდები. კედლებს მრავალ ადგილს ამშვენებდა ნოქრის მინაწერები: „17 კილო პესოკი ხიტის“, „29 მეტრა ბიაზი“, „13 მეტრა ზაგრანიჩნი კრებდემინი უტ. ბ.“, „მასვე 23 კილო კიჭეჭი შაქ...“

იქვე იყო გამოანგარიშებული ზოგიერთი საქონლის თვითღირებულება, ზედნადები ხარჯები, მოსაგების პროცენტული დანარიცხი და გასაყიდი ფასები. გასაყიდი ფასები ორსამჯერ სჭარბობდა საქონლის თვითღირებულებას. შარშან რომ კოოპერატიული დუქანი დაიწვა, საწყობის აღწერისას „კედლის ცნობებსაც“ მიაქციეს ყურადღება. ნოქარი დააპატიმრეს და დანაშაულში ჩაბრა გამოტყვეს.

უტუ ბერულავამ ირიბად შეხედა კედელზე მობლაჯნილ ბატიფეხურს.

იორდანე კარის მახლობლად დადგა. ნაკვერჩხალივით ეღვარე თვალები შოავლო საპატიმრო ოთახს. ოთახის კუნჭულები ჩაათვალიერა. ბნელოდა. კარის თავზე გამოდგმული ორთავალა ფანჯარა მტკერით იყო შელესილი, ამიტომ არ ჰყოფნიდა შუქი ოთახს.

ცოტახნის შემდეგ თვალი შეაჩვია სიბნელეს და ახლა წარწერებიც შორიდან გაარჩია იორდანემ. ერთ კუთხეში თავგების ხერელები შენიშნა.

ჩემს ფაცხას მაინც ეს სჯობიაო, — დასცინა თავისთავს. შებრუნდა და ისევ წარწერებს მიაპყრო ყურადღება. უტუს განგებ არ უცქეროდა, თითქო ვერც ამჩნევდა მას. ნამდვილად კი ერთ ადგილას იმიტომ იდგა გაქვავებული, რომ უტუს მასზე წინ ამოერჩია კუთხე. იორდანე მოპირდაპირე კუთხეში ფიქრობდა მოკალათებას.

შემოიყვანეს თუ არა უტუ, დარაჯს სკამი სთხოვა. დარაჯის დაბრუნებამდე კედელს მიყრდნობოდა და ჩამტკრეულ შუშას მისჩერებოდა.

სკამის მაგიერ სკამლოგინი შემოიტანეს. უტუმ ფანჯრის პირდაპირ კუთხეში დაადგმევინა სკამლოგინი. ჩოხა გაიხადა და მოისვენა.

იორდანემაც აღარ დააყოვნა — პირდაპირი კუთხე აირჩია და აღმოსავლურად მოიფრთხნა მტკრიან იატაკზე.

ცხელოდა.

დარდით გულგასიებულ იორდანეს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. ჭერებზე გავარდნილი კალმახივით აღებდა პირს. სწუხდა, მაგრამ ჯერ თვითონაც ვერა

გრძნობდა, რა უფრო აწუხებდა, სიცხე თუ თავს დატეხილი უბედურება. ფიქრის უნარიც აღარ გააჩნდა ამჟამად იორდანეს.

ჩამობნელდა.

დარაჯმა სალამური შემოიტანა და ლურსმანზე ჩამოჰკიდა. უტუ განმარტოებული რომ დინახა, მეორე რა იქნაო, ჰკითხა უტუს. გაოცებული გაბრუნდა უკან იორდანეს საქციელის გამო.

ისევ დუმილმა დაისადგურა მიყრუებულ ოთახში. იატაკქვეშ თავი აფხატუნდა. ხმაზე შეატყო იორდანემ — ნიგვზის ნაჭუჭს ხრავდა პაწია „ლამის გუშავი“.

ძილი აღარ მიწერიო, — გაიფიქრა და ფეხები დაუბაკუნა.

თავი რამდენიმე წუთს გაილურსა. მაგრამ მიწყნარდა თუ არა იატაკს ზემოთ ხმაურობა, აბეზარმა ცხოველმა ისევ აამუშავა „სახარატო დაზგა“. იორდანემ სცადა წაყრუება. რალაც ამავეი მოიგონა თავშესაქცევად, იქნებ გავერთო და წამეთელიმოსო, მაგრამ რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა ძარღვების მომშლელი ხმაურობა.

იორდანემ თვალეზი გაახილა. ხელმეორედ დაუბაკუნა ფეხები.

ახლა წაძინებულ უტუს გამოეღვიძა. ძილის ბინდბუნდში გვერდი უაზროდ მოინაცვლა და დაკლული ღორივით აბროტინდა.

იორდანე ორ ცეცხლშუა მოემწყვდა. გულგატეხილი კედელს მიეყრდნო. საფეთქლები სტეხდა. თავი საშინლად დაუმძიმდა, მაგრამ თვალის მოტყუება მაინც ვერ შესძლო.

შუალამეს გადასცდა. იორდანემ ყაბალახით შეიბუნდა ყურები — იქნებ დაეყრუებდო, მაგრამ მისდო თუ არა თავი წასაძინებლად, კვლავ აფხატუნდა პაწია ხარატი. იორდანეს მოეჩვენა, თითქო ახლა იმ ფიცარს უხტიწინებდა თავი, რომელზედაც თავი ედო. ყაბალახი შემოიხსნა და სასთუმლად დაიდო. უტუ ორთქლმავალივით ქშინავდა.

ოფლი დაასხა იორდანეს. ყურებმა ქრიალი დაუწყო. ადგა და მახლობელ კუთხეში გადაინაცვლა, მაგრამ აშინაც არ უშველა.

თეთრად გაათენა იორდანემ.

გათენებისას თვალეზი მოელალა, გონება უცბათ გაეყინა და მთელი ღამის ნათევს დაბანგულივით ჩაეძინა.

დარაჯმა რომ შემოიხედა, იორდანეს ისევ ეძინა. დაენანა მისი ვალეძება, თანაც შეეცოდა, იატაკზე გაშოთილი რომ ნახა, და იორდანესაც შემოუტანა სკამლოგინი.

ხმაურობაზე გამოეღვიძა იორდანეს. თვალეზი მოიქვლიმა. ტანისამოსი გაიბერტყა და დარაჯს სასმელი წყალი სთხოვა. უტუს არც დილით შეხედა. სკამლოგინი ზურგშექცევით დადგა და გაირინდა.

უტუმ ველარ მოითმინა: რას დამუნჯებულხარო, — ჰკითხა.

იორდანემ ყური არ ათხოვა, ვითომ არ გაუგონიაო უტუს შეკითხვა.

— რას მებუტები, ჩემო ძმაო, თუ შენ უდანაშაულოდ თვლი შენს თავს... მეც გული მტკივა...

— აღარ მომასვენებ?! — შეუბღვირა იორდანემ შერიგების გზაზე დამდგარ უტუს და დოქი წამოიყვდა გახურებული გულის გასაფრთხილებლად.

დრო საოცრად გაგრძელდა. უტუს მოქნარება აღუვარდა, შეადლისას ერთი ბარჯაში ლობიოს შექამანდი შემოუტანეს. დარაჯმა უტუს სკამლოგინზე დასდო სადილი, წყლით სავსე დოქი დაბლა დადგა და უხმოდ გაბრუნდა.

უტუს ნერწყვი მოადგა სადილის დანახვაზე, მაგრამ გაქვავებულ იორდანეს რომ უცქეროდა, შერცხვა თითონაც შესდგომოდა ჭამას.

— საქმელს რაღას ებუტები, შე კაცო? — წასძლია სულმა უტუს და იორდანეს შეებატივა — ვისადილოთო.

იორდანე ჭერს მისჩერებოდა. ერთხელაც არ მიიხედა უტუსაკენ, არც რაიმე პასუხი გასცა მიპატივებაზე.

უტუმ ველარ მოითმინა. წამოდგა და ფიქრებში წასულ იორდანეს მხარზე ხელი დაადო, ყური მიგდევ, — შეემუდარა.

იორდანემ კუშტად გადახედა. უხმოდ ანიშნა, ვისმენო.

— ბიჭო, — ძმაბიჭურად დაუწყო უტუმ, — იქნება თვითონ არტელის წიგრებმა მოაწყეს ეს საქმე, ჩვენ რომ დავგულბონ და თავიდან მოგვიშორონ? გუშინ ვერ ვგრძნობდი ამას, მარა ახლა რომ ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ შენც უღანაშაულოდ იტანჯები და მე ხომ მექცევა ოჯახი და ეს არის. ცხელ გულზე ქე გაწყენიე, მაგრამ შაპატიე ვაჟაკურად. რას გაჩუმებულხარ? მოდი, საჯობინარი მაინც ვატებე, შე კაცო?

იორდანემ სადილს შეხედა.

— ადე, ბავშვივით ნუ ჭირვეულობ ჭალარა კაცი!

— როგორ, შენი ჯამის მოზიარე ვავხდე? ის აღარ მეყოფა, შენთან ერთად რომ ჭურდობას მამბრალიან?

— შენი ნებაა... შევეციდი-მეთქი, გეუბნები და... თუ ძალიან თევატიუს გამოიღებ, შენვე იზარალებ. ნუ დავავიწყდება, რომ მეც და შენც ერთი საქმის გამო ვართ დაპატიმრებული. ორივეს ერთნაირი ბრალდება გვიწერია ოქმში.

— მერე? ამითაც გინდა ისარგებლო? — აღუკანკალდა ხმა იორდანეს. — ლატაკი კი ვარ, მაგრამ სირცხვილ-ნამუსზე და კაცობაზე ფეხს არავის დავადგმევიანებ, იცოდე! სიმაართლეს თავს შევწირავ!

— მე რას მემუქრები, ჩემო ძმაო! მოგვიწყვეს-მეთქი და შენ მაინც შენსას გაიძახი...

— ვიცი, ვიცი... ვინ რა მომიწყო... კუთა რომ მქონოდა... ხარებს შენგან არ ვიჭირავებდი. მაჯობე ჭკუით, მაგრამ... ვნახოთ.

— იორდანე! — აღწია ხმას უტუმ. — შენ ჭკუას მოუხმე ხანდახან... კრებაზე გამოსვლა რომ გაპატიე, ხომ ვახსოვს?

— ტყუილი ვთქვი?

— ტყუილი იყო თუ მართალი, ასეა, რომ გეუბნები. მე ჯერ კიდევ უტუს მემახიან სამეგრელოში... შეორევერ აღარ გაპატიებ...

— რავე, კაცო, აქეთ მემუქრები?

— ჰქუას ვარიგებ... ცოლშვილიანი კაცი ხარ და მეცოდები. მიდრ, ვე-
მით ეს სადილი.

უტუმ წაიმკლავა და ლობიოს მიუჯდა.

იორდანე ისევ ჰქერს მიაჩერდა. თვალები მოჭუტა და გაიღურსა.

თაკარა ენთო იორდანეს გულში.

უტუ მაღიანად ილუქმებოდა. იორდანეს ულუფა ჰადი ჯერ გვერდზე გა-
დასდო. თავისი არჩივი რომ მოათავა, ახლა იორდანესას წაებოტინა.

კარი გაიღო და დარაჯი შემოვიდა. უტუმ თავის ადგილას დასდო იორ-
დანეს ულუფა ჰადი. ცხვირსახოცი თუღვაშები შეიწმინდა.

— შენ რატომ არ სადილობ? — მიმართა დარაჯმა განდგომილ იორდანეს.

— არ მინდა, — მოკლედ მოუჭრა იორდანემ.

— შიმშილობ?

— იცი რა, ამხანაგო, — მუდარით მიმართა იორდანემ დარაჯს: — ერთი
დამავალე და უფროსებს სთხოვე ჩემს მაგიერ, ამ ოთახიდან ვაღამიყვანონ.

— არ მოგწონს?

— არ შემიძლია ამ კაცის ყურება... ჰამა კი არა... სული მეხუთება.
სთხოვე, თუ ძმა ხარ...

დარაჯი შეჰპირდა — ახლავე მოვახსენებო. სადილის ნარჩენი უკანვე
წაიღო.

— ტყვილა ფაფხურობ, იორდანე ბატონო, უტუს შვილებს აქვს გახარე-
ბა! — მხაკვრულად ჩაუქარავმა უტუმ და სკამლოგინზე წამოწია.



რაიღმასკომის თავმჯდომარე გულგრილად შეხედა ხარების დაქარგვის
ამბავს. პირველი შემთხვევა ხომ არ არის, სამეგრელოში საქონლის დაქარგვა
ჩვეულებრივი მოვლენააო, — იმართლებდა თავს. მაგრამ როცა რაიკომიდან
დაუცაცხანეს, მილიციის სამმართველოს დაურეკა, პოლიტსამმართველოს რწმუ-
ნებულსაც აცნობა, საღვამიზაოში ქურდობა მომხდარაო და სთხოვა, ზომები
მიიღეთო. თვითონ ადგა და „კოლხიდმშენის“ სამმართველოში წაეიდა ჰალა-
დიდის უბნის საკითხების მოსაგვარებლად.

ვაშალომიძეს უჩიოდა ხორავა: საქმეში მეჩრება, ხელს მიშლისო.

საქმე ის იყო, რომ ამას წინათ ვაშალომიძის თაოსნობით კოლხიდმშენის
ფონდიდან ასოცი კილოგრამი სახვევი მავთული დაუთმეს ბონდოს არტელს სა-
ნერგე ფართობის შესაღობად. რაიკომის თანახმობაც ხელში ჰქონდა ვაშა-
ლომიძეს.

კოლხიდმშენის მომარაგების რწმუნებული ხიტი მალანიაც თითქო თანახმა
იყო, მაგრამ ისე მოახერხა, რომ საწყობიდან მავთულის ვაცემის საბუთზე ხელი
თვითონ არ მოაწერა, რაიკომის მიმართვა მიაწება ვასავლის ორდერს, გაქანდა
და ხორავას აცნობა: ვიღუბებით, ვაშალომიძე კოლხიდმშენის საშენ მასალას
არტელებს უნაწილებსო.

სწორედ ეს ამბავი აცნობა მალანიამ პაქუ ხორავას ქალადიდის ჭკობში... ამიტომ წამოიძახა ხორავამ იმ დღეს: ვაშალომიძე ვინ ოხერია, რომ ჩემს საქმეში ეჩრებაო... ჭკობი მიატოვა და რაიკომს მიაშურა. *ქართული სახელმწიფო* კოლხიდმშენის სამმართველოში გაჩნდა.

განგებ მიშლიან ხელს, ჩემი „ჩაგდება“ უნდათ... გამანთავისუფლეთ, სანამ გვიანი არ არისო, — ცხარობდა ხორავა.

დღეს თათბირი ჰქონდათ სამმართველოში. ვაშალომიძეც იქ იქნებოდა. ხორავამ მილიციის თანამშრომლები რომ გაისტუმრა საღვამიჩაოში, ჩაჯდა ავტოში და კოლხიდმშენის სამმართველოში გაემგზავრა.

ვაშალომიძე არ გამოცხადდა სამმართველოში. ხორავამ ველარ მოითმინა და რაიკომში დარეკა. ვაშალომიძემ რაიკომიდან უპასუხა.

— რატომ არ მოდიხართ, ამხანაგო ტიტე? ჩვენ ხომ შევეთანხმდით დღეს, საბოლოოდ გადაგვეწყვიტა ქალადიდის უბნის საკითხები. ა? საღვამიჩაოში? ვიცი... მერე? რა საჭირო ვართ? მილიცია ხომ გავგზავნეთ... პოლიტსამმართველოს რწმუნებულებს ხომ იქ არის... მიდიხართ? როდის? თუ ხვალ აპირებთ, დღეს რაღა გიშლიდათ ხელს, რომ სხდომა არ ჩავეშალათ. ქვალონში? იქ ხომ არაფერი მომხდარა? გამოდიან არტელიდან? ნებაყოფლობაო, რომ ამბობდით, იმ ნებაყოფლობის შედეგი... ასეა, ამხანაგო, თუ დამიჯერებთ... კარგი, გადაედოთ... კარგი... კარგი... — დაასრულა საუბარი ხორავამ და ბუზღუნით გამოვიდა სამმართველოს დერეფანში.

მმართველის კაბინეტიდან რაიკომის მდივანი გამოვიდა. ხორავას სალამი მისცა და წასვლა დააბირა.

ხორავა წინ გადაუდგა. სასწრაფო საქმე მაქვსო, — სთხოვა და ხელიხელგაყრილი ჩააცილა სამმართველოს შენობის ვიწრო კიბეზე.

— რა მოხდა? — ჰკითხა რაიკომის მდივანმა შეშფოთებულ ხორავას.

— ამხანაგო დიტო, შეუძლებელია ასეთ პირობებში მუშაობა... მავთულზე გეუბნები. დიდის ვაგლახით მოსკოვიდან მავთული ჩამოვატანინე და... რაიკომის ზოგიერთი მუშაკი არტელებზე ანაწილებს მავთულს...

— შენ გავიწყდება, ამხანაგო პაქუ, რომ რაიკომის თაემჯდომარე ხარ და რაიკომის ბიუროს წევრი, — შეაწყვეტინა რაიკომის მდივანმა ხორავას და სამმართველოს წინ დამდგარ ავტოს კარი გააღო.

ხორავასაც ანიშნა დაეჭიკო.

დასხდნენ.

— თაემჯდომარე რომ ვარ, ამიტომ ხელი კი არ უნდა შემიშალოთ! — დაიწყო ისევ ხორავამ, როცა ავტოში მოიკალათა. — თუ რაიკომი, რაიკომის ინსტრუქტორი და არტელის თაემჯდომარეებიც ხაზეინობას დამიწყებენ, მე რაღა „მოხელე-ნაჩალნიკი“ ვყოფილვარ მაშინ?!

— არ ხარ მართალი, ამხანაგო პაქუ! ხაზეინობა აქ არაფერ შუაშია... მავთული შენ ამჟამად არ გჭირდება... ხომ არ გჭირდება? საღვამიჩაოელებს სანერგე შეულობავი ჰქონდათ... მივიღებთ მავთულს საკოლმეურნეო ფონდიდან და გადმოვირიცხავთ... ვაშალომიძეს ტყუილად უსაყვედურებთ — საქმეში მერჩებაო. ნუ დაივიწყებთ, რომ, მართალია, ვაშალომიძე რაიკომის ინსტრუქ-

ტორია, მაგრამ ამავე დროს ის ცეკას რწმუნებულოც არის საკოლმეურნეო მშენებლობის ხაზით. მას აქვს სათანადო უფლებებიც, როგორც რწმუნებულს, რადგან ის, ჩვენთან ერთად, უშუალოდ აგებს პასუხს ცეკას წინაშე კოლმეურნეობების საქმის გამო.

— არ ვიცი, რა უფლებები აქვს... ეს კია, რომ ვაშალომიძე ძალიან ბოროტმოქმედებს თავისი უფლებებით... შეკითხვის ღირსი აღარ ვიყავი?

— ო, ეს თავმოყვარობის ავადმყოფური ინსტიქტები! — ჩააქნია ხელი რაიკომის მდივანმა. — თქვენი რწმუნებული იქ იყო, ვილაც მალანია რომ გყოლიათ... სხვათა შორის, არ მომწონს მისი სიფათი...

ხორავა შეიკმუხნა. უთუოდ აქაც ვაშალომიძის ხელი ურევიაო, გაივლო გულში და პირი რაიკომის მდივნისაკენ მიიბრუნა.

— მალანია დათანხმდა. სანამ დაგვეკირდება, წაილეთო, — გვითხრა. ჩვენც ავდექით და სესხის სახით მივეცით არტელს შავთული... რა საქირაო საქმის ასე გართულება?! არტელს სხვა რამითაც უნდა დავეხმაროთ... მარტო მიტინგები და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები კი არ უშველის მათ მუშაობაში. ლამაზი სიტყვებით სოციალიზმს ვერ ააშენებენ, — ქარავით დაასრულა რაიკომის მდივანმა.

— ეგ მე ყველაზე ნაკლებად შემეხება, — წყენით შენიშნა ხორავამ, როცა დაინახა, რომ რაიკომის მდივანი ვაშალომიძის მხარეზე იყო.

— მარტო თქვენ კი არა, მაგრამ ჩვენ ყველას უთუოდ შეგვეხება, — არ დასტოვა უყურადღებოდ რაიკომის მდივანმა ხორავას შენიშვნა. — აი, თუ გინდ დღეს... საღვამიზაოში ხარები დაეკარგა არტელს... ჩვენ რაიონში ვსხედვართ... პირადად თქვენ სხდომას იწვევთ კოლხიდშენსა და რაიკომს შორის „რალაც ურთიერთობათა“ მოსაგვარებლად. თითქო ეს ორი ორგანიზაცია სხვადასხვა სახელმწიფოს ორგანიზაცია იყოს... მე კი ვფიქრობ, ამ სხდომის მოწვევის ნაცვლად რომ საღვამიზაოში წასულიყავით და საქმე პირადად თქვენ გამოგერკვიათ, ბევრად უმჯობესი იქნებოდა. ოპერატიული ხელმძღვანელობა სხვანაირად შეუძლებელია. კაბინეტიდან ბევრს ვერაფერს დაინახავ. რაგინდ ბრძენი იყო კაცი... ცხოვრების აეკარგს რომ საკუთარი თვალით შეხედავ, იქ უფრო ადვილად გაერკვევი საქმეში... ეს უდავო ამბავია, ჩემის ფიქრით...

ხორავა ნაწყენი ჩამოშორდა რაიკომის მდივანს. „პაი გიდი, ათას ჯანდაბაში გამოვლილ კაცს გუშინდელი ბლარტები მასწავლიან ჭკუას“, — გაივლო გულში და უხალისოდ ასთვალა რაიკომის მდივნის შენობის კიბე.

მისი კაბინეტის წინ ჯონდა ბერულავა დაუხვდა. რამდენიმე უცნობი გლეხიც ელოდებოდა რაიკომის თავმჯდომარეს.

— მე მელოდები? — ჰკითხა მისელისთანავე ბერულავას. კარი გააღო და კაბინეტში შეუძღვა.

უცნობმა გლეხებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. შიკრიკს უსაყვედურეს: წინ რად გაუშვი, ჩვენი რიგი იყოო.

შიკრიკმა მხრები აიჩეჩა მხოლოდ.



ქართველთა
მწიგნობართა
კავშირი

საღვამიჩაოში წასვლა აზრად არა ჰქონდა ხორავას, მაგრამ როცა გაიგო, ვაშალომიძე აპირებს გამოკვლევაზეო, გადასწყვიტა, თითონაც წასულიყო. საბჭოს თავმჯდომარე წინასწარ გააფრთხილა, სალამოს შვიდ საათზე მანდ ექნებო. ხორავა დარწმუნებული იყო, რომ მანამდე ვაშალომიძეც ვერ მოასწრებდა ქველონიდან დაბრუნებას.

სულ სხვა მოხდა. ვაშალომიძე სწორედ იმ დღეს ჩავიდა ქველონში, როცა საღვამიჩაოში ხარები დაიკარგა. მთელ ღამეს დარჩა ქველონში, არტელის საკითხები მოაგვარა. დილით სიმიანდის ყანები დაათვალიერა. არტელის თავმჯდომარეს მითითებები მისცა და საღვამიჩაოში გაეშურა. ხარების დაკარგვის ამბავს ქველონამდეც მიეღწია. ამიტომ აღარ გაუკვირდათ ქველონელებს ვაშალომიძის აჩქარება. სხვა დროს ის ორი-სამი დღით რჩებოდა ხოლმე სოფლებში და არტელის წევრებს რჩევა-დარიგებით შველოდა. ზოგჯერ სამუშაოდაც გადიოდა კოლმეურნეებთან ერთად. მთელი დღე დამკლავებული მუშაობდა. არტელის წევრები გაოცებულნი იყვნენ — ამ განათლებულ კაცს რა მადლიანი მარჯვენი ჰქონიაო.

ადრე სადილობისას საღვამიჩაოში იყო ვაშალომიძე. მან საბჭოს თავმჯდომარეს არც კი აცნობა თავისი იქ ყოფნის ამბავი. ბონდოს მიაკითხა. ჯერ მას ესაუბრა, როგორ მოხდა, რა გამოიჩვენა, რა ზომები მიიღეთო. შემდეგ ღვამიჩაოვასას წავიდა. ესაუბრა კოლს, ბავშვებს. დაათვალიერა ეზო, ეზოს გარშემო მიდამოები. ნავი ვადმოაბრუნა და სისხლის ლაქებს დიდხანს უცქირა. მოგვიანებით სოფლსაბჭოში დაბრუნდა და ახლა იქ მოსაუბრე გლეხებს წაუგლო ყური, რას ამბობენ, ეჭვი ვისზე ეპარებათო.

სალამომდე კარგა მოზრდილი უბის წიგნაკი სხვადასხვა ცნობით ააჭრელა ვაშალომიძემ. ბოლოს პოლიტსამმართველოს რწმუნებულს შეხვდა და კვლევა-ძიების ოქმში მოყვანილი მამხილებელი თუ ეჭვისმიმტანი საბუთები თავის მიერ ჩაწერილ ცნობებს შეადარა და რწმუნებულს მოუწონა — სწორად გომეშავითა.

სალამოხანს პაქუ ხორავაც ჩავიდა. საბჭოს თავმჯდომარის ოთახში დაიბარა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და რაიონის წარმომადგენლებსაც სთხოვა — დაესწარიო. მათ შორის ვაშალომიძესაც.

ვაშალომიძეს და პოლიტსამმართველოს რწმუნებულს გაუკვირდათ ხორავას მიპატიება. თხოვნა რად გვინდა, როცა სპეციალურად ამ საქმეზე ვართ ჩამოსულიო, — გაუმხილეს ერთმანეთს თავიანთი გაკვირება.

სხდომაზე ყველაფერი გამოიჩვენა. რაილმასკომის თავმჯდომარემ თვითონ იკისრა ახალი კვლევა-ძიების ინიციატივა. გადაათვალიერა გუშინდელი ოქმი, დააკითხა საბჭოს თავმჯდომარე, არტელის თავმჯდომარე, პარტკომის მდივანი — და უკანასკნელად პატიმრებსაც გამოუძახა.

პირველად იორდანე შევიდა.

იორდანე ფერწასული იყო, გეგონებოდათ, მკედარი ამოუთხრათ! სამარო-დანო. დიდიხნის გაუპარსავი წვერ-ულვაში დაუჩეჩავი მტვერ-ფენა: გაბურძ-გვნოდა, თითქოს ქალარაც მომატებიაო ამ ორი დღის განმავლობაში.

თავის კანტურით გაიარა ოთახი და კუთხეში დადგა, თავი მალლა არ აუღია, არც ვინმეს მისალმებია.

ხორავამ თვალი მოწუხა იორდანეს დანახვაზე, ულვაშებს მიღმა პირის-კანი შეიჩხა და მზაკვრულმა იერმა გადაურბინა სახეზე. ეს მოხდა წამით, დამსწრეთათვის შეუმჩნეველად. ხორავამ უმალ გამოასწორა. სახელდახელოდ გაიღიმა და იორდანეს სთხოვა — დაჯექით.

იორდანეს გული მოეფონა თავაზიანი მოპყრობით. თავი ასწია და სხდო-მაზე დამსწრეებს გადახედა. ვაშალომიძე რომ დაინახა, უფრო წახალისდა, თითქო ჯანი შეემატაო... რამდენიმე ნაბიჯი წასდგა წინ და ბოძივით გაშეშდა.

იორდანემ თვალის ერთი მოვლებით შენიშნა, რომ ხორავა და ვაშალო-მიძე დღესაც შორიშორ იხდნენ. ხორავას სიტყვებიც მოაგონდა: ვაშალომიძე ვინ ოხერია, ვავსრესავ მაგ გველის წიწილასო.

„გველის წიწილი კი არა, „კაცის ეტლია“ ჩემი დაკვირვებით“... — გაი-ფიქრა იორდანემ. თავის გვერდით მდგომ ბონდოს მოეფარა და ახლა ხორავას დაუწყო ცქერა.

ხორავამ ბევრი აღარ დააცადა: ახალს რას გვეტყვიო, — ჰკითხა იორ-დანეს.

იორდანემ მხრები აიჩეჩა პასუხის ნიშნად. გაუყვირდა კიდევ — სადაური შეკითხვაო.

— შიშშილობა გამოაცხადე? — იქედნური კილოთი შეაგება ხორავამ, როცა იორდანემ არაფერი უპასუხა პირველ შეკითხვაზე.

— არა, — გააქნია თავი იორდანემ.

— მაშ, სადილი რისთვის დააბრუნე ხელუხლებელი? — შენიშნა ვაშა-ლომიძემ.

იორდანე თითქო ამ შეკითხვას მოელოდაო, წათამამდა და რიხით განაც-ხადა: ბერულავას ზიარ ჯამში ხელს როგორ ჩავყოფდიო.

— თვალთმაქცობ! — იფეთქა რაიალმასკომის თავმჯდომარემ და მაგიდის ძვიდეს მუშტი დაახალა.

სამელნე შუშას თავსახური გადასძვრა და წკრიალით იატაკზე დაეცა.

შეკრთა იორდანე. გაკვირვებულნი დარჩნენ სხვებიც. ვაშალომიძემ თვა-ლი ჩაუკრა პოლიტსამმართველოს რწმუნებულს. იმანაც მუნჯურად უპასუხა: გავიგეო.

სინუშე ისევ ხორავამ დაარღვია. იორდანეს მიუახლოვდა, თვალებში ჩა-ხედა და გამომწვევი კილოთი ჰკითხა: — რა უყავი არტელის ხარები?

იორდანეს ფერმკრთალი ლოყები შეეფაკლა... მუხლებმა ძიგძივი დაუწყეს.

— რას გაჩუმებულხარ? თავს იკატუნებ? იმ დღეს ფერად-ფერად სიტყ-ვებს ამბობდი ბერულავას წინააღმდეგ, ახლა დამქაში გაუხდი?

— ძალა თქვენს ხელშია... შეგიძლიათ კაცის მოკვლაც დამაბრალოთ... — ამოიღდა ენა ღვამიჩავამ.

— თუ შენ პარტიოსანი კაცი ხარ, რატომ სიმართლეს არ ამბობ? რატომ გაურბი პირდაპირი ჩვენების მიცემას?

— როცა არაფერი ვიცი, რა უნდა ვთქვა?

— ეჭვი არაეისზე შეგდის?

— ეჭვის მიტანა საბუთი ხომ არ არის... რომ არ დადასტურდეს? ხომ ჩემ-სავეით მოეჭრება თავი ალაღმართალ კაცს?... მომეცი თქვენის საშუალება და... მოვეძებნი...

— გაგათავისუფლოთ? კაი მადა მოგსვლია... წელან ციხიდან გადაყვანას ითხოვდი თურმე... ახლა გაათავისუფლებას მოითხოვე... მოვეძებნიო... რა გაქვთ საძებარი ან შენ ან ბერულავას? თქვენზე უკეთ ვის ეცოდინება ხარების გზა-კვალი? მოილაპარაკეთ და გამოტყდით. თქვენთვის სჯობია.

იორდანემ ჯამისოდენა მუშტი დაიბაგუნა გულმკერდზე. თვალები შუბლზე აუცოცდა, თითქოს ბუდიდან უნდათ ამოვარდნაო, თავი ჩაჰქინდრა და მიწას მობულრავე მოზვერივით ჩააშტერდა...

ეს იყო მისი მუნჯური პასუხი. მეტის თქმა ველარ მოახერხა.

ზოგიერთებმა თანაგრძნობით გადახედეს ღვამიჩავას. ვაშალომიძემ ველარ მოითმინა და ზორავას შენიშვნა მისცა, ასეთ პირობებში კვლევა-ძიების წარმოება შეუძლებელიაო.

ზორავა დაშოშმინდა, ოთახში გაიარა-გამოიარა და დაჯდა.

ახლა პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა ჰკითხა: თითონ ბერულავაზე რას იტყვიო.

— რაც არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. ბერულავამ მე დამწამა ქურდობა, მეც აედგე და სამაგიერო გადავუხადო? უსაბუთოდ ვერაფერს გეტყვით წინასწარ...

— მოჭრათმული ყავს, — ჩაერია ისევ ზორავა. — ნუ გაგიკვირდებათ, მე დაქტს მოგახსენებთ, ამხანაგებო! — მიმართა ზორავამ დამსწრეებს. — თქვენ, ალბათ, გახსოვთ პირველი კრება, არტელის დაარსების წინ მოწვეული. საბჭოს ეზოში ჩატარდა ეს კრება. ისიც გეხსომებათ, რომ, — წაიმკლავა რატომღაც ზორავამ, თითქო საასპარეზოდ ემზადებო, — ამ კრებაზე ღვამიჩავამ სასტიკად გაილაშქრა ბერულავას წინააღმდეგ. ვანა იმ დღეს არ თვალთმაქცობდა ღვამიჩავა? თვალთმაქცობდა თურმე. მე კი მომეჩვენა, რომ ღვამიჩავას გამოსვლა გულწრფელი იყო, ისევე, როგორც ბერულავას სიტყვა და კომუნის დაარსების წინადადება მომეჩვენა გულწრფელად... სხვისა რა მოგახსენოთ, ამხანაგებო, მე კი თავის დროზე ვალიარე ჩემი შეცდომა და დღესაც ვიმეორებ, რომ სასტიკად მოვეტყუედი, როცა ბერულავას ტაში დავეკარი. ჩემთვის ისიც გაუგებარი იყო მაშინ, როგორ მოხდა, რომ ღვამიჩავამ ასე მწვავედ გაილაშქრა კომუნის დაარსების წინააღმდეგ-მეთქი. მან ასე სთქვა: პარტივემული მომხსენებელიც ვეატყუებ და უტუ ბერულავაცო. ბერულავასაც ეს უნდა თურმე. კომუნის საქმეც ჩაშალა და არტელზეც გული აუცრუა გლეხებს... როგორ მოაწყო ეს საქმე ბერულავამ? ქრთამით... დიახ, ქრთამით, ამხანაგებო!

— მე ავიღე ქრთამი, არა? — ველარ მოითმინა ღვამიჩავამ.

— დიახ, თქვენ, კრების წინდლით... ხომ მართალია?

— არაფერი მესმის... — განცვიფრდა იორდანე.

— ახლავე გაიგებთ... გადმოგკათ თუ არა ბერულავამ ფოთს ზემოთ, ე. წ. „კულაკების ბაზარზე“ აუწონავე ხარის ბეჭი?

იორდანე გამოაცოცხლდა.

გაგონებულნი

— გადმომცა, მაგრამ არა საჩუქრად და ქრთამად, როგორც თქვენ ბრძანებთ. ფასი მივეცი.

— ტყუილია!

— მოგახსენებთ, — აღარ დააცადა იორდანემ ხორავას და განაგრძო: — იმ დღეს შემთხვევით წავეწყდი ბაზრობას. ისევე შემთხვევით შევეფეთე ბერულავასაც. თავჩაღუნული იჯდა. ლობიო თუ გაქვს-მეთქი, — ვკითხე. თავი ასწია და ვიცანი, უტუ ბერულავა იყო. ლობიოს ხორცი არ გირჩევენიაო. მე რაღაც ხუთი მანეთი მეგულეზოდა ქისაში. უფულოდ ვარ, ხორცის ფასი სად მაქვს-მეთქი. ნისიად წაიღეო. ხუთი მანეთი დავუტოვე და ხუთიც ბოჯუჩა ჯალალანის ხელით გავუგზავნე ერთი თვის შემდეგ. ეს იყო და ეს.

— კარგი, ვთქვათ ყველაფერი ეს ასე იყო. ერთი წუთით ისიც დავუშვათ, რომ თქვენ გულწრფელად ამხილეთ ბერულავა სასოფლო კრებაზე და მტკიცე რწმენით გამოდით კომუნის დაარსების საწინააღმდეგოდ... მაშინ როგორ მოხდა, რომ ასეთი მტრული შეხლა-შემოხლის შემდეგ ბერულავა ისევე კეთილმეზობლურ განწყობილებას დააჩა თქვენთან და ხარები უჭირაოდაც კი გათხოვათ. შენ ხომ განუტხადე ამხანაგ ბონდოს, ქირა არ უთხოვნია, მე თვითონ შევპირდიო.

— მართალია. არ უთხოვნია... მე თვითონ შევპირდი.

— კი, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ სასოფლო კრებაზე მამხილებელს, მის პირად მტერს და მოწინააღმდეგეს, გაჭირვების დროს ხელი გაგიმართა უტუ ბერულავამ.

იორდანეს კრიკა შეეკრა. ხელი უღონოდ გაასავსავა და მეც არ ვიცო როგორ მოხდაო — წაილულულა თავისთვის.

ექვსი თვალთ გადახედეს ღვამიჩავას. ვაშალომიძეც შეჭოჭმანდა იორდანეს უღიმღამო პასუხის გამო, მაგრამ ყველაზე უფრო ის ხორავას გამოსვლამ გააკვირვა, ბერულავა ასე როგორ გაიმეტაო... ვაშალომიძემ დღესაც ასეთი დასკვნა გააკეთა: ხორავა ხშირად სცდება, მაგრამ გულწრფელად. პოლიტსამმართველოს რწმუნებულსაც ვაუზიარა თავისი აზრი. ისიც უყოყმანოდ დათანხმდა: მეც ეგრე ვფიქრობო.

იორდანე გაიყვანეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას აოცებდა იორდანეს ჩვენების ბოლო ნაწილი, მაგრამ, ხორავას გარდა, გადაჭრით ვერავის ეთქვა, იორდანე კულაკის დამქაშია, ხარების ქურდობაში თანამონაწილეო.

ბერულავა შემოიყვანეს.

ჩვეულებრივის რიხით შემოალო მან დარბაზის კარი, თავკაცებს სათითაოდ ქუდი მოუხადა და მიუპატივებლად დაჯდა თავისუფალ სკამზე (წელან იორდანეს შესთავაზეს ეს სკამი):

— რას გვიბრძანებთ, ბატონებო? — დაასწრო უტუმ ხელისუფალთ და სათითაოდ მოავლო თვალი რაიონის წარმომადგენლებს.

— იქნებ დაუმატოთ რაიმე თქვენს პირველ ჩვენებას, — მიმართა ბერულავას პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა.

— დასამატი არაფერი მაქვს. მოგეხსენებათ იმ შვებუნელ დამით, როცა ეს ამბავი მოხდა, მე რაიონში ვახლდით. ხარები ორი დღით ადრე უახლოვე ხორდანე ღვამიჩავას. ეს იყო და ეს.

— ერთი ის გვითხარით, — მიუბრუნდა ვაშალომიძე ბერულავას, რომელიც აქამდე ბონდოს ესაუბრებოდა, — რა საბუთით სდებთ ბრალს იორდანე ღვამიჩავას?

— იმავე საბუთით, რაც თქვენ ვიწერიათ კვლევა-ძიების ოქმში. შეიძლება მე ვცდებოდი კიდევ. ცხელ გულზე სხვა ველარაფერი მოვისაზრე.

— კი, მაგრამ... სისხლის ლაქები ხომ მოგვიანებით აღმოაჩინეს... დილით შეხვედრისას თქვენ ხომ არ იცოდით ამ საბუთის არსებობა?

— აკი მოგახსენეთ, ცხელ გულზე ვთქვი-მეთქი!

— იქნებ დღეს უარყოფთ ამ ბრალდებას. სხვაზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?

— ხომ ხედავთ, ერთმანეთს ვერ იმეტებენ... ყველაფერი ნათელია, ჩემის აზრით. — შენიშნა ხორავამ.

— გამომძიებლები თქვენ ხართ, ბატონო. პატიმარმა კაცმა რა ცნობა უნდა მოგაწოდოთ, — არ იშლიდა თავისას ბერულავა და თავი ისე ეკირა, თითქოს ის პატიმარი კი არ არის, სწორი სწორებთან მასლაათობსო.

— ხარების ღირებულებას გადაიხდით, — დაასკვნა პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა.

— არ იქნება კანონიერი, თორემ... კანონიერ განჩინებას წინ რა დაუდგება.

— რით არის უკანონო ჩვენი განჩინება?

— მოგახსენებთ. როცა ხარები გვაჭირავე, იმ დღეს ხარები ჩემი საკუთრება ვახლდით. მეორე დღეს გამომიცხადეს, რომ ხარები უნდა ჩავგაბაროო. მე მოვასხენე ამხანაგ ოჩიგავას — ღვამიჩავას ყავს წაყვანილი-მეთქი. კარგო, ღვამიჩავადან ჩავიბარებთო, თქვენ თავისუფალი ხართო. მესამე დღეს ხარები დაიკარგა. მე რა შუაში ვარ. არტელს რომ იმ დღესვე წამოეყვანა ხარები ღვამიჩავასაგან, იქნება ეს ამბავიც არ მომხდარიყო. თქვენს შეცდომას მე რად უნდა შევეწირო!

პრეზიდიუმის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს. ბონდო გაწითლდა, ახსნა-განმარტებისთვის სიტყვა მოითხოვა.

სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, დარაჯს ანიშნეს ბერულავა გაიყვანეო. გავიდა თუ არა ბერულავა სხდომის დარბაზიდან, ბონდო წამოდგა. არახინი ოთხად დაკეცა და ისე მოუჭირა ხელი, თითქოს წვენი უნდა გაადინოსო. ასე აღელვებული ჯერ არ ენახათ ბონდო ოჩიგავა.

— აღირსე, კაცო! — წამოეშველა კარსანიძე, როცა დარწმუნდა, რომ ბონდოს უძნელდებოდა ხმის ამოღება.

— მე ვაცხადებ, რომ ხარები ბერულავას გაყიდულია...

ბონდო დაჯდა.

— ეს არის ახსნა-განმარტება? — გაეცინა ხორავას.

— დაგვაცადეთ ცოტა და... ყველაფერი ნათელი გახდება... ანა, რა ახსნა-განმარტება უნდა მოგცეთ, ამხანაგებო?! — წამოიჭრა ზეზე მთქმელი უროცა ღვამიჩავას ხარები ვათხოვე, მაშინ მე ვიყავ ხარების პატრონიო. როცა დაიკარგა, არტელი იყო პატრონი და პასუხიც მან აგოსო. თითქო არტელის ხარები არ შეიძლება დაიკარგოს... აჰ... ვიცი... არც ისე რთულია ეს ბუნხალტერია. მე წინადადება შემომამქეს გავათავისუფლოთ იორდანე ღვამიჩავა... ის წამოგვეშველება კვალის მოძებნაში...

ხორავამ „ქვა ააგდო და თავი მიუშვირა“. როგორ თუ წამოგვეშველება, რას წამოგვეშველებაო! როდის იყო ბრალდებული შევლოდა საგამომძიებლო ორგანოებს რაიმე საქმის გახსნაში? მე თუ მკითხავთ, ერთი ბრალდებულთაგანი აქ არტელის გამგეობაც არის. ბერულავა იურიდიული თვალსაზრისით მართალს იძახის: მე ჩავაბარეთ, თქვენ თუ ვერ მოუარეთ, რა ჩემი ბრალიაო...

— მაშინ ამხანაგი ბონდოც დავაპატიმროთ? — დაცინვით შენიშნა ვაშალომიძემ.

პოლიტსამმართველოს რწმუნებულს ხმამაღლა გაეცინა.

ხორავამ მწყრალად გადახედა რწმუნებულს, ტიტე ვაშალომიძესაც. სასაცილო არაფერიათ, — განაცხადა მედიდურის კილოთი.

ჩამოვარდა უხერხულობა. კამათს ბოლო აღარ გამოენასკვა. ვაშალომიძე ხელახლა ჩაუფიქრდა ხორავას დღევანდელ მოქმედებას. დაიბნა. ერთი შეო-რის საწინააღმდეგო ეჩვენა მისი თავდასხმა ბერულავაზე და ბოლოს მისი იურიდიული გამართლება. ბონდოს გაკენწვლამ და ბრალდებულის სკამზე წამოსკუბებამ კიდევ უფრო ჩააფიქრა ვაშალომიძე.

რწმუნებულმა დაარღვია მყუდროება. ის შეუერთდა ბონდოს წინადადებას ღვამიჩავას გაათავისუფლების შესახებ და მოითხოვა კენჭის ყრა.

სანამ კენჭს უყრიდნენ, ხორავამ დამატებითი წინადადება შეიტანა: ბერულავაც გავათავისუფლოთ, ვადა დავუნიშნოთ ორივეს და ეძიონ კვალი, თუ კი რამეს იპოვნიათ.

ვაშალომიძე გაჯიუტდა: ბერულავას, როგორც კულაკის, განათავისუფლება შეცდომაა, მისი ღვამიჩავას გვერდით დაყენება შეუძლებელიაო, მაგრამ კენჭის ყრის დროს თითებმა თავისი გაიტანეს. კარსანიძის ორ სკამზე ჯდომადღეს უფრო ნათელი გახდა.

შულამისას ორივე პატიმარი გაუშვეს ხელწერილ ქვეშ. საღვამიჩაოელებმა იშოვნეს სალაპარაკო. ვინ რას ამბობდა და ვინ რას ხარების დაკარგვის გამო. ღვამიჩავას ბევრი იცოდებდა: საჯაყი საქმე მოუვიდაო.

(გაგრძელება იქნება).

ყორანი

მირბის დათოვლილ ველზე მერანი, —
 ნისლის მანდილი მიჰყვება ნიაგს;
 მერანს ფაფარზე ჰკოცნის მხედარი, —
 ძირს ნატყვიარი ყორანი გდია!..
 სცივა, კანკალებს, — და ფრთების ტეხვით
 მოელის იგი სიკვდილის წუთებს...
 უაუდრო დარში დაეცა მეხი, —
 მხარგაშლილობა მოესპო უცებ!..
 გაღიმებული დაჰყურებს მგზავრი:
 საიდან გაჩნდა შავი ფრინველი,
 რა იყო მისი ცხოვრების აზრი,
 აი ამბავი გასაკვირველი...
 რა უნდა ჩვენში წყვედიადის ნაფშვენს,
 როცა საღბინოდ გახსნილა კარი,
 მისი სიშავე მისთვისვე დარჩეს, —
 სიშავე გლოვის ნიშანი არის!..
 აქ არც ოშია, არც გრივალთა,
 რომ საკორტნელად ეწყოს გვამები,
 აქ ყამირებთან ქვებიც ჰყვავიან,
 სიკვდილს დავადეთ რკინის კარები!..
 ყორანს ღვარები უყვარს სისხლისა,
 აქ სისხლის წვეთიც არ დაეცემა;
 ყორანს ცხოვრების ნება ვინ მისცა,
 უნდა იხარონ ქვეყნად მერცხლებმა!..
 წაიღეთ სადმე, ჩააგდეთ წყალში,
 არ შეიბილწოს მტკაველი მიწაც;
 მის ხსოვნას თოვლის ლანქერი წაშლის,
 ან ბობოქარი ტალღები ზღვისა!..
 მირბის დათოვლილ ველზე მერანი, —
 ნისლის მანდილი მიჰყვება ნიაგს,
 მერანს ფაფარზე ჰკოცნის მხედარი
 ძირს ნატყვიარი ყორანი გდია!..

მირზა გელოვანი

ორი ლექსი

• •

მახსოვს, ჭიუხში ხეტიალს მოერჩი,
შინ ვბრუნდებოდი ხალისით საესე, —
კლდეზე გავსხლტი და ბანდულის ფოჩით
შვიდ დღეს ვეკიდე უფსკრულის თავზე.
დაბლიდან რუხი ჭიმები კლდეთა
მოსჩერებოდნენ ფრიალოს კიდურს
და ქარი, როგორც მოხუცი დედა,
დამჭვითინებდა ცაში დაკიდულს!
როცა სახსრებს და ძარღვების კანკალს
იმედის სხივიც შემოეღიათ,
სიმშვიდე მაინც არ დამიკარგავს
და ერთი კენესაც არ დამცდენია.
დღეს რაღა მოხდა? სთქვი, გულისწორო
რისთვის მითელიან ღიმილში ჩრდილებს?
ერთი პატარა ქალი ხარ შზოლოდ
და ასე როგორ დამიმორჩილე!

• •

ქია-მაია, ქია-მაია,
ჩემი ქმარეულნი საით არიან?
ხალხური

ვერსად შეეჩერდი მგ ხაერი,
გზა შენს სიყვარულს მართმევს.
მე ხან ლომი ვარ მძლავრი,
ხან გულწითელას მართვე...
და გულწაკლული დავალ,
დავალ... ცალს ვეძებ ირემს.

ხან უმჯაცრესი ხმა ვარ,
 ხან უნაზესი ვინმე, —
 ვთვლემ ბალახებზე დაბლა,
 შენი ლოდინით ვთვრები.
 მაქვს უჭრელესი კაბა —
 ჭია-შიას ფრთები.
 ამიყვან; ფრთათა ბეჭევიალს
 შემინაოქებს ქარი.
 „აბა, გამოგე, ჭიავე,
 საით წამიყვანს ქმარი?!“
 არ გაეფრინდები, მომკლა, —
 არ აგისრულებ სურვილს.
 და შენს თითებზე ვტოკავ
 უნეტარესი სული.





იოსებ ლალიაშვილი

რ თ მ ა ნ ა

ზ ა მ თ ა რ ი

შეორე დღეს იოსებს ექვს საათზე გაელევიდა. გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა. ზამთრის ღრუბლიანი დღე იდგა და დილიდანვე უგემურად იცქირებოდა.

ცივი ქარი ჰქროდა და იოსების ოთახის გასწვრივ დროგამოშვებით რალაცას ხათქა-ხუთქი გაუდიოდა. გაახილა თუ არა იოსებმა თვალეები, სახეზე ღიმილმა გადაჰკრა.

ჩვეულებრივად აღარც სემინარია და არც სხვა უსიამოვნო და უგემური რამ იოსებს აღარ გახსენებია. თვალწინ მხოლოდ მაროს სახე ედგა და იმას სკვრეტდა ალტაცებით. გულმა მძლავრად შემოჰკრა, რომ მიზეზი ამ დიადი ბედნიერებისა სულ ახლო, ძალიან ახლო იყო.

— აი დედასა! სიცოცხლე თურმე ზოგჯერ ასეთი ტკბილი და მომაჯადოვებელი ყოფილა და მე კი ხშირად ვიტანჯებოდი. ჯანაბას ჩემი თავი! ამ წუთში ხომ ბედნიერი ვარ და ღმერთმა დასწყევლოს დანარჩენი ყველაფერი!

იოსები, ისევ თვალეზდახუჭული, ბაღლის მსგავს მაროს თვალწინ ნათლად იყენებს და იღიმება, მეტად ტკბილად იღიმება.

ამ დროს საყვირის ხმა შორეულ ძახილად შემოიქრა და მაროს ჩვენება უცებ წაიშალა. იოსები ხელად ფეხზე წამოვარდა და აჩქარებით დაიწყო ჩაცმა. მას სულ დაავიწყდა, რომ სემინარიაში წასვლამდე გოლა ჩიტაძესთან უნდა შეეარა და დაფაცურდა. იოსები ვიწრო დერეფანში ფეხაკრეფით გავიდა.

იქ ბნელოდა და ერთ კუთხეში ჩამოკიდებულ თუნუქის პირისაბნიდან ყვითელ ტაშტზე წვეთებს რაკა-რუკი გაუდიოდა.

მამიდა ხშირად წმინდა სანთლით აკოწიწებდა. ერთ ადგილას პირისაბანს, როგორც დიდი კუზი, ისე ამოსჯდომოდა სანთელი, მაგრამ წვეთები იმ ადგილიდან მაინც ჟონავდნენ და წუწუებით შეჩითულ კუნჭულში ეს ხანგამოშვებითი წკაპუნნი თავისებურ მუსიკას აწიკწიკებდა. იოსები პირისაბანთან ფეხაკრეფით მივიდა, მაჯები გადაიწია და პირისაბანის წყალგამოსაშვები ლურსმანი ისეთი სიფრთხილით ასწია, რომ ჩხაკუნნი არ გაუღია. ერთი-ორი მუტა წყალი შეისხა და უკვე მზად იყო. კარებიც ისეთივე სიფრთხილით გააღო და გავიდა.

გარეთ მოღრუბლულ ჰაერში თოვლის მსხვილი ფიჭქები ცუტად დაპჭროდნენ და თამაშობდნენ. ეს იმის საწინდარი იყო, რომ დიღობიდანვე ტფილისში კარგ თოვლს დასდებდა.

ალაყაფის კარებს რომ ვაცდა, დერეფნის კარის კრიპლს იოსებს უკან დაეწია და გულს გაპკენწლა. იქნებ მაროა, იქნებ ისიც დილა-ადრიან საქმეზე მიეჭქარება, ან და იმის გულისთვის ვაალო კარი, რომ იოსებისთვის თვალი გაეყოლებინა, მაგრამ იოსებს შერცხვა და უკან ველარ მიიხედა... ან რა დროს ეგ არის, რა დროს მაგაზე ფიჭრია, ვანა ეხლა მაგისთვის სცალიან? წინ ისეთი დიდი მოვალეობა უძევს, მთელი ორი დღეა იმისთვის ემზადება და ეხლა ქალზე ფიჭრი?

ამის გახსენებაზე იოსებს გული მოეწურა... აშკარად ესმის, რომ აივანზე ვიღაც ფათურობს... ძალზე უნდა უკან მოიხედოს, კისრის ძარღვები თავისთავად ეძაგრება, ძალიან უნდა, რომ დაინახოს, ასე ადრიან ფეხდაფეხ იოსებს ვინ აპყვა... მაგრამ გაკერბდა, თავის სურვილს შეუტია და უკან აღარ მიიხედა.

მან ანჩბატის ეკლესიისაკენ შეუხვია, გოლას კარებს მიაღდა და დააკაკუნა. კარები სწრაფად გაიღო. გოლა უკვე ამღვარიყო, იოსებს სკამი შესთავაზა და თვითონ მაგიდაზე გადაშლილ წიგნთან ჩამოჯდა.

გოლა თითქოს დიღობიდანვე გუნებაზე არ იყო. იოსებს ისე გამოეღაპარა, ზედ არ შეუხედნია.

— ჰო, აბა, ჩქარა „მოპყე დავითის მცნებასა“, არ დამაგვიანო, თორემ, ხომ იცი, დღეს პირველი ვაკვეთილი იმ ძაღლისაა.

გოლამ იოსებს თვალეზში შეხედა. იოსები შეძრწუნდა და სკამის საზურვეს მიეყრდნო.

გოლას თვალეზი საშინელი იერით იყურებოდნენ. გაბოროტებული შემშლილის გამოხედვა ჰკრთოდა მის თვალეზში.

— გესმის? შენ იქ ფეხი არ მიღვა, — უთხრა გოლამ და თვალი ისევ მობრუნდა. — ეკლესიის კარებს არ ვაეკარო. ლომკაციშვილს და ხახუტაშვილს უთხარი, კარების საკეტის ზომა სანთლით აიღონ, მხოლოდ დღესვე უნდა გააკეთონ, თორემ რაღა დრო დარჩა. თუ ამ დღესასწაულში ის გეგმა არ შესრულდა, მერე უფრო გაძნელდება... ფული ეხლა ძალიან საჭიროა. ბროშურები დასაბეჭდია და ჯარში მომუშავე ხალხსაც მალე ფული კიდევ უნდა მივაწოდოთ, თორემ საქმე შეფერხდება.

გოლამ არეული თვალეზით კიდევ შეხედა იოსებს და გადაჭრით გაიფიჭრა: „ამ კაცის თავს რაღაც ამბავია. ალბათ, აეად არის და მალავს“.

— შენ ფრონტზე რაღა ამბავია? ბურუსი ჯერ ვერ გაიფანტა? — ჰკითხა გოლამ იოსებს, სიჩუმე რომ ჩამოვარდა.

— ჰო... ისე... რა უშავს... — ჩავარდნილი ხმით უბასუხა იოსებმა. — დროა კიდევ საჭირო და შესაფერი მღვდმარეობა. ყოველ შემთხვევაში, ჩუღეცკის ჩაძაღლების აზრი თავში, როგორც სოლი, ისე ჩამერჭო და ეხლა სულ იმაზე ვფიჭრობ... თითქოს მეც მეჩქარება, — დაუმატა ლიმილით იოსებმა და თან წამოღდა.

გოლა კი კალამს წასწვდა, ვიწრო ქალღღმზე ორიოდე ხიტყვა ვაჭკრელა და იოსებს გადასცა.

— აი, ეს წერილი სოლიკოს გადაეცი. ალბათ, პასუხს დაგეპირებენ, თუ სახლში არ ვიყო, ბარათი კარების ნაჭერეტიდან შემომიძვინე. პასუხი დღესვე საჭიროა და არ დააყოვნო.

იოსებმა თავი დაუქნია და სწრაფად გარეთ გამოვიარდა.

— საწყალი ბიჭი, მაგის თავს რალაც ამბავია. ნამდვილად გიყის თვალები ჰქონდა, თანაც როგორ ეჩქარება?

იოსებმა პალტოს ღილები შეიკრა და სემინარიისაკენ გასწია.

თოვლი უკვე გულმოდგინედ ბარდნიდა. ქარი დაწყნარებულყო და თითქოს უფრო ჩამობნელებულიყო. საყვირმა მეორედ დაიღრიალა.

— მაშ ჯერ რვა საათის მეტი არ ყოფილა, — და იოსები სულ ღინჯად დაადგა გზას.

ღუქნები ყველგან გაეღოთ. და რაკი შიგნით, მალაზიებში ძალიან იყო ჩამობნელებული, დახლთან დიდი ლამფები აენთოთ და მუშტარს უცდიდნენ. მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა და ქალაქს სიციცხლე მაშინ დაეტყო, როცა ქუჩებში მოწაფეები გამოეფინენ. ბავშვებმა თოვლის სიხარულით ქალაქი უარესი ტრიამულით ააქეს.

იოსებმა კი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩები განვლო და პუშკინის ფართო ქუჩაზე გავიდა.

თოვლმა უფრო უზშირა ბარდნას. თოვლის მსხვილი ფიფქები ყველაფერს დაბასმულ ლეჩაქებივით ეფინება, მაგრამ ისევ მალე დნება.

პაერში მტერისა და სველი მიწის სუნი ტრიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო და ცუდი ამინდი იდგა, ბაზარი უკვე სავსე იყო მრავალნაირი დოვლათით. სოფლელები დილა-ადრიან ტფილისს კარს მოსდგომოდნენ და გოდრებით, კალააუბით, ურმებით ქვეყნის საგზალი მოეზიდათ. იხეები, ბატები, ვოკები, ქათმები, შეშა, თივა, თიხის ჭურჭელი, ცხვარი თუ სხვა საკლავი უამრავი მოერეკათ. ცხვირ-პირ შელურჯებული ვაჭრები მობუზულ გლეხებს მტაცებელი ფრინველის თვალებით დაპყურებდნენ და აქა-იქ უკვე ქსელს აბამდნენ მათ შესასანსლავად.

სახეზე რიხიანი, ბევრს კი დამცინავი გამომეტყველება მიეღო და მათ დანახვაზე გლეხები უფრო იბუზებოდნენ.

გარშემო მათი სალი დოვლათი ისევე საწყლად იცქირებოდა, როგორც მათი პატრონი: ურმებით შეშა, საპონ-წაუსმელ თვლებშუა კუდამოძებული ძაღლი, დაღლილობით თვალბ-გაშტერებული საქონელი, ჩალა-დაფარებული და წნელ-მოკრული გოდრები, რომლების ჭურჭურტანებიდან წითელი ვაშლი ცეცხლივით მაინც ელვარებდა. გულხელდაკრეფილ და ცხვირ-პირ ახვეული დედაკაცებს სული გაენაბათ და ვაჭრებს მონურად შესცქეროდნენ.

იოსებს უყვარდა აქეთ გამოვლა. ბევრჯერ თავისი სოფლის და, საზოგადოდ, გორის მაზრის გლეხაკობას რომ ხედებოდა, რალაც სიამოვნებას და სიხარულს გრძნობდა.

აი ეხლა სემინარიისაკენ ბაზრის გზით მიმავალმა უკანედან მოკრძალებული ძახილი გაიგონა და შესდგა.

— ჰაი, იოსებ! იოსება არა ხარ შენა? ერთი აქეთ მოხუცდეს!

იოსებმაც მოიხედა, დაფხრეწილი ყაბალახით ყურებ-აქრტლას მსგავსად დაინახა და გაიცინა.

იოსების სოფელელ ვლესს, მის თანატოლს, ილიაში იფნის ჯოხი გარდო-გარდმო ამოეჩარა და თვალები კეთილი ღიმილთ გაშუქებოდა.

— ოჰ, ილიკო, შენა ხარ, ბიჭო? — შეჰყვირა იოსებმა, უნდოდად გამოეწე-დენილ, ათასნაირად დაკოტივებულ ხელს ხელი წაავლო და ღონივრად ჩამო-ართვა.

— სხვა, ხომ მშვიდობით ხარ, კარვად? — მიმართა ვლესმა და მშვენიერი კბილები ღიმილის დროს მთლად გამოაჩინა.

— რა გვიკირს, ჯერჯერობით დავხანჩალებთ და სხვა რა ხეირი გვაყ-რია? — უთხრა იოსებმა და თავისი შეზობლები ძირიან-ფესვიანად მოიკითხა.

— ბიჭო, ჩვენებურები როგორ არიან, ქიტა, მიხა, ივანე, ზაქრო, ხომ ყვე-ლანი კარვად არიან?

— კარვად, კარვად, — უპასუხა ვლესმა. — სხვა, იოსებ, შენ ხომ კარვა სწავლობ, რას შერები, ბიჭო, ცოლი აღარ უნდა შეირთო?

ორივემ გაიცინა.

— ჰა, შენ ხომ არ შეგირთავს ცოლი, ბიჭო? ვინ იცის, უჩემოდ შექა-მეთ ქორწილი?

— მა რა, ჩემო ძმაო, თქვენ ქალარამდე სწავლას არ ეშვებით. შევირთე, მაშ არა და შენ მოგიცდიდი.

— ჰო, ყოჩალ, ყოჩალ! — შეაქო იოსებმა და მხარზე ხელი დაჰკრა: — აბა სწორედ ევრე უნდა. ვინ იცის, ეხლა ქალაქში იმიტომ ჩამოხვედი, რომ ცოლს საახალწლო საჩუქარი უყიდო?!

ილიკოს სახე შეეცვალა, ღიმილი პირიდან უმალ გაუქრა და ჯოხ-ამონ-რილი უხერხულად მიტრიალდა:

— საჩუქარი კი არა! კაცო, ი ჩვენი ონისიმე-დიაკენის ქვრივი ჩამოვიყ-ვანე, მაგრამ გზაში კინაღამ გავწყდით, ტრიფონაზე ისეთი ოხერი, ცივი ქარი უბერავდა, რომ სუნთქვა გვეკროდა, სუნთქვა!

— ბიჭო და რამ გავაბედინა ამ ცივ ზამთარში იმ სიშორეზე დედაკაცის ურმით წამოყვანა? ვაივო, განა?!

— ვაივო, მაშ არა და! ანტონ მღვდლის შეილს თავის დედისთვის მო-ეწერა, უნცროს გოგოს მოეკრა ყური ამისთვის და აბა ის ხომ ბავშვია, პირზე არაფერი დაადგება: ამდგარიყო და სიღოსთვის პირდაპირ ჩახებარებინა.

— საწყალი, საწყალი, ვინ იცის, რა დაემართა.

— რას ლაპარაკობ? დაემართა კი არა, მთელი სოფელი ცოდვით აავსო იმისმა მოთქმა-ტირილმა და გოდებამ. ბარემ ბევრი ველაპარაკეთ: ე ცოტა ხომ უსწავლია და ჩვენ სულ უსწავლელები ვართო, მაგრამ შენ არ მომიკვდე, რომ იმან არაფერი არ დაგვიჯერა, ან უკანვე უნდა მივალბინო და ან ქა-ლაქშივე თავი უნდა მოვიკლაო. ბარემ ი ხარ-კამეჩი ამომეხოცა, მაგრამ აბა

რა მექნა, ნათლი-ჯალაბია და ხათრი ველარ გავუტეხე, შვეპი ურემი და წამოვიყვანე.

— სად არის ეხლა ის დედაკაცი?

უკონცუნლი

— სადა და აგრაღე, აი თქვენი სემინარიის კედლებთან უკონცუნლი ისეთია საწყალი, რომ კვერცხ-დასადები ქათამივით ი თქვენ კარებს ხან აქედან ჩაუღლის და ხან იქიდან. ადრეაო, ფიქრობს საწყალი და შესვლას ჯერჯერობით ვერ ბედავს.

იოსები გაჩუმდა. ეს დღეშილი განახლებული ბოლმისა და ბოროტებისა იყო.

— შენი ჭირიმე, იოსებ, ეგები ი დედაკაცს როგორმე მიხედო და რამეში დაეხმარო. ცოდაა ის უბედურიშვილი.

იოსებმა ხმა აღარ ამოიღო, მეურმეს ხელი ჩამოართვა და გატრიალდა.

აფუსფუსებული ხალხის ტალღას არღვევს იოსები და სემინარიისაკენ მიეშურება.

დრო ცოტადა დარჩა და აჩქარებული ნაბიჯით ამოძულებული შენობისაკენ მიისწრაფის.

— დაგენგრეს შენ საძირკველი! ვინ იცის, კიდევ რამდენ მშობელს გამწარებ?

იოსებს ბოლმა ყელში უარესად მოაწვა, როცა შავებით მოსილ დედაკაცს შორიდანვე მოჰკრა თვალი.

დედაკაცი სემინარიის აივნის ერთ-ერთ სვეტს ამოფარებოდა და კვრი ბინებიდან მოსულ მოწაფეებს თვალს ადევნებდა. მათ ბედნიერებას ჩუმად დანატრობდა, მძიმედ ოხრავდა და ზოგჯერ სხვების შეუმჩნეველად გულში ხელს იცემდა.

— რა დაუშავე იმ დალოცვილ ღმერთს? რისთვის გამაჩინა? რისთვის ჩამიდგა სული, თუ ასე უბედურად ვივლიდი ქვეყნად? ერთად-ერთი იმედი, წვითა და დაგვიტ, ჩემი ქვრივ-ოხრობით გამოზრდილი შვილი აქამდე ძლივს მოვიყვანე. მე მეგონა, ეს არის გაათავებს, მეშველება-მეთქი და ეს რა რისხვა დამატყდა, თქვენი ჭირიმე?! ვინ დამწყველა, მე უბედური, ვინა?

ჩუმად გმინავდა მოხუცი და ერთ ადგილას საცოდავად ტორტმანებდა, ხან კი სვეტებს უკან იბუხებოდა, ალბათ, გამვლელ-გამომვლელებისა რცხვენოდა. მაგრამ მისი მოხრილი სხეული, გაშტერებული თვალები და სასოწარკვეთილი სახე ყველას ყურადღებას იპყრობდა.

გამწარებულ დედაკაცს გულში რაღაც შიში და ძრწოლა ებადებოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ ვილაც დაბღვერილ დიდ კაცთან უნდა წამდგარიყო და შეილის პატიება ეთხოვა.

— ვაიმე, რომ ჩემი წამება ვერ გაიგოს, ფეხებიც დამიტყაბუნოს და რუსული ატკაზი მითხრას, მერე რაღა ექნა, რაღა წყალში ჩავარდე, მე უბედური?!

უანგარიშოდ ეკითხებოდა სიღო თავის-თავს და ღაპა-ღუბით ცრემლებს აფრქვევდა.

იოსებმა რომ აივანზე ფეხი შესდგა და მის წინ გაიჭრდა, დედაცა ეს ერთი წერტილისთვის თვალი გაეშტერებინა და ფიქრთა კორიანტელში იყო ვახვეული.

გაქვს ხელი

— სიდას გაუმარჯოს! — შეეხმარა იოსები და დედაცა ხელს დაუჭირა. დედაცაი შეკრთა და უცებ ზეზე წამოვარდა.

— ჯა, იოსებ, შენა ხარ, შენ გენაცვალე?!

სიდა წამოწითლდა, ალექსის ამხანაგის და თავის მიწა-წყლის შვილის დანახვაზე გული აუჩუყდა, ყელში რაღაც დაეცო და მწარე ღიმილით იოსებს თვალებში ცქერა დაუწყო.

— რა ამბავია, სიდა, ამ ცივ ზამთარში კერიდან როგორ დაძრულხარ?

— აი მიწაში უნდა წავიდეს ალექსის დედა, მიწაში! — წარმოსთქვა მან ათრთოლებული კილოთი, ცრემლები ხელახლად გადმოაბნია და ატირებული ხმით შეჰლაღადა: — იოსებ, შენ გენაცვალე, განა თავი არა მაქვს, მე საცოდავს, მოსაკლავი, რომ ე შვილი ასე გამოუბედურეს?

სიდას ნიკაპი აუცახცახდა, ჯიბისკენ ხელი გააქანა, ოთხად დაკეცილი, ლილისაგან გაღურჯებული ხელსახოცი ამოიღო და თვალებზე მიიფარა.

— ერიპა, რომ შეგაშინა, სიდა, ციმბირში ხომ არ გადაუსახლებიათ, სკოლიდან დაითხოვეს... რა უშავს მერე? ადამიანი ცოცხალი იყოს, თორემ სხვა ყველაფერს მოვევლება. ეხლა, ჩემო სიდა, ისეთი დროა: დღეს ერთს აგდებენ, ზვალ მეორეს, ზევ მესამეს... რა ვუყოთ? აი მეც პანსიონიდან მომხსნეს და გარედან დავეთრევი...

სიდა მაინც ხმას ვერ იღებდა. ნუგეშმა რაკი ვერ გასჭრა, იოსებმა საშინელი უხერხულობა იგრძნო. გული ბოლმით მასაც სახსე პქონდა და არ იცოდა, დედაცაცისთვის კიდევ რა ეთქვა. თანაც ეჩქარებოდა, რომ გაკვეთილებისათვის ზარი არ დარეკილიყო.

სიდამ თითქოს გაუგო, თავს ძალა დაატანა, კრიჭაში მომდგარი ნერწყვი გადაყლაპა და სასოწარკვეთილი ხმით მიმართა:

— ეხლა იმიტომ წამოვშავდი, რომ გადავწყვიტე, ლეხტორს ფეხქვეშ ჩავუვარდები და შევეხვეწები, იქნებ მიპატიოს-მეთქი... ან თავს მოვიკლამ, ან უკანვე უნდა მივალბინო. ისე ჩემი ცოცხალი თავით აქედან არ წავალ.

— ჰო, შედი, სიდა, სთხოვე. თავის მოკვლა რა შუაშია? სთხოვე, იქნებ შეიწყნაროს და თუ არა გამოვიდა რა, მაშინ სხვა საშუალებას მივმართოთ. მერე ეგ ზარბოხსთან მიგიყვან... ერთი სიტყვით, დაეტრიალდეთ. ერთი მითხარი, ბინა სადა გაქვს, სად უნდა ვნახო?

სიდამ ცხვირი მოიხოცა, თვალები მოიწმინდა და ამითი დრო მოიგო, ყელში გაიჭრებული ლუკმა თითქოს გადაყლაპაო და უფრო დამშვიდებით მიუგო:

— აი, შეითან-ბაზრისაკენ რომ თავლაა, ერთ-ერთ განაპირა თავლაში დავაყენებ ურემი. ალბათ, ჩვენც იქ ვიქნებით, სხვაგან სად წავალთ?

— მაშ კარგი, მე უსათუოდ მოვალ და მოგნახავთ. ეხლა კი უკაცრავად ვარ, დამიგვიანდება და მერე კლასში აღარ შემიშვებენ.

— ჰო, შეილო, წადი, წადი, არ დაგავიწყდეს კი, იოსებ, უსათუოდ მოდი, ავრემც შენ ჯანს შემოვევლები. იქნებ მართლა სხვა გზა ~~გაჩვენებდეს~~ ~~მითორემ~~ ლამის ჭკუაზე შევცდე, ისეთ გუნებაზე ვარ დამდგარი. ~~მეცავე~~

— უსათუოდ მოვალ, უსათუოდ. შენ ოღონდ დამშვიდებით იყავი და საქმეს როგორმე მოვევლება.

ესლა მოასწრო იოსებმა და გატრიალდა. თან თავის-თავზე ბრაზი მოუვიდა: დარწმუნებული იყო, რომ დედაკაცის ამგვარ ტანჯვა-დამცირობიდან არაფერი არ გამოვიდოდა, მაგრამ რაკი დედაკაცი იმ სიშორიდან ჩამოვიდა, მაინც თავისას არ დაიშლიდა და იოსებმა იმიტომ მოუპართა ხელი.

იოსები გრძელ-წვერა დარაჯს შესავალში შეეხება და რალაც მოლაპარაკება გაუმართა. შემდეგ ისევ სწრაფად გატრიალდა და სიდას მიმართა:

— აი, ეს კაცი ერთი საათის შემდეგ რექტორთან შეგიყვანს, მაგრამ კი ნუ იტრებ, ყოჩაღად უჩვენე თავი, თორემ მაგათ თუ მაგრა არ დაუდექი, თავზე წამოგასხდებიან. შეადლის შემდეგ თავლაში მოვალ და იქ მოვილაპარაკოთ. იოსებმა ორი სიტყვით კიდეც მიმართა დარაჯს და ზემოთ მიაშურა.

კლასში შესავალი ზარი უკვე ირეკებოდა.

გაკვეთილები ისე გათავდა, თავში იოსებს არაფერი არ შესვლია.

მისი ფიქრი სულ იმ დედაკაცის გარშემო ტრიალებდა.

მრავალი სურათი გაჭირვებულ, ძალღუმადურ ცხოვრებისა იოსებს ხელად გაუცოცხლდა და თვალწინ ცოცხლად გადაეშალა.

ზოგჯერ ამ შევბენელ სურათში მაროს სახე გაზაფხულის მშესავით სიცილით შემოიჭრებოდა, იოსებს წუთით სიხარულს და სიტკბობას ავრწონობინებდა, მაგრამ მეორე წამს წამოწეული ღრუბელივით ამ სხივს ისევ შავი ფიქრები აქრობდნენ და იოსებს გუნება უფრო უმძიმდებოდა და უმძიმდებოდა.

— რა ჭკვიანია და რა მადლობელი ვარ გოლასი, რომ ძალღ რექტორის შურისძიება ჩემზედ მოაგდო. არა, უსათუოდ მე უნდა დავანთხევირო მას ის გესლი, რომლითაც ქვეყანას ასე სწამლავს, — აკრაჭუნებდა კბილებს იოსები.

გაკვეთილების შემდეგ ლალიაშვილმა ბარათი სოლიკოს გადასცა და თან დაუერთო:

— რას ფიქრობთ, ბიჭო, დრო ახლა თქვენ ხელშიაო, რადგან დღესასწაულები ამისათვის ხელს შეგიწყობენ და არ დააყოვნოთო, ასე შამოგითვალავოლამ.

სოლიკომ ხვეულ თმებზე ხელი ნერვიულად გადაისვა და სახეზე რალაც ყოყმანმა გადაურბინა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ბიჭო? გეშინიან, თუ ვიმძიმდება? შე ლაჩარო, რა ჩემი ფეხების რევოლუციონერი ხარ, თუ კი ამ საკითხს ხელად არ გადასწყვეტ?

სოლიკოს ეწყინა იოსების შენიშვნა და შუბლი შეიკუმუნა.

— წადი, შენი... შენ ვიღას ეუბნები? დაგავიწყდა, გუშინ რომ ჩვენ კოქლ-მოდღარს ფილონ ქვეშ უძერებოდი? მერე და მარტო მე რა უნდა გავაკეთო?! ხახუტაშვილი ამეამად ავად არის და იმას ეუცდილი... მაგრამ შენ რას გელაპარაკები? აზირ პასუხი დაეწერო!

სოლიკო სწრაფად პარტასთან მიტრიალდა, მერე ისევ გადაიქცა და იოსებს მიუბრუნდა.

— არაფერ პასუხსაც არა ვწერ. სადილს შემდეგ გოლოვინის მითითნად წავალ და მოველაპარაკები.

ამზანაგები ერთმანეთს უკმაყოფილო სახით დაშორდნენ.

იოსები კლასიდან გამოვიდა, კიბეზე თავკევე დაეშვა და გარეთ გაემართა. თოვლი უკვე ნახევარ ადლოსოდენა იდო. სემინარიის ბაღი თეთრ ფერებს მეტად გაელამაზებინა. წიწვიან ხეებს თოვლი სქლად დასდებოდა და წელში მძიმედ მოეხარა. გრძელ სკამებსა და მოჭრილ ხეებზე შაქრის თავებივით დასკუპებულიყო.

ხის ტოტებზე ჩიტუნები სულ სხვა ხმაზე ელურტულებდნენ და თან ტოტიდან ტოტზე მოუსვენარ გადაბტ-გადმობტომაში თოვლის კუმშებს ბამბასავით ჰჰენტავდნენ.

იოსები გოლოვინის პროსპექტით ვერისაკენ გაემართა. საქმე ჰქონდა და სადილობამდე ისიც უნდა მოეშორებინა, რომ მერე სიდასაკენ წასულიყო.

პროსპექტი საესე იყო ხალხით. ფერად-ფერადი მარზილები ამ წელიწადს პირველად გამომზეურებულებიყვნენ და მოსეირნე ხალხის თვალწინ ეცვენებისა და ზარების ელარუნით წინა და უკან ხალისიანად დაჰქროდნენ. მარზილით მოსეირნეთ ზურგს უკან ბავშვები ყოყინით თოვლის გუნდებს ესროდნენ. პირველი თოვლის მოსვლით ხალხი ისე იყო გახარებული, რომ ყველა ქუჩებს დღესასწაულის ხალისით მოსდებოდნენ. გოლოვინის პროსპექტზე კი თეთრი ხელთათმანები, მაღალი ცილინდრები, ძვირფასი ბეწვის საყელოები, აუარებული სამხედრო პირნი და ჭრელად შორთული ქალები მდინარესავით ზიშხიმებდნენ.

პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ მთელი ხროვა გიმნაზიელებისა ვაჩქარებულ საქმეში იყო: თოვლს აგუნდავებდნენ და სიცილ-ხარხარით გიმნაზიელ გოგონებს ესროდნენ.

იოსები ერმოლოვის დადმართით პროსპექტს მიუახლოვდა. უცებ საკომენდატო სამმართველოდან ზარის განგაში მოისმა. თვალის დახამხამებაზე მთელ როტა ჯარისკაცებისა შლეგიანებივით გამოვარდა და სვეტების წინ სამმართველოს მოედანზე ჰადრაკის მსგავსად დალაგდა.

მორიგე ოფიცერი სარჩაყლაპულივით გაიჭიმა და ყველანი მოემზადნენ. პროსპექტზე მოსეირნე ხალხმა ნაბიჯი დაამძიმა და მთელი ყურადღება იქით მიმართა. ზემოდან ოთხი ლამაზი ცხენის თქარა-თქური და ეტლის ზარის წყრილი მოისმა. კისერ-მოღერებული ცხენები ვიწრო ფეხებს მეტად კობტად მიათამაშებდნენ სასახლისაკენ.

— ს...მირ...ნ...ო...ოო! — შეშინებულივით წამოიღრიალა მორიგე ოფიცერმა და როტასთან ერთად ხმალი იშისვლა. მთელი ტყე გაპრიალებული ხმლებისა ჰაერში გაიყინა, სანამ წითელ-კალთებიანი, დაბლვერილი გენერალი ორი თითის ზანტი დაქნევით და უგემური წამოყრანტალებით „ვოლონო“ ს არ მიუფდებდა.

ეტლმა სასახლისაგან შეუხვია და სასახლის სადარბაზო კარებთან გაჩერდა. ახლა იქ შეწრილდა კაზაკთა რაზმი და მთელი საყარაულო. ხალხს კისრები ახლა იქეთკენ მიებრია.

— Вот наш Эрзерумский герой. Смотри, Леночка, он: как! Парнасский бог сложен. Просто красота! — იოსების უკან ვიღაცა რუსმა აღტაცებული ღიმილით ჩაილაპარაკა და გვერდზე მდგომ ქალს უფრო მკიდროდ მიეყრდნო ხელგაყრილი.

— Ох, правда, что красавец. Прямо Зевс, честное слово! — წამოიძახა ცისფერთვალემა ქალმა და წამოწითლებულ თვალეში სიამოვნების ცეცხლი დაენტო.

შეტბორებული ხალხი ცოტა ხნით გენერალზე ამეტყველდა. ყველა გმირს უწოდებდა და მისი დამსახურების ფურცლებიდან აქა-იქ პატარა ცნობებს ხმამაღლა სიამაყით აკვებსებდა. მართლაც, წარსული ომების გმირი გენერალი დღესაც ღუნღუკოვ-კარსაკოვთან დიდი საქმისთვის მიეტყარებოდა.

— რა ამბავია ეს? აქ როგორ უნდა გავიაროთ? აკი გითხარით, ლორის-მელიქოვის ქუჩით წავედეთ-მეთქი, — ნაზი ხმით ჩაილაპარაკა იოსების ზურგს უკან ვიღაცამ და იოსებს ამ ხმაზე თავში სისხლი მოაწვა: ეს ნამდვილად მაროს ხმა იყო, როგორც ციური მუსიკა, გულის სიღრმეში ისე ჩასწვდა.

— რას ამბობ, მარო? ერთხელ ჩვენც მარაქაში გავერიოთ. აქ მუდამდღე ამოდენა ხალხი დაბორიალებს და რა დიდი საქმეა, რომ გოლოვინის პროსპექტზე ამ მშვენიერ დღეს ჩვენც გავისეირნოთ. აბა, დახედე, რა მზიარულებაა! ჩვენ რომ ფოფოლიებს გვეძახიან, ვანა მართლა მიწაში უნდა ჩაეწვეთ, სულ ბურსაკებს ხომ არ უნდა ვუცქიროთ?

ეს უკანასკნელი სიტყვა ენაქარტალა გოგონამ მაშინ სთქვა, როცა იოსებს თვალი შეასწრო და ამხანაგებს მუჯლუგუნი წაჰკრა-წამოჰკრა.

მარომ წინ გაიბედა. იოსები ზურგიდანვე იცნო და სირცხვილმა და ამხანაგისადმი გულისწყრომამ მის სახეზე წითლად იფეთქა. მაროს ძალიან გაუკვირდა, რომ იოსები პროსპექტზე ნახა.

მაშ გოლოვინსკზე გასეირნება არც ისე დიდი ცოდვა ყოფილა, როგორც ამას სკოლაში ყოველთვის გვეუბნებიანო, გაუელვა მას თავში და სინიდისის ქენჯნა ოდნავ შეუმსუბუქდა. მაგრამ მაროს ის კი ლახვარივით გულს დაესო, რომ იოსებმა მის ხმაზე არ მიიხედა, თითქოს რაღაცაზე გაჯავრდაო. მაროს ხომ არაფერი უთქვამს, მან რა დააშავა? ჰო, ალბათ, გულწასული რომ მოაბრუნა, შეეზიზღა უღონო ქალი, ან და... ღმერთო ჩემო, რა კეთილი სახე აქვს და როგორი ამაყი ყოფილა?

ფიქრობს მარო და მის მიხერა-მოხერას თვალს არ აშორებს. ცოტა ხნის შემდეგ ის თავის ამხანაგებს ჩამოშორდა, ხალხის ბრბო გაარღვია და იოსებს დაეწია.

— რა სწრაფი სიარული გცოდნიათ, ძლივს დაგეწიეთ!

მაროს ხავერდის მსგავსმა ხმამ იოსები თავით ფეხამდგე თითქოს ბურანში ვახვია. ცხრამეტი წლის ქაბუქს ქრუანტელმა დაურბინა, სუნთქვა შეეკრა და წუთით ხმა ვერ ამოიღო.

— მე გავრბივარ? არა... პო... ასე ვიცი სიარული, — ძლიერ წამოსთქვა იოსებმა და მისი თვალები გვერდში ამომდგარ მაროს მშველელს შეაფარა თვალებს რომ შეხვდა, სიხარულით, სიტკბოებით და სასიამოვნოთა აივსებდა.

ყმაწვილი გაწითლდა, თავი ჩაღუნა და ნაბიჯი თავისუფლად დადგმობდა. მაროსაც სიამოვნების ღიმილმა დაწვებზე პაწია ორმოები ნაზად აუთრთოლა. თვალები აღმასივით აუბრიალა.

— თანაც ისეთი დაფიქრებული დადიხართ, რომ მგონი ვერავის ხედავთ, — ნაწყენი კილოთი შეაპარა მარომ და იოსებს კვლავ შეხვდა.

იოსები უარესად აენთო. მაგრამ კვლავ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ამ წამს მაროს ფეხი წაუსხლტა, უკან გადაიხარა და იოსებს რომ მკვლავში ხელი არ წაველო და არ შეეყენებინა, პირუკულმა დაეცემოდა. ორივეს სიცილი აუტყდათ, სიცილი ბედნიერებისა და სიხარულისა. მარო კი თითქოს გამოფხიზლდა: შეერთა და შეეშინდა. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ნაცნობებმა ხომ თვალი არ მომკრეს, ყმაწვილმა რომ ხელი წამაველო, მაგრამ ვარშემო უცხო ხალხი მესერივით შეტორტმანდა და ამან დააწყნარა.

— Молодец кавалер! — გაბედულად შეაქო ვილაც ახალგაზრდამ იოსები და თან ხარბი თვალებით ატმისფრად ახავერდებულ მაროს დაწვებს შეაქკერდა. ორივეს ხელმეორედ შერცხვათ და სასახლის ქუჩიდან ქარვასლისაკენ გადაუხვიეს.

იოსები თავს უხერხულად გრძნობდა: ქუჩაში ქალთან თავის დღეში არ გაუვლია და საშინლად ერცხვინებოდა. ასე ეგონა, თითქოს მთელი ქვეყანა იმ წამს მას უტკეროდა. არ იცოდა, ხელები სად წაელო, თავი სად დაემალა. თანაც ფეხი ერეოდა, ხან წინ წავიდოდა, ხან ჩამორჩებოდა. მაროს სიახლოვემ თითქოს ყველაფერი დაავიწყა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც რაღაც აწუხებდა.

ერთი-ორი ამგვარი შეხვედრა და იოსები თავს მთლად დაჰკარგავდა. სიცილის სიტკბოება ძვალსა და რბილში გაუჯდებოდა და სიყვარულის ხუნდები ხელსა და ფეხებს შეუბოროკავდა.

„არა, არასოდეს! — გადასწყვიტა მან გულში. — დღეიდანვე მოვერიდები სხვაგან, სულ შორეულ უბანში გადავსახლდები და თვალთ აღარ დავენახვები“.

— დღეს ჩვენს სასწავლებელში დიდი ამბავი დატრიალდა, — გაჩუმებულ იოსებს ისევ მარო გამოეხმაურა.

იოსებმა ღიმილით შეხვდა.

— ერთი უცნაური, გიჟი მოწაფე გყავს, გვარად ჩუხრუკიძე, — განაგრძო მარომ და ჩაჩმეტილი დაწვები ისევ ღიმილით აივსო. — შემოვიდა თუ არა ჩვენი ქართული ენის მასწავლებელი, უწინ ის გამოიძახა, ეამნი ვადაშალა და მიაწოდა, წამიკითხეო.

ჩუხრუკიძემ გაკვირებული თვალებით შეხვდა და თავი გააქნია — არ ვიციო.

— როგორ შეიძლება, რომ არ იცოდე, ესლა ხუცურის წაიკითხვა ჩვენთვის ძალიან საჭიროაო.

— რა საჭიროა? — გაიკვირვა ჩუხრუკიძემ და მასწავლებელს უხარბა: — აბა ჩვენთვის ეგ რა საჭიროა? მე, მაგალითად, კურსს რომ დავამთავრებ, იმ წელიწადსვე ვავთხოვდები, მოლოზნად ხომ არ წავალ... ^{მინდა მხოლოდ კლას-} ^{მა სიცილი ასტეხა.} ^{საწყალი გოგო ამისათვის დასაჯეს.} ^{ალბათ, გაქვეითების} შემდეგ სიცილისათვის მთელ კლასსაც მოხვდებოდა, მაგრამ ჩვენ ვემოვიპარე-
ნით და თოვლის ეშხით ამხანაგებმა აქეთკენ წამომიყვანეს, — უხერხულად და-
ათავა მარომ და უარესად აწითლდა. თითონაც არ იცოდა ყველაფერი ეს რად
უხარბა. რალაც კი უნდა ეთქვა, რომ გულისთქმა სიტყვებით დაეფარა და იმი-
ტომ აქიკვიკდა.

იოსებს გაეცინა. ვერ მოითმინა და მაროს კიდევ შეხედა. ლაპარაკი ზედ-
მეტი იყო. თვალები სულ სხვას მერტყველებდნენ და გაჩუმებაც უხერხუ-
ლი იყო.

— მერე და რატომ არ მოითხოვთ, რომ ქართული ენა გასწავლონ? — დინ-
ჯად ჰკითხა იოსებმა.

— ბევრიც რომ მოვითხოვოთ, ჩვენ ვინ რას დაგვიჯერებს?

— ეგ კი თქვენ სისუსტეს მოწმობს. უნდა ყველა ერთად შეიყაროთ და
ერთი ხმით მოსთხოვოთ, თქვენ ხომ მღვდელ-დიაკვნებად არ ემზადებით, ეამ-
ნი თქვენთვის სრულიად საჭირო არ არის, საჭიროა ის მშობლიური ენა, რო-
მელ ენაზედაც თქვენ თქვენი შეილები, ხოლო სკოლაში — სხვათა შეილები
უნდა აღზარდოთ.

— ეგ თქვენ შეგიძლიან... სემინარიელებს ბუნტოვშიიკებს იმიტომ გე-
ძახიან... თქვენ უშიშარი და ძლიერი ხართ, ჩვენ კი...

— თქვენც ასეთები უნდა იყოთ, სასწავლებელში თქვენ გონებას იმიტომ
ანვითარებთ, რომ სამართლიანი სიტყვა სთქვათ და აზრიანი საქმე გააკეთოთ.
აბა, კი ნუ გეწყინებათ, მაგრამ ეგ არა ხართ ქალები? — იოსებმა გაიღიმა და
მაროს გვერდზე ვახედა.

იოსების ხმამ და მოკრძალებულმა სიტყვამ გოგონას თავბრუ დაახვია და
განა ლაპარაკი-ლა შეიძლებოდა?! მისი სურვილი ეხლა მხოლოდ ის იყო, რომ
გზა ძალზე გაგრძელებულიყო და გვერდით ის ეგრძნო, ის...

ყმაწვილებმა ოქრომჭედლების ქურჩა ჩაიარეს და ეგზარხოსის მოედანზე
რომ გავიდნენ, იოსები უცებ გაჩერდა.

— თქვენ სახლში მიხვალთ, არა?

მაროც გაჩერდა და გაკვირვებული სახით შეხედა.

— მე შეითან-ბაზრისაკენ მივდივარ და უკაცრავადა ვარ... — იოსებმა
ქუდი მოუხადა და უცებ გატრიალდა.

მაროს ეწყინა, რომ იოსები სახლამდე არ მიჰყვა.

— ალბათ, ყურადღებას არ მაქცევს. იმიტომ, რომ არ მოვწონვარ, — გა-
ფიქრა მან და სახეზე ღიმილი სწრაფად გაუქრა.

მარო სახლში დაღვრემილი სახით მივიდა. მაშინვე თავისი დღიური გად-
მოიღო და ჩასწერა:

„ღმერთო, რა ჭკვიანი და რა კეთილია! მაგრამ რა დაუეშავე, ეგრე რად
ვაშირბის მე უბედურს?“

მაროს გული აუჩუყდა. შავი წინსაფარი თვალებზე მიიფარა და ატირდა. „თქვენც უნდა იბრძოლოთო, — განაგრძო ტირილით გოგონამ. — დიახ, ეობრძოლებ, იმდენს ეობრძოლებ, სანამ შენს გულს არ მოვიგებე, მერე ესა—მწამს და ბედნიერი ვარ... ისეთი ბედნიერი, რომ მთელი ქვეყანა შეცვარს, ქვეყნურ მიუვარს... ნეტა ყველა ასე გრძნობდეს თავს, მაშინ რა კარგები ექნებოდა ყველანი. ადამიანის სიცოცხლე ნამდვილ სამოთხედ გადაიტყეოდა. ვენაცვალე, ვენაცვალე ერთ სულიერს“.

მარომ რვეული დაკეცა, თაბჩაში შეინახა, შემდეგ კაბა გაიხადა, ლურსმანზე ჩამოჰკიდა, უშველებელ ცოცხს ხელი წამოავლო და სახლის დასუფთავებას შეუდგა.

გმობა სასახლეში

იმ დღეს სასახლეში დიდი ბჭობა იყო დანიშნული. არზრუმის გმირის კარგა სასახლის სადარბაზო კარების წინ გაჩერდა, მეეტლის გვერდით მჯდომი ლაქია თვალის დახამხამებაზე ძირს ჩამოფრინდა, კარები სწრაფად გააღო და გაშეშდა.

როცა წითელ-საჩრულიანი პალტო და ოქროს ბუზმენტისანი ქუდი შიგნიდან მძიმედ დაიძრა და ეტლის საფეხურზე ძვირფასი შეფრო შავად შეპრიალდა, ჯინჯილებით აყვავებული განიერი მკერდი და ტაბაკივით ჩამრგვალებული სახე კარეტიდან ერთად გამოჩნდნენ.

გენერლის მოლუშული სახე და დამძიმებული ნაბიჯი ნათლად მოწმობდნენ, რომ იგი რაღაც სერიოზული ფიქრით იყო შეპყრობილი, თითქოს რაღაც ამოცანა ვერ გადაეჭრა და ფეხები უკან რჩებოდა.

სადარბაზო კარებთან ატუზული ყაზახები უფრო გაინაბნენ და წელში ლარივით გასწორდნენ.

ის იყო გენერალმა შინდისფერ ხავერდით დაფენილ კიბეზე ფეხი შესდგა, რომ ახლა კარებთან მეორე ეტლმა დაიგრიალა, მეორეს მოჰყვა მესამე, მესამეს სხვები, და დანიშნული დროისთვის ყველა თეთრ დარბაზში მოგროვდა. ტროპიკული მცენარეებით, ბრინჯაოთი და ბროლით მოქარგულ დარბაზში დეზების ნელი წყრიალი ისმოდა. აქსელბანტებით, ფერად ლენტებზე ჩამოკიდული ორდენებით და ჯინჯილებიანი ეპოლეტებით აჭრელებული სამხედრო პირნი ურთიერთს სალამს უძღვნიდნენ, მოკლედ და თავაზიანად უღიმოდნენ და დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ.

შეკრებილთა შორის ორი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მათ შავი ფრაკები ეცვათ; ყურამდე მიბჯენილი საყელოები მათ თავების მოძრაობას ისე უშლიდა, რომ ლაპარაკის დროს მოსაუბრის წინ მთელი სხეულით უნდა მიტრიალებულიყვნენ და მეტი ზრდილობა და თავაზიანობა გამოეჩინათ.

ფირფიტასავით გაშეშებული მაღალი საყელოები ისედაც თანამდებობით დამძიმებულ მათ სახეებს უფრო მედიდურ და ამაყ იერს აძლევდა.

ერთი ამ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილითაგანა სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი იყო.

შუახნის და შუატანის ქერათმიან მოხელეს დიდი ამოჯანსაშობა დაკისრებული და შიგნი-შიგან მღელვარებას განიცდიდა, თუმცა სახეზე სიმშვიდე და რაღაც კმაყოფილება ეტყობოდა.

რანგებისა და თანამდებობის მიხედვით ყველას სახეზე შესაფერი გამომეტყველება აღბეჭდოდა. და ამიტომ საცენზურო კომიტეტის წარმომადგენელს ხელად შეატყობდით, რომ ის ყველაზე მცირე იყო, ისეთი მორჩილი თვალეზით გამოიყურებოდა.

როცა რამეს ჩაეკითხებოდნენ, სახეზე უმწერო ღიმილი შორიდან გამომკრთალ ელვასავით გადაურბენდა და თან მსუბუქად ჩაახველებდა, თითქოს ყოველივე სიტყვა ყელზე ადგებოდა.

იმეამდ ყველას ყურადღება გენერალ-მაიორ შეპელიოვისაკენ იყო მიპყრობილი, რომელიც გობელენის სტილის ძვირფას სავარძელზე ფეხი-ფეხ შემოდებული იჯდა და გუბერნატორს დინჯად ელაპარაკებოდა.

— ცხადია, თანამედროვე რუსეთის ამბები აქ, აზიელთა შორის, ორმაგ გამოძახილს ჰპოვებენ და ეს ბუნებრივიც არის, — წარმოსთქვა მან ავტორიტეტულად და სურნელოვანი კვამლი ჰაერში ლურჯ რკალებად გაჰფანტა.

— დაპყრობილი ხალხის ფსიქოლოგია ისეთია, — განაგრძო მან, — რომ იგი ყოველთვის თავის დაღწევას ლამობს და ყველა ამგვარი ამბავი მას მუდამ ხელსაყრელ მოკლენად მიიჩნია, — დაათვა მან და იაპონური მინანქრის საფერფლისკენ ხელი ისე წაიღო, რომ მეტის მედიდურობით არაეისათვის არ შეუხედაია.

— ხალხი კი არა, თქვენო აღმატებულებავ, — გააწყვეტინა სიტყვა გუბერნატორმა.

— ის მასა, რომელსაც ჩვენ ხალხს ვუწოდებთ, ამეამდ ისეა თავჩაკრული, რომ რუსეთის ძლევამოსილ მფლობელობისაგან განთავისუფლების შესახებ სიზმარსაც ვერ ნახავს.

— ხალხი კი არა, ეს მართლა ერთი მუჭა სეპარატისტულად განწყობილი ინტელიგენცია აფუტებს საქმეს და... აი, სწორედ მათ საწინააღმდეგოდ არის საჭირო რადიკალური ზომების მიღება.

— დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, ალექსანდრ პეტროვიჩ! — ჩამოართვა სიტყვა ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ და გენერალ შერემეტეივის წინ ღამაში პოზით გაჩერდა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი საშინელი ვულური და უკულტუროა, მის ერთი მუჭა ინტელიგენციას ისეთი წარმოდგენა აქვს თავის-თავზე, ვითომ დიდი წარსულის მქონე და ძველი ტრადიციის მატარებელი ერი ყოფილიყოს. ახლა ესენი იქამდისაც კი ვათავებდნენ, რომ დაიწებოდა მოითხოვენ ერობას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს...

— ააა, ეხლა გამახსენდა, — მიმედ შეირბა სავარძლის სიღრმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი კუჩაევი: — გახსოვთ, იმ კვირას მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში მავათი მოთხოვნის შესახებ შესანიშნავი წერილი

იყო დასტამბული: გაზეთი ააშკარავებდა, რომ, მართალია, ძველად ქვეკასიაში კულტურის მატარებელი ივერიელები ესახლნენ, მაგრამ, რამდენადაც გამორკვეულია, მათ თანამედროვე ქართველ ხალხთან საერთოდ კარგად არა ჰქონიათ... და ქართველები ტყუილად არწმუნებენ ქვეყანას, რომ მათ ვითომ ორი ათასი წლის ისტორია ჰქონდეთ და ამისათვის რეფორმების ღირსნიც იყვნენ.

საცენზურო კომიტეტის წარმომადგენელმა ბებერი მაიმუნით თვალები ხშირად ააბაშაბა და ჩაიციხა.

— სრული ჰემარიტება გაბლავთ, — მინაზებული ხმით წარმოსთქვა მან.

— იმ დღევანდელი „კავკაზის“ ვრცელი წერილი სწორედ იმის გამოძახილი იყო, რასაც მოსკოვში სწერდნენ. მე... მე... ცოტა არ იყოს, იმ წერილის შერბილება დამჭირდა, რადგან იგი ძალიან მაკაცი კილოთი იყო დაწერილი და გათამამებული ყიფიანების, ჭავჭავაძისა და ნიკოლაძის ალაპარაკებას მოვერდიე... ზომ მოგეხსენებათ, ამ პირთ მეტისმეტად ეხერხებათ თავიანთი ერის წასარჩლება და დაცვა.

— ოო, ის შესანიშნავი იყო, — დაუდასტურა სიტყვა გუბერნატორმა: — კორესპონდენტი ვესლიანად დასძენდა: საქართველოში ჯერ აღვირახსნილი ყაჩაღობა უნდა მოისპოს და მერე რეფორმებზე შეიძლება დაისვას საკითხიო.

და ასეთი შინაარსის ბაასი მიმდინარეობდა მის „მაღალუსამღვდელოესობის“ ეგზარხოს პავლეს მოლოდინში.

ყველაზე გულდასმით და სერიოზული სახით განათლების უწყების წარმომადგენელს იანოვსკის უსმენდნენ. ამას იანოვსკისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

იმ წუთს მას მთელი ამიერ-კავკასია ბნელ ჯურღმულად მიაჩნდა, სადაც თავი დიდ ჩირაღდნად ეგულებოდა, მომავალ პერსპექტივების იმედი ჰქონდა და საკუთარი გმირობა თვალწინ ეხატებოდა.

მალე სასახლის გატყევილ მოედანზე ეგზარხოსის კარეტაც აგრიალდა.

მორიგე აღიუტანტები მის „მაღალუსამღვდელოესობას“ გარეთ მიეგებნენ. შიგნით, კიბის დასაწყისში, ორმა ეანდარმმა ხმლები იშიშვლა, და ამ ცერემონიით საპატიო სტუმარი კიბეზე ააცილეს.

აღიუტანტებმა ეგზარხოსს მხრებში ზელი მიაშველეს და ფრთხილად ზემოთკენ აღიმართნენ.

ყვავილებით, ჭერამდე აზიდული პალმებით და სხვა ტროპიკული მცენარეებით მოქარგული ვესტიბიული კიბის პირდაპირ მდგარ, ოქროს-ჩარჩოიან დიდ სარკეში კარგად მოსჩანდა ქვემოდან.

სპარსულად მოჩქერითმებულ ბუხრებიდან გამომკრთალი ცეცხლის ალა სარკესავით გაკრიალებულ იატაკზე ოქროს რგოლებად ციალებდა.

სითბო, სილამაზე და ყვავილთა სურნელება დამამშვიდებლად მოქმედებდნენ ადამიანზე.

კიბის უკანასკნელი სამი საფეხური-ლა დარჩა, როდესაც სარკეში ჯერ ატლასგადაკრული, ბრილიანტის ჯვრით მოქარგული ეგზარხოსის კუნკულა გამოჩნდა. ერთი საფეხურიც და მთის იქიდან ამოსულ სავესე მთვარესავით რომ

გამოჩნდა ეგზარხოსის გაბადრული-სახე, მისი მაღალუსამღვდელოესობა ძალიან კმაყოფილი დარჩა: მიქელ-ანჯელოს ღმერთის სიმშვიდე და სიწყნარე დაჰქათქათებდა სახეზე.

ამ დროს მის ბროლივით თეთრ ხელს თითქოს ცეცხლზე წაქეზდნენ, უცებ ისე აენთო. კვერთხის თვლებმა სარკეში სწრაფად გაიელვეს, ჯვრის აღმასებოც წუთით მრავალფერად აკიაფდნენ და ისევ ვაჰქრნენ.

ეგზარხოსი უკვე ზევით იყო.

სამხედრო პირნი ტალანში გამოსულიყვნენ და ეგზარხოსს ელოდნენ.

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმინდისა სულისათა, ამინ! — მინაზებული ხმით პირგვარი გამოსახა მღვდელმთავარმა. აქაც დიდობის მიხედვით რიგ-რიგად მივიდნენ მასთან ხელზე სამთხვევად.

შემდეგ მაყრიონივით ყველა უკან ჩამოდგა, მისი მაღალუსამღვდელოესობა ნელა დაიძრა და თეთრ დარბაზისაკენ პატარძალივით დაწინაურდა.

ქალები თეთრ დარბაზში მხესავით ლაპლაპებდნენ.

ყველაზე დიდ, ბროლით და ბრინჯაოთი მოელვარე ქალის ქვეშ ხვევრდით დაფენილი მაგიდა გრძლად იდგა.

მაგიდის სათავეში ერთ-ერთ სავარძელში ეგზარხოსი დააბრძანეს, მეორე, სადაფით და მინანქრით შეკვდილი სავარძელი, მთავარმართებელს ელოდა.

მთავარმართებელი ღუნდუკოვ-კორსაკოვი კი ჯერ არსად სჩანდა. იგი ბაღის პირად პალატაში იჯდა და შიფრიან დეპეშას ჩასჩერებოდა.

სერიოზული თათბირის წინ აზრებს ალაგებდა, ზოგიერთ დაბრკოლებას წინასწარ ითვალისწინებდა და დროგამოშვებით თოვლით დაბურულ სასახლის მშვენიერ ბაღს გასცქეროდა. ფანჯრის წინ, საზამთრო ყვავილებით მოქარვულ აივანზე, ალიანდრის ხშირ ტოტებს ქვეშ, წყვილი ფარშევანგი დაკეცილი ფრთებით დასეირნობდა. ქვემოთ მარმარილოს აუზში ოქროსფერი თევზები დანაეარდობდნენ. ზემოთ კი, გაშლილ ჰაერზე, ჩამუტებულ კვიპაროსთა ზეივანი თოვლის სავანით იმოსებოდა და მრავალი კვიპაროსი ნელნელა ილუნებოდა.

მთავარმართებელს დროგამოშვებით ცალ ყბაზე ირონიული ღიმილი შეუთამაშდებოდა და ისევ მალე უქრებოდა.

დეპეშა დასდო და ცოტა ხნით ორი თითი მაგიდაზე აათამაშა.

— გასაოცარია! — ჩაილაპარაკა თავისთვის ღუნდუკოვ-კორსაკოვმა და ცალი ყბით აღმაცერად კიდევ ჩაიკინა. — სრული ოთხმოცი წელიწადია, რაც საქართველო დაპყრობილია და ვინ იფიქრებდა, რომ მისი საკითხი ჩვენთვის კიდევ სალაპარაკო შეიქნებოდა. დიდმა რუსეთმა ალპების გადალახვით ფრანგულ და გერმანულ რასასაც კი აგრძნობინა თავისი ხმლის სიძლიერე და დღეს რომ ამ ხალხის საკითხი მტკივნეულ საკითხად გადაიქცა, რა მიზეზია? ჰმ... — ჩაიკინა მან ირონიულად: — ერთი მუჟა ველური ხალხი რუსეთის დიდ სხეულზე საშინელ ნუფრად გადაიქცა და მაგარი ხელია საჭირო, რომ კარგად გაიჩინდოს, თორემ...

ამ დროს სამხრეთით მოზაიკური, ლამაზი კარი გაიღო და ახალგაზრდა ბლოტანტი შემოვიდა. ტანწირწიქა, თავით ფეხამდე გაწკრიბებული ვაჟკა-

ცი, მთავარმართებლის შორი ახლოს შოლტივით წელში გასწორდა და მეტყველი, თუმცა ხვერდისმსგავს კილოთი მოახსენა:

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ყველანი შეიკრიბნენ და თქვენ მობოძანებას ელიან.

— კარგი! — მოკლედ მოუჭრა მთავარმართებელმა და კარებისაკენ მიტრიალდა.

ოქროს-ღერბიანმა სავარძლებმა თეთრ დარბაზში ქუხილივით დაიგრგინეს, როცა კარებში გამოჩენილ მთავარმართებლის შესახვედრად სავარძლები განზე გასწიეს და ყველა ერთად ფეხზე დადგა.

ოფიციალური მისალმების შემდეგ მთავარმართებელმა ეგზარხოსის ახლო ყველაზე ღამაზი სავარძელი დაიკაეა, და მცირე მიმართვისა და კითხვების შემდეგ კრებული ბჭობას შეუდგა.

ბჭობის დასაწყისს წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიწყნარეში მთავარმართებელმა ასე მიმართა კრებულს:

— როგორც მოგეხსენებათ, დღეს მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის განკარგულების თანახმად ბრძანდებით აქ მოწვეულნი. მისი უდიდებულესობა გონივრულად აფასებს თავის მამა-პაპათა ჰუმანური მართვა-გამგეობის შედეგებს, რამაც საშუალება მისცა ზოგიერთ ბოროტ მცხოვრებს ხელი შეეხო ღეთის ნაკურთხ გვირგვინოსნისათვის, ტახტის შერყევისა და იმპერიის დანგრევის მიზნით. დღეს იმპერატორ ალექსანდრე ალექსანდრის ძის მტკიცე გარდაწყვეტილებაა — ამიერიდან სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან ამოიკვეთოს ყოველგვარი ჰუმანური მიმართულება, რომ მით რუსეთის ყველა მოქალაქემ და იმპერიაში შემავალმა ყველა ერთმა დიდი რუსეთის ძლიერება და მისი უდიდებულესობის უდრეკი ნებისყოფა იგრძნოს.

მთავარმართებელი წუთით შეჩერდა, მარცხნივ მჯდომ თავის თანაშემწეს, გენერალ-ადიუტანტ შერემეტეივს შეხედა და უფრო დაბალი ხმით განაგრძო:

— დღეს თქვენ, როგორც სამინისტროების ადგილობრივ წარმომადგენლებს, გევალებათ თქვენი აზრი გამოსთქვათ იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული საქართველოში რუსეთის საიმპერიო პოლიტიკის განსამტკიცებლად.

მთავარმართებელმა სიტყვის დამთავრების შემდეგ ყველას მოკლედ გადახედა და გენერალური შტაბის გენერალ-მაიორ შეპელიოვის გვერდით მჯდომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკიზე შეჩერდა.

იანოვსკიმ საფეთქელთან ხელი სწრაფად მიიტანა და ფეხზე წამოდგომით მოხსენების ნებართვა სთხოვა. მერე მორიდებული ჩახველებით ხმა ჩაიწმინდა, სავარძელზე მსუბუქად დაჯდა, დუნდუკოს თვალებში მიაჩერდა და თუმცა ოფიციალური, მაგრამ მაინც შემპარავი ხმით დაიწყო:

— თქვენო ბრწყინვალეზავ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ და თქვენო აღმატებულება! როცა ჩენი წინაპრები სამზრეთისაკენ მოისწრაფოდნენ და, კერძოდ, საქართველოში დამკვიდრებას ჰფიქრობდნენ, უეჭველია, მიზანი ამ დამკვიდრებისა უზრუნველყოფდა რუსეთის გაშლა-გავართოვებას აღმოსავლეთში. მაგრამ დიდი რუსეთის ისტორიული მისია ამიერ-კავკასიაში დამ-

კვიდრებით არ განისაზღვრება. იგი განაგრძობს წინსვლას, რადგან მისი მცირე აზიისა და ბოსფორ-დარდანელისაკენ მიაქვს და ამის განზოგადებების, მიუხედავად სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგობისა, ვერაინ ხელსაყვერ-მეუღლის. იანოვსკიმ მეტი ენტუზიაზმით აღმაღლა ხმას და კრძალის მტკიცე გამო-მეტყველებით გადახედა.

თვალმა პარტიოსანმა მარჯვენა ხელზე ცეცხლივით შეიბრიალა, როცა იანოვსკიმ აბრეშუმის ხელსახოცი სახეზე მსუბუქად მიისვ-მოისვა და უფრო მშვიდობიანი კილოთი განაგრძო:

— სრული ოთხმოცი წელიწადია, რაც ჩვენ ამ ქვეყანაში დავმკვიდრდით, რომელიც ჩვენი მისწრაფების განსახორციელებელ ბაზად მიგვაჩნია. მაგრამ წარსულს რომ თვალი გადავავლოთ, აშკარად დავინახავთ, რომ ამიერ-კავკასიაში დიდად პარტივერულ მოღვაწეთა მიერ გატარებულ პოლიტიკაში ბევრ შეცდომას ჰქონდა ადგილი. დღეს რუსული პოლიტიკის ინტერესები მოითხოვენ მათ სასწრაფოდ გამოსწორებას. ჩვენი მიზანი მოითხოვდა, რომ საქართველოში მართლმადიდებლობის აღდგენას რუსული პოლიტიკა და რუსული სული განემტკიცებინა. ჩვენმა მოღვაწეებმა მეფის ნაცვლის, თავად ვორონცოვის დროს გადაჭარბებული ლიბერალიზმით ამ გზას გადაუხვიეს და სახელმწიფო ქონებიდან აუარებელი თანხა დახარჯეს, რომ მომავლადეი ერის სარწმუნოება ფეხზე დაეყენებინათ. თავად ვორონცოვის პოლიტიკა არც მაშინ იყო სწორი, როცა საქართველოში სწავლა-განათლების შემოტანა და, მით უმეტეს, ქართული კულტურის აღდგენა რუსული კულტურის დანერგვის საფუძვლად მიიჩნია.

იანოვსკი მცირე ხანს შეჩერდა, კრებულს გადახედა და კვლავ განაგრძო:

— აშკარა შეცდომა იყო ისიც, რომ ქართველ თავად-აზნაურთა ეკონომიურად ფეხზე დაყენებისთვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩვენი ხაზინიდან დიდძალი თანხა გაიღო და უფლებრივადაც რუსეთის თავად-აზნაურობას გაუთანასწორა. ცხადია, ეს გზა შემცდარი იყო, ხოლო აქედან კი მის დასკვნამდე მივდივით, რომ ამიერიდან საქართველოში რუსული პოლიტიკის გატარებას არაფერი ხელს არ უნდა უშლიდეს. აღმოსავლეთში შეჭრისა და დამკვიდრებისათვის ეს ქვეყანა ერთად-ერთი გზაა და ამ გზის გაწმენდისა და უზრუნველყოფისთვის რაიმე ჰუმანურ და ლიბერალურ აზრებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. საბოლოოდ-კი დროა ქართველმა ხალხმა გაიგოს, რომ მან ან ხელი უნდა აიღოს საკუთარ მიზნებზე და რუსულ კულტურას და მიზნებს ემსახუროს, ან არა და ამ ქვეყნიდან უნდა აღიგავოს. თუ არ ვცდები, ჩვენ აქ იმით ვართ მოწოდებულნი, რომ დიდი რუსეთის ისტორიის გზა გავვაფოთ.

ეტყობოდა, იანოვსკის ეს საკითხი ძალზე აღელვებდა. ამ პატარა კაცს სახე წამოუტარბლდა, თვალები მოუსვენარი ცეცხლით აეცსო, გამოცდილი მსახიობივით ხმას უფრო და უფრო აღმაღლა და მეტი სიმტკიცე მისცა, ხოლო შემდეგ თავისი მოხსენების დიდი ნაწილი ნამდვილი ორატორის გატაცებით დაათვა.

იანოვსკიმ იქიდან დაიწყო, რომ კავკასიელები და, კერძოდ, ქართველი ერი ველურ ხალხად დასაბა. ველურის მოსათვინიერებელ საშუალებად კი შიშო

სცნო, ხოლო იმისთვის, რომ ეს ხალხი კულტურას ეზიაროს, ასიმილიაცია დასახა.

ასიმილიაციის განსამტკიცებლად იანოვსკიმ საუკეთესო ქვეყნის მღვდელ რუსეთიდან მართლმორწმუნე და კეშმარიტი რუსების გადმოსახლება და სქელ ქალაღღზე დაბეჭდილ რუქას ხელი წაავლო.

ოლქის მზრუნველმა ლამაზი ეესტით რუქა მალლა ასწია, მეორე ხელი მიიშველია და საქართველოს საუკეთესო ადგილები კობტად შემოხაზა.

იანოვსკიმ იგრძნო, რომ მისი გასაქანის დრო დადგა და ის მძულვარება, რასაც იგი ქართველ ხალხისადმი განიცდიდა, მათი გადაგვარების რადიკალური ზომების ჩამოყალიბებით გამოხატა.

სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ძალიან შორიდან მოუარა: კავკასიის მმართველობის ყველა დარგს სასხვათაშორისოდ შეეხო, სტრატეგიული ნიჭი მთავარმართებლის წინაშე ვითომ სახეიმოდ, შემთხვევით გაშალა და გამოცდებზე მყოფი მოწაფის აღფრთოვანებით თავის დარგს დაუბრუნდა.

ფერად რუქაზე იანოვსკის ფანქარი მეტად იოლად დაეცურავდა, როდესაც ასიმილიაციის მიზნით შიდა რუსეთიდან საქართველოს საუკეთესო ადგილებზე კეშმარიტი რუსების გადმოსახლებაზე იწყო ლაღადი:

— თქვენო ბრწყინვალეებავ! თუ თქვენი დასტური ჩემს პროექტს სულს ჩაუდგამს, მაშინ „სამეცნიერო თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას“ პეტერბურგში ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეაცნობოთ, იქ საკითხი, თქმა არ უნდა, დადებითად გადასწყდება და ჩვენც დაგვაჩქარებს, რომ აი აქ, შავი ზღვის სუბტროპიკულ ხაზზე, სიღაც ფორთოხლისა და ლიმონ-ნარინჯის სამშობლოა, რომლის იშვიათი სიღამაზე ველურ ხალხისათვის შეუშინვეელი რჩება, თვითმპყრობელობის ერთგული, მარჯვე, გამარჯული ყაზახებით უნდა დაეასახლოთ, რომ ჩვენი მთავარი მიზანი ამ გადმოსახლებით ჩქარა განვახორციელოთ.

გადმოსახლების მთავარ ბაზად იანოვსკიმ მიიჩნია ბათუმისა და სოხუმის ოლქები, ახალქალაქის, სიღნაღის, გორის და სხვა მაზრების მრავალი ადგილი, რომლებიც მან ფანქრით შემოარგვალა. ყაზახების გადმოსახლებისათვის შეტად იოლი პრაქტიკული ზომებიც ასევე გაეკრით და სასხვათაშორისოდ დაასახელა.

იანოვსკიმ ბრწყინვალე კრებულს მოაგონა, რომ ამ დიდი მიზნისათვის სახელმწიფო ხაზინას საკმაოდ თანხა ჰქონდა გადადებული, რომ ამ საქმის დაწყებისთანავე გადმოსახლებულთ მთავრობა სანოვავით და ხეტყის მასაღით, ტრანსპორტით და ფულით დახმარებას აღმოუჩენდა.

მაგრამ რაკი მასობრივი გადმოსახლებისათვის ადგილები მაინც ეცოტავა, იანოვსკიმ თავად-აზნაურთა მამულების შექენის ძველი პროექტი გააცოცხლა და ახალი ვარიაციით დუნდუტოვ-კორსაკოვს თავმომწონებით წარუდგინა.

ამ პროექტით თავად-აზნაურთა მამულებს ხაზინა რომ შეიძენდა, ხელცალიერი ქართველი მალალი წოდება იძულებული შეიქნებოდა დაწესებულებაში თავი მოხელეებად შეეფარებინა, რისთვისაც მას და მის შვილებს რუსული ენის შესწავლა დაჩქარებით დასჭირდებოდა.

მეორეს მხრივ, იანოვსკი იმ მოსაზრებას უფრო ითვალისწინებდა, რომელსაც ვუბერნატორთან ინტიმური ბაასის დროს ხელზე იხვევდა. მკვიდრ მცხოვრებთა და გადმოსახლებულთა შორის პირველ ხანებში მისსაზღვრელი იყო შუღლის დაბადება, ეს გარემოება კი შემდეგ პოლიტიკის საფარობებლად მთავრობისათვის ხელსაყრელ საბუთად გადაიქცეოდა.

იანოვსკი ტკბილად ეღერდა და რაც უფრო უახლოვდებოდა სწავლა-განათლების დარგს, მით უფრო მის ხმას სიმტკიცე ემჩნეოდა.

ერის გადაგვარების მთავარ საშუალებად მან მშობლიური ენის აღმოფხვრა დაასახელა. ძალიან მოკლედ და „მეცნიერულად“ მოაგონა ბრწყინვალე კრებულს ენის დიადი მნიშვნელობა და დასძინა: ყოველი ერის არსებობისა და მისი გაფუჭქენა-გაზრდის მთავარი იარაღი ენა არისო. „მეცნიერულად“ განუმარტა ენის კავშირი ხალხის წარსულთან და მის მსოფლმხედველობასთან.

არ დაიზარა ისიც, რომ ენის გამდიდრება-გაღრმავების პროცესში „პერცეპცია-აპერცეპციის“ კანონებისათვის ხაზი გაესეა, და შემდეგ თავის დარგს დაუბრუნდა.

ქართველი ხალხის გადაგვარება იანოვსკიმ მხოლოდ იმ შემთხვევაში დასაბა ძალიან ადვილ საქმედ, თუ ადგილობრივი ენის განდევნა პირველდაწყებითს სკოლიდან კატეგორიულად გატარდებოდა. ენის და სკოლის გარდაქმნის ირგვლივ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ერთი საათი კიდევ ილაპარაკა.

პირველდაწყებითს სასწავლებლებში რუსული ენის შემოღება მუნჯური მეთოდის საშუალებით ძალიან ადვილ საქმედ სცნო და შემდეგ თავმოწონებით თავისი პროგრამა გამოამზევა.

პროგრამას სათაურად ეწერა: «Об учебном плане начальной школы среди туземного населения и о постановке в ней русского языка».

ეს ის პროგრამა იყო, რომელიც პირველდაწყებითს სკოლებში სწავლას რუსულ ენაზე აკანონებდა.

საშუალო სკოლებში კი ქართული ენის გაკვეთილებს სავალდებულო საგნებიდან იმ ბრძნული მოსაზრებით ხსნიდა, რომ მეექვსე,მეშვიდე გაკვეთილებს დალილ-დაქანცული ბავშვები თავს აარიდებენ და მშობლიურ ენის სწავლას სულ ადვილად მიატოვებენო.

იანოვსკი გრძნობდა თავის გამარჯვებას და პროგრამის კითხვის დროს ზოგ ადგილზე კომენტარიებს ისეთი აღმაფრთოვანებელი კილოთი იძლეოდა, დუნ-დუკოვ-კორსაკოვს ისეთი თვალებით უცქეროდა, როგორც გათამამებული პირველი მოწაფე გახარებული მასწავლებლის წინაშე მეტყველებს ხოლმე.

არც მთავარმართებელი არიდებდა იანოვსკის თვალს და სრული თანხმობის ნიშნად და მის გასამხნეებლად ბედაური ცხენით ზოგჯერ მოკლედ თავს უქნევდა.

ლილოსავის ქონსტანტინეს მარჯვენა

ბაიანდული ბიზანია¹

XXXVIII

საერისთავოებში მშვიდობა სუფევდა სხვა მხრით.

მარიამ დედოფლის აფხაზეთში დაყოვნებამ და მელქისედეკ კათალიკოსის კლარჯეთს გამგზავრებამ ფრიად საამური გახადა სასახლეში ცხოვრება.

ეზოსმოდღვარს უცნაური სვირინგები გამოაყარა ტანზე. არა მარტო მეფე, მთელი სასახლე, მთელი მცხეთა და უფლისციხე ამას ნატრობდა: კეთრი აღმოაჩნდეს ეზოსმოდღვარს ეგებ და ამ სვირინგებს თან გადააყვესო გულბოროტი ხუცესი.

გიორგი და გირშელი ხან უფლისციხეში ნადირობდნენ, ხანაც მცხეთაში ქეიფობდნენ იღუმალ.

ნადიმებს ნადირობა მოჰყვებოდა ხოლმე, ნადირობას ისევ ნადიმი, ჯირითი, ჰოროლის ტყორცნა და ცხენბურთი.

ბოლოს მოაღწიეს ცხრატიბის ერისთავმა დაჩიმ და მისმა მეუღლემ რუსუდანმა.

დაქალებულიყო ფანასკერტელის ასული, მონაზნური სიყვითლე უკვე გადასკლოდა საზიდან, მკერდი აბურცვოდა, თეძოები დამრგვალბოდა, ახელებდა ვაჯაკებს ბეჭედივით ეიწრო ტუჩპირის ზემოდ, ოდნავ, ოდნავ შესამჩნევი ბუსუსები, უღვაშის დარი.

ენებიანად აფახულებდა გრძელწამწამიან თვალებს, ურიდოდ დადიოდა ქალაქში, თრიაქსა სწევდა იღუმალ, კვიცივით უკან დასდევდა მეფე გიორგის.

გიორგი და გირშელი იოლად ათრობდნენ დაჩი ერისთავს, მორიგეობით დაათრევდნენ სანადიროდ მის ცოლს.

გააშაირეს მცხეთელებმა დიაცი.

ცხრატიბის ერისთავის შუღლეს ცხრა ღამეც არ გაუთევიაო ქმართან.

ქმრისათვის თვალის ასახვევად მუდამ ლოცულობდა ერისთავის ცოლი, ხატებსა და ლოცვას მიანება იგი ქმარმა, გირშელსა და გიორგის აეკიდა თავითაც.

ღვინის სმაში იჯაბნებდნენ მეფე და ერისთავი მას, სამაგიეროდ ჰოროლის ტყორცნაში სჯობნიდა ორივეს.

¹ იხ. „შათობი“, № 3

დაჩის სრულიადაც არ აწუხებდა თავის დისწულის, შორენას მოსალოდნელი ქორწილის ამბავი.

სასახლის ქორები გამოეკითხა წინასწარ, ყურმოკერი

მეფე გიორგის თვალი უჭირავსო ყველისციხის პატრონის სასძლოზე.

ამიტომაც ურჩია დისწულს: მე ისეთი ამბები მესმის, გათხოვებაზე ზელი აიღე სრულად, მონაზნად ალიკვეცეო მცხეთაში.

სასახლეში სტუმრობის დროს მიმინოების ლაზურად გაწვრთნამ გაიტაცა დაჩი, გულით ეწადა, თავის საერისთავოში შემოეღო ეს ახალი დარგი ნადირობისა.

გვიან ლამემდის არა სცხრებოდა ციხეების ჩარდახებზე სტუმრების, სეფე-ქალების, რაინდების ხარხარი და კისკისი.

უომრად მოწყენილი აზნაურები მოგროვდნენ მცხეთაში, უამრავი სიძვის დიაცები თან ჩამოჰყვა საერისთავოებიდან მათ, მოხუცებული ერისთავების ახალგაზრდა ცოლები და აზნაურების ქვრივები.

კათალიკოსისაგან კურთხევის მისაღებად ჩამოსულიყვნენ ისინი მცხეთაში, რაკი მელქისედეკი მანდ არ დაუხვდათ, ბახუსისა და აფროდიტეს წყალობასაც დასჯერდნენ ბოლოს.

გიორგისა და გირშელის ყმაწვილურ გართობას ერთიც შეემატა ახალი.

ერთმა ინგილომ ორი ავაზა მოჰგვარა ჰერეთიდან მეფეს.

სწორედ იმ დღეს პირველი ბავლი გაეგდოთ გიორგისა და გირშელს მიმინოებისათვის სასახლის ბაღში.

კონსტანტინე არსაკიძე მოეწვია საგანგებოდ მეფეს, ლაზურად უნდა გაეწვრთნეინოვო მიმინოები.

რა დროს ბავლია, ფიჭობდა გულამრეზილი კონსტანტინე, კლარჯეთიდან მობრუნებულ მელქისედეკისათვის მოთავებული უნდა დაეხვედრებინა სვეტოცხოველი.

ბიზანტიელ სტუმრებს თან ჩამოიყვანდა არტანუჯიდან მელქისედეკი, რადგან რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა ეკურთხებინათ ტაძარი კიდევაც.

ესეც არ იყო, აღარ მოსწონდა ხუროთმოძღვარს ბაზიერობა მეფისა, რადგან ეს ასეა, დიდი ქმნილების შემომქმედს თავმოყვარეობაც შეუღგება ხოლმე, მეფისაზე აღმატებული ხანდახან.

ავაზების ჩამოყვანის ამბავი ელვასებრ მოეღო სასახლეს.

სასახლის ბაღში მოგროვდნენ სტუმრები, სეფექალები და რაინდები.

გიორგი და გირშელიც გამოჩნდნენ, ჯაჭვისებრი მიმინოები უსხდათ მარცხენაზე ორივეს, ქვიშისფერი ჯაჭვი ეცვათ თავათაც.

არსაკიძეს გადასცა თავისი მიმინო მეფემ, მიეახლა ანგილოს და ეკითხება:

„როგორი დაიჭირე, ძია კაცო, ეს ავაზები?“

„ორმოს ამოეთხრით ხოლმე, მეფე ბატონო, უკაცრიელ მთებში. წვრილი წნელებით გადაეხურათ მას. ძაღლის ლეკვს ყურში ვაუწყრით ანკესს, გრძელ საბელს მივამზავთ ზედ.“

ეს საბელი მონადირეს უჭირავს ხელში, უშიშარ სახუნდარში ჩასაფრულს მახლობლად.

ზის მთელი ღამე ეს ლეკვი ორმოს თავზე, მეფე ბატონო, სველი მწკრებით პირახვეული მონადირე სახუნდარიდან უთვალთვალებს.

ხანგამოშვებით გამოსწევს საბელს, ანკესი ააყვირებს ლეკვს: „მადონა! ხორცი ძლიერ უყვარს ავაზას. სუნს აიღებს, ხმას შეიცნობს, მიწაზე გალურჯული მიეპარება, ერთბაშად კამარას გააყეთებს პაერში, ისკუპებს, ზედდააცხრება ლეკვს.“

წნელები ვერ შეიმაგრებს მხეცს და ორმოში ამოჰყოფს იგი თავს“.

„მერმე?“

ეკითხება მოუთმენლად გიორგი.

„მერმე შეგვოჰავთ, წაეიყვანთ, თვალს ავუხვევთ, ვცემთ და ვაშიმშილებთ, ისევ ვაშიმშილებთ, ისევ ვცემთ“.

„ეგვიპტეში მახეებით იჭერენ ავაზას“.

შენიშნა ყველისციხის პატრონმა.

გიორგელმა აიჩემა, ანჩაბაისძის ასული და ცოტა ერისთავის დაჩის მეუღლე, რუსუდან, წარგზავნეს შორენას მოსაყვანად.

მეფემ ფარსმანი ახმობინა, ვითარცა ყოვლისმცოდნე და მჩხიბავი.

ინგილო მიწაზე იჯდა, ცალ ხელში ორი საბელი ეჭირა, ცალშიაც შოლტი. როცა გარსმოჯარულ უცხოთ შეუღრენდნენ ავაზები, ატაკუნებდა შოლტს, ისევე როგორც ჩვენი მეურმე აშინებს ხოლმე კამეჩებს ტკაცანით.

სამეფო ბაღში ირანული ვარდები გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელი ზოგნი, ნუშისგულივით თეთრნი, მოყვითალონი სხვანი, ყვითელი კი არა, ძველთუძველესი სპილოსძვლის ფერისანი.

ჰყვავოდნენ ბაღის ყაყაოებშიც, სუსამბარები და ნარგიზები, ნაირნაირი მიხაკები, რომელთა ფერების ასაწერად წამალი არ ეყოფოდა ადამიანის სიტყვას.

იისფერნი, მზისფერნი, სინგურისფერნი, ჭრუნი, მოწითანო, მოლურჯო და სავსებით ლურჯნი, კარაჭისფერნი და ზოხბის ყელის ფერნი, ფარშავანგის ბოლოსებრ მოხატულნი, პინდური ყვავილები ნაირნაირნი.

ტალავერებზე მიშვებულნი იყვენ ხატაური გლიცინიები და ხვარები სხვადასხვა ჯიშისა.

ერთ ტალავერს ქვეშ თავი მოეყარათ სტუმრებს, რაინდებს, სეფეჩალებს, საერისთავოებიდან ჩამოსულ ღამაშმანებს.

აქ იყო თმოგვისციხის პატრონის მხოლოდშობილი ასული დედისიმედი. პირმშვენიერი, მკერდსავსე ქალწული, რომელსაც მშვილდივით მოდრეკილი წარბები ჰქონდა, ხოლო ხელები რძიარძიასავით თეთრი და გრძელი თითები, სწორედ ისეთი, როგორსაც ანგელოზებისას ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკოს ოსტატები ამჟამინდელს.

შარავაშიძის უმრწემესი ქალი ხათუნა, ლურჯთვალეებიანი, ლელივით რხეული დიატი.

პირველ ცოდვასავით მლეღვარების მომგვრელი თუთაი, ვარდანისძის ქვრივი, ტანმოზიილი, მაგრამ ეშხიანი დედაკაცი.

ერისთავის, გვარამ აბულელის სამივე ქალი: ერთი ქერა, ერთი შავგვრემანი და ერთიც „მზისსახიანი“, (როგორც ყმაწვილკაცები უწოდებდნენ მას).

ულამაზეს სეფემოახლეთა წრეშიაც ბრწყინავდა ცხვილოსციხის პატრონის მეუღლე ცოქალა, უზადოდ მშვენიერი სხეული ჰქონდა მას. მაგრამ თევზისებრ თვალები უკეთეს გამომეტყველებას აძლევდნენ ბრწყინვალე ცხვილს. „თევზისფერი ძროხა“ შეარქვა მეფე გიორგიმ ცოქალას).

მეგრდგათქვირული, მაღალთქოიანი და ფაშფაშა ღია იყო იგი, გამომწვევი გარეგნობის და საქციელისა.

მეორე სახელიც ჰქონდა ცოქალას, ცხვილოსციხის პატრონის მეუღლეს, „აბოკალიპსური ღიაი“ შეარქვა მას ეზოსმოდღვარმა ამბროსიმ.

ფრიად შორეული ნათესავი იყო ცოქალა მეფისა.

ასე ამბობდნენ: იღუმალი ხარჭაო! მისი „თევზისფერი ძროხა“.

საქოქმანო ეს იყო, ცოქალაი სწორედ ისეთ დროს ჩამოდიოდა „სალოცავად“ მცხეთაში, როცა მარიამ დედოფალი აფხაზეთს ან კლარჯეთს გაემგზავრებოდა მონასტრების მოსახილველად.

თევზისფერ ძროხას თან ახლდა უფროსი ქალი, ნათია, ჯეირნის ნუკრით მორცხვი, ახლად შეღერებული ქალწული.

სხეული დედისა გამოაყოლოდა ნათიას, მაგრამ საფირონისფერი თვალები ჰქონდა.

ისე ნაზად აფახულებდა შავსა და გრძელ წამწამებს, ასე იტყოდი, თალხი პეპლები არხევენო მის თვალის უკეებზე ფარფლებს.

ამ გოგონას მთვრალი გამოხედვა აქვს, ამიტომაც მომწონსო, წამოსცდენია თრიაქით მთვრალ მეფე გიორგის ერთხელ.

ეზოსმოდღვარი და სისახლის სხვა ჭორიკანები ასე ფიქრობდნენ:

თევზისფერი ძროხა ხარჭად ჰყავდა მეფეს, დედოფლობა ეწადა ცოქალას, მაგრამ თვალებმა უღალატეს, ახლა თავისი ქალის, ნათიას ტანტზე აყვანას მიეღტვისო ერისთავის ქალი.

როცა ღამაზმანების კრებულს პირმშვენიერი ანჩაბაისძის ქალი, „ულვაშანი“ რუსუდან — ცხრატბის ერისთავის მეუღლე და კოლონკელიძის ასული მიეახლნენ, ერთბაშად დასჩრდილა თანადამსწრენი შორენამ.

ოდნავ ნალვლიანი ეჩვენა კოლონკელიძის ქალი მეფეს.

ეკბატანას ვარდივით ბრწყინავდა იგი უმშვენიერესს ღიაცებსა და ყვავილებს შორის.

შორენა მიესალმა თანადამსწრეთა, არც მეფისა, არც გიორგისათვის თვალი არ გაუმართავს. ზედაც არ შეუხედავს ზეზისა და ოქსინოს ჯუბაჩებში მორთულ რაინდებისათვის, კონსტანტინე არსაკიძეს შეჰხედა იღუმალ, ბრწყინვალე, თოროსან ვაჟკაცებს შორის ლანდივით მდგარს.

უბრალო, ფხოვერ ჩოხაში მორთული, არამწიერ არსებას მიავაგდა იგი, ლოყებდაკლავა, კურტივით ჩასუქებულ მამაკაცთა წრეში.

ბოროტი მზერა წაატანა თევზისფერმა ძროხამ კოლონკელიძის ასულს, შემდგომ ამისა გიორგის შეხედა შეფარვით.

მღელვარება შეატყო მეფეს.

* ხარჭა — საყვარელი, ხასა.

არა მარტო მანდილოსნები, რაინდებიც არ გაჰკარებოდნენ ავაზებს, ჯერაც-ხვადი იწევა, ძუ იღვა.

შორენას სახე გაუბრწყინდა, უშიშრად მიეახლა ძუს, სწორედ ამ წუთში გიორგიმ თვალი შეავლო დიაცსა და მზეცს.

რალაც საერთო ჰქონდათ ამ ავაზასა და ამ ქალს. არსაკიძე შეერთა, არ აენოსო ნადირმა შორენას.

მოწითალო და მოყვითალო ზოლები გადასდიოდა თხემიდან კუდის წვეტამდის ძუს, წითლად და ყვითლად სხურეებული ჰქონდა ტყავი, ოქრომკედის დორივით მოხატულს.

ეს იყო მხოლოდ, ფორეგები ბეწვისა უფრო წვრილად დაწინწკლული სჩანდა, ვიდრე ვეფხისანი.

ყბები, მუცელი და ფეხების ქვედა მხარენი ჩალისფერი, კუდიც უფრო კრელჭრულა, ვიდრე მიწაზე მწოლარე ხვადს, ფხოვერ შიბებისდარ რკალებს მოთეთრო რგოლები თიშაედნენ აგრეთვე ჩალისფერ წვეტამდის.

ვეფხისაზე უფრო წვრილი თვალეები ჰქონდათ ორივეს და როცა ხვადიც ზეწამოდგა, შორენამ შენიშნა: იოგებმაგარ, მაღალ ფეხებზე იდგნენ ორივენი.

ზურგზე ხელი გადაუსვა ძუს, თვალეები დანაბა ავაზამ და ისეთი ხრუტუნნი ამოუშვა, როგორიც კატას სჩვევია ხოლმე პატრონის კალთაში მყუდროდ მონებივრეს.

რაინდები აიძვრნენ, როცა გამბედავობით აჯობა დიაცმა მათ.

ახლა მეფეც მიეახლა ავაზას, გაეხარდა, როცა არც მას შეუღრინეს მზეცებმა.

თავის ძველ ავაზებს არ უმადლოდა გიორგი.

ხუშტურიანანი იყვნენ ისინი, ჟამიდან ჟამზე მონადირეთუხუცესსა და მონადირეებს არ იკარებდნენ ხოლმე.

გაჯიქდებოდნენ, გალიიდან ველარ გამოჰყავდათ, ცული კვება ჰქონდათ მუდამ ამრეზილთ.

მოთაედებოდა ნადირობა, ქამანდით უხდებოდათ დაქერა.

მონადირეთუხუცესი თავს იმართლებდა: დაგვიბერდნენო ავაზები, სიბერეში უხალისო ხდებიანო ისინი.

როცა ახალი ავაზები მოიყვანა ინგილომ, გიორგის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მონადირეთუხუცესის გადაყენება.

ლეღავდა გიორგი, ფარსმან სპარსი რომ არსად სჩანდა.

ეგებ ავად გახდაო ბერიკაცი, მაინცდამაინც დღეს.

არ კი იცოდა, განზრახ რომ იგვიანებდა ფარსმანი.

ხუროთმოძღვართუხუცესის პატივი აჰყარეს, ახლა მონადირეთუხუცესობას მიელტვოდა იგი.

იცოდა ფარსმანმა: სასახლეში არაეინა ჰყავდა ავაზების გამწვრთნელი გიორგის, ამიტომაც თავპატიეს იღებდა იგი.

ბოლოს, როგორც იქნა მოაღწია ფარსმანმა.

მეფეს თაყვანისცა, სტუმრებს მიესალმა, თამამად მივიდა ავაზებთან.

ყვრიმალეები დაუსრისა ხვადს, ზურგზე მოუაღერსა ძუს.

მეფეს მიუბრუნდა და მოახსენა:

„სპარსული პალანგებია, მეფე ბატონო, ესენი, ჰინდონი ჰონჯას უწოდებენ, ხანაც კერკალს, მეგვიტელნი ვნოს.“



ქართული
საბჭოთაო

„თუ არ ვცდები, ჩიტად უხმობენ ჰინდონი, აა?“

სიტყვა ჩაურთო მეფემ.

„ღიახ, ჩიტასაც იტყვიან, ავაზები მრავალგვარნი არიან მაინც...“

ფარსმანს ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული ამ მხეცების გამო არაბულად, მათი წერთნისათვის მხოლოდ მცირეოდენი სმენოდა ქაირში. ამიტომაც შეეკითხა ინგილოს:

„გინადირნია ამ ავაზებით, კაცო?“

„ჯეირნებზე მყოლია, ბატონო.“

„მშველზე?“

ინგილომ კეფაზე მოიფხანა, ყოყმანით უთხრა:

„მშველზე ჯერ არა, ბატონო...“

„ვის დაავეშინე ეს ავაზები, კაცო?“

„ღიაცს მივუსვამდით ხოლმე თვალახვეულ ავაზას, ბატონო. მერმე მთელი ღამე ყურში უყვიროდა, ან ზღაპრებს უამბობდა ხოლმე ღიაცი, ამრიგად ადამიანის ხმას შეაჩვენა მხეცს.“

მეფეს მიუბრუნდა ფარსმანი ღიმილით.

„ავაზა ერთადერთი ცხოველია, მეფე ბატონო, ღიაცის ლაყობას რომ უძლებს ხანგრძლივად.“

ესა სთქვა, ფანასკერტელის ქალსა და ცხვილოსციხის პატრონის მუღულეს შეჰხედა შეფარვით.

თევზისფერი ძროხა აიძღვრა, მას ღიაცების მოდგმისათვის მესიტყვეობა ჰქონდა რატომღაც ნაკისრი, მხარზე ხელი დაადო გიორგის, ყვრიმალთან მიუტანა პირი და უჩურჩულა:

აქამდის რად არ ჩავიძალღებიაო ეს ენაჭარტალა ბებერი, გიორგი?

ფანასკერტელის ქალმაც იწყინა, მაგრამ იგი გაიტრუნა, რადგან მისი ქმარი, დაჩი გვერდით უდგა, ფარსმანის ხსენებასაც ერიდებოდა მის სიახლოეს.

მოხუცმა ზგრძნო, ცოტა უხეში რომ მოუვიდა ეს გახუმრება, სხვა მანდილოსნებსაც შესცინა, ისევე მეფეს გაუმართა თვალი და დასძინა:

„ღიაცივით გულბოროტია ავაზა, ტანბატულა და პირმშვენიერი, ღიაცივით რბილი და ტფილი.“

კიდევ ერთი ზნე სკირს ღიაცური ამ ნადირს, მაგრამ მეშინია არ შემრისხონ ლამაზმანებმა, ამიტომაც სხვა დროს მოგახსენებთ, მეფე ბატონო, ამას.“

გიორგიმ ისევე გაუღიმა ბერიკაცს, მერმე ყველისციხის პატრონს მიუბრუნდა და ეს უთხრა:

„შენ რას იტყვი, გირშელ, წავიყვანოთ ეს ავაზები სანადიროდ დღესვე?“

გირშელი დაფიქრდა.

ბოლოს ეუბნება მეფეს:

„მე მეშინია, გიორგი, არ გავგეჰქნენ მიუჩვეველნი, მოდი, შევიცადოთ, დავაკვირდეთ ერთ კვირას.“

ახლა ინგილო დაჰკითხა გიორგიმ.

„მე წამიყვანეთ, მეფე ბატონო, თან, თავი მომკერით, თუ ჩემს მიერ და-
გეშლილი ავაზები გაგვექცენ.“

მაინც გირშელის ნათქვამი უფრო სარწმუნოდ მიიჩნია მეფემ.



ქართული
მეფის სახელი

იმ დღესვე შეუდგნენ მშველზე ნადირობის სამზადისს.

გირშელი ამტკიცებდა: ურმით ტარება აბრაზებსო ავაზებს, ეგვიპტეში ეტ-
ლით დაჰყავდათო ეს მხეცები მონადირეებს.

უფლისციხის სასახლეში ოდითგანვე ეგდო მწვანე ეტლი, რომელიც ბასი-
ლი კეისარმა მიუბოძა ბაგრატ მესამეს, კუროპალატის ხარისხთან ერთად.
ეს ეტლი ისევე სძაგდა გიორგის, როგორც ბიზანტიის კეისარის სახსენე-
ბელი.

სიჭაბუკეში სანადირო ძაღლებს დაათრევდა ამ ეტლით მეფე, ბოლოს
მელქისედეკი აუხიორდა: პატივი ეციო ქრისტეან კეისარს, თუ შენ არ ჩაჯდე-
ბი კუროპალატისეულ ეტლში, ძაღლებს მაინც ნუ ჩასვამო შიგ.

ახლა სწორედ ეს მწვანე ეტლი მოატანინა მეფემ.

წესისამებრ, წითელი აბრეშუმით აუხვიეს ავაზებს თვალები და ეტლში
ჩასვეს.

მონადირენი დაფრთხნენ, უშიშარაისძემ იკისრა მათ გვერდით ჯდომა.

ერთადერთი უსიამო ამბავი ჩრდილავდა მონადირეთა სიხარულს. სწორედ
წინა ღამით საშინელმა ხურვებამ წამოუარა ინგილოს.

შორენას ძლიერ ეწადა ამჯერად სანადიროდ წასვლა, არსაკიძეს სთხოვა,
უთუოდ უნდა წამოხვიდეთო მშველზე სანადიროდ.

თანაც დასძინა: მეფე გიორგიმ გთხოვა, მიმინოებიც თან წამოიყვანოვო,
ლაზურად გაწვრთნილი.

თავდაპირველად უარზე იდგა ხუროთმოძღვარი მეფისა.

დღეს თუ ხვალ ტაძარი უნდა მოვათავო, სანადიროდ სად მცალიაო?

„გარდა ამისა, მე არ შემიძლია მლიქვნელისა და კარისკაცის მოვალეობა
ოსტატის საქმესთან შევათავსო, თუ ხუროთმოძღვრის ხარისხი, ბაზიერთუხუ-
ცესობასაც მოასწავებს, მაშინ ამ ტაძარს დავამთავრებ და ისევ კირითხურო
გაგებდები უბრალო.“

არსაკიძე ჰხედავდა: ცუდ საქმეს რომ გადაჰკიდა იგი მიმინოების ლაზუ-
რად გაწვრთნამ, მეტი გზა აღარ იყო, ბოლოს დაუთმო შორენას.

უთენია გავიდნენ მცხეთიდან მეფე და მისი ამალა, რაინდები, სეფექალები
და სტუმრები.

მწვანე ეტლში უშიშარაისძე იჯდა, ორი თვალახვეული ავაზა გვერდით
ჰყავდა, მათი საბელები ხელში ეჭირა.

ყვავილებითა და მანუელის შტოებით მორთული იყო მწვანე ეტლი.

მეფე გიორგი, გირშელი, განმგეთუხუცესი, შორენა, არსაკიძე, ცხრაატბის
ერისთავი დაჩი და მისი მეუღლე რუსუდანი, თევზისფერი ძროხა, საფირონის
თვალებიანი ასული მისი და ფარსმან სპარსი უკან მიჰყვებოდნენ ეტლს.

ფარსმანი წარამარა დეზს უშენდა აფხაზურ სატალახო ცხენს, რადგან მუდამ მეფის გვერდით ეწადა სელა, რათა ავაზების გამო საუბრითი ცხელი თანამდებობა ხელში ჩაეგდო როგორმე.

ხან მეფეს ლიჭინდა გზადაგზა, ხანაც საინგილოდან მოყვანილ ავაზებს აქებდა.

სამი ერისთავი, შვიდი თოროსანი რაინდი, მათ შორიხლო მოაჯირითებდნენ არაბულ იაბოებს.

მთლად ბოლოს, ღვინის რუმბებითა და ხორაგეულით დატვირთულ ურემს ცხენდაცხენ მოჰყვებოდნენ მონადირეთუხუცესი, მერემეთუხუცესი, ათი მონადირე, სამი ბაზიერი და ესტატე.

სწორედ ამ ბაზიერებს მოჰყავდათ აბრეშუმის „პერანგში“ შეფუთვნილი, ლაზურად გაწვრთნილი მიმინოები, ერთი მეფისა, ერთი შორენასა და ერთიც გირშელისათვის.

მეფე გიორგი ჩინებულ გუნებაზე იყო, დაუცხრომლად მიაჯირითებდა თავის ოქროსფერ ულაყს, ფრიად კმაყოფილი იყო იმითაც, კიდევ ერთხელ რომ მოუხერხა საქვეყნოდ გაბამულება კეისრის მიერ ნაბოძებ მწვანე ეტლს.

გირშელსა და მის საცოლეს მოუბრუნდა და ეუბნება:

„როგორც ვატყობ, ნამეტნავი პატივი მოსდის კეისრისეულ მწვანე ეტლს აქამდის ძალღებს სვამდა ბაზიერი ესტატე შიგ, ახლა მეფური სისხლის ნადირები მგზავრობენ ამ ეტლით, შენ ხომ იცი, გირშელ, ბასილი კეისარს მიკიტნების სისხლი უდღულს ძარღვებში?!“

გირშელმა გაიღიმა და თავის საცოლეს გადახედა.

ჰშვენოდა ცხენოსნობაც შორენას.

ფარსმან სპარსი უკვე მიწეოდა მეფეს, უკითხავად ჩასტარა საუბარში სიტყვა:

„ღიახაც მეფური სისხლისაა, მეფე ბატონო, ავაზა.

უფრო მეტს მოგახსენებთ, ბახუსის დედამძღვედ ითვლება იგი. ასეთია გადმოცემა ბერძნული: ძუძუს აწოვებდა თურმე ძუ ავაზა ბახუსს, ძვევისა და ზემელეს ძეს.“

მეფე გიორგი ისევ შორენას ესაუბრებოდა მწვანე ეტლისა და ბასილი კეისრის გამო, ასე რომ მას არც კი გაუგონია ფარსმანის ნათქვამი.

ფარსმანმა მიმოიხედა, თევზისფერი ძროხა ხელში შერჩა, რადგან იგიც მეფე გიორგის გვერდით სელას მიელტვოდა, მაგრამ ცხენოსნობაში გამოუცდელ ცოჭალას, წესისამებრ ვერ წარემართნა თავისი თექური იაბო. ამიტომაც მას უამბო ფარსმანმა მეფისათვის სათქმელი.

არც თევზისფერ ძროხას გაუგონია მისი ნათქვამი, იგი შურისაგან ამრეზილი იყო, რა კი ჰხედავდა რომ მეფე გიორგი არც მასა და არც საფირონის თვალებიან ნათიას ყურადღებას არ აქცევდა, შორენას ესაუბრებოდა გზადაგზა.

• •

ლელიანი ქაობები დაიწყო, ახლა ექვსი მონადირე უკან მიჰყვებიან/ მწვანე ეტლს, ეშველებოდნენ ტლაპობზე გადასვლისას ცხენებს. ლაქაშიანი ველებიდან დგებოდნენ ხობბები, გარეული ტყვეები ფოთლებოდნენ, ლიწინლიწინი გაჰქონდა ლელს.

საწყალობლად წიოდნენ ხობბის ლაპები ლიქიანებში.

ბოლოს მიადგნენ ლაშქარათი მოფენილ ტაფობს, ზღვის ყურესავით მთების უბანში შექრილს.

სამივე კილით მთები გარს ერტყა მას, სამხრეთიდან ზედმომდგარიყო თვალშწვედენელი, შიშველი ტრამალი.

მონადირეთუხუცესი ქენებით წამოეწია მეფეს.

მარეკები უნდა აევზავნოთო მთების კალთებზე. დამფრთხალი ნადირი ტაფობში გადმოვა, მარეკები თან ჩამოჰყვებიან;

ტაფობისა და ველის მიჯნაზე უნდა დავახვედროთო ავაზები მშველებს.

მონადირეთუხუცესი სწუხდა, მადეერები რომ არ გამოდგებოდნენ მშველების გამოსარეკად იმ დღეს, რადგან, მოგეხსენება, ავაზას ძაღლის ხორცი უყვარს. როგორც კი მადეერებს დაინახავს, მშველებს თავს დაანებებს და ძაღლებზე გამართავსო ნადირობას იგი.

დიდხანს იყვნენ ხმაგაკმენდილი ცხენოსანიები ველის მიჯნაზე. ბოლოს ჩრდილოეთიდან შემოესმათ დიდი ბუკის ხმა, მთების კალთებზე შესულმა მარეკებმა ასტეხეს დაფდაფების ცემა.

მამალი ხობბები დგებოდნენ ლაშქარასა და ანწლის ტევრიდან, სტებებოდნენ მონადირენი ამ მშვენიერი ფრინველების შორიდან მზერით, გარბოდნენ გოჭებიანი ტახები ტყისკენ.

სრული მყუდროება დამყარდა ტაფობზე ნიავეც არ იძვროდა ირგვლივ.

მონადირენი უკვე ამჩნევდნენ შორიდან, ლაშქარას წვეროკინების ტოკვას. ახლა გიორგიმ და გირშელმა დაინახეს თუ როგორ მოფრთხილობდა ტაფობზე ორი ფრინველი, ფრინველი კი არა, ოთხი ყური ორი მშველისა.

გიორგის შეეშინდა, ვაი თუ შეგვნიშნონო, გაიტრუნონო ლაშქარას ჩირგვებში.

გირშელი ასე ამბობდა, რაკი ფერდობებიდან ტაფობში ვადმოიხვეწნენ, უთუოდ გამოვლენო ველისპირზე ისინი.

ბოლოს გიორგიმ თვალი ჰკიდა თუ როგორ ისკუბეს ლაშქარას ზღვიდან მშველებმა და გაქენდნენ ტრამალზე.

ასიოდე უტევენიც არა ჰქონდა წინ მიმავალს განვლილი, წითელი აბრეშუმის რიდე აჰხადა უშიშარიისძემ ავაზებს.

გასაოცარის სისწრაფით გაეკიდნენ ძუ და ხვადი შუნსა და ხარს.

მეფემ, შორენამ, თევზისფერმა ძროხამ, მისმა ქალმა, გირშელმა, არსაკიმეგ, დაჩიმ და მისმა მეუღლემ, მთელმა ამაღამ მოსწყვიტა ადგილიდან ცხენები.

მხედრები ძლივს ატანდნენ თვალს თუ როგორ ელავენენ ცეცხლისფერი ზოლები მშველისფერ ტრამალზე.

ორივენი გამალებული მისდევდნენ თითქმის ფრენაზე გადასული მშველებს. ელვასებრ მიჰქროდნენ ავაზები ტრამალზე. მათზე უმშვენიერესს არსებას ვერაუც არ გადაეღაბა ეს მწვეანე ტრამალი.

ისეთის სისწრაფით მიჰქროდნენ ცხენებიც, მუცლით ხედვეკვირანო მინდორს, მიინც ასიოდე უტევანის მანძილზე უკან რჩებოდნენ ცხენები ავაზებს. თავდაპირველად გიორგი და გირშელი მიუძღვოდნენ ცხენოსნებს წინ, მალე მოიძალა გირშელის ცხენი, ახლა შორენას თექტური ჰაკი წამოეწია ოქროსფერ ულაცს.

დღეი ჰკრა არაბულ იაბოს¹ არსაკიძემ, მშველის ნახტომზე წამოეწია ორივეს.

მწკრივად მიგელავდნენ ოქროსფერი ულაცი და შორენას თექტური ჰაკი. უხაროდა გიორგის, მის გვერდით რომ მიჰქროდა ეკატანას ვარდი.

ამ წუთში არც ავაზები ახსოვდა მას და არც გაქცეული მშველები.

ხვალი მიეწია პირველად ხარს, კიდევ ორიოდ ნახტომი და ზურგზე დაახტებოდა მსხვერპლს, სწორედ ამ წუთში მხარმარცხნით შემოიქცა მშველი, (ისე როგორც კურდღელი უგანებს ხოლმე მწვეარს). ავაზამ თავი ველარ შეიკავა და გაჰქანდა წინ. ვიდრე იგიც მობრუნდებოდა, მანძილი მოიგო მშველმა, განი უქნა მეორე მშველმა ძუს, მხარმარჯვენისკენ გაიტყუა ავაზა.

ერისთავი დაჩი, განმგეთუხუცესი, მერემეთუხუცესი და ხუთიოდე მხედარი მხარმარჯვნივ გაქცეულთ გამოუდგნენ უკან, მეფემ და დანარჩენებმა მხარმარცხნისაკენ გაჰქუსლეს ცხენები.

ორიოდე მანდილოსანი ჩამორჩენოდა მათ.

შურისაგან აღიესო თევზისფერი ძროხა, უცნაურად დასჰყივლა დიაცმა ცხენს, ელვის უსწრაფესად წამოეწია კოლონკელიძის ასულს. შორენას ჰაკმა დაუთმო ცოქალას იაბოს.

ბრაზი წაეკიდა მეფეს, თევზისფერ ძროხას რა წაატანა თვალი, წამოსწეოდა ხარჰყოფილი გიორგის, როგორც სიყმაწვილის ცოდვა სიჰარმაგეში გადასულს.

ახლა შორენა და უტა მოჰქროდნენ წყვილად, აგონდებოდათ ფხოვეში განვლილი სიჰაბუყის ღხენა.

გულში გაუელვა არსაკიძეს უეცრად, დაეტუქსა თავისი იაბო, ეჩვენებინა აფხაზთა მეფისათვის, თუ როგორ ემარჯვებათ ცხენის მონუსხვა ღაზებს.

პაზარტში შესულიც მიხვდა: არ ივარგებდა გადასწრება მეფისა.

ისევ წამოეწია ხვალი ავაზა მშველს, ხელახლა უგანა ხარმა, მაგრამ აქ კი კეუა იხმარა ავაზამ, საშინელის სისწრაფით დასძლია სივრცე, თვალისმომჰკრელი კამარა გააკეთა ჰაერში და ქედზე შეახტა მშველს.

როცა მხედრები დაქვეითდნენ, ავაზა კისერში მისწვდენოდა ნადავლს, ხარბად ხერგბდა გამარჯვებული სისხლს, თანაც ღრინავდა გაავებული.

დაახლოებით ასე ისმოდა ეს ღრენა:

„ჰურრაჰჰ, ჰურრაჰჰჰ...“

¹ იაბო — დაკოდილი ცხენი.

მამაკაცებიც ვერ მიეკარნენ ახლოს.

„აბა მიდი, გირშელ...“

ეუბნება ღიმილით ყველისციხის პატრონს გიორგი. გირშელი შეუწყმანდა და გაფითრდა საფსებით.

გიორგიმ ისევ გაიღიმა, წინ გაუსწრო თავის დედის ძმისწულს.

„პურრაახხ,“ დაიღრიალა მომეტებული სიმძაფრით ავაზამ.

მათრახი დაატყაცუნა გიორგიმ, საშინელის ხმით უყვილა ხვადს.

პირი გაუშვა მტაცებელმა მშველს, ისევ ამოუშვა გასისხლიანებულ პირი-დან: „პურრაახხ...“

გიორგი თამამად მივიდა მშველთან, ხანჯლით გამოფატრა იგი, ჯერაც ორთქლიანი ნაწლავები მიუგდო ნადირს.

ორი ცხენოსანი მოჰჭროდა ტრამალზე.

დაჩი ერისთავი და მონადირეთუხუცესი იცენეს.

ორივენი ფერგამკრთალნი ერეენა გიორგის.

„რა მოხდა, ვაჟაკებო?“

ეკითხება გიორგი რაინდებს.

„ავაზამ შეიპყრო მშველი, მაგრამ მიდგა და თავათ სჭამს, არავენ გაგვიკარა ახლოს, დაჩი ერისთავს ლამის არ წასჭამა ბარკალი“.

მოახსენებს მონადირეთუხუცესი მეფეს.

„ვერა ყოფილხართ მამაკები, თუ ერთმა ძემ დაგიჯაბნათ ამდენი თოროსანი რაინდი“.

გაიხუმრა გიორგიმ.

„ჩემი ქმარიც დაუშინებია ავაზას!“

გაიხუმრა ფანასკერტელის ქალმა, ძლიერ შეიკავა ღიმილი დიაცმა.

გირშელი ჯერ გაწითლდა, მერმე გაფითრდა, სამსკვალივით გულზე მოხვდა რუსუდანის ნათქვამი: „ქმარიც“ (განსაკუთრებით უკანასკნელი ასო „ც“).

არასდროს ჯერ ასეთი შეურაცხყოფა არ მიუყენებია არავის მისთვის.

კვლავ მოასხდნენ მონადირენი ცხენებს.

გუნება გაუფუტა ამ ერთმა ასომ გირშელს.

მეფე და შორენა წინ მიჰჭოდნენ, დანარჩენებს ჩორთვით მიჰყავდათ ცხენები ტრამალზე. რადგან არავის ემეტებოდა გახელებულ ავაზასათვის ბარკალი.

გიორგი გახარებული იყო, მუდამ მოწყენილი შორენა ასე რომ გაერთო ნადირობით.

მეფემ იდროვა ამით, ეუბნება კოლონკელიძის ქალს:

„ერთი რამ მინდა გკითხო, შორენა, ოღონდ არ შემრისხო. გევედრები წინასწარ.“

„მიბრძანეთ, რაც გენებოთ, მეფე ბატონო, ყმათა წყრომას მეფეები სად ურიდებოდნენ?“

„არავენ იცის, რომელია ჩვენ შორის ყმა!“

შორენამ გაიღიმა, დაინტერესდა.

„გულწრფელად მითხარი, შორენა, როგორ მოგწონს შენი საქმრო გირშელი?“

დაუყოვნებლივ ეს მიუგო ქალმა:

„რა უშავს, კარგი ვაჟაკია გირშელ, ლამიყლაპიას¹ რომ ხარ წაგაედეს ცოტა.“

მეფეს სახე გაუბრწყინდა, გადახედა გვერდით მომჭროლავს, კვლავ უნდოდა ეკითხა რაღაცა, მაგრამ შორენამ დასძინა ნათქვამს:

„მშიშარაც ყოფილა ყველისციხის პატრონი.“

ცხენი შეაყენა გიორგიმ ერთბაშად, უკან მოიხედა, რა დარწმუნდა შორს არიანო მხლებლები, ჯიქურ ეუბნება კოლონკელიძის ასულს:

„მოვაცილებ, თუ გნებავს, გირშელს?“

შორენა სდუმდა, მცირე ხნის შემდეგ ეუბნება ხმადაბლა:

„თქვენი ნებაა, მეფე ბატონო, ეგეც, მაგრამ მე ვიცი, მეფეებიც ვერ გადუღლენ განგების ნებას.“

მეფემ დეზი ჰკრა ცხენს, თავზე წაადგნენ გვირიან ტაფობს.

ქარაფის კიდზე მიემწყვდიათ შუბოსნებს ავაზა.

ვაგლეჯილ მშველის ლეშზე იდგა სისხლში ამოსვრილი მხეცი. ვააფთრებული ბრდღვინავდა:

„ჰურრაბ, ჰურრაბხ“.

უდაბნოს ცეცხლი ელავდა მის თვალებში.

ფარსმან სპარსიც აქ იყო, ვერც მას გაებუნდა ავაზასთან მისვლა.

გიორგიმ ცხენიდან ჩამოიყვანა შორენა.

ფარსმანი მიეჭრა და მოახსენა:

„ღვინო მოვატანინოთ, მეფე ბატონო, ახლაც, ღვინო სისხლს ურჩევნია ავაზას, დათვრება თუ არა, ქუჩივით დაგიჭერთ ხელით.“

გიორგიმ არა მიუგო რა, ხელი ჩაიჭნია და რაინდების ვასაგონად ესა სთქვა:

„ახლა ვინც ვაჟაკია, იგი მივიდეს მასთან“. თვალით აჩვენა ავაზაზე მხედრებს.

გირშელ ერისთავი გამოეყო რაინდებს, ოდნავ გაფითრდა, წითელი აბრეშუმის საფარველი ააფრიალა ნარცხენა ხელით, მარჯვენათი ხმლის ვადა მოისინჯა ფრთხილად, გულდაგულ მიეახლა ავაზას.

შეშხარავი ხმით ღრიალებდა ნადირი: „ჰურრრრრახს.“

უკვე ერთი ნაბიჯი უკლდა მშველის ლეშამდის გირშელს, სწორედ ამ დროს ისკუპა ავაზამ და მარჯვენა მხარში ეცა რაინდს.

ერთბაშად დაიკივლეს მანდილოსნებმა, რაინდებმა იშვიშლეს ხმლები, ავაზა მოეშვა დაკბილულს, უცნაური კამარა ვააკეთა ჰაერში ძუმ და ქარაფიდან გადაიხვეწა ლანდივით.

მწვანე ეტლში ჩააწვინეს დაკოდილი გირშელი.

დაცალბებული ავაზა ურემზე შესვეს, დაღვრემილი მანდილოსნები და რაინდები უხმოდ დაადგნენ მცბეთისკენ გზას.

¹ ლამიყლაპია — წეროა ერთგვარი.

შორენას გუნება ვაუფუქდა, გიორგის ჩამორჩა ვანზრახ, არსაკიმეს მოკვეებოდა ცხენდაცხენ, მდუმარე. როცა ხურსისეულ სასახლემდე მიაღწიეს ორთა, შორენამ ეს უთხრა ვაჟს:

„ხეალ სალამოს შემოგივლი, უტა.“

ე. კ. კ. კ. კ. კ.
გ. ი. გ. ი. გ. ი. გ. ი.

სასახლეში მისვლისთანვე გირშელი დიდ დარბაზში დააწვიინეს, თურმანიძე მცხეთაში აღმოჩნდა ბედად.

აეაზას ნაკბილარები უმნიშვნელოდ მიიჩნია აქიმმა, ფოლადის ბეჭთარს გადაერჩინა რაინდი, ორ კვირაში აეაყენებო დაკოდილს.

მეფემ ფარსმანი შეიყვანა საწოლის დარბაზში, მესაწოლე დაითხოვა, სელზე უჩვენა ფარსმანს.

შიშისაგან ცახცახებდა მოხუცი,

ვაჟ, თუ მე დამაბრალოსო აეაზას გაქცევა მეფემ.

ერთადერთი იმედი ეს იყო, უგუნებობა არ ეტყობოდა პატრონს. მეფე დაჯდა, ოფლი მოიწმინდა შუბლიდან და ეუბნება:

„შენ გეტყვი, ფარსმან, ახლა მითხარი, რაც უნდა გეთქვა სასახლის ბაღში იმ დღეს?“

კითხული ვერ მიუხვდა გულისხმას მეფისას.

„შენ ამას ამბობდი, კიდევ ერთი ზნე სჭირსო აეაზას...“

„მე ეს მინდოდა მეთქვა, გაქცევა იცის მეთქი შემოჩვეულმა ძემ.“

„როგორ უნდა გავიგო შენი ნათქვამი ახლა?“

„ზოგიერთი დიაცი ამითაც ჰგავს, მეფე ბატონო, აეაზას.“

აეაზას ხსენებაზე კოლონკელიძის ქალი გაახსენდა მეფეს, ფარსმანის იგავის შინაარსსაც მისწვდა, მაგრამ დაღუპდა, დაითხოვა მოხუცი.

XXXIX

ამ თავში მოთხრობილია, თუ როგორ დასაჯა „შანდლის ქურდი“ მეფემ. გირშელი მართლაც ვერ ადგა ორ კვირას. უმისოდ ფრიად მოეწყინა გიორგის. აღარც ნადირობანი იმართებოდა, არც ნადიმები.

შეგარდნები და მიმინოები ხარიხებზე ამთქნარებდნენ. დაცალებული აეაზა დღედაღამ ბრღლეინაედა, „პურრახ, პურრახ“ იძახოდა გააყებულები, ფარშავანგები უკმეხად ჩხოოდნენ სასახლის ბაღში, საჩიხეში ზღავეოდა ნებიერა, ნატრობდა ფხოვის მთებსა და მთავე წყალს.

გიორგი ადგებოდა ხოლმე, წავილოდა, თავათ ნახავდა, რომელი ირემი ზღავეისო ასე საწყალობელად? როცა გაიგებდა, რომელიც იყო, უკვირდა: როგორ დამსგავსებიაო შვილი დედას, ირმების ჯგოფშიც.

და აგონდებოდა კოლონკელიძისეული ფურიერემი, რომელმაც ტყვეობაში ლიკოცხლეს, თავისუფალი არჩია სიკვდილი.

ხანგრძლივი წვიმები დაიწყო, სავსებით უჩვეულო ამ დროს მცხეთაში.

მარიამ დედოფალი უფლისციხეში ჩამოვიდა აფხაზეთიდან. მელქისედეკმა წიგნი მოიწერა, ბიზანტიელი სტუმრები მომყავს, ერთი თვის შემდეგ ქიქე-ბიო მცხეთაში.

სტუმრები სასახლიდან წავიდნენ, სიძვის დიაცებიც გაიკრძვინნ მცხეთიდან. ცოქალამ ანუ თევზისფერმა ძროხამ, ნოკორნას წაიყვანა ნათია, საფირონის თვალეზიანი ჭალწული, რათა ჯაჭვით ნაბამი წმ. გიორგის შვილიანად ხლებოდა ახალ საბრძანისში.

დაჩიმ და რუსუდანმა ცხვილოსციხეს მიაშურეს, რადგან ცოქალას დედოფლის ეშინოდა, ხოლო „ულვაშიან“ რუსუდანს მელქისედეკ კათალიკოსისა.

დღისით დაუცხრომლად წვიმდა. ღამე გადაიდარებდა ოდნავ, ციხის ჩარდახზე აღიოდნენ მეფე და ფარსმანი, უთვალთვალეზნენ მთვარეს, რადგან ურჩხულის დარი არმური გარს ეხვეოდა მნათობს, ფარსმანის სამთვარიოც ცულ ამბებს იუწყებოდა.

ეზოსმოდღვარის სვირინგებიც ვერ იძლეოდნენ სანუგეშო ნიშანს. გიორგი დიხააც ნატრობდა, კეთრი აღმოაჩნდესო ეგებ, მაგრამ რაკი ეს სვირინგები ოდნავ გაშავდნენ, უკვე შიშმა აიტანა უშიშარი გიორგი.

თურმანიძე არტანუჯს წასულიყო, ამიტომაც სალამოსთვის ახმობინა ფარსმანი.

შაბათს მთელი დღე შინ იჯდა გიორგი, ხან ფსალმუნს კითხულობდა, ხან თრიაქსა¹ სწევდა, ხანაც ფარსმანის ახალ სამთვარიოს ფურცლავდა, უფუნეზოდ იყო, ავაზისაგან გირშელის დაკბენაც ქენჯნიდა მკირედ.

ნასადილევს წვიმამ გადაიღო, მელანქოლიამ წამოუარა, ყიალი მოენატრახსევე ველეზზე, ისევ მოუნდა წრის გარშემო ტრიალი. მალეშარბოლი უშიშარაისძე ახმობინა, პიპა.

ასე შეუთვალა ფარსმანს:

ეზოსმოდღვარი ინახულე და მოდიო ახლავე, მამცნე თუ რა სჭირსო ხუცესს?

თავით მალეშარბოლს უბრძანა: ორი ცხენი მზად გყავედეს მიმწუხრისათვის, საფურცლესკენ გავისეირნოთო მე და შენ ორთა.

როცა ფარსმანი საწოლის დარბაზში შემოვიდა, მეფე თვალდახუჭული იწვა პირალმა, ხელები მკერდზე დაეკრიბა, ნატანჯი სახე ჰქონდა, ალაგ-ალაგ დანაოკებული.

ჭალარაც მომეტებულად მოუჩანდა გაბურძგვნილ თმიდან.

ვერცხლის შანდალი იდგა სასთაულთან ორი.

ლიაკლიცებდნენ ცვილის სანთლები, ცვილისფერი მისდგომოდა სახეზე მეფეს.

ტაბლაზე ნარგილე იდგა, თრიაქის სუნი დაკმეულიყო დარბაზში.

მეფემ თვალი გაახილა, ფარსმანს ახედა და ამ წუთში შემოესმა დაცალეზული ავაზის: „პურრახ, პურრახ...“

უშიშარაისძეს უბრძანა:

¹ თრიაქი — ოპიუმი.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

სელი მოართვო სტუმარს.

„ინახულე ეზოსმოდღვარი?“

ეკითხება ფარსმანს, ხენეშით ქვე დამჯდარს.

„ვინახულე ავადმყოფი, მეფე ბატონო.“

„იკოდე, დღეს მაინც მხოლოდ მართალი უნდა მითხრა, ფარსმან.“

„განა ოდესმე ტყუილი მომიხსენებია, მეფე ბატონო, შენთვის?“

„მხოლოდ სულელები ეუბნებიან მართალს, ჩემო ფარსმან, მეფეს.“

„ეგეც სწორია, მეფე ბატონო, მაგრამ ერთი დღე მაინც უნდა გამოუ-
ტყუროს მართლის თქმისა კაცმა.“

„მაშ ეს სალამო იყოს ასეთი.“

მეფემ გაიკინა და ფარსმანს იამა ფრიად.

„როგორ გგონია, კეთრი ხომ არ სჭირს ხუცესს?“

„არა, ბატონო, არ უნდა იყოს კეთრი.“

„ან ეამი იყოს ეგების?“

„არა მგონია, ეამის ნიშანის რომ იყოს ეგ სვირინგები.“

„მაშ შენ მარწმუნებ, ამ სალამოს მხოლოდ სიმართლის სათქმელად ხარ
მოსული, ფარსმან?“

„მხოლოდ სიმართლის მაუწყებლად მატარებენ ჩემი ბებერი იოგები, მეფე
ბატონო, მუდამეამს.“

„ისეც რა გითხრა მე შენ, ფარსმან!“

„ის მითხარი, რაც გენებოს, მეფე ბატონო.“

„მაშ სად იყავი ამდენ ხანს? სულ სიმართლეს აუწყებდი დილიდანვე ქვე-
ყანას, არა?“

„თევზებს ვითვლიდი გულდამაყრისკენ, ღამის მაყრად მიმავალთ.“

„რამდენმა აიარა ამ სალამოს ზევითკენ?“

„იმდენმა, რამდენიც სიტყვა მაქვს შენთვის სათქმელი, მეფე ბატონო, მარ-
თალი.“

„მაინც რამდენი იქნება ივინი?“

„რამდენიც კითხვა ექნება ჩემს პატრონს ჩემთვის მოსაცემი“.

„ამ თევზებსავეთ ხომ არ ჩაივლიან მერმე ის სიტყვები, ბერიკაცი?“

„არა, ჩემი სიტყვები დღემილში დაიძრებიან ნელა, სავსებით ნელა ჩასწე-
დებიან მსმენელს და ისე გვიან ეწვეთებიან გულს, როგორც ნარგილეს მილში
გავლებული კვალი თრიაქისა. გვიან მიაღწევენ მსმენელის გულამდის და
გვიან, გვიან მიჩვენებენ ზემოქმედებას.“

მეფემ თავი აიღო, ორივე შანდალი უჩვენა თვალით და ეუბნება სტუმარს:

„მე ხშირად ჩამძინებია შენი ჯადოსნური საუბრის დროს, ფარსმან, თუ
ახლაც მომეკიდოს რული, ადგიქი მაშინ, ეს შანდლები აიღე, მცირე დარბაზს
რა გასცდები, მსახურები დაგიხედებიან ტალანში, დღეს მითხრეს ალყა და
ქონი გამოლეულა სასახლეში, მიუტანე ეს შანდლები მათ.“

უბრძანე: არ გამაღვიძონ, სანამ მალემსრბოლი არ მოვიდეს, პაპა.“

ეს უთხრა და დადუმდა მეფე.

მცირე ხნის შემდეგ ეუბნება ბერიკაცს:

„სიტყვისა და თრიაქის მსგავსება კარგად გამოხატე წელან, ახლა იგიც მამცნე, რითი არა ჰგავს კაცის სიტყვა ბანგს?“

„რითი არა ჰგავს კაცის სიტყვა ბანგს?“ გაიმეორა ფარსმანმა.

„მხოლოდ იმას ათრობს თრიაქი, ვისაც ასმევენ ხოლმე, — მწერს მწერტყვას ერთს ეტყვი ხშირად და ათასებს ეძგერება, როგორც ირიბად გასროლილი ქვა.“

„ქვაო? ვისა სმენია ირიბად სროლა ქვისა?“

„ჩემს ბალობაში ცალიერი კოკების მსხვრევა დამჩემდა ერთხელ. საჯინბოს კედლის გასწვრივ დავამწკრივებდით ცარიელ კოკებს მე და ჩემი ტოლები. მერმე მივსდგებოდით და კედელს დავუშენდით ქვას. უკუიქცოდნენ შეტყორცნილი ქვები, განუკითხავად ამსხვრევდნენ კოკებს.“

მოგვისწრებდა განრისხებული მზრდელი, დავიფიცავდით: არ გვისვრიას ცალიერი კოკებისათვის ქვები.“

მეფე დადუმდა, შემდგომ ამისა ეკითხება ფარსმანს:

„რად მეჩურჩულები ამ საღამოს, ფარსმან? მე ოდნავ მთვრალი ვარ, მართალია, თრიაქისაგან, მაგრამ ასე ვვინებ ჯერ შორსაა ძილი, ვარდა ამისა, შენ ისე ბრძნულად მესაუბრები; შესაძლოა, არც დამეძინოს დიდხანს.“

„მე ერთი მწვრთნელი მყავდა სიბრძნისმეტყველი ქაირში, აბუბეკრ-ისმაილინ-ალი აშარი ერქვა სახელად იმ ბრძენს, თავათ შლეგივით დაყილობდა ამ ქვეყანაზე, სხვებს ურიგებდა სიბრძნეს.“

იგი ითვლებოდა იღუმალთა მომთხრობად და ჩურჩულის ოსტატად ალპაქიმის სასახლეში, ოდესღაც.

სწორედ მან მასწავლა, მეფე ბატონო. მეც, დიდი ქეშმარიტბანი ჩურჩულით უნდა უთხრაო დიდკაცებს ყურში, ხოლო იგი, რაც დიდ ბაზრებში ყომარბაზობის დროს უნდა წამოგცდეს, ისე უნდა იყვირო, როგორც წყლისა და თაფლის გამყიდველნი ყვირიან ქაირში, რათა მეჯადაგებმა და მესამლეებმა გაიგონონ, თაფლი და წყალი შეისყიდონო შენგან.“

„აბა ერთსა გკითხავ და მალე მაინც მომიგე პირდაპირ.“

„მე არასოდეს არ ვლაპარაკობ პირდაპირ, რადგან ირიბად ნათქვამი უფრო პირდაპირ სჭრის, მეფე ბატონო, მუდამ.“

მე და ჩემ ტოლებს რომ პირდაპირ დავგეშინა ცარიელ კოკებისათვის ქვები, უთუოდ ცხვირპირს ჩავგილეწავდა მზრდელი.

ათინაში ერთი ღვთაების კერძი მდგარა თურმე, ის ღვთაებაც იღუმალთა მიმთხრობად მიაჩნდათ ბერძნებს, იგი არაფერს იტყოდა პირდაპირ, ყოველივეს ირიბად ამბობდა, მუდამყვამს ანიშნებდა მხოლოდ.“

მეფემ დაამთქნარა, თვალი დახუჭა, ისევ მიუბრუნდა ფარსმანს:

„ახლა ეს მითხარი, როგორ მოგწონს ხუროთმოძღვარი არსაკიძე, ფარსმან.“

„არა უშავს რა, კარგი ვაჟია არსაკიძე, ლაზი, მაგრამ იგი უკეთ ხატავს, ვიდრე აშენებს. მელქისედეკის მიერ მისი დანიშვნა მაინც ერთ ამბავს მაგონებს უცნაურს...“

„კათალიკოსს არ დაუნიშნავს იგი, მე თავათ ავარჩიე არსაკიძე, ფარსმან.“

მოხუცი შეერთა და დადუმდა.

სასახლის ბაღში ღრიალებდა ხვალი ავაზა: „ჭურჩაბ, ჭურჩაბ“

„ნუ გეშინია, ჩემო ფარსმან, რაც არ უნდა მითხრა აწი, იმისთვის არ დაგსჯი დღეს.“

„მეფეებს ასე გჩვევიათ, თუ მართლის მთქმელი იმ დღეს დაინდვეთ, სამი წლის შემდეგ სამგზის აზღვევინებთ სიმართლისათვის.“

„არც სამი დღისა და არც სამი წლის შემდეგაც... ვფიცავ.“
ფარსმანი ყოყმანობდა და გიორგიმ გაუღიმა.

„მაინც რას ვაგონებ, არსაკიძის დანიშვნა, ფარსმან?“

„ჯოჯობეთში მღვდლები გაუწყვეტიათ ეშმაკებს და ყვენი დაუნიშნავსო თურმე ხუცესად ღმერთს.“

მეფემ გადაიხარხარა და ფარსმანი გამხნევდა.

„სვეტიცხოველი როგორ მოგწონს, ახლანდაგები?“

„ახალი წიგნის გამო არაფერი ითქმის, სანამ ათასჯერ არ გადასწერენ მას სხვანი, არც ახლანდაგებულ ტაძრის გამო ითქმის ამაზე მეტი, სანამ ათასი წლის მიწისძვრები არ გამოსცდიან ნაგებობას მისას.“

„შენ ისევ ირიბულად ბნელმეტყველებ, ფარსმან.“

„მე მაინც ასე მგონია, მეფე ბატონო, ახლაც, საუკეთესო წიგნი მაინც იგია, რომელიც ჯერაც არ დაუწერია არავის. რაიცა შეხება ტაძართაგანს საუკეთესოს, ჯერაც არ აგებულა ასეთი მიწაზე.“

„ახლა ჩემი ვაზირების გამოც უნდა მამცნო მცირედი. რომელი უფრო მოგწონს მათ შორის, ფარსმან?“

„მხოლოდ იგი, ვინც ერთ დღეს მაინც ეტყვის თავის პატრონს სიმართლეს.“

„მერე რომელია ასეთი?“

„ვგონებ, შენს ვაზირებს ყველას სათითოოდ ეშინია შენი. ჩემზე უკეთ მოგესხენება, მლიქვნელების თათბირები არც ერთ მეფეს გამოსდგომია ჯერაც.“

მეფე თავქვე დაწვა, ხარხარებდა, ხელით იწმენდდა სიცილისაგან გადმოღვრილ ცრემლებს.

უფრო და უფრო გამხნევდა ფარსმანი.

„მეფეებს ერთი უბედურება სჭირთ ასეთი: მშიშარანი რომ ვეზირებად არ გამოდგებიან, ეს ხომ ისე თვალსაჩინოა, როგორც არაგვის დაღმა დინება?“

„უეჭველად სწორია ეგეც.“

„მაშ თუ ეს სწორია, რა უნდა ჰქნას მეფემ? ჯერ არც ერთი მეფე ჰყვიან ვეზირებს არ გაუხდიათ ბრძენი. თუ ისეთი ვეზირები გაიჩინა, რომელთაც მეფის შიში აღარ ექნებათ, მაშინ ისინი თავათ წაეპოტინებიან ტახტს!“

ეგეც დაუმოწმა მეფემ.

ღიმილით ეკითხება ისევ:

„კიდევ რა სენი სჭირთ მეფეებს, ფარსმან?“

ფარსმანი დადუმდა, შეყოყმანდა ოდნავ.

„მე უკვე მიწია ნასადილევს მოწეულმა თრიაქმა. შენი სიტყვების ზედგაღ-
ლენა ჯერაც არსად სჩანს, შენ ხომ იცი, სიმთვრალეში ფრიად კეთილი რომ
ვარ, ფარსმან?“

„შენ სიფხიზლეშიაც კეთილი ბრძანდები, მეფე ბატონო, მეფემ ^{ქვეყნის} მუდამ
მეფემ ყური არ ათხოვა უკანასკნელ სიტყვებს და განაგრძო:

„ერთხელ ვილაც მთვრალმა მდაბიორმა ცხენი მომიკლა მცხეთაში, მე გა-
მებარდა, თავით რომ ვადავრჩი, გარდა ამისა, მთვრალი ვიყავი, მდაბიორის
სამოსში გადაცმული, ამიტომაც არაფერი ვაკადრე მთვრალს.“

„ეგეც მსმენია, მეფე ბატონო.“

მიუგო ღიმილით ფარსმანმა.

„კიდევ რა ზნე სჭირთ მეფეებს, ეგეც მითხარი ბარემ.“

„ქედმაღლობა მეფეების უდიდესი უბედურებაა. მეფე ყოველ ქვეყანაში
მარტოხელაა და ერთადერთი, იგიც ხომ ცხადია, მარტოსული არასოდეს იქ-
ნება მთელი.“

რამდენად უფრო აღმატებულია მარტოსული, მან უფრო კარგად იცის,
რომ ერთი კაცია, თავის უდიდეს სიბრძნეშიაც შლეგად ითვლება მუდამ.“

„მერმე, მერმე?“

ეკითხება მეფე და შესცინის თრიაქისაგან აღრეული თვალებით ბერიკაცს.

„მერმე მიმოიხედავს ხოლმე მარტოსული იგი და რაკი თავის მსგავსს ვერა-
ვის ნახავს სხვას, მას ხელიდან ეცლება უძვირფასესი სამკაული კაცთა მოდგ-
მისა, თავმდაბლობა.“

ორივენი დადუმდნენ, სასახლის ბაღიდან ისევ მოისმა დაცალებული ავა-
ზის: „ჰურაბ, ჰურაბ...“

„ნამდვილი თავმდაბლობა, განაგრძო ფარსმანმა, აროდეს აურიო მონისა
და მლიქვნელის თავმდაბლობაში, არც იმ გლახაკის თავმოდრეკილებაში, სა-
მოგვის თასმებს რომ უკოცნის პატრონს.“

უდიდესი უბედურება მაშინ ეწვევა კაცს, როცა მას დააეწყება, რომ
კაცთაგანი, უფლისწულია ყოველი.

მეფეებსა და შლეგებს ზნედა სჭირთ ხოლმე, სხვაზე უფრო აღმატებულად
შერაცხავენ თავისთავს და ვინც მას გაუტოლდება, თავს წააცლიან უთუოდ,
ხოლო იგი, ვისაც უმცირესზედაც აღმატებულად თავი მოაქვს, სწორედ იგია
ქედმაღალი, მეფე ბატონო.

მე რომ მესსია გზაში შემეყაროს და მითხრას, სხვას ჯობიხარო, ასე მი-
ეუბნები: შენ არ ყოფილხარ მეტქი, მესსია.

მეფეები და ლომები მარტობაში ხდებიან გულზვიადნი, აზვადებიან და
მოიწყენენ, მარტოხელნი ილუპებიან კიდევაც.“

ფარსმანმა კვლავ გაიგონა ზეადი ავაზის ღრიალი:

„ჰურაბ, ჰურაბ.“

მწუხრი უკვე მოსწოლოდა დიდი დარბაზის სარკმელს, დახედა მეფის
სარეცელს.

თვალდაუჭული იწვა მეფე გიორგი, ცვილის სინათლისგან მარჯვნივ
შუქი უსიცოცხლო სიყვითლეს აძლევდა მის სახეს. იგი მძინარეს როდღი მი-
აგავდა, არამედ მიცვალბულს.

დასძინებიაო, გაიფიქრა ფარსმანმა.

აღგა, შანდლები თან წაიღო და ფეხაყრევით გაიპარა სულგანაბული.

მკირე დარბაზის ტალანამდისაც არ იქნებოდა მისული იგი, უშიშარაისძე
შემოვიდა საწოლის დარბაზში.

მეფე წამოდგა და ეუბნება მალემსრობოლს:

„ფარსმან სპარსმან ვერცხლის შანდლები მოიპარა, ერთი წამოეწიე, პიპა,
და ორიოდე პანღური ამოკარი მაგ ბებერ ძაღლს.“

• •

როცა გიორგი და პიპა სასახლის კიბეზე ჩამოდვიდნენ, ფარსმან სპარსი
იქვე იჯდა, წამოდგა, მეფეს მიეახლა და მოახსენა:

„შენ აკი დამპირდი, მეფე ბატონო, არ დაგსჯიო სიმართლის თქმისთვის?“

მეფემ წარბები აწკიპა, გაიკვირვა თითქოს ერთბაშად.

„??? განა სიმართლისათვის გაგაპანღურეს მართლა? ეს შანდლების მო-
პარვისათვის დაისაჯე დღეს.“

ფარსმანი გაოცდა.

მეფემ გაუცინა და ეს უთბრა მოხუცს:

„შენ ირიბი ზმები გყვარებია, ჩემო ფარსმან, ხოლო ირიბი პანღურები
მეფეებს სრვევიათ ხოლმე.“

• •

ერთი სიმართლე მაინც დაუშალა იმ საღამოს ფარსმანმა გიორგის, მან
შეატყო, თამის სვირინგები რომ აჩნდა ეზოსმოდღვარს, კიდევ ერთი რამ მო-
ახსენა გიორგის მცთარი ამბავი და ამის გამო წაიკითხე ეს:

შ ე გ ო ნ ე ბ ა :

ერთხელ სამი მუსიკოსი გამოსულიყო მოედანზე საღამოს.

იღვინენ და უკრავდნენ ტკბილად.

გარსმოჯარული ხალხი ფერხულს უვლიდა მათ გარშემო, გაიხარებდნენ
სალამურის, ქიანურისა და სტვირის შეწყობილ მუსიკობისაგან აღტყინებულნი.

ერთი ყრუ მიეახლა ამ მუსიკოსებს, მას არც ხმა ესმოდა და არცა სიტყვა-
რა სულელია ეს ხალხი!

გაიფიქრა ყრუმ.

სამი კაცი ხელს აფათურებს, ერთს ლერწამი გაურჭვია პირში, მეორეს
ძელის ნაჭერი აუღია და ძელისავე წყებლით უხახუნებს ზედ, ხოლო მესამეს
გაბერილი გუდა პირთან მიოტანია და ეს ამდენი ხალხი შლეგურად როკავს
ამ ამბის შემყურე!

როცა ოსტატის მიერ შესრულებული ქმნილების დიდებულებას ვეღარ ჰხე-
დავს შურისგან აღვსილი, ხელმოკარული ოსტატი ვინმე, იცოდე, მკითხველო,
ამ ყრუს მიაგავს იგი, იმ სამთა ტკბილი მუსიკოსის ვერ შემსმენელსა.

XL



თავდაპირველად ქვიშისფერნი იყვნენ ღრუბლები, მაგზამქრის მთვარე თავზე წამოადგა ჯვარისმონასტერს, გაყვითლდნენ ისინი.

მერმე ატყდა სხივის ლიკლიცი ცაზე. გაღურჯდნენ მთები, ხოლო ღრუბლებსა და ცას ქედანისფერმა გადაჰკრა იერმა.

აივნიდან ხედავდა არსაკიძე ამას ყოველივეს, მერმე მის თვალწინ თალხმა ფერებმა დაიჯაბნეს ნათელი.

ნელნელა გაშავდნენ ხეებისა, ეკლესიებისა და ციხეების ზეთავები გარშემო, გამოხურვებულ ოჭროსფრად გაიელვა ზეცის ბალთებზე დასაველეთისკენ, შორს.

და სწორედ ამ დროს გაისმა ციხეების გოდოლებიდან საყვირის ხმა პირველად.

ეს იყო ნიშანი, შეციხოვნენი სცვლიდნენ ურთიერთს.

ბინდი დაეშვა რატისეულ ხილნარზე, თალხი ფერები გადაანთხია ყვაველებსა და ბალახებს მწუხრმა, ჩრდილისებრ ნახაზებად იქცნენ ხეები და სივრილე შეიძინა აივანზე მჯდომარემ.

აღვა, დარბაზში შევიდა.

ნონაის უკვე აენტო ჭალები.

სულ პატარა, სულ პაწია პეპლები ცეკვავდნენ შუქის გარშემო დარბაზში.

ბუს მართვე წივოდა ხილნარში.

დიღხანს იჯდა არსაკიძე დარბაზში და უსმენდა მარტოსულის ძახილს.

ახლა მოზრდილი პეპლები შემოაბარულიყვნენ დარბაზში, თალხი, საცესებით თალხი ფარფლები ჰქონდათ მათ, კიდევადე დაწინწკლულნი წითლად და ყვითლად, ჭალებს უვლიდნენ გარშემო.

ველარ გაუძლო არსაკიძემ ამის ყურებას, ადვა, ისევ აივანზე გავიდა, სიბნელეში განმარტოება მოენატრა კვლავ.

ატყობდა თავათაც ოსტატი:

სულ მცირე ხანში ხასიათი გამოეცვალა. მოუთმენელი, დაუდგრომელი გახდა იგიც, როგორც ეროსი სულწასული დედისა და უეჯიათი მამისაგან წარმოშობილი.

დღეს გათენება აგვიანდებოდა, მზეს ბნელში ჩასვლა, ხოლო საღამოს მიმწუხრად ქცევა. ასე გამოდიოდა, თავათ მნათობებსაც შეუცვლიათო ჩვეული ეტლი მის თვალწინ ანაზღად.

უშთავრესი მაინც ის იყო, მარტობას ველარ უძლებდა მარტობაში გაზრდილი კაცი.

ბნელში დაბადებული ბუს მართვე ბნელს უჩივოდა ხილნარში.

მადლობა უფალს, დასასრულს რომ მიეახლა მისი საყვარელი ქმნილება უკვე, თორემ რომელ გულს ეყოფა ძალა, მიჯნურობასა და ზელოვნებას ემსახუროს ორსავეს თანაბრად?

ასე ყოფილა ეამის დასაბამიდან, ერთი ბომონი ვერ დაიტევს ვერასდროს ორ კერძს.

ისევე იცვალა სამყოფელი მოუსვენარმა.

ბალში ჩავიდა.

ლამე შემოსულიყო რატიხეულ სასახლეში, მაინც არ სჩანდა ვერც ერთი კაცი.

სამი საღამო წვიმდა ზედიზედ, დღეს გადაიღო, მაგრამ იგი არ მოდიოდა. იდგა ცაცხვის ტანს მიყრდნობილი, ყურს მიუგდებდა უმცირეს ჩქამსაც.

სდუმდა ხილნარი. ფოთლები არ იძვროდნენ, მარტოშთენილი ბუს მართვე იძახოდა საწყალობლად. მხოლოდ მისი ხმა მოესმოდა არსაკიძეს, ბნელში მდგომარეს.

თვალეზ დახუჭულს შორენას ხმა შემოესმა ახლა ანაზღად.

ასე ეგონა: ჩოხის ღირკილოებსაც მისწვდნოდა, ეუბნებოდა თითქოს ჩურჩულით:

„რამ დაგაღონა, აპა მოვედი, რამ დაგაღონა, უტა?“

თვალი გააბილა, მთვარეს აპხედა.

ისევე დახუჭა თვალი, ყამის სრბოლაც გადავიწყნოდა ლოდინისგან გულშეღონებულს.

ნაადრალი ზღვის ტალღების დარად უკუქცეულან წლები. კვლავ ყრმა გამხდარა უტა, მობრუნებულან ბავშვობის დღენი.

ის ნეტარი დრო, როცა სჯეროდა გულმართალს მათი: მზე და მთვარე ერთი დედის ძუძუმტენი რომ ყოფილან თურმე ოდესღაც.

ქალსა და ვაჟს ერთმანეთი შეყვარებოდათ.

დაუტუქსავეს ორივენი მშობლებს.

ქალი მზედ იქმნა, ყმაწველი მთვარედ.

ციცხლად ქცეულან და აჭრილან ცაში ორივე.

ათასეული წლები გასულან, როგორც თვალის დაფახულება ერთი.

დაძებნენო იმის შემდეგ შეყვარებულნი ძუძუმტენი ერთმანეთს დღემდის. მზეცა და მთვარეც სიყვარული ყოფილა თურმე.

და ეს ასეა, ვისაც ოდესმე სიყვარული გამოუცთია, მას უგემნია თავათ სიკვდილი.

ან თუ ღმერთია სადმე ამ ქვეყნად, სიყვარულია, ალბათ, ის ღმერთიც.

შეკრთა ერთბაშად.

ქარი ხომ არ არხევდა ხილნარში შტოებს? მარტოობას ხომ არ უჩივოდა ბუს მართვე სადმე?

ეძინათ ტკბილად ყვავილებსა და ბალახებს, მხოლოდ ფუტკრები გალობდნენ ძილში, ან სიყვარული თუ მღეროდა ვაჟაკის გულში?

პყვევოდნენ ბნელში ბალის ვარდები და ხატაური გლიცინიები ისე მკაფიოდ მოსჩანდნენ კიდეც (ვაზის მტეენები, სვეტიცხოველისა, ოსტატის ხელით ამოჭრილი თეძამის ქვაზე!).

„სიყვარულია თავათ ღმერთი ამ ქვეყანაზე.“

ეს გაიფიქრა არსაკიძემ და ქალის კაბის შარიშური შემოესმა ბალახებიდან. მოიჩქაროდა მისკენ ლანდი რიდემოსხმული, მთვარის შუქისგან დათოვლილი მოსჩანდა იგი.

„აქ რად მიცდიდი, უტა.“

ეს უთხრა ქალმა.

და როცა ცხადლივ შემოესმა მისი ამო ხმა, კვლავ გამგონის მისი პირიდან თავისი ლაზური სახელი, რომელსაც უკვე აღარავინ უძახოდა ამ მარტოობაში, ეს უნდოდა არსაკიძეს, სველ მდელოზე დაჩოქილიყო, ფერხითი დაეარდნოდა სანატრელს, მას, ვინც არაფერს არ დაერიდა და ეწვია ღარიბ ოსტატს, სიყრმის მეგობრობის გასაახლებლად.

თავი შეიკავა, საკოცნელად წაეპოტინა მის ხელებს.

ღარბაზში შესულთ ეს შეამჩნიეს: შავი პეპლები დაფარფატებდნენ ქალეზის გარშემო, ზედ ეხლებოდნენ ცეცხლს. ფარფლ შეტრუსულნი ძირს სციკვოდნენ, ფართხალობდნენ საწყალობლად.

მღამიობებით გავსილიყო მთელი ღარბაზი, თავბრუდამხვეველ ფერხულს უვლიდნენ, დარიალელებდნენ ღარბაზში წყვილად.

რიდე მოიხსნა შორენამ.

არც მარგალიტის ქუდი ეხურა, არც აღმასების მანიაკი ეკიდა ყელზე. არც ხატაური აბრეშუმის კაბა ეცვა, არც საწმერთული ხობის ყელისფერი. ფხოვეური, თალხი სადიაცო ეცვა, ისეთივე სადა, როგორცაჲ მისი მოახლენი ატარებენ ხოლმე ყოველდღე.

ფერგამკრთალი სჩანდა.

ყინწვისის ანგელოსივით მკმუნვარე.

მხოლოდ ახლა მიხვდა არსაკიძე, რომ მისი აღმასის ქუდები, ღიბის კაბები, აბრეშუმის საწმერთულები და მარგალიტის სამკაულები, ეს ყოველივე ნიღაბი ყოფილა თურმე, გიორგი მეფის გარყვნილ სასახლეში სახმარებელი.

და ამას იმისთვის ჩაიღოდა, რათა არავის შეეცნო, რომ შორენა თავათ წააგავდა თავის საყვარელ ნებიერას, მკვირალობის დროს საჩიხეში აწრიალეზულს, ფხოვის მთების და მკავე წყალის მონატრულ ირემს.

ბუნებრივადაც მოეჩვენა თალხი სამოსიც, რადგან ეს გლოვა უფრო ამშვენებდა მას, ვიდრე აღმასების მანიაკები და ოქსინის ქათიბები ფერად-ფერადი.

შიშისაგან ცახცახებდა კოლონკელიძის ქალი.

ხომ არავინ არისო შენს მეტი ამ სახლში, უტა?

მომოიხედა, ვერავენ ნახა, მხოლოდ სურათს დაადგა თვალი.

შეხედა, შეკრთა, რა დაინახა ღმერთთან მეტროძოლი კოკლი იაკობ.

„სხვა ვინ იქნება აქ ჩემს მეტი, ამბობდა ვაეი, ნონაის სძინავს თავის სამყოფლოში დიდი ხანია, მე და ღმერთი ვართ ამ უბედურ, ბნელ სასახლეში.“

„როგორ თუ ღმერთი, რას ამბობ, უტა?“

გაოცებული ეკითხება ვაჟკაცს დიაცი.

ისევ მიჰხედა იაკობის ღმერთს, ქალი აიღო, ახლოს მიიტანა და მიაშტერდა.

„მელქისედეკ კათალიკოსს მიუგავს ამ ბებერს სახე. მე თავათ ენახე იმ სალამოს, როცა იაკობის მიერ ღმერთთან შეტროძოლებას შეეხო იგი. ხოლო იაკობ შენა გგავს, უტა!“

ოსტატი სდუმდა, (ასე სჩვევია ეს ნამდივლ ოსტატს, ნილაბს არ ახდის არასდროს თავათ, თავის ქმნილების პირველად სახეს).

სტუმარი სელზე დასვა მასპინძელმა. გვერდით მიუჯდა.

„მე ასე მგონია, სიზმრად გხედავდე თითქო, შორენა. რა დანაშაულებს, როგორი წამების ვზა უნდა გავგვევლო თურმე, რათა ერთმანეთი შეგვეცნო ბოლოს!“

მთელი ჩემი სიცოცხლე ღმერთის ძიებაში ვიყავი მე შლეგი, ფხოვეში, ლაზისტანში და ბიზანტიონში.

მხოლოდ დღეს მივხვდი, ჩემო, რომ ეს ცხოვრება არც ისე შრუდელდ წარუშარათავს არსთა განმგებელს. ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს. რათა თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს.

გვეგროდეს, ჩემო, საპატიო ვალია კაცისა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავად უნდა გახდეს შემომქმედი უფლის მეტოქედ“.

„რას ამბობ, უტა, მე მაშინებს შენი ნათქვამი“.

„შენ ხომ სხვა დიაცუბსავით მშიშარა არა ხარ. შენ არაეის ჰგავდი შენს სქესში, შორენა, ამიტომაც უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე მე შევიცნობდი. თუ რა იყო ქალი და კაცი? შენ რაინდებზე ადრე მიეახლე მეფის ავაზას.“

შენ ისეთი წმინდანი ხარ, უმძინვარესი მხეცებიც ვერ შეგბედავენ. თუ სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენა ხარ ჩემი სიყვარული და ღმერთი თავათ. ამიტომაც გიგულენბდი თანამდგომად მარტო ბრძოლაში“.

შორენა იჯდა ტახტის კიდეზე, თავჩაქინდრული უსმენდა ვაჟს.

გაოცების ნიშანიც არ ეტყობოდა მას, ასე ეჩვენა არსაკიდეს, დუმილშიაც შეუცვნიათ ეს ყოველივე დიდი ხნის წინათ.

მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა, თავზე ხელი გადაუსვა, როგორც გაბუტულ ბაღს მოეფერებიან ხოლმე.

ქალმა თავი აიღო მშვიდად, თავისი მჭმუნვარე თვალებით შეხედა ვაჟს.

„მეც შესავით მარტო ვარ, უტა, კვნესოდა შორენა, როგორც მარტოზე ქარისაგან დაბრიყვებული.“

მე მუდამ შენთან ვიყავი, უტა, მაგრამ შენ ვერ ჰხედავდი ამას. ხან შენი ხელოვნებით იყავი გატაცებული, ხან სიძვის დიაცუბს აეკიდებოდი, ხან ნაღირობდი“.

„როგორ, მე ხელი გკარი განა ოდესმე?“

„შენ ხომ გახსოვს, უტა, როცა ჭიანჭერი კვეტარს მოდიოდა ჩემს დასანიშნავად, მე გთხოვე მამიჩემის ცხენებზე შევსხდეთ, გავიჭყეთ მეთქი ღამით, ფხოვიდან?!“

„მახსოვს, მაგრამ მე ასე მეგონა, მართლაც ძუძუმტე იყავი ჩემი?“

„ახლა ვინ გითხრა შენ ეს ამბავი?“

„ფიცი მაქვს დადებული, არ გავამხილო.“

„ვიცი, ვინც გეტყოდა, მაგრამ ეს სულერთია.“

„შენ თუ იცოდი ეს, მზექალაი რომ ყოფილა ჩემი ძუძუმტე?“

„ვიცოდი, მაგრამ მე ამის თქმით გულს გაგიხსნიდი, არ ვარგა, როცა გულწრფელობაში ქალი დაასწრებს ხოლმე ვაჟაკებს.“

„მაშ ქიაბერი შენ არ გიყვარდა? მე ასე მეგონა ეს ქალწულს, მემი იყო ვათხოვების წინაშე, სხვა არაფერი“.

„ქალის გაჩენაში ალბათ ღმერთი არ გარეულა, უტა. ერაყის უღმრესი მიჯნურს გული აურჩევს საკუთარი დიაცს, ხოლო საქმრთობის მშობლები და მდგომარეობა. ჩემთვის ორგვარი არჩევანი იყო იმ ქამად.“

მეფე გიორგი, ან ქიაბერი.

იგიც ვიცოდი, ჩვენი დედებიც მუდამ მათ გაპყლიან ცოლად, ვინც არასდროს პყვარებათ ვათხოვებამდის.

მეცოდებოდა დედოფალი, ისე როგორც დიაცთაგანს შეებრალემა ხოლმე მეორე. არც სხვის უბედურებაზე აგებული ბედი მინატრია ოდესმე. სწორედ ამიტომ შევეურიგდი ქიაბერის ცოლად გახდომას.“

„ახლა?“

სიტყვა ჩააგდო არსაკიძემ გაოგნებულმა.

„ახლა, ყველაფერი გვიანაა უკვე, გვიჯობს, ნუ გავაღვიძებთ სიყრმის სიყვარულს. გირშელი მიაშობდა, მოულოდნელად გაღვიძებული ავაზააო ყველაზე მეტად საშინელი რამ.“

მე კი შგონია, სიყრმის სიყვარულის გაღვიძება მასზე მეტია.

გირშელი თუ გიორგი? მე ვიტყვდი: არც ერთი და არც მეორე. გირშელი საფრთხობელას მაგონებს, დათვებისათვის ყანაში დადგმულს.

გიორგი მეფემ თვალები დაუბნელა მამაჩემს, უმალ სიკვდილის ცოლი გავხდები...“

ბიძაჩემმა დაჩიმ სწორი თათბირი მითბრა, გიჯობს სადღეო მონასტერს შეეხიზნოვო რომელიმეს, და ეს სწორია.

სხვა გზაც არსებობს ერთი, მაგრამ სხვა დროსთვის იყოს ამის თქმა, უტა“. არსაკიძე ფერხითი დაუვარდა. შერმე ქედზე მოხვია მკლავი და აკოცა შორენას. სიყრმის პირველ ცოდვასავით ტყბილი იყო მისი ტუჩები...“

საყვირის ხმა მოისმა მუხნარისას ციხიდან.

ქალი წამოდგა.

ეუბნება ვაჟს:

„ახლა უნდა დაგტოვო მარტო, მშვიდობით, უტა“.

ყელზე შემოეჭდო არსაკიძე ქალს.

ამო იყო მისი სუნთქვა, როგორც მიწის სურნელემა ვარდობის თვეში.

„ყველაფერს შენ შეგწირავ, შენ განაცვალე, შორენა, ჩემს გულის სისხლს, ჩემს სუნთქვას უკანასკნელს. ოღონდ ნუ დამტოვებ მარტო.“

ხელი გააშვებინა არსაკიძეს კოლონკელიძის ქალმა.

მტკიცედ ეუბნება:

„საყვირის ხმა ისმის ხელახალი, უკვე გვიანაა, უტა!“

XLI

მიდიოდნენ ვიწრო შუკებში, ეძინათ მთავართა სანათლოსი ქოხებს. ამძუენებული ძაღლების ხროვა დაჯირითობდა ბნელში, მთვარე ვადმოსულიყო ღრუბლის საფარველიდან მრეში ტალებით დატვიფრული საესებით.

შორიახლოდან მიპყვებოდა არსაკიძე ერისთავის ქალს.

ხურსისეულ სასახლემდის რა მიაღწიეს, შესდგა, მიმოიხედა, აღმნიანის
სული არ ქაჰანებდა ირგვლივ, მივიდა, ორივე ხელები დაუჭოცნა:
ემუდარა: ნუ დამტოვებო მარტო.

ზეცის რეკასავით ამო იყო მისი ხმა.

კარგი, ხვალ საღამოს გამოვივლიო, უტა, თუ წვიმა არ იქნა, გამოვივლიო
უთუოდ.

უკან ბრუნდებოდა არსაკიძე იმავე შუკებით, ძალი დამჯდარიყო მიწუ-
რის ბანზე, თუჯის ქანდაკს მიაგავდა მთვარის შუქზე განჩრდილული მგელ-
ძაღლის ფიგურა, თავაშვერილი შესცქეროდა მთვარეს, ყმუოდა მარტოსული
საბრალოდ.

გაატრეოლა შემზარავი ყმუილის გამგონეს.

აუჩქარა ნაბიჯს, თავათაც აპხედა მთვარეს, თავათაც ინატრა: შემეძლოსო
მეც შევეყმუელო ცას.

მთლად იისფერი ბლონდი ზედ შეჰფენოდა მნათობს, მოწითალო სხივების
ძნა ქათქათებდა ზეცის თავანში. ასეთი მთვარე ჯერ არ ენახა მას.

მიფათურებდა არსაკიძე ბნელ ქუჩაბანდში, ქენჯნიდა თავისთავს, მამაკა-
ტური გულარძნილობის გამო.

ბიზანტიონის სამეძავო სახლების სიბინძურე თვალწინ დაუდგა.

ბერძნის კახები, თურქის დიაცები, ბიზანტიაში გაყიდული ლაზი გოგო-
ნები მოაგონდა.

ბალობიდანვე გაკახებულნი, უპატრონო დედაკაცები. გული ატრიეს ამ
სახეებმა.

რა დიდი მანძილი იყო ბიზანტიონიდან ფხოვემდის, ვარდისაბარი ასრუ-
ლებდა ამ სიძვის დიაცების მრავალფეროვან კრიალოსანს.

ყველას მიჰქონდა მისგან ოქროს სოლიდები, ზოგსაც ნამუსრევი სიკაბუ-
კის ცეცხლისა, არცერთი მათგანის ტბილი მოგონება არ დარჩენია თუნდ უმ-
ცირესიც.

ბოლოს შემოეყარა იგი, ვისაც პირველი სიყვარული უნდა რგებოდა, უკა-
ნასკნელი შეაძლიეს უკვე განწირულს და განიკითხეს არსაკიძე თავის ყმაწვი-
ლურ შეცოდებათა გამო.

ასე გამოდის ცხოვრებაში, სიყრმიდანვე იხეტიალებს სიძვის დამრეცილ ბი-
ლიკებზე ვაჟი, მერმე უცილოდ მას უნდა წაებოტინოს, ვინაც ისე სპეტაკია,
როგორც თოვლი რომაჰას მწვერვალის, ვინც ისე შეურყენელია, როგორც ვე-
ლის ყაყაოები.

ოჰ! რა სასტიკად განმკითხველია სიცოცხლისა და სიკვდილის უფალი!

კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ. რა ფრთხილად ივლიდა დედის
კალთას მოწყვეტილი ყმაწვილი, მან რომ იცოდეს წინასწარ: უმცირესი ვნე-
ბის გამოც განიკითხავს ვილაც იქნება მას.

წვიმის წვეთები გახურებულ შებლზე დაეცა არსაკიძეს, მიფათურებდა
ბნელში, ლოყებზე მოჰონავდა სისველე.

არა, ეს არ ყოფილა განკითხულის ცრემლები, წვიმა თქორავედ მცირედ-
უკვე აღარ სჩანდა მთვარე, მიწისფრად გამხდარ ღრუბლების ხნულეში მარ-
ტობელა ვარსკვლავები ელავდნენ აქა-იქ.

ეპიკურეზი

მიდიოდა არსაკიძე უქულოდ, ლოყებზე სილამე ეონადედი გუფიქრით ეტყობოდა,
თვალის უბეებს უსველებდა, ცრემლი კი არა, წვიმა.

„მე ბედი მაქვს ასეთი, ჩემი სიყვარული განწირულს ეკუთვნოდა მუდამ.
მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვ-
რებსაც გადავიწყნიათ უკვე, ისეთი ჩუქურთმები, თვით უხუცეს კალატოზებს
რომ ვეღარ გამოჰყავთ, ისეთი სამოსელი, რომლის ტარებაც უკვე არავის ეხა-
ლისება და ახლა ბედმა იგი შემაყვარა, ვინც ბედისაგან განწირულია.“

ამას ფიქრობდა არსაკიძე გაოგნებული.

შესდგა.

მხარი აქცეოდა.

გამობრუნდა ქუჩაბანდის ჩიხიდან.

ახლა ის მშვენიერი, ის სანატრელი დაუდგა თვალწინ.

რა ვაჟაკური შეუღრეკელობით შესცქერის იგი თავის უმწიკვლო ცხოვ-
რების დასასრულს!

მშვიდი და სათნო, როგორც ქედანი ველისა.

„ერთადერთი გზა დამრჩენია, მონასტრისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ რომე-
ლი მონასტერი მიმიღებს, თუ გიორგი მეფე ამას წინააღუდგა? არც მონასტერ-
ში დამაყენებენ განწირულს?“

ეს უთბრა შორენამ არსაკიძეს, როცა რატისეული ბალი გადაიარეს წელან-

ამას ამბობდა იგი, ვისაც ასეთი ფაქიზი გული დაჰყოლია, ვისთვისაც
ეგზომ უმწიკვლო სული ჩაუბერავს განგებას.

ვისი ფრჩხილის ნამუსრევად არა პლირის, არც ყველისციხის პატრონი, არც
გიორგი მეფე და არც მისი ხუროთმოძღვარი.

კიდევ არის ერთი გზა, ამის გამო შემდეგ გეტყვიო.

არსაკიძემ კარვად იცის, რომ ეგეც ისევე ბნელია, როგორც მონასტრისკენ
მიმავალიცა, კარებდახშულ მონასტრისკენ მიმავალი გზა.

რა თანადგომა გაუწიოს ამჟამად არსაკიძემ მას, ვინც უფრო ადრე უყ-
ვარდა, ვიდრე შეიცნობდა თუ რა იყო ქალი, ან კაცი? ფხოვში თან გაჰყვეს
და შეამზობხეთა გვერდით იბრძოლონ ორივემ?

მოაგონდა ის საშინელი ღამე კვეტარის ციხეში.

კატის ქნუტებივით ისროდნენ ციხის ჩარდახიდან ხვეისთავეებსა და ხვეის-
ბერებს ზეიადის სპანი.

აქაც უეშველი დაღუპვა მოელის შორენას.

ახლა სვეტიცხოველი?

ამ მცირე ხანში უნდა აკურთხოონ ტაძარი, მეამბოხეებს მიემხროს პატი-
ოსანი სიტყვით დილეგიდან გამოშვებული კაცი?

თავის ვაჟაკურ სიტყვას შეარცხვენს, გიორგი მეფე გულმძვინვარეა, თუ
ფარსმანიც შეუჩნდა, შესაძლოა დააქცევინოს კიდევაც ტაძარი.

შორენა ქალია, ყმაწვილი ქალი, მან ეს არ იცის: ომში წასვლაა სახალისო, მაგრამ ჯერ არა ერთი, თვით გამარჯვებული მეომარი ამავე ხალხისი უკან არ მობრუნებულა.

ერკინული

წვიმამ მოუხშირა, მიდიოდა სავსებით გაზუზული, მაინც მისი სიყვარული უტრიალებდა თავში.

ბოლოს მოაღწია შინ.

საშინელი გრივალი ამოვარდა. გაიელვებდა, მოიჭრებოდნენ ცისკიდურზე აფხორილი მთები, ისევ დაბნელებოდა ირგვლივ, ხელი დარია ზღვაურმა ხილნარს, კენესოდნენ ასწლიანი ცაცხვები, ქარი დაგელავდა ბაღში, აფორიაქებდა მახლობელ მუხნარს.

პირქვე დამზობილი იწვა არსაკიძე, წვიმა აღარ ხვდებოდა მის ლაწეებს, მაგრამ ცრემლები, ნამდვილი ცრემლები ალტობდნენ თვალებსა და ბალიშს.

შ ე გ ო ნ ე ბ ა :

მაინც სხვა რაღაა სიყვარული თუ არა და ღმერთი? ღმერთი კი არა, სიკვდილი. რაღვან მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადეთამოდ, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი...

• •

ასე უთქვამს ბრძენს: ავაზა ისეთი მზეცია, სიცოცხლეს იოლად რომ დასთმობს თურმე სიყვარულისთვის.

ბახუსს მან აწოვაო ძუძუ, ძვესისა და ზემელეს ძეს, ამიტომაც უყვართო გამიჯნურებულთ ღვინო, ამაღაც ეტანებიანო შეყვარებულნი სისხლსა და ღვინოს, ავაზასავით.

... და ეს ამბავი ავაზის ღღეს მოხდა.

XLII

კონსტანტინე არსაკიძეს მთელი ღამე არა სძინებია. ყურს უგდებდა წვიმის შხაპუნს, შიშობდა, ვაჲ თუ ხვალაც არ გამოიძაროს, ვაჲ თუ არ მოვიდესო შორენა.

გაიხარა, როცა საწოლშივე შეაგება ალერსიანი სხივები მზემ.

მშენებლობას მიაშურა უხმოზე, მაგრამ ეს იყო, თვით საყვარელი ქმნილების დანახვამაც ველარ მოჰგვარა ხალისი.

უგუნებოდ აძლედა პასუხს კალატოზების და მხატვრების შეკითხვებს. ყველა გაცოცხლებული იყო იმ ღღეს მისი დაუდევრობისა და გულგრილობის გამო.

წარამარა ეკითხებოდა ბოდოკია: ავად ხომ არა ხარ, ოსტატო, ხომ არ იტყივებო თირკმლებს?

იჯდა ქვის სახელოსნოში ოფლში გაწურული თავხელისძე, თეძამის ქვაზე სჭრიდა ფრთოსანი ღომის ხატებას.

წვალობდა მეჩუქურთმე, უმარჯვოდ ხმარობდა სატეხს, უკანკალებდა ხელი.

ლომის ფიგურა კარგად იყო ამოჭრილი სიბრტყეზე, მაგრამ ოსტატის თვალ-მა ეს შეამჩნია, სწორედ ფრთები ვერ გამოჰყავდა „ქრისტიან ოსტატს“.

მოუხეშავად გამოეკვეთა ფრთები, ქვაში არ იყო გამგდგენიებული ის სირბილე, გაშლილი ფრთისათვის ხელის შეუულებლად რომ სცემდა ჩუქურთმე კაცის თვალს.

გამოართვა თავხელისძეხ სატეხი, დაისვენო, ძიაკაცო, მცირედი, ეს უთხრა, თავით დაჯდა მის ადგილს ხუროთმოძღვარი მეფისა.

სწორედ ის მცირე ღარები უნდა ამოეჭრა ზედ, ზეაშვერილ მხარს ფრთოსანისას რომ აჩნია ხოლმე.

უცნაურად გაჯიუტდა ქვა, დაარტყამდა სატეხის თავს კვერს, კვესავდა ლოდის ნაჭერი, უკანასკნელი ცეცხლით იგერიებდა ოსტატის შემოტევას გაგულისებულ ქვა, ხედავდა ოსტატი, ისეთივე უხეში ხაზები გამოჰყავდა მის ხელში სატეხს, როგორც „მეჯადაგე ოსტატებს“ სჩვევოდათ ეს.

მოხუცი მეჩუქურთმეც ამჩნევდა ქვის ურჩობას და ოსტატის ხელის მოცარვას.

ოფლი გადაასკდა არსაკიძეს შუბლზე, იგიც სახოციო იწმენდა შუბლს, მარცხენათი კვერსა სცემდა უმოწყალოდ, მაგრამ სატეხიც ეურჩებოდა მარჯვენას.

ბოდოკია მოვიდა ბედად, ჩუქურთმიანი ლოდი უნდა ჩავდგათო კარიბჭის თავზე ერთი, კალატოზები ვთხოვენო თათბირს.

გაეხარდა არსაკიძეს იღუმალ, სირცხვილს რომ გადაარჩინა ხმობამ.

ლოდი აიტანეს მშვიდობით.

გაეცალა კალატოზებს ხუროთმოძღვარი მეფისა. ნატრობდა: ნეტავ არ მკითხავდნენ არაფერს, თუნდაც ერთ დღეს, ერთ დღეს მაინც ვეკუთვნოდეთ ჩემ თავს.

დადიოდა დარცხვენილი ოსტატი, ტაძრის გარშემო დაყიალობდა უსაზნოდ.

ისე ათვალეირებდა კარფანჯრების სამკაულებს, ფასადების ბარელიეფებს, ლავგარდანების ჩუქურთმებს, თითქოს ივინი სხვის მიერ ყოფილიყვნენ შესრულებულნი.

როგორი უდრეკი ენერგია ჰქონია მათ ოსტატს, რა ძალას დაუმორჩილებია ლოდების უჯიათობა ასე?!

მარმარილოსთვის სიტფო უსესხებია სულს, გრანიტისათვის ჰარილესებრი სირბილე.

ჩუქურთმებსა და როზეტებს ისეთი სიღბო გადაჰკრავდა ზედ, როგორიც საღმასურის ჯავშანს გადასდის ხოლმე, ვერცხლის ჯავშანს სამფარეშოსანს, ხანაც აბრეშუმის ქსოვილებს რბილი და მსხვილი ზეზისაგან შემტკიცულთ.

ჰველისებრ მღელვარება ეტყობოდა ზოგთა ზედაპირს, ისეთი ჰარმონიული, კლანია ხაზები, როგორც ვაზის ლერწებს სჩვევიათ ხოლმე, ზვიარების კლერტოებს, ნიამორებისა და მშველების გადრეკილ ზურგებს, ან არა და ზღვაურის სუნთქვით შეტოკებულ ყანებს, როცა მოდგება საღამოს ბორიო, გადაიჯირითებს ოქროს თაველებზე, დააუთოვებს თავთუხის ზღვა!

მარყუქიანი დეტალები, მცენარეულის სახეები ისე ფაქიზად იყენებენ შესრულებულნი, როგორც ახლად ამოსული პწკალები ვაზისა, და ის შემტრესი, ნატიფი ხაზები, ვაზის ფოთლებს წალმართ მხარეზე რომ ამჩნევია (ან ბრა და თელის მორს, სწორად გადაბერხილსა და ცვილით გასიპულსა).

ძლიერად გავლებულ, მომრგვალებულ ნახაზებს მოჩვენებითი დრეკადობა ირმის რქებისა ზედ ემჩნევოდათ.

თვალისმომჭრელი მამიკრიით ხიბლავდნენ მნახველს იდეალურად სწორ კვადრატების კიდებზე მიყოლებული წრეები, ყოველი მათგანი თანაბარის სისწორით იყო შესრულებული, სხვადასხვაგვარი ჩუქურთმებით შემკულნი.

ერთად შეაველებდი თვალს?

ერთნაირი გეგონებოდათ, ხოლო ცალცალკე — სხვადასხვაგვარი როზეტებით ნაქარგი!

და მთელი მრავალკიდოვანი ბუნება სიბრტყით განფენილი სამყაროისა, ისე ამოდ, ისე პარმონიულად, ისე რბილად გამოთქმულიყო ქვაზე, როგორც თავათ ღმერთს არ მოჰგონებია მისი მოცემა.

ასე, ცვილივით მორჩილი, ვაზის ლერწვივით დრეკადი, ჯეჯილის ზედაპირივით რბილი იყვნენ ეს ლოდები ოსტატის ხელში ოდესღაც და ახლა სატეხის მონატრული, უაღრესად ნებისდამყოლი თეძამის ქვეც წინ აღუდგა ოსტატს, ცეცხლს აფრქვევდა პირიდან და ეურჩებოდა მის მარჯვენას, ვისაც ეროსი ჩასვლოდა გვამში.

... ნურავის გაუკვირდება ეგ, რადგან ეროსი ზარმაცების ღეთაებაა, იგი ნადიმებს უფრო მეტად ეტანება, ვიდრე ქვის სახელოსნოებს.

სიმთვრალეში მიუდგა მამამისი თავის ცოლს, ძევესის ბაღში ნაქურდალ ნექტარით ვალეშილს.

ამიტომაც სხვის ვენახებსა და სხვის საცოლეებს უთვალთვალეებს მუდამ ეროსი, ნაქურდალი ღვინისა და სიყვარულისაგან გალოთებული.

ასე უკითხავად შეიპარება იგი თავათ ბეჯით ოსტატების გულშიაც, საყვარლისათვის ოცნებას, ღვინის სმასა და მუსიკობას მოანატრებს გამიჯნურებულთ.

• •

ბოდოკიას გადააპირა ორიოდ დავალება არსაკიმემ, ჩვეულებრივზე აღრე წავიდა მშენებლობიდან, გამოიპარა, როგორც ზარმაცი მონა.

მთავართა სანათლოის გარეუბანში, ღვინოს სვამდნენ ერთ ვენახში მეზურენი, შეიპატიეს, ყველი, მწვანილი, ახალი კიტრები მიართვეს, ხელადებით ასვეს წითელი ღვინო.

მეზურენი ისევ საქმეს მიუბრუნდნენ, ხოლო შეზარხოშებული არსაკიმე მცხეთიდან გავიდა. საფურცლისკენ მიჰყვა ტყეებსა და ველებს.

მიიმღეროდა მთვრალი, უცნაურ შიარებს ამბობდა მარტოხელი მგზავრი, მღეროდა, ღაპალუბით ჩამოდიოდა ცრემლები.

ქარი სცემდა სახეში, მიდიოდა, მიიმღეროდა, უკითხავად მოსული ცრემლები დაწვესთავებზე ჩამოსდიოდა, კარგად არ იცოდა მთერალმა, ვინ მოჰგვარა ეს ცრემლები?

ქარმა თუ ქალმა?..

ქარქვეშაში
შინგაღიწმინდა

• •

შეგონება:

ასეთი უგულო ვინმეა ეროსი, იგი მამაც მეფეებს დაალაჩრებს, თრიაქის სმასა და უსაზმნო ლოთობას შეაჩვიეს, ხოლო დიდოსტატებს, რომელნიც მტკიცე ხელით აქანდაკებდნენ თეძამის ქვაზე როზეტებსა და ყურძნის მტევნებს, შეჯადაგე ოსტატებს დაამსგავსებს, დაათრობს და გაახელებს. ბოლოს შინდერებზე სახეტიალოდ წარგზავნის, რათა საყვარლისათვის აკრეფინოს წარმავალი ყაყაჩოები ველისა.

XLIII

სალამომდის იხეტიალა არსაკიძემ ქალებში. მზვარეში დამწვარი, ქარცემული მიბრუნდა მწუხრისას მცხეთაში. უამრავი ყაყაჩოები და თავთუხის თაველები მოიტანა თან.

ისევ დაიწყო წვიმა.

ჯერ ოდნავ, ოდნავ ეინელავდა, ბოლოს დაიქუხა ცამ, ელვის ლეკურები გადაამსხვრია მწვერვალებს თავზე. სეტყვამ უწყალოდ შემუსრა ყვავილები და ხეხილი.

მოუსვენრად დაწვრილებდა არსაკიძე, დაფეთებული უკან დასდევდა ნონაი, უკვირდა, როგორა ძლებსო უსმელუქმელი ბატონი?

როცა დარბაზში ქალების ანთება დაიწყო მხეველმა, არსაკიძემ დაითხოვა, წინა ღამის უძინარი ვარ, ნუ აანთებო ქალებს. თავის სამყოფლოში წარგზავნა მხეველი, თავათ პირქვე დაეშო ტახტზე, ყურს უგდებდა წვიმის შხაპუნს, ამას ფიქრობდა: ამ წვიმაში თუ მოვაო შორენა?

მოვიდოდა? რა ეთქვა მას თავათ?

ერთ სასწოროზე ორი უძვირფასესი ქმნილება დაჰკიდეს.

ეს სალამო გამოარკვევდა რომელი მათგანი გადასწონიდა?

სვეტიცხოველი თუ შორენა?

ორივენი ერთსა და იმავეს მოითხოვდნენ მისგან: სიცოცხლეს.

განა მარტო სიცოცხლეს მოითხოვდა ქალი? ვაჟკაცური სიტყვის გატებას, პატიოსნებას და ოსტატობის ნაყოფს, უძვირფასესს.

შხოლოდ ახლა ეკითხებოდა იდუმალ თავისთავს:

ხომ არ ეწადა, წვიმას არ გადაეღო, შორენა არ მოსულეიყო, არ მოსულეიყო არც დღეს, არც ხვალ და არც არასდროს, არც არაფერი ეთქვა მისთვის იმ „მეორე გზის გამო?“

ხედავდა არსაკიძე, ეს გზა ისევე უიშედო იყო, როგორც ყოველი, შორენას წინაშე მდებარე გზა.

ვთქვათ, ნებას დაჰყოლოდა არსაკიძე, არც ისე იოლი იქნებოდა მცხეთიდან გაპარვა.

ფხოვეში დაწყებული მოძრაობა ზვიადის მსტოვარებს არ გამოეყოფოდათ. მეფე გიორგის უთუოდ მიჩენილი ეყოლებოდა ერისთავის ქალისათვის ვზირები.

დღისით ვინ გაუშვებდა ორ ცხენოსანს მცხეთიდან? მწუხრი დადგებოდა თუ არა, იკეტებოდა ციხეების კარები.

მოაგონდა მცხეთაში განავონი: გადაცმული მამამზე ერისთავის შეპყრობის ამბავი.

იგიც იცოდა არსაკიძემ, ფხოველებს შორისაც რომ არ იყო თანხმობა: მუროში ქალუნდაური და უშიშა ლუღლუღური ებრძოდნენ ურთიერთს იღუმალთა ლაგვა კოლონკელიძეს დროებით უქერდნენ ხევის ბერები მხარს.

დამარცხებდნენ ზვიადის ლაშქარს? მეორე დღესვე თავს წასჭრიდნენ თვალდამწვარ ერისთავს, რადგან გიორგი მეფისადმი სიძულელი აერთებდა ხევისბერებსა და ხევისთავებს მასთან.

როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების შემდეგ უთუოდ აირეოდა მონასტერი, ორივე შემთხვევაში უცილო დალუპვა მოელოდა შორენას.

ძაღლის ყეფა შემოესმა ამ ფიქრში გართულს.

წამოვარდა, კიბე ჩაირბინა.

სანადირო ტყავება ეცვა ერისთავის ქალს, კვერნისა. ტარსიკონის ჩექმებიც დასველებოდა წვიმაში. სავსებით გაფითრებული შემოვიდა დარბაზში.

გახადა ტყავება, ქუდი ნოხადა.

ხატური შავი აბრეშუმის სამოსზე გადმოიღვარა გამოხურვებული ოჭროსფერი თმები.

მოწყენილი სჩანდა, სავსებით უმწიკვლო ბუნებას ამხელდა მისი უმზაკვრო და ნათელი თვალები.

გონების წარმლები იყო მისი პირი, ბროწეულის ყვავილის ფერი, ოდნავ, ოდნავ გაბუტული ზემო ტუჩი საყვარლად აბურცვოდა გულნაწყენ ბავშვის ბაგესავით.

წვიმის წვეთები მიშეფებოდა ლაწებზე, მაგრამ ამ მშვენიერი სახის მნახველი ან როგორ იფიქრებდა ოდესმე, ცრემლებს თუ დაესეტყვა თვალმშვენიერი, ან ეს ლოყები, ძველთაძველი სპილოსძვლის ფერი?

და რა საშინელი იყო არსაკიძისათვის მხოლოდ წარმოდგენა იმისა, რომ ეს სანატრელი, ეგ ძვირფასი არსება უღვთოდ გაეწირა ბედს.

ეგეც იყო, ეს განწირულება მომეტებულის სხივით მოსავდა არსაკიძის თვალში მას, რადგან კონსტანტინეს ყოველივე განწირული უყვარდა ბუნებით.

არსაკიძე მიეახლა, აკოცა შუბლზე, მეორე მხარზე შემოხვია მარჯვენა, მაგრად მიიკრა და აკოცა ყვრიმალში. პარილესავით რბილი იყო მისი სხეული, მისი სუნთქვა ამო, როგორც ზაფხულის ჰაერი ვენახებში, როცა ფშატი ჰყვავის ხოლმე ვაზებსა და ყაყაოებს შორის.

„როგორი ძლიერი ყოფილხარ, უტა!“

ელბნება შორენა.

„ძლიერი მანამდის ვიყავ, სანამდის შენი სიყვარული დამატორობდა, შე საყვარელო.“

ეს უნდოდა ეთქვა ვაქს, მაგრამ არა უთხრა რა, რადგან მტკიცედ უძღვებოდა და არ უყვართ დიაცებს.

„თუმცა რა, შენ ხომ მოქანდაკე ხარ, უტა, სხვას ვის უნდა ჰქონდეს უფრო ძლიერი მკლავი, ვიდრე მოქანდაკეს, ქვასთან მებრძოლს!“

„კარგი იქნება, ჩემო, უძლიერესი მკლავი, მართლაც ხელოვანისათვის მიეცა განგებას, მაგრამ ჩვენზე უფრო ძლიერი მკლავები, საუბედუროდ, სხვებს ასხია მხრებზე.“

მოუწონა ქალს ხატაური ფარჩის სამოსი შავი.

„ეინძლო ხარაჩოდან ჩამოვევარდე, ჩემო, ან მორიელებმა დამგესლონ ამ უბედურ სახლში, მაშინ ამ შავი კაბით მოდი, ეს დალალები დაიშალე თავთუხის თავთავეების ფერისა და ასე მიტირე, იცოდე“.

„რა მორიელები? რას ამბობს, უტა?“

„არაფერია, ეს ვიხუმრე მხოლოდ. — რატიხეულ სასახლეში მორიელებს რა უნდა?!“

ეს უთხრა და დაამშვიდა ქალი.

მერმე ხელახლა შემოხვია მხარზე მარჯვენა, ახლა უფრო სათუთად, ტახტთან მიიყვანა და დასვა ზედ. აიღო ყაყაჩოებისა და თავთუხის თავთავეების კონა, ფეხქვეშ დაუყარა სანატრელს და უამბო სიზმარი.

იგიც უთხრა: როგორც კი სვეტიცხოველს მოვათავებ, ის სიზმარი უნდა დაეხატოვო უცილოდ.

„მე ველარ ვნახავ, სამწუხაროდ, იმ სურათს!“

მშვიდად, ნაღელიანად ამბობს შორენა.

ახლა ხარაჩოების გამო აწრიალდა ქალი:

„რას დაბობლავ ამ ტიალ ხარაჩოებზე, უტა, ერთხელ ძლიეს გადარჩი სიკვდილს. ხომ დაასრულე ტაძარი აკი?“

მცირე ხნის შემდეგ დასძინა:

„მეფე გიორგი და მეღქისედეკ კათალიკოსი ისეთი გულბოროტი ადამიანებია, სულ ერთია, მაინც არ დაგიფასებენ ღვაწლს.“

„განა მეფისა და კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალე სვეტიცხოველს ჯანი?“

მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი.“

„მაშ შენ სიცოცხლე ქვაზე მეტად გყვარებია, უტა?“

„განა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო? ქვაყოფილია იგი ამჟამად. უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მომაკვდავის სული.“

„მაინც სვეტიცხოველი გირჩენია შენ ყველაფერს, უტა.“

არსაკიძემ იგრძნო, იკვნიულობდა ამ ტაძრისადმი ქალი.

ახლა ორივე მკლავი შემოხვია ტანზე მაგრად, მაგრად მიიკრა მკერდზე, აკოცა კისერზე სწორედ იქ, სადაც მანიაკის მარგალიტები ჰკოცნიდნენ დღე-ნიადაგ შორენას.

ჩურჩულით ეკითხება:

თუ გიყვარვარო, ჩემო?

კოლონკელიძის ქალმა თავისი ზღვისფერი თვალები შეაჯვროს სიყვარულის მეგობარს, ვაჟი შეეცადა ამ კითხვის პასუხი ამოეკითხა მადლიერად და მკვირვრულად გაბინდული ეჩვენა ეს თვალები, როგორც ნაადრავი ზღვა.

თავი ჩაჰქინდრა არსაკიძემ. ქალი უსიტყვოდ მიუხვდა მოწყენის შინაარსს. თავზე ხელი გადაუსვა ვაჟს.

შეერთა არსაკიძე, მების ნაპერწკალივით დაუარა სხეულში ამ ხელისაგან მოგვრილმა ერკოლამ. ისევ თვალებში ჩაჰხედა შორენას და ეუბნება:

„მე ღირსი არა ვარ ვინმეს რომ ვუყვარდე, ჩემო, შენ მართალი ხარ, სიძვის დიაცებს დაფუროგე შენდამი სიყვარული, გაძარცული დაგიბრუნდი სხვათა ჭვეყნიდან, სამშობლოშიაც მფლანგველი დავრჩი. უსასტიკესად დამსაჯა ამიტომაც ბედმა.“

მფლანგველებს ასეთი ბედი ეწვევა მუდამ, სხვის საუნჯეთა მპარავნი საკუთარსაც ვერ შეირჩენენ.

განგებას ასე დაუთქვამს ჩემთვის, თავათ მიყვარდეს, მაგრამ სამაგიეროს არ ველირსო არასდროს.

შენ რომ კარგად მყავდე, შენი ცხოვრება დაწყობილი მეგულეზოდეს, ალბათ მეყოფოდა სულგრძელობა და ამასაც შევეჯერდებოდი, მაგრამ შენ საფრთხეში გადგას ფეხი და ამიტომაც მომეძალა შენდამი სიყვარული, ჩემო.“

ქალი აიღეწა.

უჩემოდ ვინ გამცნოვო ჩემი საიდუმლო, უტა? ვარდისახარი ხომ არ ყოფილაო შეთან?

ვაჟმა დაამშვიდა შემფოთებული. თვალით არ მინახავსო, რა ხანია, ვარდისახარი.

„ხომ გახსოვს, თქვენსას რომ ვიყავი იმ საღამოს, დასძინებოდა ხათუთაის, მხეველს, ამიტომაც, უნებლიედ ვისმინე, რაც ხევისბერებს შენ უთხარ, ჩემო.“

შორენამ თავი ჩაჰქინდრა, მერმე თვალი გაუშართა კონსტანტინეს:

„მე ამისთვის არ მოვსულვარ, უტა, არც მსხვერპლს მოვითხოვ რაიმეს შენგან. უთქმელადაც ვიცი, შენ ვერც შესძლებ ამას. მეც უანგარო ვარ ჩემს გრძნობაში. მუდამ, ჯერ არავეინ მყვარებია ამ ჭვეყნად იმისთვის, რომ სამაგიერო მოეზლოს ვისმეს.“

ახლილად ვითხრა? ეგეც კარგად მესმის, შენსა და ჩემს შორის რა მალალი კედელი აღუშართავს ბედს. შენი სვეტიცხოველის სიმაღლე ქვის კედელი, უტა“.

„მე ასე მგონია, ჩემო, შენმა სიცოცხლემ რომ ეს მოითხოვოს, მე საკუთარს იოლად დავთმობ, იცოდე.“

ქალმა შეხედა, არსაკიძემ უსიტყვოდ შეატყო: დიაცმა ირწმუნა ეს. „შენმა ბედნიერებამ თუ მოითხოვა. სვეტიცხოველსაც გავსწორავდი, ალბათ.“ ეს „ალბათ“ გულზე ეცა ქალს, ხოლო ამ სიტყვების მთქმელს გულის კუნჭულში, საღდაც გაუელვა აზრმა: ეს ვერ არისო სავსებით სწორი.

შორენას თვალებშიც იგივე ამოიკითხა ვაჟმა.

„... მაგრამ უმთავრესი მაინც ეგაა, სხაპასხუბით წამოაწია სიტყვა უკვე თქმულს, ადამიანებს ასე ჰგონიათ, როცა ერთ უსამართლობას მეორეთი ცვლიან, მდგომარეობის შეცვლა მოუტანდეს თითქოს მათ შეგებდას...“

მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მეღქმისედეგად დაფიქრების მგალობელი, მაგრამ არა მგონია, შეიძლება ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შექმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ.

ჩემდა თავათ მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავათ.

ამიტომაც ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის სატებს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს. ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა, ჩემო.

თქვენს ხევისბერებს ჯერაც ცხვრის სუნი უღით და შენ ხომ იცი, ფარას თუ ყოჩი არ წარუძღვანე, კბოდეზე გადასცივია სულელი ცხვარი.

შენი სიტყვები მკაფიოდ მესმოდა ღია კარიდან. ჩემისთანანი თუნდაც ათასიც წამოგეზმარონ და ვაჯობოთ კიდევაც ზვიადის ლაშქარს, მეორე დღესვე იგივე დატრიალდება ფხოვეში, რაც კვეტარის ციხეში მოხდა იმ ღამეს.

ერისთავი უსინათლოა, შენ ქალი ხარ, ხევისბერები და ხევისთავეები დაერევიან ურთიერთს, ამასობაში გზებიც გაიხსნება, ზვიადის ლაშქარი მოვა ხელახლა, დიდსა და მცირეს გაეუფავენ, იცოდე.“

ორივე იდაყვი მუხლებზე დაებჯინა, ხელის გულები სახეზე შემოედგა, ბავშვივით უსმენდა არსაკიძეს დიაცი. მერმე წამოდგა, აუღელვებლად, მშვიდად ეუბნება ვაჟს:

„შენ ხომ იცი, უტა, ხანდახან გონებაა დახშული, ხანაც გულისკარია ღია. შენი ნათქვამი სწორი იყოს ეგების, მაგრამ მათთვის ჩემი გული დახურულია.“

მე სიტყვა მივეცი ხევისბერებს უკვე, წყაროს თვალის წმ. გიორგის დღეობაზე ფხოვეში ვიქნები და იქ დაველოდები ზვიადის ლაშქარსა და სიკვდილს.

მე არ მოვსულვარ შენთან, რათა თანადგომა რაიმე ვთხოვო, დიდი ხანია, რაც ჩვენი გზები გაჰყარა ცხოვრებამ, არც მე მაქვს უფლება შენგან მოვითხოვო თავდადება, რადგან არც მე გამიწირავს შენთვის ყველაფერი.

მე რომ ჭიანჭურის საცოლედ არ ვაგმზდარიყავ, გონს მოსვლა დამეცლია შენთვის, მეცადა, ვიდრე შემთხვევის ძალით, შენც გაიგებდი, რომ არა ხარ ჩემი ძუძუმტე, მაშინ უფლება მექნებოდა შენთვის მეთქვა: ადექი, გავიპაროთ მცხეთიდან და ჩაუდგეთ მეთქი სათავეში ფხოველთა ამბოხს.

მეც იგივე მომიზლო განგებამ, არც მე შემძლება ყოველივე გამეწირო სიყვარულისთვის, და ამიტომაც, მეც შენსავით დავისაჯე, უტა.

ეგაც იცოდე, არავენ ისე არ ისჯება ამ ქვეყანაზე, როგორც იგი, რომელიც ყოველივეს არ შესწირავს თავის სიყვარულს.

ასეთნი მუდამ მარტოკანი დარჩებიან ამ ქვეყანაზე და არავენ ისე საცოდავი არაა, როგორც მარტოსული, უტა.“

გაოცა ამ სიტყვებმა არსაკიძე.

წამოდგა, ისევ შეჰხედა შორენას.

ქალი კი არა, ღმერთი მეტყველებდა მის მშვენიერ, ბროწეულს ყვავილისფერ, ბავშვურ ტურებიდან...

მერმე მოეხვიენ ურთიერთს. დიდბანს კოცნიდნენ ერთმანეთს, კვეტარში გატარებული სიყმაწვილის მოსაგონებლად, გაცდენილი ბედნიერების, დაკარგული დღეების, უსიყვარულოდ გატარებული წლების, სხვისთვის გაფლანგული ტანჯვის სამაგიეროდ, მერმე ისევ შემოესმათ საყვირის ხმები მუნნარისას ციხიდან. და შორენა ეუბნებდა:

„ახლა უკვე გვიანაა, უტა.“

ისევ გადაიარეს ბალი, განკალკევებულად მიჰყვნენ ბნელ შუკებს, ხურსი-სეული სასახლის ჭიშკართან რა მიაღწიეს, შორენამ ეს უთხრა კონსტანტინეს:

„წასვლის წინა დღეს კიდევ ვნახავ, უტა.“

როცა შინ მობრუნებულმა ჭალები ჩააქრო არსაკიძემ, გაახსენდა მლამიობების გამოდენა რომ დაავიწყდა.

მოუსვენრად ტრიალებდა იგი საწოლში, წრიბინობდნენ მლამიობები, კუთხეებში ფაჩუნობდა რალაც.

ძილი არ ეკარებოდა ვაჟს. გვერდს იცვლიდა, ხანაც ბალიშს, პირქვედამხოზილი იწვა ბნელში და ნატრობდა:

„სად დაიკარგნენ ის წყეულები, გამოძვრნენ ბნელი ნაპრალეებიდან და დამგესლონ ცეცხლისფერმა მორიელებმა ბარემ.“

XLIV

ნასმურევეზე ირმის ბლავილმა გამოაღვიძა მეფე. მესაწოლემ იდროვა, ახალი ამბავი ამცნო.

ეზოსმოძღვარი ამბროსი კვდებოა.

წარბები მოღღსა გიორგიმ უფშურად, წაიბუტბუტა მხოლოდ: „აღხოცენინ უფალმან ბაგენი მზაკვარნი და ენა დიდად მეტყველი!“

ესა სიტყვა, კედლისაკენ პირი იბრუნა და განაგრძო თვლემბა.

გიორგელს ფილადელფოს ბერი მკურნალობდა, ყოველ დილით ტლეებს ადებდა წყლულზე, სწორედ მისგან ვაიგო: ეამმა იმსხვერპლა ეზოსმოძღვარი.

შეშფოთდა ყველისციხის პატრონი ფრიად.

მას ეგვიპტეში ტყვედყოფნის დროს ორგზის ჰქონდა-ეამიანობა განცდილი.

პირველად ქარავენებმა გააერცკელეს იგი ქაირში, ხოლო მეორეჯერ, პინდუსტანის გემებიდან გადმოცვენილმა ვირთხებმა მოსდვეს ქირი ხალიფატის ქალაქებს.

მათვე შეიტანეს ეამი იმ ციხეში, სადაც სამი ათასი ბერძენი და ხუთასი იბერიელი ტყვედ ჰყავდა ხალიფს.

ამ ციხეში სახვეტად იყო რწყილი, სიცოცხლე ჰქონდათ მობეზრებული ტყვეებს. რწყილებმა აითვისეს ეამი, ერთ თვეში საესებით მოისრნენ ბერძენი, ხოლო იბერიელთაგან მხოლოდ ცხრა კაცი გადურჩა სიკვდილს.

მერმე ის იყო ჯარები და მალემსრბოლები შეენაცვლნენ რწყილებსა და ვირთხებს, ანტიოქიას, სირიასა და ირანში გადატყოცნეს ეამი.

ამ ჯერად ასე ვარაუდობდა გირშელი: ალბათ ტფილისის საამიროში წარმოგზავნილი არაბული ჯარები შემოიტანდნენო საქართველოში და სენს.

თუმცა ავაზის მიერ დაკბილული მხარი ჯერაც არა ჰქონდა, შემოღებული მანქათონია წამოვარდა ერისთავი, გულმოდგინედ დაპყრობდნენო.

„რწყილს ხომ არ უკბენია ამბროსისათვის, მამაო ფილადელფოს?“

„რა მოგახსენო, არ ვიცი, ერისთავო, ბატონო.“

„გულისრევა ხომ არა ჰქონია, თუ იცი?“

„არც ეგ ვიცი, ერისთავთ-ერისთავო, ბატონო.“

„სად გაუჩნდა სვირინგები თავდაპირველად?“

„ილღის ქვეშ, თუ არ ვცდები, ბატონო.“

შეშფოთდა ამის გამგონე გირშელი:

„ეპი ყოფილა უქველად, ფილადელფოს მამაო. რამოდენა იყო პირველი სვირინგი?“

„დაფნის ფოთლის ოდენა, ბატონო“.

„შენ ხომ არ მოგინახლებია ავადმყოფობის დროს ხუცესი?“

„ერთხელ ვინახულე, ერისთავო, ბატონო“.

ეს გაიგონა თუ არა გირშელმა, დაცოფილივით უკუიქცა, ეუბნება ბერს:

„აწი არ შემოხვიდე, მამაო ფილადელფოს, ჩემთან.“

კარებამდის მიღწეულს მიაძახა გირშელმა: მერემეთუხუცესი აქ მოვიდესო ახლავე.

მერემეთუხუცესმა ველარ იცნო ყველისციხის პატრონი.

საერთოდ დინჯი და უშიშარი რაინდი, უცნაურად აეცუნდრუკებინა შიშს. თავჩაქინდრული დაწრიალებდა დარბაზში. დაბაჯბაჯებდა ჯაქვით დაბმული დათვივით, უცნაურად ბუებუებდა შემფოთებული.

ჯერ ეს უამბო მერემეთუხუცესს თუ რა საშინელი სენია ეპი, ორგზის ბეწვზე ეკიდა ეგვიპტეში ჩემი სიცოცხლე, ლამის არ იყო მიმსხვერპლა წყეულმა, სარკინოზებს რომ არ გამოექცეოდი, უთუოდ მომკლავდაო მეც.

ბოლოს, ჭირის ამბავი შესწყვიტა ანაზდად, ასე უბრძანა: დაუყონებლივ მორეკეთო იალალიდან ცხენები. ახლავე გააღვიძეთ ჩემი აზნაურები, ამ წუთში მომგვარეთო ჩემი ცხენები.

გიორგი სწორედ იმ დღით უნდა წასულიყო უფლისციხეს, დედოფალის ჩამოსაყვანად მცხეთაში, მაგრამ სამი დღით გადასდო ეს საქმე, რადგან იცოდა: მცხეთელებს შეაშფოთებდა მისი წასვლა უთუოდ.

უწინარეს ყოვლისა შორენას მისწვდა მისი ფიქრი ამ წუთში,

განაგონიდან იცოდა მეფემ: თავდაპირველად ღარიბებს დაერეოდა ეპი, ხურსისეული სასახლე ღარიბების უბანში იმყოფებოდა სწორედ.

ერთი გაიფიქრა: სასახლეში გადმოეყვანა შორენა და გურანდუხტი, დროებით, მაგრამ დედოფალი და კათალიკოსი გაახსენდა მყისვე, შეუძლებლად მიიჩნია ეს.

მესაწოლე დატუქსა სასტიკად: რად არ მამცნე, ეპი თუ მოკლაო ეზოს-მოდღარი?

შეშფოთებული მოსახლეობა ფეხზე დააყენა ეამმა. სახელისუფლებიდან, მონასტრებიდან და ციხეებიდან გამოცვივდა ხალხი. მონები, ბერები და მონასპები მოსდებოდნენ ქუჩებსა და მოედნებს.

დროული კაცების რჩევით დიდი და მცირე ნადირობეც, ვიწროხეცეც, სარდაფებში, გომურებში, ხეიმრებში ასხამდნენ მდულარეს. რწყილების წამალი არავენ იცოდა, ამიტომაც ვერაფერი დააკლეს ამ მწერებს.

სადილადაც არ მოიცადა გირშელმა.

ნუ მიხვალთ, ემუდარებოდა გიორგი: ჯერ მონებსა და ლატაკებს დაერევა სახადი, სასახლეში რა უნდაო ეამს?

გიორგისაც ეს აფიქრებდა სწორედ: მთავართა სანათლოს რომ მოელოდა უმეტესი საფრთხე, სწორედ ამ უბანში შეჰყროდა ვიღაც მეხამლეს იგი. ეამიანის დედა გამოვარდნილიყო ქუჩაში, ეზოსმოდღვარი დაულანდაეს, გზადგავლილი, შემთხვევით.

შევედრებია: აზიარეო ჩემი მომაკვდავი შვილი.

შებრალეზია ეზოსმოდღვარს მოხუცი.

იმ დღესვე მომკვდარა მეხამლე, მეორე დღეს გააცია თურმე ამბროსის, ხურვება ჰგონებია მკურნალს.

მასპინძლის მოვალეობა მოითხოვდა შეჰპატიეებოდა გიორგი გირშელს. გულში უხაროდა კიდევაც მისი წასვლა ამ ჯერად. განა თუ მარტოოდენ წასვლა?

ყმაწვილივით ხარობდა მეფე, ეს მეორეჯერ რომ აჯობა გამბედაობით თავის ბიძაშვილს იმ დღეს.

თუ აღრენილ ავაზას ვერ მიეახლა ხმლის გაუშიშვლებლად რაინდი, გასაგები იყო ეს, მაგრამ მთავართა სანათლოს რწყილებს რომ გაექცა მრავალნაცადი გმირი, ეს ღიმილს ჰგვრიდა მეფეს.

ახელებდა ამის გამო ყველისციხის პატრონს გიორგი.

უკვე ხუმრობის გუნებაზე აღარ იყო გირშელი, აღარც საცოლედ გახსენებია, დარწმუნებული იყო, რწყილები იქნება იმ უბანში უთუოდ. მხოლოდ მეფეს გამოეთხოვა ერისთავი, ამალიანად მოუსვა მცბეთიდან.

რა თქმა უნდა, გულისგარედ მსჯელობდა მეფე გიორგი ასე, ვაეკაცობის საქმეში ჩახედული იყო თავათაც ფრიად.

კარგად იცოდა, რომ ამ ქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რაიმეს წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არც თუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სოსულელე არ ეთქვას.

თავთ მასაც მრავალგზის გაუოცებია ბრძოლის ველებზე მტრებიც, მაგრამ თუ გირშელს ავაზებისა და რწყილების ეშინოდა, გიორგი ცახცახებდა გველებისა და ცოფიანი პირუტყვის წინაშე.

გველებისაგან დაშინებულს იფნისა და ხეიარას ფესვებიც აფრთხობდა ხოლმე ნადირობის დროს, მუდამ გველები ესიზმრებოდა, იტანჯებოდა ამის გამო ძილშია, ძაღლებისა უფრო მტრად ეშინოდა გიორგის, ვიდრე ბიზანტიურ ლოდსატყორცებისა ოშში.

უბრალო მყეფარსაც რომ შეეტია მისთვის, მყისვე ხმლის ვადაზე იტაცებდა ხელს. განა თუ მარტო ძაღლებისა? ცოფიანი პირუტყვისა საერთოდ. ფარსმან სპარსი ათასგზის ჰყავდა დაკითხული: კამეჩი, თუ რა ცხოველებო, ან ცხენი, ან ხარი ან მგელი?

ერთხელ ასეთი ხუმრობაც შეაპარა ფარსმანმა მეფეს:

ყველაზე მეტად საშიშარი ცოფიანი ძროხააო ამ ქვეყნად.

მიუხედავად გიორგი მყისვე: „თეფისფერ ძროხას“ რომ გულისხმობდა ფარსმანი, ცოქალას, ხარკაყოფილს მეფისას, მაგრამ ეს თავხედობაც აპატიო მოხუცს.

როცა სპასილარი შემოვიდა დილა აღრიან, ღიმილით ეუბნება გიორგი: მთავართა სანათლოსი რწყილებს გაექცაო ყველისციხის პატრონი.

„შენ რა გგონია, ზვიად, სარკინოზებს როდი გაქცევია გირშელი, არამედ ეგვიპტურ რწყილებს.“

ზვიადს არ უყვარდა გირშელი, იქედნურად გაიცინა თავათაც. ესა სთქვა მხოლოდ:

„მე მუდამ გაზვიადებულად მიმანდა მისი გმირობის ამბები, მეფე ბატონო, წინადაც.“

საგანგებო ღონისძიებანი დაადგინეს იმავე დღით, მეფემ, მიტროპოლიტმა, სპასილარმა და განმგეთუხუცესმა.

აქიმები და მკურნალები ახმობინეს, მალემსრბოლი უფლისციხეს აფრინეს, დედოფალს ამცენს, ჯერჯერობით არ ჩამობრძანდეთო მცხეთაში.

თურმანიძე დაიბარეს თმოგვის ციხიდან სასწრაფოდ.

ფარსმანი აწვევინა მეფემ, მაგრამ არ გამოცხადდა „შანდლების ქურდი“, ავდა ვარო, შემოთვალა, ქუჩაშიაც არ გამოდიოდა გაბანდურების შემდეგ.

ბრძანება ვასცეს: ქალაქს გარედ წაეღოთ, საკირეში დაეწვათ ამბროსის ცხედარი.

ციხისთავებს მიუთითეს: დაუყოვნებლივ აღეკვეთათ ჯარების მიმოგზავნა ციხეებს შორის, არც ქარაენები შემოეშვათ მცხეთაში. დღისით და ღამით, დევმანათ ციხეებისა და გოდოლების კარები.

მუხნარისას ციხისთავი დილეგში ჩააგდეს, რადგან სამი დღის წინად ერთი მონასპა მოეკლა ეამს, ასისთავს არ გაუშხელია ეს ამბავი, ქრისტეანული წესით დაუმარხავთ მიცვალებული.

მკურნალებს დაევალოთ: სასტიკად ედევნებიან მოსახლეობისთვის თვალყური. თუ სადმე ეამი თავს იჩენდა, მყისვე „ეამიანების ფარდულში“ გადაეგზავნათ, თუნდაც „საექვონი“, მიცვალებულნი სამოს-საგებიანად დაეწვათ ცეცხლში, ჭირიანის სახლები გამოეკეტნათ, ვირთხები და რწყილები შეემუსრათ შეძლებისამებრ.

მონასტრების წინამძღოლებს უბრძანეს: მეროკივე ბერები არ შეეშვათ, საოსტიგნობსა და სენაკებში, სხვა მონასტრებთან მისვლა-მოსვლაც აღკვეთილიყო, სისუფთავე დაეცვათ ყველგან.

ბაზრების უფროსებსა და სავაჭროების მეთვალყურეთ ხილისა და მხალეთულის გაყიდვა ააკრძალვინეს.

თავის ოქროსფერ ულაცზე შეჯდა მეფე, ამალიანად დადიოდა მოედნებზე, ეჩვენებოდა ცის ქვეშ გამოცვენილ ხალხს, ათვლიერებდა ყველგან მოწინასტრებს და სახელოსნოებს, ამშვიდებდა დიდსა და მცირეს. *მეფის მარჯვენა*

ასე არწმუნებდა მოსახლეობას: ვერ მოგვერევაო უამიც.

როცა ხურსისეულ სასახლესთან გაიარეს მეფემ და მისმა ამაღამ, გიორგიმ შენიშნა: შეკახმული ცხენები დაჰყავდათ ეზოში მონებს. „ვისია ეგ ცხენები?“ ეკითხება მერემეთუხუცესს.

„კოლონკელიძეს გამოუგზავნია ექვსი ცხენი ოჯახობისთვის, მეფე ბატონო“.

აიენისაკენ თვალი გაექცა გიორგის. მხეველები დაჭოთჭოთებდნენ შოლოდ. დილა მშვიდობისა უსურვა თავის გულისმიჯნურს იდუმალ, შენს მაგიერად შე შემეყაროსო უამი, ეს გაიფიქრა და დეზი ჰკრა ოქროსფერ ულაცს, გადაიჯირითეს მოედანზე მხედრებმა.

აყმუველდნენ ბანებზე დაყუნცული ძაღლები მთავართა სანათლოსი შუკებში...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კავალე ინფორმაცია

ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა *

წიტილი ზეორი

ზოგა პერიოდი ქართული მწერლობისა
გვიანი ანტიკური ეპოქა და ფოლკლორის დასაწყისი ხანა
(მე-4—7 საუკუნეებში)

თავი მეოთხე

სამართლებრივი მწერლობა

ქართული მწერლობის სპეციფიური დარგის — ბიოგრაფიული ლიტერატურის განხილვის შემდეგ, გადავდივართ ქართული მხატვრული მწერლობის დანარჩენი დარგების განხილვაზე.

*

ქართული მწერლობის იმ პერიოდში, რომელიც აქ ჩვენი მიმოხილვის საგანს შეადგენს, მე-4—7 საუკუნეთა მანძილზე, ქართულს ენაზე არსებულა საერო მხატვრული ლიტერატურა.

თუ ბიოგრაფიული ენარის მწერლობა — თავისი ტრადიციებით უშუალოდ უკავშირდება საკუთრივ ქრისტიანულ მწერლობას, აქ არის მისი სათავეები და აქედან ვითარდება იგი, — ქართული საერო მხატვრული მწერლობა — თავისი სათავეებით — როგორც სწავლის დაკავშირებული იყო „წარმართული“ ხანის ქართული მწერლობისა და ზეპირ-სიტყვიერების ტრადიციებთან.

ამისი მაჩვენებელია ჯერ ერთი ის გარემოება, რომ ქართული მწერლობის იმ ძეგლებში, რომლებიც ქრისტიანობის ხანაში შეიქმნა, ჩვენ გვაქვს გადანაშთი „წარმართული“ ხანის საგმირო და მითოლოგიური ეპოსისა, რომელსაც, როგორც გამოირკვა, ძველი ქართველი მგოსნები-რაფსოდები მოუთხრობდნენ. — ასეთ გადანაშთს წარმოადგენს კერძოდ ვარათრაგნის (ვახტანგის) ეპოსი, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. ასეთი გადანაშთები ჩვენ გვაქვს აგრეთვე ლეონტი მროველის თხზულებაში, რომელსაც ქვემოთ ვეზებთ.

*) გავრძელება. (წერილი პირველი — მნათობი № 1. მეორე წერილის პირველი სამი თავი — მნათობი № 2).

რომ ქართული საერო მხატვრული ლიტერატურა ამ ეპოქას განაგრძობდა ტრადიციებს წინა-ქრისტიანული „წარმართული“ ხანის მწერლობისა, ამის მაჩვენებელია აგრეთვე ის უაღრესად საგულისხმო გარემოება, რომ ამ ეპოქაში, ადრეულ ქრისტიანულ ხანაში, როდესაც მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია ეპოს-ქვეშ აყენებდა და სდევნიდა ყოველსავე „არა-ქრისტიანულს“, ხოლო განსაკუთრებით გამაძვრებით ებრძოდა პირველ რიგში ირანულ მან-დეიანობას, როგორც ქრისტიანობის ყველაზე საშიშს მეტოქეს საქართველოში, აი ამ დროს ჩვენ გვაქვს ფაქტები ქართული ლიტერატურის ურთიერთობისა ირანულ „არა-ქრისტიანულ“ ფაშალურ ლიტერატურასთან.

ამ ეპოქის ქართული მწერლობისათვის არ ყოფილა აგრეთვე უცხო ანტი-ური ელინური ლიტერატურის ტრადიციებიც.

აქ ჩვენ პირველ რიგში ამ მნიშვნელოვან ფაქტზე, ქართულ-ფაშალური და აგრეთვე ქართულ-ელინური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე შევჩერდებით.

ა. ირანული ნაციონალური ეპოსი „უფალთა წიგნი“ (ხვატაჲ-ნამაკი)

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ საშუალო-ირანული, ეგრეთწოდებული ფაშალური ლიტერატურა დიდი დიაპაზონის მწერლობას წარმოადგენდა და აქ ბრწყინვალე განვითარება მიიღო კერძოდ საერო მხატვრული ლიტერატურის დარგში. ოქროს ხანა ფაშალური საერო მხატვრული მწერლობისა ეს არის მე-6 საუკუნე და მე-7 საუკუნის პირველი ნახევარი.

მთავარი ძველი ფაშალური მხატვრული მწერლობისა ეს იყო „უფალთა წიგნი“ (ხვატაჲ-ნამაკი), — ირანის მითოლოგიური, საგმირო და საისტორიო ეპოსის დიდი კრებული, რომელშიაც გაერთიანებული იყო ირანის ნაციონალური თქმულებანი. „უფალთა წიგნი“, როგორც ცნობილია, არის პროტოტიპი დიდი ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-სი. (ფირდოუსის „შაჰ-ნამე სხვას არას წარმოადგენს გარდა იმისა, რომ იგი შეიცავს ფაშალური ეპოქიდან მომდინარე „უფალთა წიგნი“-ს ახალ რედაქციას, „უფალთა წიგნის“ გადამუშავებას ლექსად ახალ-სპარსულ ენაზე, ზოგიერთის ცვლილებებით და დამატებებით).

ფაშალური მწერლობის ეს განთქმული კრებული „ხვატაჲ-ნამაკი“ შედგენილ იქნა თავდაპირველად მე-6 საუკუნის ნახევარში, ირანის მეფის ხოსრო-ანუშირვანის დროს (531 — 579 წ.). კრებულში შევიდა ძველი ირანული რაფსოდებისა და ეპიურ-ისტორიულ ამბავთა მთქმელების მიერ შემონახული ირანის ნაციონალური თქმულებანი, დაწყებული მითიური ხანიდან ვიდრე ხოსრო-ანუშირვანის დრომდე.

კრებული „ხვატაჲ-ნამაკი“ (ისევე როგორც ფირდოუსის „შაჰ-ნამე“) სამ ძირითად ციკლად იყოფოდა: პირველი ციკლი — მითიური ეპოსი; მეორე ციკლი — საგმირო ეპოსი (— ფირდონიდან — ვაჰამანამდე); მესამე ციკლი — ისტორიულ-ეპიური თხრობა (— ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან დაწყებული).

ხოსრო-ანუშირვანის შემდეგ კრებული შეესებულ იქნა უკანასკნელი სასანიანთა მეფის დროს, მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში.



ქართულს ენაზე, მე-7 — 7 საუკუნეთა მანძილზე ფაქლათური ენოდან გადმოღლიათ ძირითადი, მხატვრულის მხრით ყველაზე მნიშვნელოვანი, წაწილი „ხვატაა-ნამაქის“ კრებულისა, სახელდობრ მეორე ციკლი, *ქაქავი* (ციკლი ფრიდონიდან — ვაჰაშანამდე) ¹.

«უფალთა წიგნი»-ს ამ ძველ-ქართულ ვერსიას ქართულად პრეპეცია: «ცხორება სპარსთა».

აღსანიშნავია, რომ «ცხორება სპარსთა»-ის ქართული ტექსტი, როგორც ირკვევა, შეიცავდა არა მხოლოდ პროზაულ მოთხრობას, როგორც ეს ფაქლათურ დედანში იყო, არამედ იგი ნაწილობრივ ლექსადაც იყო დამუშავებული. «ცხორება სპარსთა»-ის ექსცერპტებში, რომელიც დაუცავს ძველ-ქართულ ავტორს ლეონტი მროველს, შერჩენილა ტექსტი, დაწერილი რითმიანი ლექსით — „დაბალი შაირის“ მეტრით. აქ მე-6 — 7 საუკუნის ამ ნაწყვეტში უკვე მოცემულია უმეტესკლებოდ იგივე სალექსო ფორმა „დაბალი შაირისა“, რაც ბევრად უფრო გვიან, მე-12 — 13 საუკუნეთა საზღვარზე გამოიყენა შოთა რუსთაველმა.

მოგვყავს აქ, როგორც უძველესი ნიმუში ქართული ლექსისა, ციტატა „ცხორება სპარსთა“-იდან, რომელიც ეხება ირანული ეპოსის გმირს აფრიდონს, და რომლის შესახებ ეპოსში ნათქვამია:

„რომელმან შეპკრა ვაჟებითა ბევრასფი გველთა უფალი და „დააბა მთასა რაჲს ზედა, რომელ არს კაცთ-შეუფალი“ ?.

ამ ციტატას ლექსით, ამოღებულს „ცხორება სპარსთა“-ის ძველ-ქართული ვერსიიდან, ლეონტი მროველი ურთავს შენიშვნას: „ესევეითარი წერილი არს ცხორებასა სპარსთასა“.

„უფალთა წიგნი“-ს ეს ძველი ქართული ვერსია „ცხორება სპარსთა“ დიდის პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ მწერლობაში და იგი გავრცელებულ საკითხავ წიგნად დარჩენილა თვით მე-12 საუკუნემდე.

ქართველი მწერალი ლეონტი მროველი (8 ს.) სარგებლობს „უფალთა წიგნი“-ს ამ ძველი ქართული ვერსიით თავისი ისტორიულ-ეპიური თხზულების ერთი კარის დამუშავების დროს.

ქართველი პოეტი შავთელი, ავტორი „აბდულ-მესიანისა“ (მე-12 საუკუნის 20-იანი წლები), რომლის პოემაშიაც გვაქვს ირანული ეპოსის გამომძახილი, აგრეთვე იცნობს ირანულ ეპოსს არა ფირდოუსის შაჰ-ნამედან, არამედ იმავე „უფალთა წიგნი“-ს ძველი ქართული ვერსიიდან ².

¹) რომ ტექსტი უშუალოდ ფაქლათრიდან იყო გადმოღებული, ამას ადასტურებს ონომასტიკონი.

²) რაჲს მთა ეწოდება მთას, რომელზედაც, ეპოსის თანახმად, მიჯაჭვულ იქნა ბევრასფი.

³) გმირი უთრუთ, მოხსენებული შავთელის პოემაში, უცნობია ფირდოუსის შაჰ-ნამეს ტექსტით.

მხოლოდ უფრო გვიან, მე-12 საუკუნეში, 1125 წლის შემდეგ (1125 — 1196 წლებს შორის) ქართულად ითარგმნება ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ და იგი იქერს „უფალთა წიგნი“-ს ძველი ქართული ვერსიის ადგილს.



დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ქართული მწერლობის ამ არქაულ ეპოქაში, ქართულად გადმოუღიათ არა მხოლოდ „უფალთა წიგნი“-ს მეორე ძირითადი ციკლი—სავმირო ეპოსი (თქმულებანი ფერიდუნეიდან—ვაჰამანამდე), არამედ მას შემდეგ უთარგმნიათ აგრეთვე ზოგიერთი ნაწილი უფალთა წიგნის მესამე ციკლისაც, ე. ი. ისტორიული თხრობისა, — ასე თხრობა ურმიზდისა და ვაჰრამ-ჩუბინის შესახებ, — რომლის ექსცერპტი დაცულია ჯუანშერის ძველ-ქართულ ქრონიკაში.

ეს უკანასკნელი ნაწყვეტი თარგმნილია „უფალთა წიგნი“-ს იმ ნაწილიდან, რომელიც დამუშავებულ იქმნა სასანიანთა უკანასკნელი მეფის იეზდიგერდის დროს, მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში.

ბ. ალექსანდრიანი.

ქართული ლიტერატურისათვის ამ ეპოქაში, როგორც აღვნიშნავდით, არ ყოფილა აგრეთვე უცხო ანტიური ელინური ლიტერატურის ტრადიციები.

ამისი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ამ ეპოქაში ქართულს ენაზე უთარგმნიათ ცნობილი ანტიური რომანი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ „ალექსანდრიანი“, კალისტენის (არისტოტელის ძმის-წულის) სახელით წარწერილი.

ამ რომანს გავლენა მოუხდენია უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებებზე, რომლებიც მოგვითხრობენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ კავკასიაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუმცა ქართულს ენაზე ამ ხანაში ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა ჰომიროსის ეპოსიდან მომდინარე ტექსტები (— ცნობა ჰომიროსის ეპოსის ქართული ვერსიის შესახებ უფრო გვიანი დროიდან მოღწეულა, რის შესახებაც ქვემოთ გვაქვს საუბარი —), მაგრამ ინტერესი ჰომიროსის პოემებისადმი ქართულს მწერლობაში, როგორც ირკვევა, უძველესი დროიდანვე არსებულა.

მე-6 — 7 საუკუნის ქართულს თარგმნილს ტექსტში — ბიოგრაფია პროკოპისი — ჩვენ გვხვდება ციტატი ჰომიროსიდან, რომელიც მე-6 — 7 საუკუნის ქართველ მწერალს ლექსად გადმოუღია (ეგრეთწოდებული „ბისტრიკაური“ საზომით).

ინტერესს ჰომიროსისადმი ძველ-ქართულ მწერლობაში ადასტურებს ძველი ქართული „სასწავლო წიგნი“, რომელიც შედგენილია ქართულად ბერძნული მასალების საფუძველზე (ძირითადში ეპიფანე კვიპრელის ტექსტის მიხედვით) მე-8 საუკუნის დასაწყისში (716 — 717 წლის ახლო). ქართველ ავტორს საჭიროდ დაუნახავს შეეტანა ამ „სასწავლო წიგნი“ უწყება ჰომიროსის

1) „უფალთა წიგნის“ ძველ-ქართულ თარგმანს და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს დაწვრილებით ვეხებით სპეციალურ მონოგრაფიაში: „ირანული ეპოსის ძეგლები «ხვატაჰ-ნამეკი» და «შაჰ-ნამე» ძველ-ქართულ მწერლობაში“.

ილიადისა და ოდისეის შესახებაც. ეს უწყება ჰომიროსზე ამოღებულია დიონისი თრაკიელის ცნობილი თხუზულებიდან *τέχνη γράμματα*.

✱

ქართული მხატვრული მწერლობა ამ ეპოქისა, გარდა იმისა, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ამ ეპოქის ირანულ (ფაჰლავურ) მწერლობასთან, და რომლისთვისაც არც ანტიური ელინური მწერლობის ტრადიციები ყოფილა უცხო, ამავე დროს — როგორც ეს მოსალოდნელი იყო — ურთიერთობაში ყოფილა ახლო აღმოსავლეთის მგზობელი ხალხების — სირიელებისა და სომხების მწერლობასთანაც. ამისი მაჩვენებელია იულიანეს რომანის შესახები ცნობები, და ფიზიოლოგოსის ძველ-ქართული ვერსია.

ბ. იულიანეს რომანი.

იულიანეს რომანის სახელწოდებით ცნობილია ისტორიული რომანი რომის იმპერატორთა იულიანე განდგომილისა და იობიანეს (იემიმიანოსის) შესახებ.

ეს რომანი პირველადი სახით უფრო ვრცელი მოცულობის ყოფილა, მის პირველ ნაწილში საუბარი ყოფილა კონსტანტინე დიდისა და მისი შვილების შესახებ, მაგრამ რომანის ეს პირველი კარები არ მოღწეულა და გადაარჩენილი ნაწილი იულიანე განდგომილსა და იობიანეს ეხება. რომანი ისახავს მიზნად წარმართი იმპერატორის იულიანე განდგომილისათვის შარავანდედის მოხსნას, და მისი მეგვიდროს ქრისტიანი იმპერატორის იობიანეს პიროვნების განდიდებას.

იულიანეს რომანი თავდაპირველად ბერძნულ ენაზე ყოფილა შედგენილი. მე-6 საუკუნის დასაწყისში (502—532 წელს შორის) იგი გადაუყეთებია და გადაუმუშავებია სირიულ ენაზე უცნობს ავტორს. რომანი, სირიული ვერსიის სახით მოღწეული, ინტერესს წარმოადგენს ლიტერატურულის მხრით, მხატვრულად არის დამუშავებული, და იძლევა ანტიური ეპოქის დასასრულისა და ადრეული საშუალო-საუკუნეების ყოფა-ცხოვრების სურათებს.

იულიანეს რომანის სირიული ვერსია, როგორც ირკვევა, ქართულად უთარგმნიათ ადრეულ საშუალო-საუკუნეებში და იგი დიდის პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ ლიტერატურაში.

ასე, ამ რომანით ფართოდ სარგებლობს უჯარმოელი, ავტორი „ვახტანგ გორგასარის ჰამზავისა“ (მე-9 საუკუნე), და აგრეთვე თამარ მეფის ცნობილი ისტორიკოსი ბასილი (მე-13 საუკ. პირველი ნახევარი). რომანს პოპულარობა არ დაუკარგავს თვით გვიან ხანამდე, მე-17 — 18 საუკუნემდე. ასე, მე-17 — 18 საუკუნის ქართველი პოეტი არჩილი (1647 — 1713 წ.) თავის ერთ პოემაში ემყარება იულიანეს ამ ძველ რომანს და მისი მიხედვით აგვიწერს იულიანე განდგომილისა და იობიანეს (იემიმიანოსის) თავდადასავალს.

ბ. ფიზიოლოგოსი.

დიდაქტიური ეპოსის ძველი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში „ფიზიოლოგოსი“-ს სახელით არის ცნობილი, და რომლის ძველ-ქართულ

ვერსიას ეწოდება „სახისა სიტყუა მხეცთათჳს“, შეიცავს ელემენტებს ცხოველთა ეპოსიდან. აქ აწერილია სხვადასხვა ცხოველთა (და აგრეთვე ნაწილობრივ მცენარეთა და ქვათა) თვისებაანი და ხუნების.

ქართული ვერსია ფიზიოლოგოსისა 34 თავისაგან შესჯდებოდა მხოლოდგენილია მოთხრობა როგორც რეალურ ცხოველებზე (— ლომი, ვარხვი, ბუ, ორზი, კანჯარი, გველი, ჯინჯველი, მარტორქა და სხვ.), ისე მითურ არსებათა შესახებაც (ზღვის-ქალნი, ე. ი. სირინოზნი, ვირკურონი, ფენიქსი). თვითეული მოთხრობა ამა თუ იმ ცხოველის, მცენარისა და ქვის თვისების შესახებ სრულდება დიდაქტიური ხასიათის სწავლით.

ფიზიოლოგოსის ლიტერატურული ისტორია მოკლედ შემდეგია.

ფიზიოლოგოსი თავდაპირველად ბერძნულად ჩამოყალიბდა გვიან ანტიურ ხანაში. ბერძნულიდან ეს ძეგლი უთარგმნიათ ან გადმოუკეთებიათ მთელ რიგ ენებზე. კერძოდ იგი უთარგმნიათ სომხურად მე-5 — 7 საუკ. ფარგლებში.

ქართული ვერსია ფიზიოლოგოსისა, როგორც ირკვევა ტექსტის ფილოლოგიური ანალიზიდან, — დამოკიდებულია სომხური ვერსიიდან.

ქართულ ვერსია დროის მიხედვითაც ბევრით არაა დამორბეული სომხურს. ქართული ვერსია ფიზიოლოგოსისა წარმოშობილა იმავე მე-5 — 7 საუკუნეთა ფარგლებში (რაც დასტურდება იმის მიხედვით, რომ აქ იხმარება ამ ეპოქაში მიღებული ძველ-ქართული წარმართული საკალენდარო ტერმინოლოგია).

„ფიზიოლოგოსი“ — არსებულის სახით სასულიერო-ქრისტიანული მწერლობის დარგს ეკუთვნის, და არა საერო მხატვრულ მწერლობას. ჩვენ აქ შეეჩერდით მასზე იმდენად, რამდენადაც ცხოველთა ეპოსის ელემენტები მას ერთგვარად აკავშირებს საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციასთან. ხოლო დიდაქტიური სწავლა, რომელიც თან ახლავს ფიზიოლოგოსის ყოველ ცალკე მოთხრობას, ამ თხზულებას ტიპურ სასულიერო-ქრისტიანულ მწერლობის ნაწარმოებად ზღის.

ძველ-ქართული სალიტერატურული მხატვრული.

რითმა ძველ-ქართულ კოპიაში.

მკვლევანი-რამსონი ბისტიანა.

მე-4 — 7 საუკუნეებში ქართულს ენაზე განვითარება მიუღია პოეზიის დარგს, რაც დასტურდება სალექსო მეტრების არსებობით ამ ხანაში.

მე-4—7 საუკუნეთა ძეგლებში ჩვენ შემდეგი სამი სალექსო ზომა გვხვდება:

1. „დაბალი შაირი“ — თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი, ქართული ეპოსის კლასიკური მეტრი. როგორც მოხსენებული გვქონდა, „უფალთა წიგნი“-ს ძველი ქართული ვერსია, ნაწილობრივ ლექსად ყოფილა გადაღებული, და ექსცეპტულად გადარჩენილს ერთს ფრაგმენტში ჩვენ გვხვდება ტექსტი, დაწერილი რითმიანი ლექსით, „დაბალი შაირის“ მეტრით.

2. „ბისტიკაური“ — ოცმარცვლოვანი ლექსი (ოთხ-მუხლი ხუთეული). ამ მეტრით შესრულებულია ციტატი პომპროსიდან პროკოპის მარტვილობის ძველ-ქართულ ვერსიაში (6 — 7 საუკ.).

3. „იამბიკონი“ — თორმეტმარცვლოვანი ლექსი. ეს საზომი ჩვენ გვხვდება მე-6 — 7 საუკუნის ერთ ტექსტში („ლაკონიკესი დემოდესი პირველი იგავი“)¹.

ამ მეტრთა შორის — პირველი მეტრი „დაბალი შინას ხალხური პოეზიიდან არის შეთვისებული ლიტერატურაში: „დაბალი შინა“ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი სალექსო წყობა ქართული ხალხური პოეზიისა.

დაბალი შინას მეტრი მტკიცედ დამკვიდრდა ლიტერატურაში. უფროგვიან ამ მეტრის უბრწყინვალესი ნიმუშები მოგვცა შოთა რუსთაველმა „მეფის-ტყაოსანში“. მას შემდეგ ვიდრე დღევანდლამდე ეს საზომი რჩება ქართული პოეზიის ერთ-ერთ ძირითად მეტრად.

მეორე მეტრი — ბისტაკაური — აგრეთვე ორიგინალური ქართული წარმოშობისად სჩანს: იგი ემყარება ქართულს პროზოდიაში ბუნებითად მოცემულს წყობას. ეს მეტრიც აგრეთვე საბოლოოდ შეითვისა ქართულმა პოეზიამ, და „ბისტაკაური“ მეტრი — როგორც წმინდა სახით (ოც-მარცვლოვანი ლექსი), ისე მისი სახესხვაობანი — ათ-მარცვლოვანი და ხუთ-მარცვლოვანი მეტრები (რომლებიც წმინდა ბისტაკაური ტაეპის ორად და ოთხად დანაწევრებას წარმოადგენს) — ერთი გავრცელებულ საზომთაგანია ქართულს პოეზიაში, როგორც საშუალ-საუკუნეებში, ისე შემდეგაც. კერძოდ თანამედროვე პოეზიაში ბისტაკაურის სახეობა — ათ-მარცვლოვანი ლექსი — ყველაზე ხშირად ხმარებულ მეტრს წარმოადგენს.

მესამე მეტრი, დადასტურებული ამ ეპოქაში — იამბიკონი — როგორც ირკვევა ბერძნულის გაელენით არის შექმნილი. ქართული „იამბიკონი“ წარმოადგენს ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის გადმოღებას ქართულ პროზოდიასთან შეფარდებით. ეს მეტრი გავრცელებით სარგებლობდა საშუალ-საუკუნეებში, იგი წარმოადგენდა ძველი ქართული პიმნოგრაფიის კლასიკურ მეტრს. ახალ-ქართულ პოეზიაში აღარ იხმარება.



აქ საჭიროა შევეხოთ აგრეთვე რითმის წარმოშობის საკითხს ქართულს პოეზიაში.

წინასწარ ერთი შენიშვნა.

როდესაც ჩვენ ქვემოთ ვიხილავთ რითმის საკითხს, მხედველობაში გვაქვს არა პრიმიტიული რითმა, რომელსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს, და სწორადიულად თავს იჩენს ხოლმე ყველგან, არამედ მხედველობაში გვაქვს რითმა, აყვანილი პოეტური ორგანიზაციის სიმალლემდე, რითმა, როგორც ორგანიზებული ელემენტი წყობილი სიტყვისა.

რითმა ამგვარის გავებით, როგორც გარკვეული პოეტური ფუნქციის მატარებელი ელემენტი სალექსო სტრიქონისა, დასავლეთის ძველმა ანტიურმა ელინურმა და რომაულმა პოეზიამ არ იცის. რითმა დასავლეთში ჩნდება მხოლოდ გვიანი დროის ლათინურს ლექსში. ხოლო ევროპის ხალხთა პოეზიაში რითმა საბოლოოდ მკვიდრდება აღმოსავლური — არაბული — პოეზიის ზეგავ-

¹) ჩართულია მე-6 — 7 საუკუნის ძველში — მოციქულთა ეპისტოლეთა წიგნის სამეცნიერო გამოცემის კომენტარებში.

ლენით, ესპანეთის არაბთა მეშვეობით. ევროპის ხალხთა პოეზია დავალებულია აღმოსავლეთიდან ბევრის მხრით, და კერძოდ ამ მხრივაც, აღმოსავლეთიდან მომდინარე მხატვრულად სრულყოფილი პოეტური ფორმის გავლენებით.

როგორი წარმომავლისაა რითმა ქართულს პოეზიაში. *შეხვედრები*

ახლო აღმოსავლეთის ხალხთა შორის, რომელთაც საშუალ-საუკუნეებში დიდი მასშტაბის საერო მხატვრული ლიტერატურა ჰქონდათ, — ირანელებს, არაბებსა და ქართველებს, — სამივე ამ ხალხთა პოეზიაში მიღებულია რითმა.

არაბულ პოეზიაში რითმა ჩვენ გვხვდება უძველესი დროიდანვე. რითმიანი ლექსი უკვე საცესებით ჩამოყალიბებული კლასიკური ფორმით არის მოცემული იმ უძველეს არაბულ ლექსებში, რომლებიც მე-6 — 7 საუკუნეებიდან მომდინარეობენ, თავდაპირველად ზეპირი სახით ვრცელდებოდნენ, და შემდეგ იქმნენ ჩაწერილი და შეკრებილი „მოლაკათ“-ის კრებულის სახით. რითმა იმდენად ბუნებრივი ელემენტია არაბული მხატვრული სიტყვისა, რომ რითმა მიღებულია როგორც ლექსში, ისე პროზაშიც. არსებობდა ფორმა რითმიანი პროზისა („საჯ“); არსებობდა აგრეთვე გარდამავალი ფორმა რითმიან ლექსსა და რითმიან პროზას შორის („რაჯაზ“). კერძოდ მუჰამედის ყურანი ძირითადად რითმიანი პროზის ტექსტს შეიცავს.

რაც შეეხება ირანულს პოეზიას, — თუ რა დროიდან შემოდის აქ რითმა, გამორკვეული არაა. ირანულ პოეზიაში, რომელიც ისლამის დამკვიდრების შემდეგ აღორძინდა ახალ-ირანულ ენაზე მე-9 — 10 საუკუნიდან მოცილებული, — რითმა მიუცილებელი ელემენტია ლექსისა. რითმის წარმომავლის შესახებ ირანულ პოეზიაში ორგვარი შეხედულება არსებობს. ერთი შეხედულების თანახმად რითმა ირანულ პოეზიაში შეთვისებული უნდა იყოს არაბული პოეზიის ზეგავლენით. მეორე შეხედულების თანახმად, რითმა უნდა არსებებულიყო ირანულს პოეზიაში არაბების უწინარეს ხანაშიაც, ადრინდელს ირანულს ფაჰლავრ ლიტერატურაში, საშუალ-საუკუნეთა დასაწყის პერიოდში. მაგრამ ეს მეორე შეხედულება — რითმის არსებობის შესახებ ფაჰლავრ პოეზიაში — მხოლოდ ჰიპოთეტურ მოსაზრებებს ემყარება, რადგან ფაჰლავრი ლიტერატურა დაიღუპა და ფაჰლავრი პოეზიის ძეგლები ჩვენ დრომდე არ გადაჩინილა. უძველესი ჩვენ დრომდე შენახული რითმიანი ლექსის ნიმუშები ირანულ ენაზე, ეს არის ახალ-ირანული პოეზიის ძეგლები მე-9 — 10 საუკუნისა.

რითმის არსებობის შესახებ ადრინდელი ხანის ირანულს ფაჰლავრ ლიტერატურაში შენახულა შემდეგი პოეტური ლეგენდა, რომელიც დაუცავს დოვლეთ-შაჰს. ამ ლეგენდის თანახმად, ირანის ძველი ებოსის პოპულარული გმირი ბაჰრამ-გური (420 — 438 წ.) და მზეთუნახავი დილარამ-ჩანგი შეყვარებულნი იყვნენ, მათი გულები ერთი ტაქტით სცემდა, და ამის გამო მათი სატრფიალო საუბარი გამოისახებოდაო რითმიანი ლექსით; ყოველ კითხვაზე ყოველი პასუხი სრულდებოდაო შეწყობილი ხმაურით, ეზოს მსგავსად, რაც მათი გულების შეწყობილი ხმაურის გამოძახილი იყო.

ქართულს ლიტერატურაში რითმიანი ლექსის უძველესი ნიმუში ჩვენ გვხვდება უკვე ადრეულ საშუალ-საუკუნეებში, მე-6 — 7 საუკუნეთა მიჯნაზე,

სახელდობრ „დაბალი შაირი“-ს ზემოთმოხსენებულ ფრაგმენტში ამჩროვად რითმიანი ლექსი თითქმის ერთდროულად არის დადასტურებული ქართულსა და არაბულში.

ორიგინალური წარმოშობისაა რითმა ქართულს პოეზიაში, თუ შეიქმნის-ბული?

თუ აქ გავლენას დავუშვებდით, ყოველ შემთხვევაში გავლენა არაბული-სა — ცხადია გამორიცხულია. ურთიერთობა არაბულ მსოფლიოსთან უფრო გვიან იწყება. არაბეთი ამ-დროს წარმოადგენდა ერთგვარს terra incognita-ს, არაბები ამ დროისათვის ჯერ კიდევ არაბისტანის ნახევარ-კუნძულზე მკვიდრობდნენ იზოლირებულ მდგომარეობაში, და ჯერ არ დაწყებულიყო არაბთა ძლევამოსილი გავრცელება ახლო-აღმოსავლეთში. არაბთა ტალღამ საქართველომდე უფრო გვიან მოაღწია.

ამ-რიგად, თუ აქ გავლენას ჰქონდა ადგილი, ეს შესაძლოა ყოფილიყო გავლენა ფაჰლავური ლიტერატურისა, თუკი, რასაკვირველია, ფაჰლავურ პოეზიაში მართლაც იხმარებოდა ამ დროისათვის რითმა, რაც ჯერ კიდევ დადასტურებული არაა.

მაგრამ თუნდაც ფაჰლავურ პოეზიაში ამ დროისათვის მართლაც ყოფილიყო ხმარებაში რითმა, ეს ცხადია ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ რითმა ქართულმა პოეზიამ ფაჰლავურიდან შეითვისა. სრულიად უდავოა, მაგალითად, ის გარემოება, რომ არაბულ პოეზიაში რითმა წარმოიშვა და ორგანიზებული სახე მიიღო დამოუკიდებლად ფაჰლავურისა და ქართულისაგან. ასევე რასაკვირველია ფაჰლავურსა და ქართულშიაც რითმა შესაძლოა გაჩენილიყო ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად.

საფუძველი რითმის გაჩენისა სამსავე ლიტერატურაში — ირანულში (ფაჰლავურში), ქართულში და არაბულში — ყველა ნიშნებით ამ ხალხთა ფოლკლორულ პოეზიაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც ადრევე მიუღწევია განვითარების მაღალ დონემდე.

კერძოდ აღსანიშნავია, რომ ქართულს ხალხურ პოეზიაში რითმას ძველსათავეები უჩანს, რითმა შეადგენს ხალხური ლექსის ორგანიულ ელემენტს. ქართულს ხალხურ პოეზიაში ურითმო ლექსი მხოლოდ იშვიათი გამოწაკლისის სახით თუ გვხვდება. უძველესი ფოლკლორული ეპიური ფრაგმენტები, როგორც მაგალითად ამირან-პრომეთეს ეპოსის პირველადი ფენა, არქაულობით აღბეჭდილი, რამდენიმე უძველესი რითმიანი ლექსის გადანაშთს შეიცავს. რითმა გვხვდება ვარათაგნი-ვახტანგის ეპოსის ფრაგმენტშიაც, რითმა მიღებულია აგრეთვე უძველეს ქართულს მითოლოგიურ და მაგიურ ხალხურ ლექსებში.

ამის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ რითმა წარმოადგენს ქართული წყობილი სიტყვის ბუნებრივი განვითარების ნაყოფს. ქართული სილაბიური ლექსი, ნელი ტალღისებური მახვილით, სჩანს ადრევე დაყრდნობია რითმას, როგორც სალექსო სტრიქონის შემკვერელსა და ჰედის მიმცემს ელემენტს. ქართულ ხალხურ ლექსს სჩანს ადრევე აუთვისებია რითმა, როგორც პოეტური მეტყველების ბუნებითად მოცემული საწყისი, ხოლო ხალხური პოეზიიდან იგი შემდეგ გადასულა ლიტერატურაში.



თუ რითმის საკითხი ძველ-ქართულ პოეზიაში მინც ჯერ კიდევ საზოლოოდ გარკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს, ყოველ შემთხვევაში ის კი უდავოა, რომ მთელი რიგი მეტრები ქართულმა ლიტერატურამ ხალხური პოეზიიდან შეითვისა. როგორც აღვნიშნავდით, ხალხური პოეზიიდან მომდინარეობს ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკური მეტრი „დაბალი შაირი“, და აგრეთვე „მაღალი შაირი“, რომელთა ხმარება ფოლკლორის უძველეს ნიმუშებშია დადასტურებული და რომლებიც ქართული ხალხური პოეზიის ძირითად მეტრულ წყობას წარმოადგენენ.

ეს ორი საზომი, რომელიც ხალხური პოეზიიდან არის შესული ლიტერატურაში, ანონიმურია. რაც შეეხება ძველი ქართული პოეზიის სხვა საზომებსა და სტროფულ წყობას, მათ ჩვეულებრივ მიემართება ხოლმე ამა-თუ-იმ პოეტისა თუ მგოსან-რაფსოდის სახელი.

საზომთა ეს სახელები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ლიტერატურის ისტორიისათვის, რადგან მათ ზოგჯერ შემოუნახავთ ჩვენება უძველეს პოეტთა შესახებ.

აქ ჩვენ შევჩერდებით საზომზე, რომელსაც ეწოდება „ბისტიაკური“.

„ბისტიაკური“, როგორც მოხსენებული გვქონდა, ეწოდება ოც-მარცვლოვან ლექსს (ოთხ-მუხლი ხუთეული). იგი ერთი არქაულ საზომთაგანია ქართულს ლიტერატურაში. ეს საზომი — როგორც აღვნიშნეთ — ჩვენ გვხვდება უკვე მე-6 — 7 საუკუნის ტექსტში: ამ საზომით არის შესრულებული ფრაგმენტი ჰომიროსიდან, დაცული პროკოპის ბიოგრაფიის ძველ-ქართულ ვერსიაში, რომელიც მე-6 — 7 საუკუნეებს ეკუთვნის.

სახელწოდება საზომისა „ბისტიაკური“ ნიშნავს ბისტიაკას შემოღებულს, ისევე როგორც სხვა ანალოგიური სახელი „ძაგნაკორული“ ნიშნავს პოეტ ძაგნაკორელის შემოღებულს, ან-და „ჩახრუხაული“ აღნიშნავს პოეტ ჩახრუხას (ჩახრუხაისძის) შემოღებულს.

როდის სცხოვრობდა პოეტი ბისტიაკა, — ამის შესახებ გარკვეული ცნობები არ მოღწეულა. დაცულია მხოლოდ ნაგვიანევი ლიტერატურული გამოცემა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ბისტიაკა ძველი დროის მთავარი ხალხური მგოსანი-რაფსოდი ყოფილა. სალიტერატურო გადმოცემაში აღნიშნულია, რომ ბისტიაკა არ იყო „დიდი გვიარისა“, არამედ ხალხის წრიდან, მდაბალი ფენებიდან იყო გამოსული. ბისტიაკას ლექსებს დიდი პოპულარობა ჰქონია მოპოვებული ხალხში და შემდეგ, გვიან ხანაშიაც, ბისტიაკას ლექსებს მთავარი სახალხო რაფსოდები სტვირსა და ჰიანურზე ამღერებდნენ.

ბისტიაკა სიანს ეკუთვნოდა იმ ძველ-ქართულ რაფსოდ-მგოსანთა რიცხვს, რომელთა შესახებ მოგვითხრობენ ლეონტი მროველი, მოსე ხორენელი და გრიგოლ მაგისტროსი, როდესაც ისინი ძველი იბერიის ხალხურ პოეზიასა და ეპიურ ამბავთა მოქმედებს ეხებიან.

დასასრულ დაგვიჩენია აღვნიშნოთ, რომ სახელწოდება ამ ძველი მგოსან-რაფსოდისა „ბისტიაკა“ წარმოადგენს არა საკუთარ სახელს, არამედ ზედ-წო-

დებას; „ბისტი-კა“ — „ბისტი-ანი“ ნიშნავს ბრმას. ბისტიკა, როგორც ირკვევა, ბრმა ყოფილა, და ამის გამო დარქმევიდა მას ეს სახელი.

ამ-რიგად ბისტიკა — ეს ბრმა რაფსოდი ძველი ქართული ქოვებისა — უნებლიეთ გვაგონებს პოეზიის დიდი პატრიარქის ბრმა რაფსოდის პოეზიის სახეს.

თავი მთხუთი

ჰიმნოგრაფია

საერო მხატვრული ლიტერატურის პარალელურად ძველ ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს მხატვრული მწერლობის ერთი სპეციფიური დარგი — ჰიმნოგრაფია, რომელიც ქრისტიანულ კულტთან იყო დაკავშირებული.

ჰიმნოგრაფიული ძეგლები წარმოადგენს პოეტურ საგალობლებს ქრისტიანული ელფერით. აქ მოცემულია პოეტურ ფორმაში — ლოცვა-ფსალმუნები, ქება (ოდა) ქრისტიან მოღვაწეთა, ან-და ფილოსოფიურ-რელიგიური ხედეა.

ქართული ჰიმნოგრაფია წარმოიშვა ქართული მწერლობის მეორე პერიოდში. უძველესი ჰიმნოგრაფია, რომლის ვინაობა ცნობილია, ეს არის შიომღვიმელი (მე-ნ საუკ.), რომლის ორი ჰიმნი, მისი სახელით ზედ-წარწერილი, ჩვენ დრომდის მოღწეულა. ამას გარდა ჰიმნოგრაფიულ კრებულებში ჩვენ გვხვდება რამდენიმე ათეული ანონიმური ჰიმნები, წარწერით: „ძუელნი“, „ძუელნი ქართულნი“, რომლებიც ქართული ჰიმნოგრაფიის ადრინდელი პერიოდიდან მომდინარეობენ.

ქართულს ჰიმნოგრაფიას თავისებური პოეტური ფორმა აქვს, განსხვავებული საერო პოეზიის ფორმისაგან. თუ ქართული საერო მხატვრული მწერლობა — თავისი ფორმით — აგრძელებდა ქართული ძველი ხალხური პოეზიის ტრადიციას, და მდიდრდებოდა „არა-ქრისტიანულ“ ლიტერატურებთან ურთიერთობით, — ქართული ჰიმნოგრაფია უშუალოდ დაკავშირებულია — ქრისტიანულ მწერლობასთან, პირველ რიგში ადრეულ-ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიასთან.

ქართულს ჰიმნოგრაფიაში მიღებულია „თავისუფალი“ რთული მეტრი, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის „თავისუფალი“ მეტრის გავლენით არის შემუშავებული. შემდეგ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ხმარებაში შემოდის იამბიკონური საზომი, ესეც ბერძნულის გავლენით შემოღებული, ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის შეფარდებით.

ქართულმა ჰიმნოგრაფიამ არ იცის რითმა, როგორც არ იცის რითმა არც ბიზანტიურმა ჰიმნოგრაფიამ. მხოლოდ გვიან, უკვე შემდეგს ეპოქაში, ქართულ ჰიმნებში ჩნდება რითმა, და აგრეთვე საერო პოეზიის სპეციფიური მეტრები, — ქართული საერო და ხალხური პოეზიის ზეგავლენით.

ჰიმნები იგალობებოდა ზოლმე და აქედან წარმოსდგება ჰიმნების სახელწოდება „გალობანი“.

ჰიმნების საგალობელი ხმები ორგვარი ყოფილა, — ბერძნული და ორიგინალური ქართული (რაც საგანგებოდ აღნიშნულია საგალობელთა მე-10 საუკუნის ერთ კრებულში).

აქ საჭიროა აღენიშნოთ ამასთან ისიც, რომ ქართული ჰიმნოგრაფია აგრძელებდა არა მხოლოდ ბერძნული ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის ტრადიციებს,

არამედ ქართულ ჰიმნოგრაფიას მასთან ერთად სჩანს განუცდია აგრეთვე გავლენა არა-ორთოდოქსალური (არა-ქრისტიანული) მანიქეური ჰიმნოგრაფიისა.

მე-5 საუკუნეში, როგორც მოხსენებული გვქონდა, საქართველოში ფართო გავრცელებით სარგებლობდა სინკრეტული ქრისტიანულ-მანიქეური კულტი და გავლენა მანიქეური საკულტო ჰიმნებისა ამ-დროიდან უნდა შემოქრილიყო ქართულს ჰიმნოგრაფიაში.

რომ ქართულ ჰიმნოგრაფიას განუცდია გავლენა მანიქეური ჰიმნოგრაფიისა, ამის მაჩვენებელია საგალობელ-ჰიმნების თვით სახელწოდება „იაღგარი“. ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით, როგორც გამოაკვეთილია სპეციალურ ლიტერატურაში, მანიქეური წარმოშობისაა. „იაღგარი“ ეწოდებოდა მანიქეურ საკულტო ჰიმნს, საგალობელს მოღვაწე-წმიდანის სახსოვრად. ქართულ ჰიმნოგრაფიაშიაც ეგვევ ტერმინი „იაღგარი“, შეთვისებული მანიქეველთაგან, ამასვე აღნიშნავდა.

რაში გამოიხატა ნიშანდობლივ მანიქეური გავლენა ქართულ ჰიმნოგრაფიაში?

მანიქეველთა შორის, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა მუსიკა, როგორც ჰიმნების აუცილებელი თანამყოფი ელემენტი. მანიქეველებს ღვაწლი მიუძღოდათ თვით მუსიკის თეორიის დამუშავებაშიაც. ქრისტიანულმა ქართულმა ჰიმნოგრაფიამ სჩანს შეითვისა მანიქეველთაგან ზოგიერთი საგალობელი ხმები; მაგრამ არ არის გამორიცხული ისიც, რომ მანიქეურ ჰიმნებს გავლენა ჰქონოდათ ქრისტიანული ქართული ჰიმნების პოეტურ ვაფორმებაზე, მით უფრო, რომ ჰიმნებში ფორმა და საზომი შეფარდებულია ზოლმე საგალობელ ხმებთან.

თავი მემქმსი

ისტორიოგრაფია. ფილოსოფია. სამეცნიერო მწერლობა.

დასასრულ, ჩვენ აქ წარმოვადგენთ მე-4 — 7 საუკუნეთა ქართული მწერლობის დანარჩენი დარგების — ისტორიოგრაფიის, ფილოსოფიის და სამეცნიერო მწერლობის — მოკლე მიმოხილვას.

ისტორიოგრაფია

ისტორიოგრაფია — ქართული მწერლობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მე-4 — 7 საუკუნეებში.

სამწუხაროდ ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მთელი რიგი ძეგლები, როგორც ირკვევა, დაკარგულია, ან-და ფრაგმენტებისა და ექსცერპტების სახით არის გადარჩენილი.

ვიძლევიტ აქ საისტორიო ძეგლთა ჩამოთვლას.

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ჩვენამდე მოღწეულა საისტორიო ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, და რომელიც შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას ათი საუკუნის განმავლობაში. ეს საისტორიო თხზულება შემდეგი ნაწილებისაგან შესდგება:

1. უწყება ქართველთა გადმოსახლების შესახებ თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე სამხრეთიდან, და გადმოცემა ალექსანდრე მკეცდონელის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ.

2. ქართველნი მეფენი წარმართობის ხანისა (— მოიცავს შემოქმედებულ საუკუნე ნახევრის მანძილზე: იწყება მე-4 საუკუნის დასასრულიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, და სრულდება მე-4 საუკუნის დასაწყისზე ჩვენი წელთაღრიცხვისა).

3. მეფობა მირიანისა, ნინოს მოღვაწეობა, და ქრისტიანების გავრცელება საქართველოში (მე-4 საუკუნის პირველ ნახევარი).

4. საქართველოს მომდევნო ისტორია — სამი საუკუნის განმავლობაში, დაწყებული მე-4 საუკუნის ნახევრიდან და მოყვანილი მე-7 საუკუნის 40-იან წლებამდე.

მატიანის ძირითადი ტექსტი მე-7 საუკუნის 40-იან წლებზე სრულდება¹.

შედარებითი შესწავლა ამ ძეგლისა და ორი სხვა ძველ-ქართული საისტორიო თხზულებისა — ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მატიანეებისა — გვიჩვენებს, რომ მე-7 საუკუნეში ქართულად არსებულა სხვა უფრო ვრცელი მატიანე, რომელიც ეხებოდა იმავე ათ-საუკუნოვან პერიოდს (— ე. ი. მე-4 საუკუნის ბოლოდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს — ვიდრე მე-7 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მემატიანე ერთის მხრით, ხოლო ლეონტი მროველი და ჯუანშერი მეორეს მხრით, — მისდევენ ერთი და იმავე ძველი მატიანის ქარვას, ზოგიერთის ვარაიაციებით. ამასთან „მოქცევაჲ“-ს მატიანეში შერჩენილია ისეთი ნიშნობლივი ლაქუნები, საიდანაც ირკვევა, რომ „მოქცევაჲ“-ს ავტორს შემოკლებით გადმოუცია ძველი ვრცელი მატიანის ტექსტი.

აღსანიშნავია, რომ „მოქცევაჲ“-ს მატიანეში ჩვენ გვაქვს საერო მხატვრული მწერლობის გავლენის კვალიც. როგორც მოხსენებული გვქონდა, ალექსანდრე მკეცდონელის ისტორია აქ გადმოცემულია კალისტენისადმი მიწერილი „ალექსანდრიანი“-ს მიხედვით. „ალექსანდრიანი“-ს გავლენა ჩვენ გვაქვს აგრეთვე ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაშიაც. (ტექსტების ანალიზიდან ირკვევა, რომ „ალექსანდრიანი“ თავდაპირველად გამოყენებული ყოფილა იმ ვრცელს საისტორიო პირველწყაროში, რომლისაგანაც დამოკიდებული არიან „მოქცევაჲ“-ს ავტორი და ლეონტი)².

დასასრულ არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ისიც, რომ ქართული ისტორიულ თხზულებებს კარგად იცნობენ, სომეხთა ისტორიკოსები, რომლებიც სარგებლობენ ქართულის წყაროებით.

ასე „მოქცევაჲ“-ს მატიანის ძველი პირველწყარო (ან-და შესაძლოა თვით „მოქცევაჲ“-ს ტექსტიც) სცნობია სომეხთა ისტორიკოსს მოსე ხორენელს, რომელსაც მოჰყავს ქართული წყაროებიდან ცნობები საქართველოს შესახებ³.

¹) დამატებით იხ. სქოლიო 10.

²) იხ. პ. ინგოროყვა „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ (შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა „რუსთაველის კრებული“, ტ. 1938 წ., გვ. 59 — 60).

³) იხ. სქოლიო 11.

ექსცერპტები ქართული წყაროებიდან (— ნინოს მოღვაწეობის შესახებ) შეტანილი ყოფილა აგრეთვე სომხური საისტორიო-ჰაგიოგრაფიული ძეგლის აგათანგელოსის ძეგლს ვერსიაში.

ქართულში
ნიშნულიყოფა

2. გრიგოლ დიაკონი.

უძველეს ქართველ ისტორიკოსთა რიცხვს ეკუთვნის გრიგოლ დიაკონი, რომელსაც დაუწერია „წიგნი ქართველთა მოქცევისა“, მოკლე მოთხრობა ნინოს მოღვაწეობისა და საქართველოს გაქრისტიანების შესახებ.

ეს ავტორი — გრიგოლ დიაკონი — მოხსენებულია ჩვენ დრომდე მოღწეულ „ქართლის მოქცევა“-ს მატიანეში, და თვით ნაწყვეტებიც გრიგოლ დიაკონის თხზულებიდან იმავე „მოქცევა“-ს მატიანეში არის შეტანილი.

როდის ცხოვრობდა გრიგოლ დიაკონი, ამისი ზუსტად გარკვევა, მასალების სიმცირის გამო, ძნელია, მაგრამ ზოგიერთ ნიშნულობათა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ იგი მე-4 — 5 საუკუნის მწერალი უნდა ყოფილიყო¹.

3. მატიანე საპარსთა მფლობელობისა მართლს მე-6 საუკუნეში.

გამონაკრები ამ საისტორიო თხზულებისა დაცულია ქელიშისეულ ცნობილ ხელნაწერში. ექსცერპტს დართული აქვს შენიშვნა: „ესე აღწერილი გამოკრებილად არს“.

ამ საყურადღებო ტექსტში, რომელიც მოკლე „გამონაკრების“ სახით არის მოღწეული, მოთხრობილია საპარსთა მფლობელობის დამყარება ქართლში (იბერიაში) და კავკასიის მთიანეთში მე-6 საუკუნეში. ფაქტობრივ ცნობები ამ ტექსტისა იმდენად ზუსტი და ნიშანდობლივია, რომ ავტორი სჩანს ბევრით არ იყო დაშორებული იმ ეპოქიდან, რომელსაც იგი ასწერდა. ტექსტის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ შემატიანე ერაკლე კეისარის ხანის მე-7 საუკუნის პირველი მესამედის მწერალი უნდა ყოფილიყო².

4. ვახტანგ გორგასარის მატიანე.

ქართული მწერლობის იმ პერიოდში, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, არსებულა მატიანე ქართველი განთქმული სახელმწიფო მოღვაწისა, საქართველოს მეფის ვახტანგ გორგასარისა (მე-5 საუკუნის მეორე ნახევარი).

ეს ძველი მატიანე ექსცერპტულად არის გამოყენებული უფრო გვიანი დროის უჯარმოელის თხზულებაში, და აგრეთვე არსენის მეტაფრასში, რომლებიც ვახტანგ გორგასარის მეფობას ეხებიან³.

5. აბიათარის მატიანე.

ქართულ მატიანეთა კრებულის „ქართლის ცხოვრების“ ანა-დედოფლისეულ ხელნაწერში დაცულია ცნობა ერთი ძველ-ქართული საისტორიო თხზულების შესახებ, რომელიც ასეთს სათაურს ატარებდა:

¹) იხ. სქოლიო 12.

²) იხ. სქოლიო 13.

³) იხ. სქოლიო 14.

„ცხოვრება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცეყოყუდე მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა... — აღწერილი აბიათარისი“.

ტექსტი ამ საისტორიო თხზულებისა დაკარგულია, ამის გამო ნაწარმოების ხასიათი და თარიღი გაურკვეველი რჩება.

აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ტრადიცია აბიათარს მე-4 საუკუნის დასაწყისის მოღვაწედ სთვლიდა, რომელსაც, ნინოსთან ერთად, ღვაწლი მიუძღოდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში¹.

ფილოსოფია

ქართული მწერლობის იმ პერიოდში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ე. ი. მე-4 — 7 საუკუნეთა მანძილზე, ფილოსოფოსის წამყვან დარგს წარმოადგენდა ქრისტიანული თეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა. ქართულს ენაზე, როგორც მოხსენებული გვქონდა, ამ ეპოქაში უთარგმნიათ ქრისტიანული თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ცნობილ წარმომადგენელთა თხზულებანი — ორიგენისა, იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნოსელისა და სხვათა².

ქრისტიანული თეოლოგიურ-ფილოსოფიური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა ქართული ორიგინალური თეოლოგიური ლიტერატურა, რომელიც უმთავრესად მაზღვიანობა-მანიჭველობისა და ქრისტიანობის სხვადასხვა ფრაქციების დოღმატიურ-თეორეტიულ საკითხებს ეხებოდა³.

მაგრამ ინტერესი ფილოსოფიისადმი ქართულ წრეებში — როგორც ირკვევა — მარტო ქრისტიანული თეოლოგია-ფილოსოფიით არ განისაზღვრებოდა.

ამის გვერდით ამ ეპოქაში ქართული მწერლობისათვის არ ყოფილა აგრეთვე უცხო ანტიური ელინური ფილოსოფიის ტრადიციები.

ეს გარემოება დიდად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ქართული განათლების ისტორიისათვის მე-4 — 7 საუკუნეებში და ჩვენ აქ ამაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

პირველ რიგში აქ შევჩერდებით მე-4 საუკუნის ერთს მოღვაწეზე; ეს არის ბაკური, რომელიც, როგორც ირკვევა, დაკავშირებული ყოფილა თავისი დროის ბერძნულ ნეოპლატონიკურ ფილოსოფიურ წრეებთან.

ბ ა კ უ რ ი

ბაკურის შესახებ საყურადღებო ცნობები შენახულა ანტიურს ბერძნულსა და ლათინურსა და აგრეთვე ქართულს წყაროებში.

¹) ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ აქ დასახელებული ნაწარმოები უშუალოდ აბიათარის მიერ იყო დაწერილი. ისევე, როგორც ნინოს სახელის ზედწერილით ქვეყნდებოდა თხზულებანი შემდეგს ხანაში, ასევე შესაძლოა ეს თხზულებაც შემდეგ ხანაში იყო გამოქვეყნებული აბიათარის სახელის ზედწარწერით. (დამატებით იხ. სქოლიო 15).

²) იხ. ზემოთ, გვ. 150, 156 — 157 (შნათობი № 2).

³) იხ. ზემოთ, გვ. 150 — 155 (შნათობი № 2).

ბაკური იყო შვილი-შვილი იბერიის მეფის მირიანისა, რუმლის დროსაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა იბერიაში, მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში¹.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ამ ეპოქაში ხმამაღლა წარმოადგენდა უფლისწულების წარგზავნა მძევლად მოკავშირე სახელმწიფოთა კარზე პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მიზნით². ბაკური ბავშვობის დროს მძევლად ყოფილა გაგზავნილი იბერიის სამეფოდან რომის იმპერატორის კარზე და ბავშვობა ბაკურს საბერძნეთ-რომში გაუტარებია.

მას შემდეგ, რაც იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა, და ამით მტკიცე კავშირი რომსა და იბერიას შორის უზრუნველყოფილად იყო მიჩნეული, ახალგაზრდა ბაკური დაუბრუნებიათ იბერიაში.

ბაკურს, იბერიაში დაბრუნების შემდეგ, როგორც სჩანს, თავი უსახელებია სახელმწიფო მოღვაწეობით თავის სამშობლოში. თანამედროვე საისტორიო წყარო ბაკურს „იბერთა შორის სახელოვანს“ უწოდებს.

ხანმოკლე დროის მანძილზე ბაკურს იბერიის სამეფო ტახტიც სკერია (მე-4 საუკუნის 60-იან წლებში). მაგრამ შემდეგ, არა სჩანს კარგად რა მიზეზისა გამო, იგი იძულებული გამხდარა სამეფო ტახტი დაეტოვებია. (საფიქრებელია ამისი მიზეზი იყო ვართულეზული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ირანის იმპერიის შემოტევის შედეგად კავკასიაში, რასაც შემდეგ, 368 წელს, იბერიის სამეფოს ორად დანაწილება მოჰყვა. ბაკური, ამ ვართულეზულს პოლიტიკურს ვითარებაში, სჩანს ადრევე იძულებული გამხდარა დაეტოვებია იბერია, რაკი ბაკური დასავლეთის ორიენტაციის მეტად საჩინო პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა).

ბაკური გადასახლებულა რომის იმპერიაში. აქ ბაკური მიუღიათ საიმპერატორო კარზე. ბაკური დაუნიშნავეთ იმპერიის სეფე-ჯარის უფროსად და პალესტინის მონაპირე მთავრად.

ბაკურს, როგორც პალესტინის მონაპირე მთავარს რეზიდენციად ჰქონდა იერუსალიმი, მაგრამ ამავე დროს ბაკურს ურთიერთობა ჰქონია რომის იმპერიის სხვა კულტურულ ცენტრებთანაც. ბაკურს დროგამოშვებით ჩვენ ვხვდავთ კონსტანტინეპოლში, ანტიოქიაში, იტალიაში.

ბაკური ახლო მეგობრობით ყოფილა დაკავშირებული თავისი დროის ლიტერატურულ წრებთან. კერძოდ ის ცნობები, რომელიც დაცულია ბერძნულსა და ლათინურს ლიტერატურაში, გელასი კესარიელისა და რუფინუსის თხზულებებში, იბერიაში ქრისტიანობის ვავრცელების შესახებ, მომდინარეობს ბაკურის ვადმონაცემიდან. გელასი კესარიელი ასე ამთავრებს მოთხრობას იბერიაში ქრისტიანობის ვავრცელების შესახებ:

„ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ლეთისმოსავმა, მეფის შთამომავალმა, და იბერთა შორის სახელოვანმა, რომე-

¹ ძველი ქართული მატანიის „მოკცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით — ბაკურის მამა იყო რევი, შვილი მირიანისა. (მეორე უფრო გვიანდელ წყაროში — ლეონტი მროველის თხზულებაში — ბაკური მოიხსენება მირიანის არა შვილი-შვილად, არამედ შვილად).

² იხ. ზევით, გვ. 160 (შნათობი № 2).

ლიც გახდა რომაელთა მთავარი, და აწარმოა ომი ბარბაროს-სარკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მთიანეთში და მათზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა“.

ეკონომი

ბაკური მეტად კოლორიტული ფიგურაა. ბუნებას ყველაფერი უბრუნდა გაუმეტებია ამ ადამიანისათვის. ბაკური ჰხიზლავდა თანამედროვეებს ნათელი გონებით და მაღალი სულიერი თვისებებით. ამავე დროს ბაკური გარეგნულადაც მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა. თან შეუდარებელი რაინდი, განთქმული თავისი ვაჟკაცობითა და მხნეობით.

გიორგი ამარტოლი, თანამედროვეთა ცნობებზე დამყარებით ასე აგვიწერს მაგალითად ერთს ბრძოლას, რომელშიაც ბაკური იღებდა მონაწილეობას. ეს იყო ბრძოლა ეგვიპტის ტირანის წინააღმდეგ, რომელიც ბაკურისთვის ტრადიკულად დასრულდა. გიორგი ამარტოლი სწერს:

„სარდლები... საბრძოლველად გამხნედნენ, განსაკუთრებით ბაკური, კაცი ყოვლად ღირსეული — როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე თავისი სულიერი და ხორციელი სილამაზით. ვინც მის ახლოს მოხედებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილით. მან გაარღვია მტრის ლეგიონი, რომელიც მკიდროდ იყო შეერთებული, დამარცხებული ჯარის შუა წყებები გასწიგამოსწია და გვამების გორაკებს გვერდი აუხვია და თვით ტირანთან მივიდა...“

ბაკური, რომლის სახე ერთგვარი რომანტიზმით არის მოსილი, ეს უებრო რაინდი, რომელიც იძულებული გახდა მოშორებოდა სამშობლო ქვეყანას და უცხოეთში გადახვეწილიყო, „კაცი ყოვლად ღირსეული“ — თანამედროვეთა სიტყვები რომ გავიმეოროთ, მომხიზლველი „სულიერი და ხორციელი სილამაზით“, — ბევრ რამეში გვაგონებს თავის სახელოვან თანამედროვეს იულიანე განდგომილს. ბაკურიც — იულიანეს მსგავსად — შეპყრობილი ყოფილა „ფილოსოფიური ეროსით“, მას, როგორც ირკვევა არ აკმაყოფილებდა ქრისტიანობა, მისი გული, როგორც ფიგურალურად ამბობს თანამედროვე მწერალი, „განგმირულ იქმნა სულ სხვა ისრით“, რამაც ბაკური ელინური ფილოსოფიის კარამდე მიიყვანა.

ბაკური ბავშვობის დროს წარმართობაში იყო აღზრდილი, შემდეგ ბაკური — იბერიის სამეფო სახლთან ერთად — ქრისტიანობა მიიღო. ქრისტიანობის მიმდევრად დარჩა იგი კარგა ხანს. მაგრამ ბოლოს ბაკურს აღარ აკმაყოფილებს ქრისტიანობა და იგი ელინური ფილოსოფიის ადემტი ხდება და ელინური წარმართული იდეოლოგიისაკენ იხრება.

ბაკურს მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ჩვენ ვხედავთ ნეოპლატონიკოსების ფილოსოფიურ წრეში, განთქმული ფილოსოფოსის იამბლიხოსის მიმდევართა შორის. იამბლიხოსი, როგორც ცნობილია, ნეოპლატონიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი იყო. ამასთან იამბლიხოსი ითვლებოდა ელინური წარმართული იდეოლოგიის მთავარ ბაირახტრად.

ბაკური საგანგებოდ გასცნობია იულიანე განდგომილის ცნობილ მასწავლებელს, ფილოსოფოსსა და რიტორს ლიბანიუსს. ბაკურისა და ლიბანიუსის დაახლოვება მომხდარა კონსტანტინეპოლის პრეფექტის არისტა-

ნიტის მეშვეობით. ლიბანიუსი ანტიოქიაში მოღვაწეობდა და არაბულნიტი ბაკურის შესახებ საგანგებო წერილს უგზავნის ლიბანიუსს კონსტანტინეპოლიდან ანტიოქიაში.

ბაკური სწვევია ლიბანიუსს ანტიოქიაში და მათ შორეულ ქვეყნებში ფილოსოფიური მგებობა დამყარებულა.

ლიბანიუსი, ბაკურისთან პირველი შეხვედრის შემდეგ ატყობინებს არისტანტის: „იყო ჩემთან იბერთა მეფე ბაკური..., რომელიც მეტად მომეწონა. იგი სულთაც ისევე მშვენიერია, როგორც სხეულითაც. მე უკვე ვიცი, რამ გახადა ეს ადამიანი ჩენი, და საიდან არის ის ისარი, რომელმაც განგმირა იგი“.

ბაკური, როგორც ირკვევა, ფართოდ განათლებული ადამიანი ყოფილა, დიდის მომზადებით, ფართე ფილოსოფიური პორიზონტით.

ბაკურს, ლიბანიუსთან დამეგობრების შემდეგ 391 წელს გაუგზავნია ლიბანიუსისათვის ეპისტოლე ფილოსოფიური შინაარსისა. ეს ეპისტოლე ბაკურისა ჩვენ დრომდე არ შენახულა; მაგრამ ლიბანიუსის პასუხიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ბაკურის ეპისტოლის საგანი ყოფილა ის ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც აღელვებდა ნეოპლატონიკოსთა წრეებს, რომ ეს ეპისტოლე დიდის ცოდნით და უნაკლო ფორმით იყო დაწერილი, აღბეჭდილი იყო — ლიბანიუსის გამოთქმა რომ გაეიმეოროთ — „ფილოსოფიური ეროსით“.

ლიბანიუსი შემდეგით უპასუხებს ბაკურს მის ეპისტოლეზე:

„ძვირფასო ბაკური! მივიღე შენი ეპისტოლე... შენ არა მხოლოდ გამოსთქვამ იმ აზრებს, რაც ჩვენ წრეშია მიღებული, არამედ გამოსახავ იმ აზრებს ისეთივე (სრულყოფილი) ფორმით, როგორც ეს ჩვენ (ელინ რიტორებს) გვჩვევია. შენ შეპყრობილი ხარ ფილოსოფიური ეროსით! შენ გიყვარს ლოგოსი და შეეყვარებული ხარ ლოგოსის მიერ! შენ შეიყვარე ღმერთები (ელინთა) და ღმერთები შეგიყვარებენ შენ“.

ამ-რიგად ბაკური, არა მხოლოდ ნეოპლატონური ფილოსოფიის ადემპტი ყოფილა, არამედ, როგორც ირკვევა, იგი ელინური წარმართობისაკენაც გადაბრლია.

რასაკვირველია არა აქვს იმას მნიშვნელობა, ოფიციალურად ჩამოშორდა თუ არა ქრისტიანობას ბაკური. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ბაკური გამოხიზლულა ქრისტიანობისაგან, მისი გული „განგმირულა სულ სხვა ისრით“, და ბაკურის მსოფლმხედველობა, დაშორებული ქრისტიანულ იდეოლოგიას, აღბეჭდილი ყოფილა ბაკურის ფილოსოფიურ ეპისტოლეში.

აი, ძირითადში, ის ცნობები, რომელიც მოღწეულა პირველი ქართველი ფილოსოფოსის, „იბერთა შორის სახელოვანის“ ბაკურის შესახებ.

ბაკური გარდაიცვალა 394 წელს. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ბაკური მონაწილეობდა ბრძოლაში ეგვენიოს ტირანის წინააღმდეგ. ბაკური დაიღუპა ამ ბრძოლაში 394 წელს, მდინარე ფრივიდასთან, იტალიაში.

არისტოტელის თარგმანი.—პართულ-სომხური ურთიერთობა ფილოსოფიური ლიტერატურის დარგში.—პროკლე დიადოხოსის თარგმანი.

ქართულის მწერლობის ამავე პერიოდში ქართულს ენაზე ^{ქრონიკის ხუცევა-} უთარგმნიათ ანტიური ელინური ფილოსოფიის ძეგლები, ასე ^{არისტოტელ-} ლი და ნეოპლატონიკოსები.

ჯერ არისტოტელს შესახებ.

არისტოტელის ამ ეპოქაში შესრულებული ძველი ქართული თარგმანი ჩვენ დრომდე არ მოღწეულა. მაგრამ შენახულა ამ ძველი ქართული თარგმანიდან მომდინარე სომხური თარგმანი არისტოტელისა.

ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება, რომ არისტოტელის ^{პეპი} ^{დჰაყუყაძე}-ის სომხურ თარგმანში შიროჩენილია ქართული ტერმინოლოგიის ვადანაშთი. ამ ტერმინოლოგიის მიხედვით დასტურდება რომ სომხური ტექსტი არისტოტელისა ქართულიდან არის თარგმნილი. სომხური ტექსტი არისტოტელისა მე-7 საუკუნეს ეკუთვნის. ძველი ქართული თარგმანი ამაზე ადრე ყოფილა შესრულებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში ახლო-აღმოსავლეთის მოწინავე ხალხებს ქართველებსა და სომხებს ახლო ურთიერთობა ჰქონიათ როგორც ლიტერატურის სხვა დარგებში, ისე ფილოსოფიის დარგშიაც.

ამასთან დაკავშირებით არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნოთ კერძოდ ის ფაქტი, რომ მე-7 საუკუნის სომეხი ფილოსოფოსი, რომელიც „დავით უძლეველის“ სახელით არის ცნობილი, და რომელიც ყველაზე საჩინო ფიგურაა ძველი სომხური ფილოსოფიის ისტორიაში, სჩანს უახლოესად დაკავშირებულ იყოს ქართულ წრებთან.

დავით უძლეველს ეკუთვნის კომენტარიები არისტოტელის ^{პეპი} ^{დჰაყუყაძე}-ისა, და შესაძლოა თვით არისტოტელის თხზულების ტექსტიც — დავითის მიერვე იყოს თარგმნილი ქართულიდან სომხურს ენაზე.

დავითის ურთიერთობის შესახებ ქართულ წრებთან მეტად საგულისხმო ცნობებს გადმოგვცემენ სომხური წყაროები. ასე, არაქელ სიენიელს დაცული აქვს ასეთი ცნობა:

„სომხებმა, რომელთაც ამზილებდა იგი (დავით ფილოსოფოსი), შეიზიზღეს (მოიძულეს) დავით, და მისი სიტყვები, და მიაყენეს მას შეურაცხყოფა მოქმედებით, და დავით გადასახლდა საქართველოში, სადაც იგი სიკვდილამდე დარჩა“.

*

გარდა არისტოტელისა ქართულს ენაზე ამ ეპოქაში სჩანს არსებობდა ნეოპლატონიკოსთა თხზულებანი.

განთქმულმა ქართველმა ფილოსოფოსმა და მე-11—12 საუკუნის ქართული ჰუმანიტური მოძრაობის მეთაურმა იოანე ფილოსოფოსმა, როგორც ცნობილია ქართულს ენაზე სთარგმნა ნეოპლატონიკოსის პროკლე დიადოხოსის „კავშირი“, რომელსაც კომენტარიების სახით დაურთო თავისი ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი. იოანე ფილოსოფოსის კომენტარიებში აღნიშნულა, რომ პროკლეს ტექსტის ეს თარგმანი ხელმოკრედ არის

შესრულებული. ძველი თარგმანი სხანს უკვე აღარ აკმაყოფილებდა ახალ ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელიც მე-11—12 საუკუნეებში აღმოჩნდა საქართველოში და ამით ყოფილა გამოწვეული იოანე ფილოსოფოსის მიერ პროკლეს თხზულების ხელმეორედ თარგმნა¹.

სამწუხაროდ ეს ძველი პირველი თარგმანი პროკლეს თხზულებას, რომელზედაც მითითება დაცულია იოანე ფილოსოფოსის თხზულებაში, ჩვენ დრომდე აღარ გადაჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო იმისი გარკვევა, თუ სახელდობრ როდის ან ვის მიერ იყო შესრულებული ეს ძველი თარგმანი.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართული ფილოსოფიური მწერლობის ანარეკლი ჩვენ გვაქვს ამ ეპოქის სალიტერატურო ძეგლებშიაც. — ევსტათი მცხეთელი ს ბიოგრაფიის ტექსტში (6 საუკ.) და აბიზონ ეკრესელის მოსახსენებელში (— დამოკიდებულია მე-7 საუკუნის დასაწყისის დედნიდან).

ქართველ ავტორებს ელინური ფილოსოფიის ელემენტები გამოუყენებიათ ირანული მაზდეიზმის საწინააღმდეგოდ მიმართულ პოლემიკაში.

სამეცნიერო ლიტერატურა.

ამ ეპოქის საკუთრივ სამეცნიერო ლიტერატურის დარგიდან ჩვენ დრომდე გადაჩენილა ქრონოლოგიურ-საკალენდარო ტრაქტატი, რომელსაც ეწოდება: „გამომიებისათვის ეამთა და წელთა, მცხრალისათვის და ნაკისათვის, შთოვარისა ზედანადებისათვის, ხუთეულისა, და ექვსეულისა და შვიდეულისათვის“. ეს თხზულება, რომელშიაც ნაწილობრივ გამოყენებულია ძველი ქართული წარმართული კალენდარიდან მიმდინარე ელემენტები, დაუმუშავებიათ რომაული კალენდარის შემოღების შემდეგ. ამ ძეგლის რამდენიმე რედაქცია მოლწეულა ჩვენ დრომდე. პირველი-დედანი, როგორც ირკვევა, შედგენილი ყოფილა მე-6—7 საუკუნეებში, როდესაც საქართველოში რომაული კალენდარის ხმარება დამკვიდრდა.

ამ ორიგინალურს ძველ-ქართულ ძეგლს გარდა, ინტერესს წარმოადგენს ბერძნულიდან თარგმნილი გრიგოლ ნოსელის ცნობილი თხზულება „კაცისა შესაქმნისათვის“, კერძოდ მე-30 თავი, რომელსაც ეწოდება:

„სიტყვა მკურნალთაგან, რომელი მოასწავებს ასოთა გვამთა კაცთასა, დაბადებისა შინა მათსა“.

ამ ტექსტში განხილულია ადამიანის ანატომია.

ყურადღებას იქცევს ამ ძეგლის მდიდარი, ზუსტად დამუშავებული სამეცნიერო ტერმინოლოგია.

(დასასრული მეორე წერილისა).

¹ იოანე ფილოსოფოსი თავის კომენტარებში (ბოლოსიტყვაობაში), ეხება რა ამ წიგნის მეორედ თარგმნის მიზეზს (— „არამედ მიზეზი აწ ეტალად გარდმოღებისა წიგნისა ამის ესეობს“), — იძლევა საერთო კრიტიკას ძველი მთარგმნელების მეთოდისა, რომლებიც, იოანეს შეფასებით, თავისუფლად ეკიდებოდნენ სათარგმნელ ტექსტებს და არ იცადდნენ სრულს ზედმიწევნილობას.

საქმიანური ხასიათის მქსპურსები და უნივერსი

„ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვის“

მეორე წიკილისა

- I. ქართული და ქრისტიანული-წმინდა ლიტერატურული ურთი-ურთშია ქრისტიანობის ადრეულ ხანაში.
- II. შიშლიას ბეულ-ქართული ურთიუნი.
- III. თოსთავის ბეულ-ქართული ურთიუნი.
- IV. უბეულესა ჰაგიათვრათეული ბეულუნიხ დათობილუნიხათვის.
- V. „ვითხვა-შიგუბა უელისა და ჰაულესი“ და „შამიღასლჳა შივიქულთა“.
- VI. შრატალთავა.
- VII. თელთავთრთ ლიტერატურის ბეულუნი.
- VIII. ბეული ქართული შწრთლთის დატგუნი: აბურთიუნი, ჰაგიათვრათეა, შით-გრათეული ლიტერატურა, ისტორიოთვრათეა.
- IX. შითვრათეა ცხრათა კულაქლთა.
- X. „შთქეუვა ქართლისაი“-ს ჰინტანდელი შედგენილთა.
- XI. შითქ სთრქელი და ქართული წმინთუნი.
- XII. გრატელ დიკონის შაცაი.
- XIII. შაცაი სპარსთა შელთბულთისა ქართლს შე-რ ხაუურუნი.
- XIV. ვასტანგ გთრვასარის შესახუნი არქელი უქსტრპუნი.
- XV. აშიათარის შაცაი.

ქართული და ქრისტიანულ-ეგრული წამების ლიტერატურული ურთიურობა ქრისტიანობის ადრეულ ხანაში

(სქოლიო 1, გვ. 144, შნითობი № 2).

საქართველოში ჩენი წელთადრიცების პირველ საუკუნეებში ებრული კოლონიების არსებობა დასტურდება როგორც საისტორიო წყაროების ცნობებით, ისე მცხეთის რაიონში აღმოჩენილი ეპიგრაფიული ძეგლებით. (მცხეთაში არსებულა ცალკე „უბანი ჰურიათა“, და საისტორიო წყაროს ჩვენებით „მკვდრ იყენეს მცხეთას შინა დრიადნი ერნი ჰურიათანი“. ებრული კოლონიები ყოფილა მცხეთას გარეთაც; ასე, საქართველოში არსებულა ცალკე ებრული თეში ზერკში, აგრეთვე ებრული კოლონია მოხვენებულა ურბნისში, კარსანში, ზოდებში, კოდის-წყაროში, სობისში, ციხე-დიდში).

საქართველოში მოსახლე ებრაელობა ადრევე გაქართველებულა და შთ ეწოდებოდათ „ჰურიანი ქართველნი“. (ერთ ტექსტში — „აღწერილი სიღონიასი“ — ქართველი ებრაელები პირდაპირ ჩათვლილა ქართველებად).

ქართველ ებრაელთა შორის ადრიდანვე გავრცელებულა ქრისტიანობა. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროების ცნობით, ნინოს უახლოესი თანამშრომელი ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ყოფილან ქართველი ებრაელები. ქართველები და ქრისტიანობის მიმდევარი ქართულ-ებრული წრეები გაერთიანებული იყენენ მცხეთის ქართული ქრისტიანული კლესიის ფარგლებში.

ქართული და ებრაულ-ქრისტიანული წრეების ახლო ურთიერთობის შესახებ საყურადღებო ჩვენებებს შეიცავს ნინოს ცხოვრების ვერსიები.

აღსანიშნავია, რომ ნინოს ცხოვრების ვერსიებს ვასდევს გარკვეულ ტენდენციას, მიმართული ქართულ ებრაელთა რეაბილიტაციისაკენ. ტენდენციის აღმწერი იმ აზრს ატარებს, რომ ქართველი ებრაელები „უღიანაშურლნი არიან ქრისტეს წინაშე, რომ ქართველი ებრაელები არ არიან თანაზიარი ებრაელობისა ქრისტეს სიკვდილით დასჯის საჭმეში, და რომ ქართველი ებრაელები თავიდანვე ქრისტიანობისაკენ მიდრეკილი იყვნენ. (ქართველ ებრაელთა ამ რეაბილიტაციას ისახავს მიზნად ნინოს ცხოვრების ავტორი, როდესაც აგვიწერს ელიოზის დედის მიერ დამოძღვრას თავისი შვილისა; ელიოზის დედის გარდაცვალებას; ელიოზის, ლონგინოზ კარსანელის, თაღენას და მისაელის მოგზაურობას პალესტინაში და პალესტინიდან ქრისტეს კვათის მოტანას; ელიოზის დის ამბავს, და სხვ.).

ამგვარი ტენდენცია ნინოს ცხოვრებისა, მიმართული ქართველ ებრაელთა რეაბილიტაციისაკენ, პირველის შესხედვით სრულებით უცნაურია საშუალ-საუცუნეთა ქრისტიანულ თხზულებაში, მაგრამ ეს ვასაგები ხდება მის შემდეგ, როცა გავითვალისწინებთ ამ ტენდენციის მთავარ მიზანს: ეს არის არსებითად ცდა თვით ქართული ეკლესიის რეაბილიტაციისა; რამდენადაც ქართული ქრისტიანობა უძველეს ხანაში ებრაულ ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული, ნინოს ცხოვრების ავტორი, ქართველ ებრაელთა რეაბილიტაციის გზით ისახავს მიზნად მოახდინოს რეაბილიტაცია ქართული ეკლესიისა და ქართული ქრისტიანობის უძველესი ტრადიციებისა.

არაა ინტერესს მოკლებული აღენიშნოთ ამასთან ერთად, რომ ქართულ-ებრაულ ახლო ურთიერთობას უძველეს ხანაში მოწმობს ძველ-ქართული საეკლესიო ტერმინოლოგია, ასე ტერმინი „სიონი“. თვით გადმოცემა პირველი ქრისტიანული ეკლესიისა აშენების შესახებ საქართველოში, მოთხრობა მცხეთის პირველი ტაძრის „ახალ სიონი“-ს შესახებ, — იმავე ქართულ-ებრაულ ტრადიციებთან არის დაკავშირებული.

ასეთ პირობებში, როდესაც ვითვალისწინებთ ქართული ქრისტიანობის უძველეს ტრადიციებს, ვასაგები ხდება ახლო ურთიერთობა ქართული და ქართულ-ებრაული წრეებისა კრძოდ ლიტერატურის დარგში, და პირველ რიგში ის გარემოება, რომ ქართული ბიბლია, როგორც ირკვევა, თავდაპირველად ებრაულიდან ყოფილა თარგმნილი.

რომ ბიბლიის „კანონი“, ბიბლიური წიგნთა შემადგენლობა და თანრიგი, ქართული ბიბლიის უძველეს ვერსიაში იგივე იყო, როგორცაჲ ჩვენ ებრაულ ბიბლიაში ვხვდავით, ეს ცხადი გახდება ჩვენთვის, როდესაც განვიხილავთ ბიბლიის წიგნთა შემადგენლობას (იხ. ქვემოთ, სწოლი 2, ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიები).

აქ საჭიროა აღენიშნოთ დამატებით, რომ იმავე ნინოს ცხოვრებაში დაცულია უაღრესად საყურადღებო ჩვენებანი, რომელიც არქაულ ეპოქაში არსებული ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობის, გამოამხილს წარმოადგენს.

ნინოს ცხოვრებაში მოიხსენიება ქართველი ებრაელი აბიათარი, რომელსაც ეწოდება „ახალი პავლე“, და რომელიც წარმოდგენილია როგორც ბიბლიის მკოდნე სჯულის მეცნიერი. „რომელი ფრიალ მეცნიერი იყო ძველისა შჯულისა“ (ე. ი. ბიბლიისა), — ნინოს ცხოვრების სიტყვით.

ნინოს ცხოვრებაში აბიათარის შესახებ აღნიშნულია, რომ „პირიან მეფე.. მარადის ჰკითხაჲნ ჰურია-ყოფილსა აბიათარს ძველთა და ახლთა წიგნთასა“. აბიათარი ნინოს ცხოვრებაში წარმოდგენილია როგორც უახლესი თანამშრომელი და თანამოღვაწე ნინოს ქრისტიანობის ქადაგების საჭმეში. (ნინოს ცხოვრების ვერსიაში, რომელიც ქართლის-ცხოვრების კრებულშია შეტანილი, ვკითხულობთ: „აბიათარი მღვდელი, ახალი იგი პავლე, რომელი უწმიად და უცხორომლად ქადაგებდა ქრისტესა ჯუარკუმულსა, რომელი ფრიადი მეცნიერი იყო ძველისა შჯულისა (ბიბლიის წიგნთა), და ახალი ესე სჯული ესწავა ნინო-საგან, და უმეტეს ნინო-სა ა მზილებდა ყოველსა კაცსა და ასწავებდა ჰეშმარიტსა ჯუარკუმულსა ქრისტესა“).

რომ ქართულ-ებრაული წრეები ახლო თანამშრომლობას ეწეოდნენ ქართველებთან ლიტერატურის დარგში, და რომ ქართველ ებრაელებს თავისი წვლილი შეუტანიათ ქართული მწერლობის განვითარების საქმეში, ამისი მამყენებელია თუნდაც ის ტრადიცია, რომელიც აბიათარსა და მასთან ერთად ქართველ ებრაელ ქალს სიდონიას (აბიეთარის ასულს) წარმოვიდგენს პირველ ქართველ ქრისტიან მწერლებად; აბიეთარს და სიდონიას მიეწერება მთელი წყება ფსევდო-ემიგრაციული ტექსტების ქრისტიანობის გავრცელების შესახებ საქართველოში. (იხ. „აღწერილი აბიათარ ჰურიისაჲ, რომელი იყო პირველ მღვდელი ზაგინსა შინა ჰურიათასა მცხეთას და ნათელ ილა...“ თავი იბ; „მეორე თქმული მისივე აბიათარ მღვდელისაჲ კუართისათჳს უფლისა...“; „რომელი აღწერა დედაკაცჳნ ჰურიამან სახელით სიდონია, ასულმან აბიათარ მღვდელისამან“ თავი ზ; „თქმული მისივე სიდონიასი“ თავი ც; „აღწერილი მისივე სიდონიასი, რომელი იხილა და აღწერა [მოქცევაჲ მირიან მეფისაჲ]“ თავი თ; „მისივე აღწერილი აღწენებისათჳს ეკლესიათასა“ [თავი ი]; „თქმული მისივე [სასწაულთათჳს სტეტიასა ცხოველისა]“ თავი ია).

დასასრულ, ცალკეა აღსანიშნავი მეტად საყურადღებო ცნობა, რომლის მიხედვითაც აბიათარ ყოფილა ავტორი საისტორიო თხზულების: „ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომიანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიჭეციით და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა... აღწერილი აბიათარისი“ (იხ. ზემოთ, გვ. 107 — 108, და სქოლიო 15, გვ. 137 — 138).

II

ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიები¹

(სქოლიო 2, გვ. 144, მართობი № 2).

იმ განსაკუთრებული ინტერესის გამო, რომელსაც წარმოადგენს ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიები ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენ აქ წარმოვიდგენთ ბიბლიის ყველა არსებულ ტექსტების რედაქციულ კლასიფიკაციას.

ეს მით უფრო აუცილებელი ხდება, რომ სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა სათანადოდ გაშუქებული რედაქციული დიფერენციალი ტექსტებისა, და ბიბლიის ვერსიები მიჩნეული იყო ძირითად ფენში ერთი დროისა და ერთი წარმოშობის ძველებად, იმ დროს როდესაც ქართულ ბიბლიას, როგორც ირკვევა, უაღრესად რთული ისტორია ჰქონია.

ჩვენ დრომდე მოღწეული ბიბლიის ძველ-ქართული ტექსტები, როგორც ირკვევა, შემდეგ ჯგუფებად უნდა დანაწილდეს:

1. არქაული ვერსიები. შეიცავს ძირითადში მე-4 — 5 საუკუნის ტექსტებს, ნაწილობ. რიც რედაქტირებულს შემდეგს საუკუნეებში.
2. „მცირე კანონი“-ს ლექციონარი დაბადებითგან. მე-6 — 7 საუკ.
3. „დიდი კანონი“-ს ლექციონარი დაბადებითგან. მე-8 საუკ.
4. გიორგი მთაწმინდელისა: ლექციონარი დაბადებითგან და დავითნი. მე-11 საუკ.
5. არსენი იყალთოელისა: ბიბლიის ოც-და-ორი წიგნი (პირველი ნაწილი ბიბლიისა, გარდა წინასწარმეტყველთა და დავითნისა), მე-11 — 12 საუკ.
6. გელათელი ანონიმისა: წინასწარმეტყველნი. 12 საუკ.
7. იოანე კიმჭიმელისა: ეკლესიასტე. 12 საუკ.
8. არსენი თარგმანისა: ჭება-ჭებათა. 12 — 13 საუკ.

¹) ამ მიმოხილვაში ჩვენ მზედველობაში გვაქვს საკუთრივ ბიბლია, გარდა ვერცთოლდ-ბული „ახალი აღთქმის“ წიგნებისა.

1. არაბული მხარისი

ბიბლიის წიგნთა არაბული ვერსიები, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად შეიცავს მე-4—5 საუკუნის ტექსტებს, რომელთაც მიმდევრო საუკუნეებში განუტლიათ რედაქციული ცვლილებანი სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა მოცულობისა.

ეს არაბული ვერსიები ორ ძირითად რედაქციად ნაწილდება. ამინაჟის პირველ რედაქციას, ისე მეორე რედაქციას მოგვთავაზებენ ქვე-რედაქციულ განშტოებანი.

სახელდობრ, არსებული დედნები წარმოადგენენ შემდეგს რედაქციულ დიფერენციაციას:

ა. პირველი რედაქცია.

პირველი რედაქცია წარმოდგენილია სამი დედნით, რომელთაც ვაერთებთ A ჯგუფის სახელწოდებით:

A¹ = ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 51/A, ძირითადი ნაწილი შეიცავს 18 ტექსტს: გამოსლვათა (ნაწილი) ¹, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთი, მეფეთა I—IV, ეზრა I (არა-კანონიური), ნეემია, ესთერი (ძველ ებრაელის მიმდგომი მოკლე ვერსია), იობი, ივანე სოლომონისნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება.

A² = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 104/S: რიცხვთა.

A³ = ეგვიპტური პალიმფესტები (ამ-ვამად დაცული ბრიტანეთის ოქსფორდის ბოდლეინისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების წიგნთსაცავებში): შეიცავს იერემია წინასწარმეტყველის ტექსტს. უძველესი ფრაგმენტი ქართული ბიბლიისა (ტექსტი ხანშეტურია).

ბ. პირველი რედაქციის განშტოებანი.

პირველი რედაქციის ქვე-რედაქციული განშტოებანი წარმოდგენილია თერთმეტი დედნით, რომელთაც ვაერთებთ a ჯგუფის სახელწოდებით:

a¹ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 646/A. შეიცავს ტექსტებს: მეფეთა I—IV, ნეშტთა I—II, ესთერი, ტობია, ივდიითი, ეზრა I (არა კანონიური), ეზრა კანონიური, ნეემია.

a² = ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმისა № 28. შეიცავს ტექსტებს: შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული.

a³ = ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმისა (მე-9—10 საუკუნის ფრაგმენტი ასომთავრულით): შესაქმე ².

a⁴ = ცნობიერი ფრაგმენტი: მეფეთა IV³.

a⁵ = იერუსალიმური ხელნაწერი № 113/3: მეფეთა I—IV.

a⁶ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 51/A, მეორე ნაწილი: ნეშტთა I—II, ეზრა კანონიური, ტობია, ივდიითი, ესთერის შემატეხანი (ლუკიანეს ვერსიით), სიბრძნე სოლომონისი.

a⁷ = ბაქარისეული ბიბლიის 7 ტექსტი: გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთი.

a⁸ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 1207/H: გამოსლვათა (ნაწილი) ⁴, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული.

¹) „გამოსლვათა“ წიგნი 51/A ხელნაწერში ორი განსხვავებული რედაქციის გაერთიანებას წარმოადგენს: ნაწილი შეიცავს არაბული ვერსიის პირველი რედაქციის ტექსტს, ხოლო ნაწილი არსენი ივალთოელის ტექსტს.

²) ეს საყურადღებო ფრაგმენტი გელათიდან არის ჩამოტანილი ქუთაისის მუზეუმში. (როდესაც ჩვენ ეს ხელნაწერი გავმინჯეთ, იგი ჯერ კიდევ არ იყო შეტანილი კატალოგში და სამუზეუმო ნომრით აღნიშნული; ამის გამოა, რომ ეს ხელნაწერი უნომროდ გვაქვს აქ მოხსენებული).

³) იხ. H. Marr, Эчмиадзинский фрагмент... (XB, II, стр. 378—388).

⁴) „გამოსლვათა“ წიგნი 1207/H ხელნაწერში აგრეთვე წარმოადგენს ორი განსხვავებული რედაქციის გაერთიანებას: ნაწილი შეიცავს არაბული ვერსიის პირველი რედაქციის ტექსტს, ხოლო ნაწილი არსენი ივალთოელის ტექსტს.

a⁸ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 243/A; მეორე სჯული.

a¹⁰ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 885/H; მეორე სჯული, ისე წაეცა მსჯულთა, რთი, იობი, (დეფექტი), ნეშტა I—II, ესთერი, ტობია, იედიტი, ეზრა I (არაკანონიერი), ეზრა კანონიერი, ნეემია.

a¹¹ = ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 570/A; მეფეთა III—IV, ნეშტა I—II, ესთერი, ტობია, იედიტი, ეზრა I (არაკანონიერი), ეზრა კანონიერი, ნეემია.

ხელნაწერები a⁸, a⁹, a¹⁰, a¹¹ — რედაქციულად ახლო სდგანან ერთი-მეორესთან. დანარჩენები უფრო დაცილებულია ერთმეორეს.

გ. მეორე რედაქცია.

მეორე რედაქცია წარმოდგენილია ცნობილი იერუსალიმური ხელნაწერით (№ 1/7 — 11), რომელსაც აღენიშნავთ ლიტერით B.

შეიცავს შემდეგს ტექსტებს: (თავი აკლია), 12 მცირე წინასწარმეტყველნი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდემანი, ებისტოლე იერემიასი, იეზეკიელი, დანიელი, ეზრა I (არაკანონიერი), ნეემია, ეზრა IV, (ბოლო აკლია).

დ. მეორე რედაქციის განშტოება.

მეორე რედაქციის ქვე-რედაქციული განშტოება წარმოდგენილია ორი დედნით, რომელთაც ვერთებთ ხ ჯგუფის სახელწოდებით:

b¹ = ოშკური (ათონური) ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ტექსტებს: შესაქმე, გამოსლავათა, ლევიტელთა, (დეფექტი), მსაჯულთა, რთი, იობი, მეფეთა I—IV, იეგანი სოლომონისი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება, სობრძნე სოლომონისი, სობრძნე ზირაქისი, 12 მცირე წინასწარმეტყველნი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდემანი, ებისტოლე იერემიასი, იეზეკიელი, დანიელი, ეზრა I (არაკანონიერი), ეზრა კანონიერი (გამოკრებილი), ნეემია, ეზრა IV, ესთერ-მარდოქე, იედიტი, ტობია.

b² = ხანშეტი ესაია, დაცული საქ. მუზეუმის პალიმფსესტების კოლექციაში¹.

აქ საჭიროა აღენიშნოთ აგრეთვე, რომ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიების ისტორიისათვის ინტერესს წარმოადგენს მე-10 საუკუნის ქართველი მწერლის იოანე-ზოსიმეს ტექსტი: „წიგნნი ბეჭედულნი ძველისა ზეგულსანი“. იოანე-ზოსიმეს ეს ტექსტი ორ სიას შეიცავს პირველ ძირითად სიას აღენიშნავთ ლიტერით Z; მეორე სიას (დამატების სახით დართულს არშიაზე) — Z².

Z-ში წიგნები ჩამოთვლილია ასეთი თანამიმდევრობით: დაბადება, გამოსლავათა, ლევიტელთა, რაცხათა, მეორე სჯული, ისე წაეცა, მსაჯულთა, რთი, მეფეთა, (I—IV), ნეშტა (I—II), ეზრა (I—II), ე. ი. პირველი არაკანონიერი, და მეორედ — კანონიერი), დანიელი, ესთერ-მარდოქე, ფსალმუნნი, იეგანი, < სობრძნე სო-

¹) ბიბლიის არქაული ვერსიების ზემოთ-ჩამოთვლილი 17 დედნის გარდა მოიპოვება კიდევ რამდენიმე დედანი, რომელთა რედაქციული კუთვნილება გამოირკვეული არა გვაქვს: ა) სინური ხელნაწერი № 34/19; შეიცავს შესაქმის ფრაგმენტს.

ბ) საქ. მუზეუმის ხელნაწერი № 1085/A; შეიცავს გამოსლავათა ფრაგმენტს.

გ—ე) დაბადების სამი არაკანონიერი პალიმფსესტები, დაცული საქ. მუზეუმის პალიმფსესტთა კოლექციაში.

ამას გარდა, რამდენიმე შენიშვნა „დავითნის“ ხელნაწერებზე. დავითნის ტექსტი ჩვეულებრივ არ შექმნიდათ ბიბლიის კრებულებში, რადგან დავითნი ცალკე ხელნაწერების სახით იყო გავრცელებული. ბიბლიის კრებულში დავითნი გვხვდება მხოლოდ ერთხელ (51/A ხელნაწერში. შეიცავს გიორგი მთაწმინდელის ტექსტს).

რაც შეეხება დავითნის ცალკე ხელნაწერებს, ასეთები მრავლად შენახულა. დავითნის არქაული ვერსიები წარმოდგენილია ხელნაწერებში: სინური № 1 (კილისა), 29/4, 2, 3, 22/5, საქ. მუზეუმის ხელნაწერი 38/A (სამეცნიერო გამოცემა), საქ. მუზეუმის ხელნაწერები 5222/S, 5223/S, 5161/S, 1090/A, 1798/H, საქ. ცენტრ-არქივის ხელნაწერი № 171, ათონური ხელნაწერი № 2 და სხვ.

ლომონოსა >, ისუ ზირაქი, ეკლესიასტე, ჭებათა-ჭება, 12 წინასწარმეტყველნი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდებანი, იეზეკიელი, იოზი.

2²-ში ჩამოთვლილია ბიბლიის მხოლოდ მეორე ნაწილის წიგნები, ასეთი თანამიმდევრობით: იოზი, დავითნი, იგავნი, ეკლესიასტე, ჭებათა-ჭება, ~~წინასწარმეტყველნი~~ ლომონოსი, ეზრა, ესთერი, ივდიითი, ტაბია, ისუ ზირაქი, 12 წინასწარმეტყველნი, ესაია, < იერემია >, ბარუქი, გოდებანი, ეპისტოლე იერემიასი, იეზეკიელი, დანიელი.

ქართული ბიბლიის არქაული ვერსიის პირველადი „კანონი“.

ქართული ბიბლიის არქაული ვერსიების ხელნაწერებისა და რედაქციული დიფერენციაციის მიმოხილვის შემდეგ ჩვენ აქ შევეხებით ძირითად საკითხს, თუ როგორ იყო არქაული ქართული ვერსიის თავდაპირველი „კანონი“, წიგნთა შემადგენლობა და თან-რიგი. დედნების შესწავლიდან ირკვევა, რომ ბიბლიის არქაული ქართული ვერსია თავდაპირველად შეიცავდა 23 წიგნს, შემდეგის თან-რიგით:

I ჯგუფი [სჯულდება]

1. შესაქმე
2. გამოსლეთათა
3. ლევიტელთა
4. რიცხეთა
5. მეორე სჯული

II ჯგუფი [წინასწარმეტყველნი]

(ა) პირველნი წინასწარმეტყველნი:

6. ისუ ნავესი
7. მსაჯულთა
8. მეფეთა I — II
9. მეფეთა III — IV

(ბ) შემდგომნი წინასწარმეტყველნი:

10. 12 მცირე წინასწარმეტყველნი
11. ესაია
12. { იერემია
 { ბარუქი
13. იეზეკიელი

III ჯგუფი [ჰაგიოგრაფია]

14. რუთი
15. იოზი

- | |
|-----------------|
| 16. დავითნი |
| 17. იგავნი |
| 18. ეკლესიასტე |
| 19. ჭებათა-ჭება |
| 20. გოდებანი |

- | |
|---|
| 21. { ეზრა I (არა კანონიური)
{ ნემია |
| 22. დანიელი |
| 23. ესთერი. |

1) ხუთი წიგნი, მე-16 დან მე-20 მდე (ე. ი. დავითნი, იგავნი, ეკლესიასტე, ჭებათა-ჭება და გოდებანი) შემდეგ ხევით გადაუტანიათ, ამ-რიგად: პირველი იოზი (ე. ი. დავითნი, იგავნი, ეკლესიასტე, ჭებათა-ჭება) მოუთავსებიათ მე-9-ს, შემდეგ (ე. ი. „მეფეთა“-ს შემდეგ), ხოლო მეხუთე (ე. ი. გოდებანი) მოუთავსებიათ მე-12-ს (ე. ი. ბარუქის) შემდეგ.

საკმაო გადავხედოთ ამ სიას, რათა ჩვენთვის ცხადი გახდეს, რომ ბიბლიის არქაული ქართული ვერსია ორგანიულად უკავშირდება ებრაულ ბიბლიას¹.

ამავე დროს არქაული ქართული ვერსია არსებითად დაშორებულია ბერძნულ სექტანტს:

1) ბერძნულ სექტანტაში, როგორც ცნობილია, არის მთელი რეგულირებული წიგნებისა, რომელნიც ქართულ ბიბლიაში თავდაპირველად არ ყოფილა (ისევე როგორც არც ებრაულ ბიბლიაშიაც არ მოიპოვება ეს წიგნები).

2) ამას ვარდა წიგნების თანრიგი ქართულ ბიბლიაში სულ სხვა ყოფილა ვიდრე სექტანტაში. (როგორც ცნობილია, სექტანტაში წიგნები დალაგებულია განსხვავებული თანამიმდევრობით, ოთხ ჯგუფად: სჯულდება, ისტორიული წიგნები, სამოძღვრო წიგნები და წინასწარმეტყველნი).

ასლიანშია, რომ შემდგომ ხანაში ქართული ბიბლიის რედაქტორებს ნაწილობრივ შეუფარდებიათ წიგნების თანრიგი ბერძნულთან, მაგრამ ეს შეთანასწორება ბოლომდე არაა მიყვანილი. სახელდობრ ხუთი წიგნი: დავითნი, ივანეი, ეკლესიისტი, ქებათა-ქება და გოდებანი აღრევე გადაუტანიათ ბოლოდან (მესამე ჯგუფიდან) შუა ნაწილში (იხ. ზემოთ, გვ. 119, სქემა, და შენიშვნა 1). ხოლო რაც შეეხება ჰაგიოგრაფიის განყოფილების დანარჩენ ექვს წიგნს (ე. ი. რუთი, იობი, ეზრა, ნეემია, დანიელი, ესთერი) — ჩვენ გვაქვს ვარკვეული ჩვენება, რომ ეს ექვსი წიგნი არათუ თავდაპირველად, არამედ შემდეგ ხანაშიაც ბოლოში იყო მოთავსებული (ე. ი. მესამე ჯგუფში, ჰაგიოგრაფიის განყოფილებაში), ისევე როგორც ეს ებრაულ კანონშია მიღებული².

¹) ებრაულთან აახლოვეს ქართულს ბიბლიის როგორც წიგნთა თან-რიგი (დანაწილება სამ ჯგუფად), ისე წიგნთა შემადგენლობა. წიგნთა შემადგენლობის მხრით მხოლოდ შემდეგი სხვაობაა: 1. ქართულში არ ყოფილა თავდაპირველად უკანასკნელი წიგნი „მეტ-თა“ (რომელიც „მეტეთა“-ს პარალელურ ტექსტს შეიცავს); 2. ეზრა კანონიურის ნაცვლად არის ეზრა I არა-კანონიური (ეს შესაძლოა მეორედი მოვლენა იყოს); 3. იერემიას შემდეგ ჩართულია ბარუქი.

²) რომ კერძოდ წიგნები: ეზრა, ნეემია, დანიელი და ესთერი — ქართული ბიბლიის ბოლოს, ე. ი. მესამე ჯგუფს (ჰაგიოგრაფიის განყოფილებას) ეკუთვნის, ეს სხანს შემდეგიდან:

ა) ეზრა, ნეემია და ესთერი ბოლოში (მესამე ჯგუფის ადგილას) არის მოთავსებული ბიბლიის ძველ კოდექსებში: ოშტურში (b¹) და იერუსალიმურში (B).

ბ) Z-ში, ისტორიულ წიგნთა წყებაში ესთერი თან-ერთად მოთავსებულია დანიელი (იმ დროს როდესაც სექტანტის დანაწილების თანახმად ესთერი და დანიელი სხვადასხვა ჯგუფებს ეკუთვნიან). აქედან ცხადია, რომ ქართულ ბიბლიაში ესთერი და დანიელი თავდაპირველად ჰაგიოგრაფიის მესამე განყოფილებაში ყოფილან მოთავსებული, რადგან მხოლოდ აქ შესაძლოა შეხვედროდენ ერთმანეთს ესთერის და დანიელის ტექსტები; როგორც ცნობილია, ებრაულ ბიბლიაში მესამე ჰაგიოგრაფიულ განყოფილებაში ესთერი და დანიელი მართლაც ერთ-მეორის მიდევნებით იწერებოდა.

რაც შეეხება რუთისა და იობის წიგნებს, რომ ეს ორი წიგნიც ქართული ბიბლიის ბოლოს, ე. ი. მესამე ჯგუფს (ჰაგიოგრაფიის განყოფილებას) ეკუთვნის, ეს დასტურდება შემდეგიდან:

ა) იობის წიგნი Z-ს კანონში მოთავსებულია ბოლოში (მესამე ჯგუფის ადგილას), ებრაული კანონის განლაგების შესაბამისად.

ბ) ქართული ბიბლიის პირველი და მეორე ქვერედაქციის ხელნაწერებში (იხ. ხელნაწერები a¹ და b¹) ისტორიულ წიგნთა წყებაში ერთად არის მოთავსებული რუთი და იობი, (იმ დროს, როდესაც სექტანტის დანაწილებით რუთი და იობი სხვადასხვა ჯგუფებს ეკუთვნიან). აქედან ირკვევა, რომ ქართულ ბიბლიაში რუთი და იობი თავდაპირველად ჰაგიოგრაფიის მესამე განყოფილებაში ყოფილან მოთავსებული, რადგან მხოლოდ აქ შესაძლოა შეხვედროდენ ერთმანეთს რუთის და იობის ტექსტები; როგორც ცნობილია, ებრაულ ბიბლიაში მესამე ჰაგიოგრაფიულ განყოფილებაში რუთი და იობი მართლაც ერთ წყებაში იყვნენ მოთავსებულნი.

ამრიგად უშუალო კავშირი ქართული ბიბლიისა ებრაული ბიბლიის ტრადიციასთან — უდავოა.

ქართული ბიბლიის არაპაწილი მარსინის შემსახვა ახალეკლესიურად

არქაული ქართული ბიბლია, რომელიც, როგორც ირკვევა, ძირითადად ქართულ ბიბლიის განშტოებას წარმოადგენდა, შემდეგ თანდათან შეუესიათ ახალი წიგნებით.

თავდაპირველად ეს თერის წიგნის შესახებ.

ესთერის წიგნი, როგორც ცნობილია, სამი სხვადასხვე რედაქციით არის შენახული: 1 მოკლე ძველ-ებრაული ვერსია; 2 ლუკიანეს ვერსია; 3 სეპტანტის ვერსია.

ქართულ ბიბლიაში თავდაპირველად მოთავსებული ყოფილა მოკლე ძველ-ებრაული მიმდგომი ტექსტი. მას შემდეგ ქართულად უთარგმნიათ დანარჩენი რედაქციებიც, ე. ი. ლუკიანეს ვერსია და სეპტანტის მიმდგომი ტექსტი.

პირველი ძველ-ებრაული მიმდგომი ვერსია დაცულია პირველი რედაქციის ხელნაწერში A¹. მეორე, ლუკიანეს ვერსია დაცულია პირველი რედაქციის ხელნაწერებში (ა გვუფის ხელნაწერები). მესამე — სეპტანტის მიმდგომი ვერსია დაცულია მეორე რედაქციის განშტოების ხელნაწერში (ბ¹).

გარდა ესთერის ვერსიებისა ქართულად უთარგმნიათ შემდეგი წიგნები, რომლებიც ქართული ბიბლიის პირვანდელს შემადგენლობაში არ ყოფილა:

- ნეშტო I და II¹
- ეზრა კანონიური²
- ეზრა IV²
- ივლითი³
- ტობია⁴
- ეპისტოლე იერემიასი⁵
- სიბრძნე სოლომონისი⁶
- სიბრძნე ზირაქისი⁶

ქართველ ავტორებს უთარგმნელად დეტოვებით არა-კანონიური შაკაბელთა წიგნებ⁶ (და აგრეთვე არა-კანონიური ამოკრიფი ეზრა III).

ამ დამატებით წიგნთა თარგმანები სიანს შესრულებული ყოფილა არა უგვიანეს მე-5 — 6 საუკუნეებისა, რადგან თარგმანებში მიღებულია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი წარმართული ხანიდან შერჩენილი საკალენდარო ტერმინოლოგია.

¹) ნეშტო I და II არის ა გვუფის ხელნაწერებში და Z-ში. არ არის ბ გვუფში. (რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო აგრეთვე A-ში და დეფექტურად დაცულს B-ში).

²) კანონიური ეზრას ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი ა გვუფის ხელნაწერებში, ხოლო შემოკლებული სახით ხ-ში. კანონიური ეზრა არ არის B-ში და Z-ში. (რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო აგრეთვე A გვუფში).

³) ეზრა IV არის B და ხ გვუფებში, არაა ა გვუფის ხელნაწერებში და Z-ში. (არ უნდა ყოფილიყო, რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით, აგრეთვე A გვუფში).

⁴) ივლითი და ტობია არის ა და ხ გვუფებში და Z-ში. არაა Z-ში. (რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო A-ში. არა სიანს, დეფექტების გამო, იყო თუ არა B-ში).

⁵) ეპისტოლე იერემიასი არის B და ხ გვუფებში და Z-ში, არაა Z-ში. (არა სიანს, დეფექტობის გამო, იყო თუ არა A და ა გვუფებში).

⁶) სიბრძნე სოლომონისი და სიბრძნე ზირაქისი არის ბ¹-ში, Z-ში და z¹-ში (აგრეთვე, სპორადიული სახით, ხელნაწერ 51/A-ს არა ძირითად ფენში). არაა ა გვუფის ხელნაწერებში. არ უნდა ყოფილიყო, რედაქციული დიფერენციაციის მიხედვით, A-ში. გამოურკვეველია, დეფექტობის გამო, იყო თუ არა B-ში.

ჩვენ ამაზე დაემათერებთ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიების მიმოხილვას, რაც შეეხება ქართული ბიბლიის შემდეგ-დროინდელ ვერსიებს, მათ შესახებ დავკმაყოფილდებით მოკლე შენიშვნებით.

2. „მცირე კანონი“-ს ლექციონარი

მე-6 — 7 საუკუნეთა მიჯნაზე, როგორც ეს გამოჩნეული გვაქვს სპეციალურ გამოკვლევაში, ქართულად შემოღებულ იქნა „მცირე კანონი“¹. ამავე ხანებში, შეფარდებით „მცირე კანონი“-თან, შეუდგენიათ ლექციონარი, საკითხავები ბიბლიიდან („ძველი და ახალი აღთქმის“ წიგნებიდან).

ჩვენ დრომდე მოღწეულა ფრაგმენტი ასეთი ლექციონარისა, მე-7 საუკუნის ხანშეტი პალიმფესტი (საქ. მუზეუმის ხელნაწერი № 999 ბ/II), რომელშიაც დაცულია საკითხავები შესაქმიდან (თავები IX, XVIII), სოლომონის იგავთაგან (თავი IX), და აგრეთვე მათედან (თავები XXIV — XXVI, ეგრეთ-წოდებული „ქანქარი“).

ლექციონარის შედგენის დროს საფუძვლად აუღიათ ბიბლიის არქაული ვერსიის ტექსტები, მაგრამ მასში შეუტანიათ ზოგიერთი სტილისტიური ცვლილებანი.

3. „დიდი კანონი“-ს ლექციონარი

მე-8 საუკუნის ნახევარში საქართველოში ნაცულად „მცირე კანონი“-სა შემოღებულ იქნა „დიდი კანონი“ („იერუსალემის განჩინება“).

„დიდი კანონი“-ში შეტანილია ვრცელი ლექციონარი ბიბლიისა, ე. ი. ბიბლიის ტექსტები, წლის მანძილზე ცალკე საკითხავების სახით დანაწილებული².

„დიდი კანონი“-ს რედაქტორებს ლექციონარის შედგენის დროს უსარგებლნიათ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიებით, მაგრამ ტექსტი საგრძნობლად არის გადაშლანებული³.

4. ბიოგრაფიული მთარგმნელის ლექციონარი ბიბლიითგან და ღვაწლითი

მე-11 საუკუნეში განთქმულმა ქართველმა მწერალმა გიორგი მთაწმიდელმა, როგორც გადმოგვცემს მისი ბიოგრაფი, ქართულად სთარგმნა ბერძნულიდან „საწინასწარმეტყველო საწელიწდო“.

ამ ძეგლის ჩვენ დრომდე მოღწეულს მე-11 საუკუნის ხელნაწერის ანდერძში (იხ. ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 1350/II) აგრეთვე დადასტურებულია გიორგი მთაწმიდელის ავტორობა; ანდერძში აღნიშნულია, რომ „საწელიწდო საწინასწარმეტყველო, წესსა ზედა ბერძულსა“ არის „ახალ თარგმნილი გიორგი მთაწმიდელისაჲ, სრული ყოვლითი და უნაკლულოა“.

„საწელიწდო საწინასწარმეტყველო“ წარმოადგენს ლექციონარს ბიბლიიდან, ცალკე საკითხავების სახით დანაწილებულს წლის მანძილზე. „საწინასწარმეტყველო“ ეწოდება იმის

¹) იხ. ჩვენი წერილი: „ძველ ქართული წარმართული კალენდარი“ (საქ. მუზეუმის მოამბე ტ. VI, ტფ. 1931, გვ. 400—415).

²) ლექციონარში, გარდა საკუთრივ ბიბლიის წიგნებისა, ჩართულია აგრეთვე საკითხავები „ახალი აღთქმიდანაც“.

³) „დიდი კანონი“, ბიბლიის ლექციონარით, ჩვენ დრომდე მოღწეულა მთელი რიგი ხელნაწერების სახით:

1. კალის ხელნაწერი 8 — 9 საუკუნისა (დაცულია სეანეთში, ს. კალაში),
2. ლაპილის ხელნაწერი 10 საუკუნისა (დაცულია სეანეთში ს. ლაპილში),
3. სინური ხელნაწერი № 37/30 982 წლისა,
4. პარიზის ეროვნული წიგნთსაცავის ხელნაწერი № 3 (ancien fonds) — მე-11 საუკუნისა (საქ. მუზეუმში მოაპოვება მისი ფოტო-პირი), და ამას გარდა მთელი რიგი ფრაგმენტები (მათ შორის პალიმფესტები).

გამო, რომ აქ სკარბოზს საკითხავები „წინასწარმეტყველთა“ წიგნებისა, მაგრამ ამასთან ერთად აქ მოყვანილია საკითხავები ბიბლიის ყველა დანარჩენი წიგნებიდან¹.

გიორგი მთაწმიდელი ამ შრომის შესრულების დროს მოქცეული იყვნენ გიორგი ის მოიქცა სახარების თარგმნის დროს, ე. ი. სცდილა არ დაშორებოდა იველს ტრადიციას; გიორგი მთაწმიდელს საფუძვლად აღდია ბიბლიის არქაული ვერსიების ტექსტი, რომელიც „შელწამებია“ ბერძნულთან, და სტილისტიურად გადაუმუშავებია². ტექსტის უფრო ზუსტი შესატყვისობის მისაღწევად.

გარდა ბიბლიის ამ ვრცელი ლექციონარისა, გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია ცალკე წიგნად „დავითნი“, იმავე მეთოდით, ე. ი. ძველი ქართული ტექსტებისთვის ანგარიშის გაწევი³.

5. არსენი იყალთოელის თარგმანები

გიორგი მთაწმიდელის შემდეგ ქართული ბიბლიოლოგიის დარგში მუშაობას აწარმოებს არსენი იყალთოელი, მე-XI—XII საუკუნის მწერალი, ქართული ჰუმანიტური სკოლის გამოჩენილი მოღვაწე, გელათის აკადემიის ცნობილი ხელმძღვანელი.

არსენი იყალთოელის ღვაწლი ქართული ბიბლიის ისტორიაში გამოირკვა მას შემდეგ, რაც ჩვენ დაეადგინეთ, რომ ჩვენ დრომდე მოღწეული ხელნაწერი ბიბლიისა 1108/A (პირველი ნაწილი), რომელიც გელათის წიგნთსაცავში ინახებოდა, და რომელსაც ამის გამო „გელათურ ბიბლიას“ ვუწოდებთ, — წარმოადგენს არსენი იყალთოელის ავტოგრაფს.

ამ ავტოგრაფული ხელნაწერისა, ბაქარისეული ბიბლიის ტექსტისა და სხვა მისაღების შედარებით ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ არსენი იყალთოელს მართლაც დიდი შრომა ჩაუტარებია ამ დარგში; არსენი იყალთოელს ხელახლა უთარგმნია ქართულად მთელი ბიბლია, გარდა წინასწარმეტყველთა და დავითნისა.

არსენი იყალთოელის თარგმნილი ტექსტებიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა შემდეგი 22 ტექსტი:

შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რთო, მეფეთა I—IV, ნეშტა I—II, ეზრა I—II, ნეემია, იობი, ოგაენი სოლომონისნი, ეკლესიასტე, ტებათა-ქება, სობრძენ სოლომონისი⁴.

არსენი იყალთოელის ეს თარგმანი შესრულებულია მე-11—12 საუკუნეთა საზღვარზე, 1003 წელზე უფრო ადრე (ავტოგრაფული ხელნაწერი არსენისა 1103 წლის უწინარეს არის გადაწერილი).

¹) „წინასწარმეტყველთა“ ჩართულია აგრეთვე საკითხავები „ახალი აღთქმიდანაც“.

²) აქ საჭიროა აღენიშნოთ აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმიდელზე ადრე დავითნი უთარგმნია იმავე მთაწმიდელთა სკოლის მეორე ცნობილ ავტორს — ეფთიმე მთაწმიდელს, მაგრამ ეფთიმეს ეს თარგმანი აღარ გამოუშვია გასაერცლებლად ერთი განსაკუთრებული შემთხვევის გამო. გიორგი მთაწმიდელი, მის მიერ საცემნოდ დავითნის ანდერძში მოგვითხრობს, რომ ეფთიმე მთაწმიდელმა „დავითნი სთარგმნა, და მწერალს ვისმე მისცა დაწერად (ე. ი. გადასაწერად), და მან განრჩჳნა და უკარ ჰყო, და მიერიოგან სხუად არლარა სთარგმნა, არამედ ქართულნი დავითნი თანა ესხნიან, და სადაცა სიტყუად ეკმარებოდა, მუნით იწამის“. („ქართულნი დავითნი“ — ეწოდებოდა ამ ხანაში დავითნის ძველ-ქართულ ვერსიებს).

ეფთიმეს მიერ თარგმნილი დავითნის ტექსტი, არც შავი პირველ-დედანი, და არც გადამწერლის მიერ „განრყენილი“ (ე. ი. გადაკეთებულ-მესწორებულნი), ჩვენ დრომდე არ შენახულა.

რაც შეხება გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ დავითნის ტექსტს, მან კანონიზაცია მიიღო და შესცვალა ძველ-ქართული თარგმანები. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი მოღწეულა მთელი რიგი ხელნაწერების სახით.

³) ამას გარდა არსენი იყალთოელს სადიქრებელია თარგმნილი ჰქონდა ბიბლიის ამავე ნაწილის დანარჩენი ტექსტებიც: ესთერი, იედიოთ, ტობია (და აგრეთვე შესაძლოა ისო ზორატი და მკაბეღნი), მაგრამ ეს ტექსტები ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

თარგმანი შესრულებულია ბერძნული სექტანტიდან. არსენი, თარგმნის ^{ქრისტე} ქრისტეს, ბუნებრივია ითვალისწინებდა ყველა არსებული ქართული ვერსიების ტექსტებს და ინგარიშს უწევდა მათ, მაგრამ მაინც არსენი უფრო თავისუფლად ეკიდებოდა ტრადიციის და ნაკლებ ემოზიონირება მას, ვიდრე მაგალითად გიორგი შთაშობიდან.

ბიბლიის თარგმანი არსენის ავტოგრაფულ ხელნაწერში წარმოადგენს სამეცნიერო გამოცემას, თარგმანს დართული აქვს ვრცელი კომენტარები, ცხვენითური კატეხეზები, აგრეთვე ბერძნულიდან გადმოღებული.

არსენი იყალთოელის მიერ თარგმნილს ბიბლიის ტექსტს, როგორც ირკვევა, საკმაოდ ფართო გაერცელება მიუღია; მას თუმცა არ შეუცვლია ძველ-ქართული ბიბლიის არქაული ვერსიები (რომელიც ძველი ტრადიციით იყო დაკანონებული და ავტორიტეტით მოსილი), მაგრამ ამ არქაული ვერსიების გვერდით არსენის ტექსტიც პარალელურად ყოფილა მიღებული.

არსენი იყალთოელის თარგმნილი ტექსტები დაცულია შემდეგს დიდებში:

1. არსენის ავტოგრაფში 1108/A: ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, შაჯულთა, რთთი.
2. ბაქარისეულ ბიბლიაში: შესაქმე, მეფეთა I—IV, ნეშტთა I—II, ეზრა I—II, ნეკრია, იობი, იგავნი სოლომონისნი, ევლესიასტე, ქებათა-ქება, სობრძენ სოლომონისი ¹.
3. საქ. მუზეუმის ხელნაწერში 179/A: შესაქმე და გამოსლავთა.
4. საქ. მუზეუმის ხელნაწერში 1207/H: შესაქმე და გამოსლავთა (ნაწილი) ².
5. საქ. მუზეუმის ხელნაწერი 51/A: შესაქმე და ნაწილი გამოსლავთა ².
6. ჩანართები ოშკური ბიბლიისა (ხელნაწერები საქ. მუზეუმისა 471/A და 422 — 397/S, პირები ოშკური ბიბლიისა: არსენისეული ტექსტებით შევსებულია ის ადგილები, რომლებიც ოშკურ ბიბლიას აკლდა).
7. გელათური პირი: რიცხვთა, მეორე სჯული, ისუ ნავესი, შაჯულთა.

6. ბელაეთური ანონიმის თარგმანები

არსენ იყალთოელის შრომა გაუგრძელდება მე-12 საუკუნის ქართველ შწერალს, რომლის ვინაობა უცნობია, და რომელსაც ჩვენ გელათელ ანონიმს ვეძებთ. სტილის მიხედვით ეს შწერალი ეკუთვნის გელათის, აკადემიის სალიტერატურო სკოლას, რომელიც დააფუძნეს იოანე ფილოსოფოსმა და არსენი იყალთოელმა.

ამ გელათელ ანონიმს ბიბლიიდან უთარგმნია წინასწარმეტყველთა ტექსტი, ე. ი. სწორედ ის ნაწილი, რომელიც არსენი იყალთოელის შრომას აკლდა.

გელათელი ანონიმის ეს შრომა, აგრეთვე ავტოგრაფის სახით მოღწეული, დაცულია არსენი იყალთოელის ავტოგრაფთან ერთად, იმავე ხელნაწერ კრებულში 1108/A. (ორივე ავტოგრაფი, არსენისა და გელათელი ანონიმისა, ინახებოდა გელათის წიგნთსაცავში).

თარგმანი შესრულებულია ბერძნული სექტანტის მიხედვით. შეიცავს შემდეგს ტექსტებს: ესაია, იერემია, გოდებანი იერემიასნი, ბარუქი, ეპისტოლე იერემიასი, იუდეკიელი, დანიელი, 12 მცირე წინასწარმეტყველნი (ოსე, იოეელი, ამოსი, აბდია, იონა, მიქია, ნაუმი, ამბაკომი, სოფონია, ანგია, ზაქარია, მილაქია).

¹) ბაქარისეული ბიბლიის რედაქტორები, როგორც გამორკვეული გვაქვს, იცნობდნენ „გელათურ ბიბლიას“, რომელშიაც შეტანილია არსენის ავტოგრაფი. ბაქარისეულ გამოცემაში მოთავსებულს არსენის ტექსტებს საფუძვლად დასდებია თვით ეს არსენისეული ავტოგრაფი, ტექსტი უწყვიათ ავტოგრაფიდან ამოღებული ფურცლებიდან. (ავტოგრაფს ამჟამად აქვია სწორედ ის ნაწილი, რომელიც შესულია ბაქარისეულ გამოცემაში).

²) ნაწილი „გამოსლავთა“ ამ ხელნაწერში არქაული ვერსიის (პირველი ქვე-რედაქციის) მიმდგომ ტექსტს შეიცავს.

³) ამ ხელნაწერშიაც ნაწილი „გამოსლავთა“ შეიცავს არქაული ვერსიის (პირველი ქვე-რედაქციის) მიმდგომ ტექსტს.

თარგმანს, თვითეული ავტორის წინ, დართული აქვს შესავალი განმარტებითი ბარათი; დართული აქვს აგრეთვე სქოლიოები.



ქართული

აქ საჭიროა შევხებით გელათელი ანონიმის „წინასწარმეტყველეთა ტექსტის“ შემდგომ ისტორიასაც.

მე-18 საუკუნის 10-იან წლებში, სულხან-საბა ორბელიანის მოთავეობითა და უახლოესი მონაწილეობით შესდგომიან ბიბლიის გამოცემას ტფილისში.

განზრახული ყოფილა ბიბლიის ორ ტომად გამოცემა: პირველად უნდა გამოსულიყო წინასწარმეტყველნი და „ახალი აღთქმის“ წიგნები, ხოლო მეორედ — ბიბლიის პირველი ნაწილი ვიდრე წინასწარმეტყველებამდე.

სულხან-საბა ორბელიანს, წინასწარმეტყველთა ტექსტის სასტამბოდ გასამზადებლად იძლია გელათელი ანონიმის შემოთხსენებული ავტოგრაფული ხელნაწერი, დაუყვია ხელნაწერის ტექსტი თავებად და მუხლებად, და შეუტანია ტექსტში ზოგიერთი უზნიშვნელო, არა-არსებითი ხასიათის რედაქციული ცვლილებანი. (ავტოგრაფულ ხელნაწერში თავებად და მუხლებად დაყოფა და სარედაქციო შესწორებანი ჩანისწულია თვით საბას ხელთ). შემდეგ გელათელი ანონიმის ეს ავტოგრაფული ხელნაწერი, გასწორებული და დასაბეჭდად გაწუპობილი საბას მიერ, გადაუციათ სტამბაში და ამ დენიდან აუწყვიათ ტექსტი (ხელნაწერს აბუჯია სტამბაში აწყობის ნიშნები, სტამბური ლაქები).

უკვე დაბეჭდილი ყოფილა წინასწარმეტყველთა ტექსტი მთლიანად და აგრეთვე ნაწილი „ახალი აღთქმის“ ტექსტისა, როდესაც საბას, 1716 წელს ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, მოუწყვეს დენა.

ხელმძღვანელმა კლერკალურმა წრეებმა საეკვოდ ჩასთვალა ქართული ბიბლიის ტექსტი, რომლის რედაქცია ჩატარებული იყო კათოლიკობისადმი მიდრეკილი საბას მიერ, და ბიბლიის დაბეჭდილ ნაწილს აუტო-და-ფე გაუმართა, დასწევა.

ამ-რიგად, ბიბლიის ტფილისური გამოცემა აღარ განხორციელდა და დაბეჭდილი ნაწილი დაიღუპა.

მიინც საბას და მის მეგობრებს ვადაურჩენიათ დაბეჭდილი ნაწილის ზოგიერთი ცალკეობითი ასეთი ნაბეჭდი ცალი შენახულა ბიბლიის ხელნაწერში 51/A (ეს ხელნაწერი 51/A გადაუწერიანება საბას, აუტო-დ-ფეს შემდეგ, მე-18 საუკუნის ათიანი წლების დასასრულს; ბიბლიის პირველი ნაწილი ვიდრე წინასწარმეტყველებამდე გადაწერილია ხელით, ხოლო ამის შემდეგ ჩართულია ის ნაწილი ბიბლიისა, რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო, ე. ი. წინასწარმეტყველნი სრულად და ნაწილი „ახალი აღთქმისა“. ბოლოში დართულია კონკორდანსი, შედგენილი საბას მიერ და გადაწერილი თვით საბას ხელით).

გეზემულარი ბიბლიის ამ ტფილისური გამოცემისა, რომელიც დასწევს ტფილისში (ე. ი. წინასწარმეტყველნი და ახალი აღთქმის ნაწილი) ხელში კჭონია აგრეთვე ბაქარისეული ბიბლიის გამოცემელ კომისიას, როდესაც ბაქარის მოთავეობით შეუდგენ ბიბლიის ბეჭდვას მესაკეფში. ბიბლიის ბაქარისეულ 1743 წლის გამოცემაში წინასწარმეტყველთა ტექსტი უკვე აღედად არის გადმობეჭდილი ამ ტფილისური გამოცემიდან, რომელიც საბას რედაქციით არის დაწამებული.

ამ-რიგად, მე-12 საუკუნის ქართველი მწერლის გელათელი ანონიმის მიერ თარგმნილი წინასწარმეტყველთა ტექსტი სამი დენის სახით არის მოღწეული: ავტოგრაფი მე-12 საუკუნისა, ტფილისური გამოცემა მე-18 საუკუნის ათიანი წლებისა, და ბაქარისეული გამოცემა 1743 წლისა¹.

¹) ტფილისურსა და ბაქარისეულ გამოცემებს მნიშვნელობა ენიჭებათ გელათელი ანონიმის წინასწარმეტყველთა ტექსტის სრულად აღდგენაში. რადგან მე-18 საუკუნის შემდეგ ავტოგრაფიული ხელნაწერის ცალკეული ნაწილები დაკარგულა და ამ-ვამად ავტოგრაფული ტექსტი ნაკლულევანად არის დატული.

7 — 8. იოსებ ბიშვიძის „ეკლესიასტ“. არსენი თარგმანის „ბიბლია-ქება“.

მე-12 საუკუნეში ქართველმა მწერალმა, რომელიც იოანე ფილოსოფოსი კიმპიმელის სახელით არის ცნობილი, სთარგმნა ბერძნულიდან ქართულად კომენტარები ცელსუსისა — მეტროფანე ზმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა. კომენტარები ესენი ერთად იოანეს უთარგმნია ბერძნულიდან თვით „ეკლესიასტის“ ტექსტი.

მას შემდეგ, მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მწერალს არსენის, რომელიც თარგმანის (ე. ი. კომენტატორის) სახელით არის ცნობილი, ქართულად შეუდგენია კომენტარი ჭებათა-ჭებისა, და ამასთან დაკავშირებით მასაც ახლად უთარგმნია ბერძნულიდან ქართულად „ჭებათა-ჭების“ ტექსტი.

ბიბლიის წიგნთა ამ თარგმანებს სპეციალური დანიშნულება ჰქონდათ. იოანე კიმპიმელსა და არსენის „ეკლესიასტე“ და „ჭებათა-ჭება“ არ გამოუშვიათ ცალკე არამედ მართოდენ კომენტარიების თანამყოლი ტექსტების სახით ჰქონდათ მოცემული. ბიბლიის კრებულებში იოანე კიმპიმელისა და არსენის ამ ტექსტებით სრულდება ბიბლიური წიგნების თარგმნა ქართულს ენაზე ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ეპოქაში.

III

ოთხთავის ძველ-ქართული ვერსიები

(სწოლიო 3, გვ. 145, მნათობი № 2).

„ოთხთავი“, აგრეთვე მნიშვნელოვანი ძეგლი უძველესი ხანის ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, — როგორც ირვევა, ისეთივე რთული ისტორიის მქონეა, როგორც ბიბლიის პირველი ნაწილი; იგი არა ერთგზის უთარგმნიათ ქართულად. ოთხთავის ჩვენ დრომდე მოღწეული ვერსიები შემდეგ რედაქციებად ნაწილდება:

IV — V საუკ.

1. ხანმეტი პირველი (ეფანგელიც“).
2. ხანმეტი მეორე (ჰადიშურის მიმდგომი).
3. ხანმეტი მესამე (არქაული ლექციონარისა).

V — VI საუკ.

4. ხანმეტი მეოთხე („საბაწმიდური“).

VI — XI საუკ.

5. საბაწმიდურის განშტოებანი.

X — XI საუკ.

6. ეფთიმე მთაწმიდელისა.
7. გიორგი მთაწმიდელისა.

XI — XII საუკ.

8. არსენი იყალთოელისა.
9. იოანე კიმპიმელისა.
10. პაულე გელათელისა.

1 — 3. „ხანმეტი“ პირველი — მესამე (IV — V საუკ.)

ქართველი ოთხთავის არქაულ ვერსიებს გიორგი მთაწმიდელის ცნობილ ანდერძში ეწოდება „ხანმეტნი“.

ეს სახელწოდება, როგორც ცნობილია, აღნიშნავს ამ არქელ თარგმანთა ენის თავისებურებას, ევრეთ-წოდებულ „ხან-მეტობას“, რაც ახასიათებდა ქართულ სალიტერატურო ენას უძველეს ხანაში.

ჩვენ ვტოვებთ ამ ტერმინს „ხანმეტი“ ქართული არქელური რედაქციების აღსანიშნავად. ქართული შერლომის არქელური ეპოქიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა ოთხთავის სამი თარგმანი, შესრულებული სხვადასხვა სალიტერატურო სკოლებში:

1. პირველი ტექსტი: „ეევანგელიც“. მოღწეულა ფრაგმენტის სახით. იგი დაცულია ჰადიშური ოთხთავის დამატებაში („სტოვასა მას აღსამაღლებელისა ეევანგელიც მარკონის თავისაჲ). ეს არის უძველესი ტექსტი ქართული ოთხთავისა, რომელიც ყველაზე მეტს ვარიანტულ სხვაობას შეიცავს მომდევნო რედაქციებთან შედარებით.

2. მეორე ტექსტი (ჰადიშურის მიმდგომი). მეორე რედაქცია ქართული ოთხთავისა წარმოდგენილია სამ ხანმეტურ პალიმფსესტში:

ხანმეტი ოთხთავი — ხელნაწერი საქ. მუზეუმისა 999 — ა/II.

ხანმეტი ოთხთავი — ხელნაწერი საქ. მუზეუმისა 844 — ბ/II.

ხანმეტი ოთხთავი — ხელნაწერი სეანური (ახლად აღმოჩენილი).

ამს გარდა, მეორე რედაქციის ეგვე ტექსტი წარმოდგენილია უძველეს თარიღიან ოთხთავის ხელნაწერში, ევრეთ-წოდებულ ჰადიშურში¹.

ამ მეორე რედაქციის მთარგმნელი იცნობს პირველი რედაქციის „ეევანგელიც“-ს ტექსტს არის შეხვედრა ცალკე წაკითხვებში, მაგრამ სხვაობა მათ შორის იმდენად არსებითია, რომ ამ ორი რედაქციის სახით ჩვენ გვაქვს ორი საესებით დამოუკიდებელი თარგმანი.

3. მესამე ტექსტი — არქელური ლექციონარისა.

დაცულია ხანმეტ პალიმფსესტში 1445/II (ხელნაწერი საქ. მუზეუმისა; წარმოადგენს ლექციონარს ოთხთავიდან).

ტექსტი ამ მესამე რედაქციისა განსხვავდება სხვა ცნობილი რედაქციებიდან.

4. „საბაწმიდური“ (V — VI სსშ.)

გიორგი მთაწმიდელი, თავის ცნობილ ანდერაშში, მოგვითხრობს, რა ოთხთავის ძველ-ქართულ თარგმანთა შესახებ, ცალკე აღნიშნავს ძველ-ქართულ თარგმანს „საბაწმიდური“.

თუ სახელდობრ რომელ რედაქციას მივმართებოდა ეს სახელწოდება „საბაწმიდური“, დღემდე გაურკვეველად ითვლებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა ხერხდება ოთხთავის ერთი ხელნაწერის მიხედვით, რომლის ანდერაშში პირდაპირ აღნიშნულია, რომ იგი დაიწერა „დედისაგან საბაწმიდისა, განგებასა ზედა ბერძულსა“².

სახელწოდება „საბაწმიდური“ წარმოსდგება პალესტინის „საბაწმიდის“ სახელიდან, სადაც აღტიდანვე არსებობდა ქართული კოლონია, და რომელიც ქართული შვიგნობრობის შინაშენლოვან ცენტრს წარმოადგენდა ადრეულ საშუალა-საუტუნებში.

თარგმანი „საბაწმიდური“ სახარებისა შესრულებული ყოფილა საბაწმიდაში, ბერძნული ენიდან, მე-5 — 6 საუკუნეთა მიჯნაზე. ყოველ შემთხვევაში ეს თარგმანი არაა უკვირანესი მე-6 საუკუნისა, რადგან მე-6 საუკუნის ქართულ ძეგლებში ჩვენ უკვე ვაქვს ციტატები სახარებიდან „საბაწმიდური“ რედაქციის მიხედვით.

უძველესი ჩვენ დრომდე გადარჩენილი ხელნაწერები საბაწმიდური ოთხთავისა ეკუთვნის მე-6 — 7 საუკუნეებს.

¹) აქ საკიროა აღნიშნოთ, რომ ჰადიშური ხელნაწერი შეიცავს ამ მეორე რედაქციის ტექსტს თავის ძირითად ნაწილში. (ამას გარდა ჰადიშურში არის ნაწილი, რომელიც ახლო უდგება საბაწმიდურს და ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს).

²) იხ. ჩვენი წერილი „ხანმეტი და „საბაწმიდური“ (ენიკის მოამბე, V).

5. „საბაწმინდური“-ს ბანშტრუბანი (VI—XI საუკ.)

ოთხთავის ამ ოთხი სხვადასხვა თარგმანებიდან, რომელიც არსებულა ქართულ ენაზე მე-4—6 საუკუნეებში, საბოლოო კანონიზაცია მიუღია „საბაწმინდური“ (რედუქცია)

„საბაწმინდური“ ტექსტი ფართოდ ვრცელდება და საერთო ხმარებაში (რედუქცია) საუკუნიდან მოკიდებული მე-11 საუკუნემდე, ვიდრე იგი მე-11 საუკუნის ნახევრიდან არ შესცვალა გიორგი მთაწმიდელის ახალმა თარგმანმა.

„საბაწმინდური“ რედაქცია წარმოდგენილია, როგორც ოთხთავის კოდექსებში მე-6—11 საუკუნეებისა, ისე „მცირე კანონი“-ს ლექციონარში (რომელიც მე-6—7 საუკუნეთა მიჯნაზე იყო შემოღებული) და აგრეთვე „დიდი კანონი“-ს ლექციონარში (რომელიც მე-8 საუკუნიდან შემოღის ხმარებაში).

ვიძლევით აქ „საბაწმინდური“ რედაქციის ძირითადი დედნების ჩამოთვლას:

ა) ოთხთავის კოდექსები:

1. ხანმეტი პალიმფესტი VI—VII საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 89/A).
2. ხანმეტი პალიმფესტი VI—VII საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 844—გ/H).
3. ოპიზური 913 წლისა (ათონის კოლექცია).
4. შატბერდული 936 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. 1660/H).
5. შატბერდული 973 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. 1453/A).
6. ტბეთური 995 წლისა (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის კოლექცია № 222 ო. ბ. დ.).
7. პარზალური 10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 4927/S).
8. ურზნისული 9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 28/A).
9. ქსნის-ხევური 9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 509/A).
10. მარიაშის-სავანისა 9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 98/A).
11. გაბრიელისეული 9—10 საუკ. (საქ. მუზ. ხელნ. 405/S, 359/A).
12. „ანან-დიდი“ 9—10 საუკ. (საქ. ცენტრ. არქ. № 107).
13. რაჭული (წესური) 9—10 საუკ. (ქუთ, მუზ. ხელნ. № 176).
14. სევანური (ქუთაშული) 10 საუკ.
15. სევანური (ტვიზერული) 10 საუკ.
16. ტფილისური 1008 წლისა (ქუთ. მუზ. ხელნ. № 363).
17. ოშკური 1033 წლისა (დაეკულია სევანეთში, მესტიაში).
18. ჭყონდიდური 1050 წლისა (საქ. მუზ. 391/S, 367/A).
20. პალესტინური 1048 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. № 1741/H).
21. შავშთური 1054 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. 962/S და 1287—ა/A) †.

ბ) „მცირე კანონი“ ლექციონარები:

1. ლექციონარი პაემეტი VII ს. (პალიმფს. საქ. მუზ. 1329/H).
2. ლექციონარი ხანმეტ-პაემეტი VII ს. (გრაიციხის ხელნაწერი).
3. ლექციონარი ხანმეტი VII ს. (პალიმფს. საქ. მუზ. 999—ბ/H).

გ. „დიდი კანონი“-ს ლექციონარი:

„დიდი კანონი“-ს ხელნაწერთაგან უძველესია კალური ხელნაწერი მე-8—9 საუკუნისა. („დიდი კანონი“-ს ხელნაწერთა ნუსხა იხ. ზევით, გვ. 122 შენიშვნა 9).

მოყვანილი სიიდან ცხადია, თუ რამდენად ფართოდ გავრცელება ჰქონია საბაწმინდურ ტექსტს (— იგი ხმარებაში ყოფილა საქართველოს ყველა პროვინციებში და აგრეთვე ქართულ საზღვარგარეთულ ყოლონიებში), ამასთან რამდენად ხანგრძლივი ყოფილა ამ ტექსტის გავლენა (მე-6-დან — მე-11 საუკუნემდე).

†) ამას გარდა საბაწმინდური ოთხთავის კოდექსი წარმოდგენილია მთელი რიგი ფრაგმენტების სახით. (საბაწმინდური ოთხთავის კოდექსები წარმოდგენილი უნდა იყვეს აგრეთვე სინური კოლექციის ხელნაწერებში №№ 15/8, 38/12, 30/11 და 16/17, რომლებიც ამჟამად ზენთის მისაწვდომი არ არის).

აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილი დედნები საბაწმიდური ოთხთავისა ტექსტულურად არ ჰქვამენ სრულს ზედმიწევნობით ერთიმეორეს. როგორც ხანსა საბაწმიდური ოთხთავის ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში განუცდია ცვლილებანი, სწავლავე სალიტერატურო სკოლებში მოუხდენიათ მისი ნაწილობრივი გადაშვებება, რედაქციურება, მაგრამ ეს რედაქციული შესწორებანი არ მიღის იმდენად შორს და მათ უფრო სწავლადმიწოდებულ ხასიათს აქვთ; ყველა ამ დედნების სახით ძირითადში ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე თარგმანის, „საბაწმიდური“ ტექსტის განსჯობენი¹.

6 — 7. თარგმანები ეფთიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელისა (X — XI საუკ.)

ათონის სალიტერატურო სკოლამ, როგორც ცნობილია, ჩაატარა რევიზიონისტული მუშაობა, ხელახლა სთარგმნა ქართულად მთელი რიგი წინათ-არსებული ძეგლებისა ან და „განაახლა“ ძველი ხანიდან ნაანდერძევი სალიტერატურო ძეგლები.

ამგვარი მუშაობა ჩატარებულ იქნა პირველ რიგში „ოთხთავის“ მიმართ. პირველად ეს მუშაობა ჩატარა ათონის სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელმა, გამოჩენილმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა (958 — 1028 წ.), რომელმაც ახლად სთარგმნა ქართულად ოთხთავის ტექსტი.

(ეფთიმესეული ოთხთავი დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწერში 484/A. ამას გარდა ეფთიმესეული ვერსია მათეს და იოანეს თავისა წარმოდგენილია ეფთიმეს მიერ თარგმნილ იოანე ოქროპირის კომენტარიებთან ერთად, როგორც კომენტარიებს თანამყოლი ტექსტი).

მაგრამ ეფთიმე მთაწმიდელის თარგმანს არ მიუღია ფართე გავრცელება. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ამ თარგმანის გამოკვეთების დროს ათონის სალიტერატურო სკოლა ჯერ კიდევ „ახალწერილში“ იყო, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული იმდენად ფართე გავრცელება, და ეფთიმესეულმა ახალმა თარგმანმა ვერ დაჩრდილა ძველი საბაწმიდური რედაქციის ტექსტი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა და ავტორიტეტით იყო მოსილი.

უფრო გვიან მე-11 საუკუნის შუა წლებში, ათონის სკოლის მეორე გამოჩენილმა მწერალმა გიორგი მთაწმიდელმა ხელახლა სთარგმნა ქართულად ოთხთავი. გიორგი მთაწმიდელს ეს თარგმანი შესრულებულია ტრადიციის ანგარიშ-გაწევიით. გიორგი მთაწმიდელს საფუძვლად აუღია საბაწმიდური ოთხთავის ტექსტი, რომელიც „შეუწამებია“ მე-11 საუკუნეში საბერძნეთში გავრცელებულ დედანთან, და სტილისტიურად „განუხლებია“ იგი იმ რიგად, რომ გიორგი მთაწმიდელის ეს ახალი თარგმანი არ არის ისე არსებითად დაცილებული ძველს ტრადიციას.

გიორგი მთაწმიდელის ამ ახალმა თარგმანმა, რომელიც, უნდა აღინიშნოს, ბრწყინვალე კლასიკური ქართულით არის შესრულებული, — საბოლოოდ გაიმარჯვა და მან დიპიარა ძველის თარგმანების ადგილი.

¹) აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგიც:

საბაწმიდური ტექსტი, თავდაპირველად, მე-VI — VII საუკუნეებში, ცხადია ხანმეტური და პაემეტური ორთოგრაფიით იწერებოდა (იხ. ზემოთმოყვანილ საში პირველი ორი ოთხთავის კოდექსი და „მცირე კანონი“-ს ლექსიკონარები).

მაგრამ შემდეგ, როდესაც ხანმეტ-პაემეტობა ხმარებიდან გამოვიდა, საბაწმიდური ტექსტი იწერებოდა ახალი ორთოგრაფიით (ისევე, როგორც ამას ვხედავთ ყველა სხვა ძეგლების მიმართაც). მე-IX — XI საუკუნის ხელნაწერებში საბაწმიდური ტექსტის შემცველი ხელნაწერები უკვე ახალი ორთოგრაფიით არის წარმოდგენილი.

ამიტომაც გიორგი მთაწმიდელი, როდესაც იგი მე-XI საუკუნის ნახევარში ეხება სახარების რედაქციებს, ცალკე მოიხსენიებს ძველ „ხანმეტ“ ტექსტებს, და ცალკე ასახელებს „საბაწმიდურ“ ტექსტს, რადგან „საბაწმიდური“, როგორც საერთო ხმარებაში მიღებული რედაქცია, ამ დროისათვის გავრცელებული იყო არა „ხანმეტური“ სახით, არამედ ახალი ორთოგრაფიით იყო წარმოდგენილი.

8 — 10. არსენი იმპალთოელისა, იოსანი ჰიმშიმელისა და პაველი გელათელის
თარგმანები (XI — XII სსსს.)

მე-XI — XII საუკუნის ქართული ჰუმანიტური სკოლის მწერლები მწიგნობრულ იყალი-
თოელმა, იოსანი ჰიმშიმელმა და პაველ გელათელმა სათარგმნეს ბერძნულ წიგნებზე
კომენტარიები სახარებისა, და კომენტარიებთან დაკავშირებით განმეორებით სათარგმნეს
თვით ოთხთავის ცალკე წიგნები, როგორც კომენტარიების თანამყოლი ტექსტი.

ეს ძეგლებია:

ა რ ს ე ნ ი ი ყ ა ლ თ ო ე ლ ის ა: კომენტარი იოანეს სახარებისა (იოანე ოქრო-
პირით). კომენტართან ერთად თარგმნილია იოანეს სახარების ტექსტი.

ი ო ა ნ ე კ ი მ კ ი მ ე ლ ის ა: კომენტარი მარკოზის და ლუკას სახარებისა (თეო-
ფილაქტე ბულღარელით). კომენტართან ერთად თარგმნილია მარკოზის და ლუკას
სახარების ტექსტები.

პ ა ე ლ ე გ ე ლ ა თ ე ლ ის ა: კომენტარი იოანეს თავისა (თეოფილაქტე ბულ-
ღარელით). კომენტართან ერთად თარგმნილია იოანეს სახარების ტექსტი.

ამ თარგმანებს არ ჰქონდათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არამედ ეწირო საეკლესიო
მიზანს ემსახურებოდნენ, როგორც კომენტარიების თანამყოლი დანართი. (თვით ავტორებს
არ გამოუშვიათ ეს თარგმანები ცალკე წიგნებად, კომენტარიებისაგან დაშორებით).

ამის შემდეგაც ფართე საყოველთაო ხმარებაში ისევ რჩება გიორგი მთაწმიდელის
თარგმანი, რომელმაც საბოლოო კანონიზაცია მიიღო.

აქ საქირია აღენიშნით აგრეთვე, რომ არსენი იყალითოელისა, იოსანი ჰიმშიმელისა და
პაველ გელათელის ეს თარგმანები, შედარებით გიორგი მთაწმიდელის თარგმანთან — მეტის
ხელოვნურობით არის აღბეჭდილი (განსაკუთრებით უკანასკნელი ორისა), რაც გამოწვეუ-
ლია ბერძნულან სრული შესატყვისობის მიღწევის მიზნით, გიორგი მთაწმიდელის თარგ-
მანი უფრო ბუნებრივი ქართული კოლორიტით არის აღბეჭდილი.

არსენი იყალითოელისა, იოსანი ჰიმშიმელისა და პაველ გელათელის დასახლებული თარ-
გმანებით სრულდება ოთხთავის ტექსტების თარგმნა ძველ-ქართულ მწერლობაში.

IV

უძველესი აპოკრიფიული ძეგლების დათარიღებისათვის

(სქოლიო 4, გვ. 146 — 147, მნათობი № 2).

ქართულს ენაზე მოღწეული უძველესი ნათარგმნი პავიოგრაფიული ძეგლების დათა-
რილება მოხერხდა მას შემდეგ, რაც ჩვენ გაეარკვიეთ ძველ-ქართული კალენდარის ისტო-
რია¹, და აგრეთვე დაედგინეთ ზოგიერთი სხვა ძირითადი საქრონოლოგიო მარეწებელი
პავიოგრაფიული ტექსტები, ამ სათარღო მარეწებელთა მიხედვით, ნაწილდება შემდეგ
ჯგუფებად:

a.

ნაწარმოებნი, რომლებშიაც მიღებულია წარმართული ხანიდან მომდინარე კალენდარი,
და რომლებიც ეკუთვნის უფრო ადრინდელ დროს, ვიდრე საქართველოში რომელიც კა-
ლენდარი იქნებოდა შემოღებული. ამის მიხედვით, ჰემოთ-ჩამოთელილი 15 ძველი თა-
რილდება მე-IV — VI საუკუნეებში:

1 მარტივობა კალისტრატესი; 2—3 სტეფანე პირველ-მარტვილის შესახებ ორი ტექსტი
(მარტივობა სტეფანესი და პოენა სტეფანეს ნაწილთა); 4—6 კირილე იერუსალიმელის

¹ აბ. ჩენი წერილი: „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“ (საქართველოს მე-
ხუთმის მოამბე, ტ. VI და VII).

სამი საკითხზე (გამოჩინება ჯვარისა, რომელი გამოუჩნდა დიდსა კონსტანტინეს, პონენა ჯვარისა, პონენა სამსუქელთა); 7 ცხოვრება კონსტანტინისა; 8 მარტილოზა კონსტანტინისა; 9 მარტილოზა ქრისტეფორესი — პირველი ვერსია; მარტილოზა ქრისტეფორესი — მეორე ვერსია; 11 წამება ბიკტორისი — პირველი ვერსია; 12 მარტილოზა კონსტანტინისი; 13 მარტილოზა ქსესტოსი და თანამოღვაწეთა; 14 მარტილოზა ევბუტოსისა; 15 მარტილოზა სპეესიბესი და თანამოღვაწეთა.

b.

ნაწარმოებნი, რომლებშიაც პარალელურად იხმარება წარმართული და რომაული კალენდარი, ამის მიხედვით ქვემოთ დასახელებული 3 ძეგლი მე-VI — VII საუკუნეებით თარიღდება:

1 მარტილოზა პროკოპისი; 2 ბიოგრაფია პაველის (მოციქულთა წიგნის სამეცნიერო გამოცემიდან); 3 მარტილოზა ფილეტემონისი.

c.

ნაწარმოებნი, რომელშიაც მიღებულია რომაული კალენდარი, ხოლო ტექსტი დაუთვლია „ხანმეტ“ ხელნაწერში. თარიღდება მე-VII საუკუნით:

მარტილოზა ქრისტინასი.

d.

ნაწარმოებნი, რომლებზედაც არის მითითება „მცირე კანონ“-ში. „მცირე კანონი“ ეკუთვნის მე-VI — VII საუკუნეების მიჯნას; ამის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი 8 ძეგლი ამ დროს უკვე არსებულია ქართულად:

1 მარტილოზა ლონტიოსისი; 2 მარტილოზა ეესტათისი; 3 მარტილოზა პეტრე ალექსანდრიელისა; 4 მარტილოზა ანტონინესი და თანამოღვაწეთა; 5 მარტილოზა ალფიესი და თანამოღვაწეთა; 6 მარტილოზა პაულე ეპისკოპოსისა; 7 მარტილოზა პასარიონისი; 8 წამება მენასი.

e.

ნაწარმოებნი, რომლებიც შეტანილია „მრავალთავი“-ს პირველ ფენში. „მრავალთავი“-ს პირველი ფენი ეკუთვნის აგრეთვე მე-VI — VII საუკუნეთა მიჯნას; ამის მიხედვით ქვემოთ მოხსენებული 6 ძეგლი ამ დროს უკვე არსებულია ქართულად:

1 — 2 წამება პეტრესი და წამება პაველის; 3 წამება იაკობისი, იესუს ძმისა; 4 — 5 წამება ორმოცთა სებასტიელთა; 6 წამება ათენაგენისა.

f.

ნაწარმოებნი, რომლებიც ენობრივად უდგება ზემოდ-დასახელებულ ძეგლებს, და ამის მიხედვით თარიღდება მე-IV — VII საუკუნეებით:

მარტილოზანი: 1 მამასი; 2 ფოკასი; 9 ვაროზისი; 4 ივლიანესი; 5 ანდრიანესი და ანატოლესი; 6 კონონისი; 7 ტიმოთესი და მერაზასი; 8 ლონგინოზისი; 9 ბაბილასი; 10 ბასილი ჰამელისა; 11 თეკლასი.

g.

ტექსტი VI — VII საუკუნეებისა, რომლის თარიღი ირკვევა ონომასტიკონისა და სხვა რეალიების მიხედვით: მარტილოზა იზიტ-ბუზიტისი.

★

შედარებითი ანალიზი ამ ძეგლებსა იძლევა საშუალებას უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ზოგიერთი ძეგლის თარიღი:

მარტილოზა კალისტრატესი, როგორც ირკვევა, მე-IV საუკუნეზე გვიან იდროისა არ არის.

*) სათარაღო მიხედვებდნი: ა) წარმართული საკალენდარო ტერმინოლოგია; ბ) ენობრივი ნიშნები, რომელიც განსაკუთრებული არქაულობით არის აღბეჭდილი; გ) ტერმინი „ფარსეველი“ — ბძენის მართლმორწმუნის მნიშვნელობით (ეკუთვნის უძველეს ეპოქას, როდესაც ქართულ ეკლესიაში ჯერ კიდევ ებრაულ-ქრისტიანული ტრადიცია იყო გავა-

მარტილობა მამამასი და მარტილობა ფოკასი — სიან, აგრეთვე მე-IV საუკუნეს ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში მე-V საუკუნის გვიანი არაა¹.

მე-V საუკუნით თარიღდება: სტეფანე პირველ-მარტილის შესახებ ორი ტექსტი, კორილე იერუსალიმელის სამი საკითხავი, და კოზმან-დამიანეს შესახებ ორი ტექსტი².

ს ი ნ გ ლ ი ი ნ გ ო რ ო ვ ე ბ ა

V

„კითხვა-მიგება უფლისა და პავლესი“ და „მიმოდასლვა მოციქულთა“

(სქოლიო 5, გვ. 148, მნათობი № 2).

ხანმეტ პალიმესტური ფრაგმენტები, დაეული საქ. მუზეუმის ხელნაწერში 373/H, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს მოხსენებული აქვს როგორც ერთი ნაწარმოები — პირობითი სახელწოდებით „აპოკრიფული საქმენი მოციქულთანი“³, როგორც გამოირკვა, შეიცავს ორს სხვადასხვა ნაწარმოებს:

1. „მიმოდასლვა მოციქულთა“. სრული ტექსტი ამ ნაწარმოების აღმოჩნდა საქ. მუზეუმის ხელნაწერში 341/H⁴.

2. „კითხვა-მიგება უფლისა და პავლესი“. ეს მეორე ნაწარმოები ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ შემოთ-დასახელებული ხანმეტური ფრაგმენტის მიხედვით. (სახელწოდება ამ მეორე ნაწარმოებისა პირობითია, რადგან დასაწყისი, დასათურების შემცველი, არ შენახულა).

VI

მარველთაჲნი

(სქოლიო 6, გვ. 149, მნათობი № 2).

„მრავალთაჲნი“-ს ტექსტები განლაგებულია რომაული კალენდრის მიხედვით, და ამიტომ (თუკი ამგვარი განრიგება რომაული კალენდრის თანახმად — თავდაპირველი) —

ტონებული, და წმინდა ქრისტიანული — სახარებიდან მომდინარე — ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ ყოფილა საბოლოოდ განმტკიცებული).

აღსანიშნავია, რომ კალისტრატეს მარტილობის ტექსტი, როგორც ირკვევა, იცნობდა ეგვიპტის მცხეთელის ბიოგრაფიის ავტორი.

¹) ამ ძეგლთა განსაკუთრებული სიძველის მაჩვენებელია მათი ირქაული ენა: კერძოდ ამ ტექსტებში ტერმინი „ბ ა გ ი ნ ი“ ეწოდება ყოველგვარ სამლოცველო სახლს (განურჩევლად იმისგან, ქრისტიანებისა იგი, ებრაელებისა, თუ მახდებიანბისა ან წარმართებისა. ქრისტიანული ეკლესიის მკაცრად, ურწმუნოს, — ამ ტექსტებში ეწოდება „ბ ა გ ი ნ ი ს მარკელე“). ხოლო მე-5 საუკუნეში ტერმინი „ბაგინი“ ასეთი მნიშვნელობით უკვე აღარ იხმარებოდა; ქრისტიანულ სამლოცველო სახლს მე-5 საუკუნის ტექსტებში უკვე ეწოდება „ეკლესია“ (— ასე იხ. მე-5 საუკუნის ტექსტი — ბიოგრაფია შუშანიკისი, იხ. აგრეთვე მე-4 — 5 საუკ. ტექსტი ბიოგრაფია ცხათა ყრმათა კოლაელთა, აგრეთვე საკითხავი სტეფანე პირველ-მარტილის ნაწილთა პოენისა, მარტილობა ევბოლოსი და თანამოღვაწეთა, და სხვ.), ხოლო „ბაგინი“ მე-5 საუკუნიდან მოკიდებული ეწოდებოდა ებრაელთა სამლოცველო სახლს და წარმართთა საეკრპოსს (იხ. საკითხავი სტეფანეს ნაწილთა პოენისა, საკითხავი კორილე იერუსალიმელისა, მარტილობა ევბოლოსი და თანამოღვაწეთა).

²) თარიღი ირკვევა პირველ რიგში ენობრივი ნიშნების მიხედვით. კერძოდ კოზმან-დამიანეს შესახებ ტექსტი უკვე არსებული ქართული უფრო ადრე, ვიდრე შუშანიკის ბიოგრაფია დაიწერებოდა, ე. ი. მე-5 საუკუნის 70-იანი წლების უწინარეს.

³) იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები“, ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, II. 1922 — 1923 წ., გვ. 338, 345 — 346, 390 — 391.

⁴) წარმოადგენს არა-ხანმეტურ გადმონაწერს ხანმეტური პირველდენდიან.

მრავალთავის კრებულის შედგენა მე-6 საუკუნის დასასრულზე აღინიშნა დროს ვერ მიეკუთვნება.

Terminus post quem non ირკვევა შემდგომის მიხედვით. ჩვენ დრომდე მოღწეულა მრავალთავის ორი ხანშეტი ხელნაწერი (პალიმესტური ფრაგმენტების სინთეზის დასრულებული), რომლებიც მე-7 საუკუნით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ მე-7 საუკუნის ამ ხელნაწერებში ჩვენ გვაქვს მრავალთავის არა პირვანდელი დედანი, არამედ კრებული ამ დროს უკვე გართულებული უფილა დანართი სტატიებით (ეს ირკვევა „მრავალთავი“-ს ყველა არსებული რედაქციების შედარებითი ანალიზიდან).

ამ სათარაო მარეწვებელთა მიხედვით მრავალთავის კრებულის შედგენა მე-6 — 7 საუკუნეთა საზღვარს უნდა მიეკუთვნოს.

ეს არის ეპოქა, როდესაც ქართულ თეოლოგიურ აზროვნებას მოთავეობდა კირიონ I დიდი. საფიქრებელია, რომ კრებულის შედგენაში ან თვით კირიონს, ან კირიონის სკოლას მიუღია მონაწილეობა.

VII

თეოლოგიური ლიტერატურის ძეგლები

(სქოლიო 7, გვ. 150, მნათობი № 2).

თეოლოგიური ლიტერატურის ძეგლები — გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმნე“, იპოლიტ რომის პაპის კომენტარიები და ეპიფანე კვიპრელის „თელთაჲ“ (— ეს ნაწარმოებნი დატულია ცნობილ შატერდულ ხელნაწერში) — ენობრივი ნიშნების მიხედვით უდგება მე-5 — 7 საუკუნეთა ქართულ ტექსტებს, და არა შემდგომი ხანის ძეგლებს.

ბასილი დიდი და ათანასე აღუქანანდრიელი ციტირებულია არსენი მცხეთელი კთაბლიკოზის ცნობილ ტრაქტატში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“. (ამ უკანასკნელი თხზულების თარიღის შესახებ იხ. მესამე წერილში).

VIII

ძველი ქართული მწერლობის დაბადები: აპოკრიფები, პაპიოგრაფია, გიოგრაფიული ლიტერატურა, ისტორიოგრაფია.

(სქოლიო 8, გვ. 158, მნათობი № 2).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც აღვნიშნეთ, არის ერთგვარი მეტყვეობა ენობრივ განსაზღვრაში, და დოკუმენტალური მხატვრული პროზა (ე. ი. ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა) ხან მიეკუთვნება პაპიოგრაფიის დარგს, ხან წმინდა ისტორიოგრაფიას.

ბევრად უფრო მიზანშეწონილი იქნება, და მეტი სინათლე იქნება შეტანილი საგანში, თუ ამ ჯგუფის ძეგლებს ცალკე დარგის სახით გამოვყოფთ და დავარქვით ნიშანდობლივ სახელს: „ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა“.

იგი, ჯერ ერთი, განსხვავდება წმინდა წყლის პაპიოგრაფიისაგან, სადაც მოთავარი ხაზი ეიწრა თეოლოგიური მიზანდასახულობით განისაზღვრება ხოლმე, და რომლებიც მეტწილად ლეგენდარულ ასპექტშია გაშლილი.

ამევე დროს ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა, როგორც აღვნიშნავედით, არ შეიძლება განეკუთვნოს არც წმინდა ისტორიოგრაფიას; იგი თუმცა უახლოვდება ისტორიოგრაფიას მოთხრობის დოკუმენტალური ხასიათით, მაგრამ შორდება ამ უკანასკნელს, რამდენადაც იგი წმინდა მხატვრული ნაწარმოების ფორმაშია მოცემული.

გამოყოფა ბიოგრაფიული ლიტერატურისა (დოკუმენტალური პროზის დარგის) — საკუთრივ პავლოვსკის დარგიდან არა ნაკლებ გამართლებულია, ვიდრე გამოყოფა აპოკრიფული ლიტერატურისა და პავლოვსკისა, რაც მიღებულია სამეცნიერო შერეობაში, თუმცა აპოკრიფებსა და პავლოვსკისა ბევრი რამ აქვთ საერთო. უკრძნუნელი

თუ ჩვენ ამგვარ დაჯგუფებას მივიღებდით საფუძვლად, მაშინ ძველი „მეცნიერული“ ლიტერატურის ძირითადი ტიპური ძეგლები შემდეგნაირად დანაწილდებოდა ცალკე დარგების მიხედვით: აპოკრიფები, წმინდა პავლოვსკი, ბიოგრაფიული ლიტერატურა (დოკუმენტალური მხატვრული პროზა), ისტორიოგრაფია.

ა. აპოკრიფები.

ტიპურ აპოკრიფებს წარმოადგენს ორი ძეგლი: 1 მოსახსენებელი მიმოსლავითაჲს და ქადავებათა მოციქულსა ანდრეასი, შედგენილი მე-10 — 11 საუკუნის მწერლის ეფთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულ წყაროების საფუძველზე; 2 ახალი მოსახსენებელი ანდრეას მიმოსლავითაჲს მე-13 — 14 საუკუნის მწერლის — აწყვერელი ანონიმისა¹.

ბ. საკუთრივ პავლოვსკი მწერლობა.

პავლოვსკი დარგის ძეგლებია: მე-10 საუკუნის მწერლის არსენი კათალიკოსის — ცხოვრება იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა; მე-10 საუკუნის ანონიმისა — ცხოვრება დავით გარეშეცელისა; წამება დავით და ტირიჭანისა (მე-9 საუკ., საბან იშნენელის სკოლა).

პავლოვსკი მწერლობის თვისებურ სახეობას წარმოადგენს მე-11 — 12 საუკუნეთა მეტაფრასები: იოანე ზედაზნელისა (ორი მეტაფრასი), ისე წილანელისა (ორი მეტაფრასი), დავით გარეშეცელისა, შიოსი, რაედენისა, დავით და კონსტანტინესა, არჩილისა.

პავლოვსკი მწერლობის დარგს განეკუთვნება აგრეთვე ბასილი ვანესკის თხრობა სასწაულთათვის შიოსთა.

პავლოვსკი რომანები არა-ქართულ თემატიკაზე წარმოადგენილია ძეგლებით: ბალაქარი და აბუცრაჲ.

გ. ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა.

ბიოგრაფიული ლიტერატურის (დოკუმენტალური მხატვრული პროზის) ტიპური ძეგლებია: ბიოგრაფიები — 1 ცხრათა კოლაელთა; 2 შეშანიკისა; 3 ეესტათი მცხეთელისა; 4 პაბოასი; 5 კონსტანტი კახასი; 6 გობრონისა; 7 გრიგოლ ხანთელისა.

ორი ძეგლი: 1) ბიოგრაფია იოანე და ეფთიმე მთაწმიდელთა და 2) ბიოგრაფია გიორგი მთაწმიდელისა, — როგორც მიზანდასახულობით, ისე შესრულებით, უფრო განეკუთვნება საკუთრივ ისტორიოგრაფიას, ვიდრე ბიოგრაფიულ მხატვრულ პროზას; ამ ორი ძეგლის სახით ჩვენ გვაქვს გარდამავალი საფეხური ამ ორ დარგს შორის.

მე-9 საუკუნის მწერლის არსენი კათალიკოსის — შესხმა და მოსახსენებელი აბიბოს ნეტარსელისა, — წარმოადგენს ბიოგრაფიული და პანეგირიკული ენარების შერეობას².

¹) ჩართულია ექსცერპტის სახით შევსებულ ქართლის ცხოვრებაში.

²) ამას გარდა ბიოგრაფიული ენარის ძეგლებიდან გადაკეთებული სახით მოღწეულა: 1 ბიოგრაფია პეტრე ივერიელისა (იხ. ზემოთ, გვ. 160 — 162, წვთობი № 2); 2 ბიოგრაფია სერაპიოს ზარზმელისა (მე-9 საუკუნის ავტორის ბასილი ზარზმელის თხზულება, გადაკეთებული მე-11 საუკუნეში); 3 ბიოგრაფია ილარიონ ქართველისა (ბასილი პროტოასკრიტის მე-9 საუკუნის ტექსტი, ჯერ გადაშვავებული ანონიმის მიერ მე-11 საუკუნეში, შემდეგ მე-11 — 12 საუკუნეების საზღვარზე, „მეტაფრას-ქმნილი“ თეოფილეს მიერ).

ამას გარდა არსებულია კიდევ მთელი რიგი ბიოგრაფიული ენარის ძეგლები, რომლებიც არ მოღწეულა, და რომელთაგან შენახულა ან მოკლე ექსცერპტები, ან ძირითადად გადაშვავებული პირები, ან-და მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ცნობებია მათ შესახებ დაცული. ასეთებია — ბიოგრაფიები: რაედენისა, იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა, აბიბოს ნეტარსელისა, (მათ შესახებ იხ. ზემოთ გვ. 162 — 163, წვთობი № 2), არჩილისი, დავით და კონსტანტინესი, იოანე კათალიკოსისა, ილარიონ პარეხელისა და სხვათა.

დ. ისტორიოგრაფია

უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული წმინდა ისტორიოგრაფიული ძეგლი არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლების სია წარმოადგენს ჩვენ მიმოხილვაში და აქ მათ ჩამოთვლას აღარ შევუძლებით.



IX

ბიოგრაფია სხრატა უხრატა კოლაელთა

(სქოლიო 9, გვ. 159, მნათობი № 2).

კოლაელთა ბიოგრაფიის განსაკუთრებული სიძველის მაჩვენებელია როგორც ისტორიული გარემო, ისე კერძოდ ლიტურგიული პრაქტიკა, რომელიც ასახულია ამ ნაწარმოებში, ლოცვა-მღებელმსახურების („ეამობის“) მარტივი სახე, ნათელების არქიულობით აღბეჭდილი წესი. (თვით გადმოცემა ქრისტეს ღამით ნათელების შესახებ, რომელზედაც საუბარია ამ ნაწარმოებში, სწანს ადრინდელი ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობს).

ასეთი უაღრესად არქაული ლიტურგიული პრაქტიკა და წესები — მე-4 საუკუნის შემდეგ, და უფრო შემთხვევაში მე-5 საუკუნის შემდეგ, მოსალოდნელი არ არის¹.

X

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს პირვანდელი შედგენილობა

(სქოლიო 1, გვ. 106, მნათობი № 3).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“, როგორც ირკვევა, თავდაპირველად სრულდებოდა შემდეგ ადგარზე:

„ერისთავობდა სტეფანოზ, ძმ მისი, და ამან განიშორა ჯუარისა ეკლესიაჲ, და დადგინა ჯუარს ჯუარობისაჲ ერთ თითუე, და ტფილისს დაჯდა სტეფანოზ“.

უფრო გვიან მატანიასთვის დაუმატებიათ შემდეგი ადგილები:

1. ნაკვეთი, რომელშიაც საუბარია სამოელ და ევნონ კათოლიკოზთა შესახებ, არაბთა მიერ ბაზილიონის („ბაღდადი“-ს) აღებასა და ბერძენთა საბერძენთს წასვლის შესახებ².
2. დიდ ერისთავთა სია³.
3. ცხრა ცოლოსან კათოლიკოსთა სია⁴.
4. კათოლიკოსთა სია მამიიდან — არსენიმდე⁵.

ამას გარდა, სწანს შემდეგ არის დამატებული ცნობა შუშანიკის შესახებაც, რაც ირკვევა იმის მიხედვით, რომ შუშანიკთან ერთად ჩართულია სამოელის (საქართველოს ეკლესიის მეთაურის) სახელი, მოხსენებული შუშანიკთან ერთად შუშანიკის ბიოგრაფიაში. (ჯუან-

¹) რაც შეეხება ტერმინს „სოფელი“, ეს ტერმინი იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს კოლაელთა ბიოგრაფიაშია მოცემული, დადასტურებულია უძველეს ქართულ ტექსტებში „ხანშეტობის“ დროისა.

²) ჯუანშერის ქრონიკაში კათოლიკოზთა სია თავდება თაბორ კათოლიკოზით (იხ. გვ. *415/197, *419/201), და თაბორის მომდევნო კათოლიკოზებს სამოელსა და ევნონს ჯუანშერის ქრონიკა არ იცნობს. ამის მიხედვით აღნიშნული ნაკვეთის შესატყვისი ადგილი ჯუანშერის ქრონიკაში მომდინარეობს სხვა წყაროდან.

³) ამ სიას არ იცნობს ჯუანშერი.

⁴) ამ სიას არ იცნობს არც ჯუანშერი, და აგრეთვე არც სუმბატ დავითის-ძე, რომელიც თავისი თხზულების პირველ ნაწილში „მოქცევაჲ“-ს მატანიანს მისდევს.

⁵) ეს სია არის მხოლოდ შატბერდულ ვარიანტში და ამ სიას არ იცნობს არც გელი-შერი ვარიანტი, არც სუმბატ დავითის-ძე, არც ჯუანშერი და „მატიანე ქართლისაჲ“.

შერის ქრონიკა სათანადო ადგილას, საქართველოს ეკლესიის მეთაურთა სიწმი, სამოციქულო საბჭოს არ იცნობს).

საკუთრა აღნიშნით ამასთან, რომ როგორ გამოირკვა კელიშის ხელნაწერის აღმოჩენის შემდეგ, „ბაღდადი“ წარმოადგენს შემდეგ-დროინდელ გლოსას და არა ქართლისა“-ს თავდაპირველ ტექსტში ყოფილა „ბაბილოენი“.

XI

მოსე ხორენელი და ქართული წყაროები

(სტოლიო 11, გვ. 106, მნათობი № 3).

რომ მოსე ხორენელი ახლო იცნობდა ქართულ მსოფლიოს და სიანს იცოდა ქართული ენა, ეს სიანს მისი ისტორიის ცნობილი ადგილებიდან, სადაც საუბარია ევტოთაგნა-ვაჰაგნის ეპოსზე და „სეფეწულთა“ შესახებ.

მოსე ხორენელის ისტორიაში დასახელებულია ქართველი მეფეები I—V საუკუნეთა: ფარსმან, ჭარბამ, შირიან, ბაკურ, არილ. უკანასკნელი ოთხი მეფე მოხსენებულია იმავე საუკუნეებში და იმავე თანამიმდევრობით, როგორც ეს „მოქცევაჲ“-ს მატიანეშია აღნიშნული. ზღუდები პირველს, ფარსმანს, ეს არის „მოქცევაჲ“-ს მატიანის ბრაცმან (იგივე ბრაცმან ანუ ფარსმან), „მცხეთელი“, თანა-მეფე ჭარბამ „არმაზელისა“.

სგეობა ფარსმანის და ბრაცმანის სახელის დაწერილობისა გვაფიჭვბინებს, რომ მოსე ხორენელის პირველწყარო არის არა უშუალოდ „მოქცევაჲ“-ს არსებული ტექსტი, არამედ მისი პირველწყარო, ან რომელიმე მისი ვარიანტი.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ყველა ნიშნებით „მოქცევაჲ“-ს მატიანის ან მისი პირველწყაროს გაელენით არის შევსებულ-გადაკეთებული ცნობა მოსე ხორენელისა, რომელშიაც მოხსენიებულია ქართველთა გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველთათვის სატრაპის დანიშვნა აღეჭანდრე მაკედონელის მიერ.

XII

გრიგოლ დიაკონის მატიანე

(სტოლიო 12, გვ. 107, მნათობი № 3).

„მოქცევაჲ“-ს მატიანის მოხსენება ნინოს მოღვაწეობის შესახებ სიანს ძირითადადში გრიგოლ დიაკონის მატიანეზე არის დამყარებული (უშუალოდ, ან „მოქცევაჲ“-ს პირველწყაროს შემდგომით).

ხოლო ნინოს, მოღვაწეობის შესახები ტექსტის ერთი ნაწილი, სადაც აწერილია ნინოს მოგზაურობა ქართლის მთიანეთში, კახეთსა და კუხეთში, იმდენად ნიშანდობლივია და სიწმიდელით აღბეჭდილი, რომ მისი ავტორი სიანს უახლოესი ეპოქის მოღვაწე ყოფილა.

ამის მიხედვით, გრიგოლ დიაკონი მეოთხე ან მეხუთე საუკუნის შწერლად არის მისანიჭე.

XIII

მატიანე საარსთა მფლოგემოგინა ქართლს მ-ი საუკუნეში

(სტოლიო 13, გვ. 107, მნათობი № 3).

მოკვავეს ტექსტი მატიანის გამოჩაყებისა, დაცული კელიშის ხელნაწერში:

„და ეითარცა მეფობა დაესრულთა ქართლს შინა, სპარსნი გაძლიერდეს, და ქეთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს, და კავკა-

სი ა ნ თ ა შევიდეს, და კარნი ო ვ ს ე თ ი ა ნ ი აივნეს, ერთი დიდი კარი ღ ვ ს ე რ ე ს ა გ მ და ო რ ნ ი დ ვ ა ლ ე თ ს, და ერთი პ ა რ კ უ ა ნ ს დ უ რ ძ ე კ ე თ ი ს ა ს ი და იგი მოქულ-
ნი გომარად დაადგინეს, და ს-ხა (?) ვინმე კ-ცი (კაცი? კახი? კახა?) დაადგინეს მოაფ-
რად წ ა ნ ა რ ე თ ი ს ა კვესა, და მოჩილებად დასდევს მისი, და ოდესჲ ~~ქრეცელს~~ ~~მეფე~~ მო-
ვიდა, ნაშინ დაიმუნეს სპარსნი, და სპარსთა ხ ა ზ ა რ ე თ ი ს ა კარი ~~მეფეს~~ ~~მეფე~~ ტახტნი
მეოტ ყვენსა — ესე აღწერილი გამოკრებილად არს.

XIV

მახტანგ გორგასარის შესახებში არქაული მასცერაბები

(სქოლიო 14, გვ. 107, მნათობი № 3).

არქაული ექსცერატები, რომლებიც დატულია უჯარმოელის (ჯუანშერისად მიჩნეულ) ოსზულუბაში „ჰამავეი ვახტანგ გორგასარისა“, და აგრეთვე არსენის მეტაფრასის იმ ხა-
წილში, რომელიც ვახტანგ გორგასარს ეხება, — ჩვეულებრივის საფუძვლიანობით გარკვე-
ული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს (იხ. ქართველი ერის ისტორია, I, 1927 წ. გვ. 264 —
269, 291 — 295, 306 — 318).

არაა გამორიცხული, რომ არსებობდა ვახტანგ გორგასარის არა ერთი, არამედ ორი
ძველი მატიანე, რადგან წყაროებში შევიშნვეა ორი ერთი-მეორისაგან განსხვავებული ძვე-
ლი ტრადიციის ვახტანგის შესახებ.

XV

აბიათარის მატიანე

(სქოლიო 15, გვ. 108, მნათობი № 3).

აბიათარის მატიანე, სათაურის მიხედვით, ეხებოდა იმავე ჭრონოლოგიურ ნაკვეთს, და
იმავე ისტორიული საკითხთა წრეს, რომელიც წარმოდგენილია „მოქცევაჲ“-ს მატიანეში.

მაგრამ შესაძლოა ამაზე მეტიც აღინიშნოს:

აბიათარის მატიანე, საფიქრებელია, იყო ის პირველადი ისტორიული ნაწარმოები, რო-
მელზედაც დამყარებულია ტარგა „მოქცევაჲ“-ს მატიანისა (ან-და „მოქცევაჲ“-ს უახლოესი
პირველ-წყაროსი).

ეს საფიქრებელი ხდება შემდეგის მიხედვით.

აბიათარის მატიანეში მოცემული ყოფილა „მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი
რომელთა ტომიანი ვართ“. აბიათარი, საისტორიო ტრადიციის ცნობით, ქართველი ებრა-
ელი იყო, და მის ნაწარმოებში, რომელიც შეიკავდა „მოთხრობას ნათესავობისა“, და უწ-
ვებას იმის შესახებ — „თუ რომელნი რომელთა ტომიანი ვართ“ — წარმოდგენილი ყოფი-
ლა ქართველთა და ქართველ ებრაელთა „ნათესავთ-მეტყველება“.

„მოქცევაჲ“-ს მატიანეში შორილაც წარმოდგენილია ქართველთა „ნათესავთ-მეტყ-
ველება“.

მაგრამ ამის გვერდით „მოქცევაჲ“-ს მატიანეში წარმოდგენილია აგრეთვე ქართველ ებ-
რაელთა ნათესავთ-მეტყველებაც. (აქ მოთხრობილია, თუ როგორ მოვიდნენ პირველად სა-
ქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე „ნათესაენი მბრძოლნი ჭალღველთაგან გამოსხ-
მელნი ჰურიანი“ და დააარსეს ქართველ ებრაელთა თემი ზანავს. ხერკში; შემდეგ მოთხ-
რობილია, რომ ტარძომისა და ბრაცმანის მეფობის დროს „ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და
დასახდეს“).

ამ-რიგად, როგორც აბიათარის მატიანეში, ისე „მოქცევაჲ“-ს მატიანეშიც წარმოდგე-
ნილია ორი ხალხის საქართველოში პირველად დასახლების ამბავი და „ნათესავთ-მეტყვე-

ლება“, ჯერ ერთი ქართველთა ნათესავთ-მეტყველება და ამის გვერდით ქართველ ებრაელთა ნათესავთ-მეტყველება.

რომელი საისტორიო წყარო უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევებში მიჩვენდნენ, „მოქცევაჲ“-ს მატიანე თუ აბიათარის მატიანე?

საფიქრებელია, რომ პირველადია აბიათარის მატიანე, რადგან ქართველებთან ერთად დინტერესება ქართველ ებრაელთა „ნათესავთ-მეტყველების“ საკითხით გასაგებია და ასახსნელი ნაწარმოებში, რომელიც დაუწერია აბიათარს, წარმოშობით ქართველ ებრაელსა და გაქართველებულს.

სამწუხაროდ ცნობები ამ ერთ-ერთი უძველესი ქართველი მწერლის აბიათარის შესახებ მეტის-მეტად მცირეა და შემდეგ-დროინდელ ტრადიციებში მისა სახე ლეგენდით არის შემოსილი.

აქ დავგრძენია მხოლოდ აღენიშნოთ, აბიათარი სწანს მართლაც მნიშვნელოვანი და სახელმძღვანელო მწერალი ყოფილა, რასაც გვიჩვენებს ის გარემოება, რომ შემდეგ ეპოქაში აბიათარი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა და აბიათარის სახელით ქვეყნდებოდა ფსევდო-ეპიგრაფიული თხზულებანი, როგორცაა ნინოს ცხოვრებაში ჩართული ცნობილი ტექსტი, აბიათარის სახელით წარწერილი. (იხ. დამატებით სქოლიო 1, გვ. 115—116).

3. ი. ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ეპიპირიოკრიტიციზმი“-ს შესახებ¹

„მატერიალიზმსა და ეპიპირიოკრიტიციზმში“ ლენინმა გახსნა ბუნებისმეტყველების კრიზისთან მახიზმის კავშირის ხასიათი. მახისტები ამტკიცებდნენ, თითქოს მათი შეხედულებანი წარმოადგენენ ბუნებისმეტყველების უახლეს ფილოსოფიას. ლენინმა კი ცხადპყო, რომ მახიზმი ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ბუნებისმეტყველებას. მახიზმი ეწინააღმდეგება მეცნიერების ელემენტარულ კეშმარიტებებს: რომ დედამიწა არსებობდა ბევრად უფრო ადრე ადამიანის ვაჩენამდე; რომ აზრი ტვინის ფუნქციაა, ხოლო შეგრძნება — ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქცია (მახისტები კი ამტკიცებენ, თითქოს აზრი და შეგრძნება არსებობენ თავისთავად, დამოუკიდებლად, ადამიანის ვარეშე) და სხვ. „ფიზიკოსი მახი თავისი ფილოსოფიური ხეტიალის დროს სრულიად დაშორდა „თანამედროვე ბუნებისმეტყველებს“, ² — სწერს ლენინი.

მახიზმის ნამდვილი კავშირი ბუნებისმეტყველებასთან, როგორც ლენინმა დაგვანახვა, მდგომარეობს იმაში, რომ მახიზმი ფიზიკის იდეალისტურად განმარტებულ აღმოჩენებს იყენებს მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პიზნით. თანამედროვე ბუნებისმეტყველება, ლენინის სიტყვით, სტიქიურად წარმოშობს დიალექტიკურ მატერიალიზმს, დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მივყევართ ფიზიკის XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დასაწყისის ყველა აღმოჩენას: ატომის დაშლას და ელექტრონების აღმოჩენას, რადიოაქტიურობის აღმოჩენას და იმ ჭიმიური ელემენტების ვარდაქცევებს, რომლებიც მანამდე უცვლელი ეგონათ; ამ დროს დაიწყო ნიუტონის კლასიკური მექანიკის კრიტიკა, რომელიც შემდეგში ვაიშალა ეინშტეინის რელატივიზმის თეორიაში, კვანტურ და ტალღურ მექანიკაში. ყველა ამ აღმოჩენამ მიგვიყვანა მატერიაზე წინანდელ შეხედულებათა მსხვერვამდე, გამოააშარავე მექანიკური მატერიალიზმის ნაკლოვანებანი და შეზღუდულობა, დაამტკიცა ჩვენი მეცნიერული ცოდნის შედარებითობა. როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ლენინი, ყველა ეს აღმოჩენა აბათილებს არა მატერიალიზმს საერთოდ, არამედ მხოლოდ მექანი-

¹ იხ. „მნათობი“, № 2

² ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ეპიპირიოკრიტიციზმი“, იხ. ვ. ი. ლენინის ი.ბ.ხ. XIII ტ., ქართ. გამ., გვ. 57. შემდეგში მოითთებანი ამ ნაწარმოებზე მოცემულია ტექსტში.

კურ, მეტაფიზიკურ მატერიალიზმს, რომელსაც ბუნების ყველა მოვლენა მექანიკამდე დაჰყავს, რომელსაც ახასიათებს „მარადიული“ ქეშმარიტებანი, ცნებათა დახვეწებულობა და უცვლელობა. მაგრამ ბურჟუაზიული მეტაფიზიკისმეტყველებმა ვერ შესძლეს ამაღლებულიყვენენ მექანიკურმა მატერიალიზმიდან დიალექტიკის შეგნებულად გამოყენებამდე და უფროდაუფრო ეშვებოდნენ იდეალიზმისაკენ. მაგრამ ლენინი მიუთითებს, რომ ყველა ბურჟუაზიული ბუნებისმეტყველი როდია იდეალისტი. მათი უმრავლესობა სტიქიურად დგას მატერიალიზმის პოზიციებზე.

ლენინი ამტკიცებს, რომ მახიზმი დაკავშირებულია ბუნებისმეტყველების ერთი დარგის (ფიზიკის) მხოლოდ ერთ სკოლასთან, ახალ ფიზიკოსთა უმცირესობასთან, რომელმაც ვერ გაიგო დედაარსი რევოლუციისა ბუნებისმეტყველებაში. არკვევს რა ფიზიკოსებს შორის იდეალიზმის გავრცელების მიზეზებს, ლენინი ცხადჰყოფს, რომ ფიზიკაში იდეალიზმის შეჭრის შესაძლებლობა აღვილდება, ჯერ-ერთი, თეორიული ფიზიკის მათემატიზაციით: „რეაქციონურ მისწრაფებებს თვით მეცნიერების პროგრესი იწვევს. ბუნებისმეტყველების დიდი წარმატება, დაახლოვება მატერიის ისეთ ერთგვარ და უბრალო ელემენტებთან, რომელთა მოძრაობის კანონები შესაძლებლად ხდიან მათემატიკურ დამუშავებას, იწვევს მატერიის დავიწყებას მათემატიკოსების მიერ. „მატერია ჰქრება“, რჩება მხოლოდ განტოლებანი“ (გვ. 313).

მეორე მიზეზია რელატივიზმი, მოძღვრება იმის შესახებ, რომ ადამიანის ცოდნა შედარებითია, მოძღვრება, რომელსაც დიალექტიკის გაუგებრობისას გარდუვალად მიგვეყვართ იდეალიზმამდე. ძველი თეორიების, მატერიალსა და მის კანონებზე ძველი შეხედულებების მსხვერვეა მკაფიოდ ამტკიცებს ჩვენი ცოდნის შედარებითობას. აქედან ფიზიკოსთა ნაწილმა, რომელიც არ იცნობს მატერიალისტურ დიალექტიკას, გამოიყვანა ის დასკვნა, რომ ობიექტური ქეშმარიტება საერთოდ არ არსებობს; ფიზიკოსთა ეს ნაწილი დაეშვა შეშეცნების აბსოლუტური შედარებითობის აღიარებამდე.

ლენინმა დაგვანახვა, რომ მახიზმის „ბუნებისმეტყველური“ ფესვები განუყოფელია მისი კლასობრივი ფესვებისაგან. ბუნებისმეტყველების კრიზისი არის კაპიტალიზმის კლასობრივი წინააღმდეგობებისა და მისი ლობობის ასახვა მეცნიერებაში. ფიზიკის კრიზისი მხოლოდ აადვილებს მასში რეაქციული, ბურჟუაზიული ფილოსოფიის იდეების შეჭრას. ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები უკარნახებენ მას გამოდიოდეს მატერიალიზმის წინააღმდეგ, აიძულებენ მას იცავდეს მისტიციზმსა და რელიგიას არა მარტო ფილოსოფიაში, არამედ სხვა მეცნიერებებშიც. „განათლებულ და დემოკრატიულ ევროპაში დღის წესრიგში დგას მტრობა მატერიალიზმისადმი, ცილისწამებანი მატერიალისტების წინააღმდეგ“, — წერს ლენინი (გვ. 351). მატერიალიზმის წინააღმდეგ მახიზმის ბრძოლის უკან, აღნიშნავს იგი, არ შეიძლება არ ვხედავდეთ პარტიების ბრძოლას ფილოსოფიაში, — ბრძოლას, რომელიც საბოლოო ანგარიშით გამოხატავს თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებსა და იდეოლოგიას.

ლენინი მახიზმის კრიტიკას იწყებს მისი ისტორიული ფესვები¹ გასწვრივ. ის გვიჩვენებს, რომ მახი და აგნეარუსი სრულებითაც არ არიან ორიგინალური მოაზროვნენი, რომ მათი ფილოსოფია სრულებითაც მახიზმის მახალი, არამედ მას, სულ მცირე, ორი საუკუნის ხანდაზმულობა შექმნის. მახიზმის თავისი ვითომდა „უბაღესი“ იდეები მათ ისესხეს XVIII საუკუნის სუბიექტური იდეალისტებისაგან, ინგლისელ ეპისკოპოს სოლიპსისტ ბერკლისაგან და აგნოსტიკოსების — ჰიუმისა და კანტისაგან. ბერკლის, ჰიუმისა და კანტის იდეალისტური ფილოსოფიისათვის არც ერთ მახისტს, მათ შორის „თვით“ მახსაც, არც ერთი ახალი სიტყვა არ მიუმატებიათ; ისინი მხოლოდ ცდილობდნენ ახალი ტერმინოლოგიით შეემოსათ ძველი იდეალისტური ნაგავი, თავისი დროის მოთხოვნების შესაბამისად.

ვცადოთ მოკლედ ვადმოვეყთ ლენინის კრიტიკა მახისტებისა ფილოსოფიის ძირითად საკითხებში და მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი დებულებანი, როგორც ისინი მოცემულია ლენინის მიერ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“.

ლენინმა აბსოლუტური სიზუსტით გამოარკვია, რომ მახი გამოდის ბერკლის ფილოსოფიიდან. რაშია ბერკლიანობის დედაარსი? ბერკლი კლასიკური წარმომადგენელი იყო სუბიექტური იდეალიზმისა, რომელიც ემყარება სენსუალიზმს. ბერკლი გამოდის იქიდან, რომ შემეცნებას საფუძვლად უდევს გრძნობითი აღქმა, შეგრძნება. თავისთავად ეს დებულება სწორია; მატერიალიზმი სწორედ ასევე გამოდის შეგრძნებებიდან, მაგრამ ამაზე არ ჩერდება, არამედ შეგრძნებებიდან მიდის ნივთებისაკენ, რომლებიც ჩვენი შეგრძნებების ფარგლებს გარეთ მდებარეობენ და ზემოქმედებას ახდენენ ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე. შეგრძნებათა წყაროდ მატერიალიზმი სცნობს ობიექტიურ რეალობას, მატერიალურ საგნებს. ხოლო ბერკლი შეგრძნებებს აღარ სცილდება და მხოლოდ შეგრძნებათა ფარგლებში რჩება.

იგი სწერდა: „მხედველობის შემწეობით მე ვადგენ იდეებს სინათლესა და ფერებზე, მათ სხვადასხვა საფეხურსა და სახეზე. შეხების შემწეობით მე ვითვისებ მგარსსა და რბილს, თბილსა და ცივს, მოძრაობასა და წინააღმდეგობას... ყნოსევა სურნელებას მაძლევს; გემოვნება — გემოთა შეგრძნებებს; სმენა — ხმებს... რადგან ადამიანი სხვადასხვა იდეას ერთად ამჩნევს, იგი მას ერთი სახელით აღნიშნავს და რაიმე საგნად სთვლის. მაგალითად, ვამჩნევთ, რომ შეერთებულია (to go together) განსაზღვრული ფერი, გემო, სუნი, ფორმა, კონსისტენცია, — ამას ცალკე საგნად ვსცნობთ და სიტყვა ვაშლს ვუწოდებთ; იდეათა სხვა კრებულები (collections of ideas) შუადგენს ქვას, ხეს, წიგნს და სხვა ამგვარ გრძნობად საგნებს...“¹

¹ ციტატი მოყვანილია ვ. ი. ლენინის თხ. XIII ტომიდან (ქართული 1937 წ. გამოცემა), გვ. 21. ყველა ამონაწერი ბერკლის, იუმის, მახის, აგნეარუსის, პეტკოლდისა და რუსი მახისტების ნაშრომებიდან მოყვანილია ამავე ტომის მიხედვით. შემდგომ ყველა მითითება მოცემულია ტექსტში.

ბერკლისათვის ვაშლი, ქვა, წიგნი, ყოველი შეგრძნებადი ნივთი მხოლოდ იდეათა შეერთებაა, შეგრძნებათა კომპლექსი. ამ იდეათა, ანუ როგორც ის ამბობს, „შეცნობის ობიექტთა“ გარდა სხვა არაფერი არსებობს. სუბიექტი და შეგრძნება, — ამბობს ბერკლი, — ერთი და იგივეა და ამიტომ შეიძლება აბსტრაქტირებულ იქნან ერთიმეორისაგან.

შემდგომ ანეითარებს რა თავის იდეებს, ბერკლი კიდევ უფრო გარკვევით ლაპარაკობს: „რალაც უცნაურად ადამიანთა შორის სჭარბობს ის აზრი, რომ სახლებს, მდინარეებს, ერთი სიტყვით, შეგრძნებადს ნივთებს აქვთ არსებობა, ბუნებრივი ანუ რეალური, იმისგან განსხვავებული, როგორადაც მათ გონება აღიქვამს“ (გვ. 9).

„არსებობდე, ნიშნავს იმას, რომ აღიქმებოდე“, — ასე აყალიბებს განსაკუთრებული გულახდილობით ბერკლი თავისი ფილოსოფიის დედაარსს. სუბიექტის აღქმათა გარეშე სამყარო არ არსებობს. ეს არის დამთავრებული სუბიექტიური იდეალიზმი მისი უკიდურესი ფორმით, სოლიპსიზმის ფორმით, რომელიც საესეებით უარპყოფს გარესამყაროს არსებობას და ერთადერთ რეალობად აღიარებს მხოლოდ სუბიექტს, და ისიც არა როგორც მატერიალურ არსებას, არამედ როგორც აზრს, შეგრძნებას, მათი მატერიალური მატარებლის გარეშე.

ეპისკოპოსი ბერკლი თავის ფილოსოფიას გარკვეულ ამოცანას უსახავდა — გაენადფურებიანა და მოესპო მატერიალიზმი, მატერიალიზმის ადგილზე აღემართა იდეალიზმის დროშა და ამით უზრუნველყო რელიგიის, ღვთისადმი რწმენის ბატონობა. თვითონ იგი ამის შესახებ პირდაპირ ასე სწერს:

„მატერიის ანუ სხეულებრივი სუბსტანციის მოძღვრების ნიადაგზე, — ამბობს იგი, — აშენებულ იქნა ყველა უღვთო სისტემა ათეიზმისა და რელიგიის უარყოფისა... ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა დიდი მეგობარი იყო ათეისტებისათვის მატერიალური სუბსტანცია ყოველთვის...“

რაკი მატერია განდევნილი იქნება ბუნებიდან, იგი თან წაიღებს უამრავ სკეპტიკურ და უღვთო სისტემას, უამრავ საკამათო და ბუნდოვან კითხვას, რომელიც თვალზე ბისტივით ჰქონდა გადაკრული თეოლოგებსა და ფილოსოფოსებს; მატერია იმდენ უნაყოფო შრომას აკისრებდა ადამიანთა ტოშს, რომ თუნდ ის საბუთები, რაც ჩვენ მის წინააღმდეგ წარმოვადგინეთ, საკმაოდ საფუძვლიანად არ იყოს ცნობილი (პირადად მე მათ სრულიად უეჭველად ეთელი), დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტების, მშვიდობიანობისა და სარწმუნოების მეგობრები მოისურვებენ, რომ ისინი საკმარისად იყვნენ აღიარებული“ (ჭართ. გამოც., გვ. 25).

უფრო ცხადად თქმა აღარ შეიძლება: მატერია უნდა მოისპოს, მატერიალიზმი, როგორც მოძღვრება განდევნილ უნდა იქნას, იმიტომ, რომ მას რელიგიის უარყოფისაკენ მიყვებაართო. იდეალიზმი და რელიგია ყოველთვის ღვიძლი ძმები იყვნენ.

მახისა და ავენარიუსის მეორე მასწავლებელია ჰიუმი, ისიც იდეალიზმის კლასიკური წარმომადგენელი. ჰიუმი უახლესი აგნოსტიციზმის ფუძემდებელია. თუ ბერკლი აშკარად უარპყოფს მატერიის არსებობას, ჰიუმი ამას უფრო დახ-

ვეწილად სჩადის. იგი გარესამყაროს არსებობის და მისი დედობის საკითხს გადაუტრეულად აცხადებს: „...ჩვენი გონება ვერასოდეს ვერაფერს მიიღწევს, გარდა ასახვისა ან ათვისებისა, და გრძნობები მხოლოდ არტეფიციურად შექმნილია შემწეობით ეს ასახვანი ვადიციემიან, ისე რომ მათ არაეითარავე შეესაბამება ერთობის დამყარება არ ძალუძთ გონებასა და ობიექტს შორის“ (ქართ. გამოც., გვ. 31).

მეორე ადგილას ჰიუმი ამბობს: „ჩვენი აღქმები ჩვენი ერთადერთი ობიექტებია“. ეს არის სრული უარყოფა გარესამყაროს შეცნობისა, რა არის გარესამყარო, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებებს? აგნოსტიკოსები უპასუხებენ: ჩვენ ეს არ ვიცით, ამის შესახებ ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს ვერ ვავიგებთო. თუ ბერკლიანობა, სუბიექტიური იდეალიზმი პირდაპირი და აშკარა, სავსებით გულახდილი ხუცობაა, აგნოსტიციზმი პირდაპირი და აშკარა გზაა ხუცობისაკენ.

რუსი მახისტების მასწავლებელთა შესამე ფილოსოფიური სკოლა კანტიანობაა. გერმანელ ფილოსოფოს კანტს თავის ფილოსოფიაში ჰსურდა შეერიგებინა იდეალიზმი და მატერიალიზმი. კანტი გამოდის იქიდან, რომ ჩვენს წარმოდგენებსა და აღქმებს შეესაბამება რაღაც, რაც ჩვენს გარეთ იმყოფება. ამ რაღასაც, ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებულს, კანტი უწოდებდა „ნივთს თავისთავად“.

კანტის ეს დებულება კიდევ არ ეწინააღმდეგება მატერიალიზმს. მართლაც ჩვენი ცნობიერების გარეთ მდებარეობს გარესამყარო, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. იბადება კითხვა: შეგვიძლია თუ არა ჩვენ შევიცნოთ ეს ობიექტიური სამყარო?

ამ კითხვაზე კანტი უარყოფითად უპასუხებს. „ნივთი თავისთავად“ შეუცნობადია. ამით კანტი პირდაპირ გზას უკავადვს რელიგიას, იმიტომ, რომ გარესამყაროს აცხადებს მიღმურად, ჩვენი შეცნობისათვის მიუწვდომლად.

გარესამყაროს ყოფიერების ფორმები — სივრცე და დრო. — კანტის მიხედვით მხოლოდ აღქმის ფორმებია; ისინი მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში არსებობენ, და ადამიანს შეაქვს ისინი გარესამყაროში. ასევეა გონების ეგრეთწოდებული ფორმებიც: მიზეზობრიობა და ა. შ. თუმცა კანტი მათ ბუნების კანონებს უწოდებს, მაგრამ წმინდა სუბიექტურად მიიჩნია ისინი. გონება უკარნახებს თავის კანონებს ბუნებას — ასეთია კანტის იდეალისტური დებულება. ამით კანტი ეშვება იდეალიზმის აშკარა პოზიციებზე. ბუნებრივია, რომ მისი ცდა მატერიალიზმისა და იდეალიზმის შერიგებისა, შეერთებისა მარცხით დამთავრდა.

ლენინი განსაკუთრებული გულმოდგინებით არკვევს, თუ როგორ აპარებენ მახი, აგნაროუსი, პეტკოლდი და დასავლეთის მრავალი სხვა მახისტი, როგორ აპარებენ ბოგდანოვი, ბაზაროვი, იუშკევიჩი, ჩერნოვი და სხვა რუსი მახისტები იდეალისტურ ბერკლიანურ-იუმურ-კანტიანურ შეხედულებებს, რომლებსაც მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დასაყრდენად ასაღებენ:

ბოგდანოვი, ბაზაროვი, იუშკევიჩი, ვალენტინოვი, ბერმანი, ლენაჩარსკი და სხვები გულმოდგინედ, როგორც პირველი კლასების მოწაფეები, იწერდნენ

იმას, რასაც მახი და ავენარიუსი ამბობდნენ. მაგრამ, ვინაიდან რეჟისორის მახისტები მარქსისტებს უწოდებდნენ თავს, ბუნებრივია, რომ ისინი უნებურად უხლობას გრძნობდნენ სუბიექტიური იდეალიზმის სიტყვა-სიტყვით გამოცემაში. ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ დაეფარებინათ იდეალიზმი მარქსისტული და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიით. ამით იდეალიზმი, რა თქმა უნდა, მატერიალიზმად არ იქცეოდა, არამედ ზღვებოდა მხოლოდ შენიღბული, ზოგიერთ საკითხში კი პირდაპირ არათანმიმდევრული.

მახი და ავენარიუსი, როგორც ბერკლის ერთგული მოწაფეები, თანმიმდევრულად ატარებდნენ იდეალიზმის თვალსაზრისს.

ენგელსი სწერდა, რომ ყოველი ფილოსოფიის დიდ და ძირითად საკითხს წარმოადგენს საკითხი აზროვნების დამოკიდებულებისა ყოფიერებისადმი — რა არის პირველადი: ბუნება, მატერია თუ ცნობიერება, აზროვნება? ფილოსოფოსები, რომლებიც აღიარებენ, რომ ბუნება, მატერია პირველადია, შეადგენენ მატერიალისტთა ბანაკს; ფილოსოფოსები, რომლებიც პირველადად აცხადებენ იდეას, სულს, ცნობიერებას, ხოლო ბუნებას — მეორადად, ცნობიერებისაგან წარმოებულად, შეადგენენ იდეალისტთა ბანაკს.

მახი და ავენარიუსი ამ კითხვაზე უპასუხებენ როგორც იდეალისტები. „ჩვენთვის მატერია, — ამბობს მახი, — არ არის პირველად მოცემული რამ, ასეთს პირველად მოცემულს უფრო ელემენტები წარმოადგენენ (რომელთაც განსაზღვრული აზრით შეგარძნებებს ვუწოდებთ)“ (ქართ. გამოც., გვ. 43).

ნიეტებს ანუ სხეულებს მახისტების თვალსაზრისით ობიექტიური არსებობა არა აქვთ, ისინი ჩვენი შეგარძნებების წყაროს არ წარმოადგენენ. ნიეტები და სხეულები, მახის მიხედვით, მხოლოდ „შეგარძნებათა კომპლექსებია“, ესე იგი მხოლოდ სუბიექტის შინაგანი განცდა:

„მოელს ბუნებისმეტყველებას შეუძლია მხოლოდ ასახოს და წარმოიდგინოს... იმ ელემენტების კომპლექსები, რომელთაც ჩვეულებრივ შეგარძნებებს ვუწოდებდით“ (ქართ. გამოც., გვ. 51).

ავენარიუსი აგრეთვე საეცებით გადაქრით უარპყოფს მატერიის პირველადობის საკითხის თვით დასმასაც კი. იგი სწერს, რომ „მხოლოდ შეგარძნება შეიძლება ვიწვროთ, როგორც არსებულო“ (ქართ. გამოც., გვ. 46). იგი ამტკიცებს, რომ მეს ვარეშე, ესე იგი სუბიექტის ვარეშე, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ვარესამყაროს არსებობა.

სამყაროს მატერიალურობის უარყოფაში ავენარიუსი სრულ ამსურდამდე მიდის. იგი იმასაც კი უარპყოფს, რომ ადამიანი ტვინის შემწეობით აზროვნობს, ვინაიდან თუ აღიარე, რომ ტვინი აზრის ორგანოა, მაშინ ისიც უნდა აღიარო, რომ აზრი არის ტვინის ფუნქცია, მატერიისაგან წარმოებული, როგორც უეჭველად არის ტვინი. „ჩვენი ტვინი, — ამბობს ავენარიუსი „სამყაროს ადამიანურ გაგებაში“, — არ არის აზროვნების ბინა, საჯდომი ან შემქმნელი, არ არის ინსტრუმენტი ან ორგანო, მატარებელი ან სუბსტრატი“ (ქართ. გამოც., გვ. 86).

ლენინი სამართლიანად შენიშნავს, რომ თუ ავენარიუსა თვითონ აღიარებს თავის ფილოსოფიას უტვინოდ, ამაში შედეგება ზედმეტია, ამიტომ რომ ასეთი ფილოსოფია საგეიეთში თუ შეიძლება გაჩნდესო.

მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით, რომელსაც იტყვის და ანვი-თარებს ლენინი, სამყაროს სუბსტანციას, ყოველივეს პირველსაფუძველს წარმოადგენს ბუნება, მატერია. იგი პირველადია, ოდითვე არსებობს და ყოველივეს წინ უძღვის. სამყაროში ყველაფერი გამოვლინებაა ბუნებისა მის განვითარებაში. სული, ცნობიერება მხოლოდ მატერიის განვითარების პროდუქტია. მატერია პირველადია, სული — მეორადი, მატერიისაგან წარმოებული.

ბუნება თავის მრავალსახეობაში სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება: ბუნება გამოდის როგორც არაორგანიული მატერია, როგორც ორგანიული ცხოვერება, იგი გამოდის როგორც საზოგადოებრივი მატერიალური ყოფიერება საზოგადოების ეკონომიურ წყობილებაში; შემდეგ, ბუნება გამოვლინდება როგორც ადამიანთა სულიერი ცხოვერება. ბუნებას თავის განვითარებაში ორი მხარე აქვს: მატერიალური და სულიერი. მარქსი და ლენინი ილაშქრებენ იმ ვულგარული მტკიცების წინააღმდეგ, თითქოს სულიერი მატერიალურის უბრალო, მექანიკური შედეგია; მატერიალური სულიერის საფუძველია, მაგრამ სულიერი ბუნების ატრიბუტია, ესე იგი თვისება, რომელიც განსაზღვრულ პირობებში გარდღვევლად წარმოიშვება მისგან.

„მატერია ყველა თავის გარდაქცევაში, — სწერს ენგელსი, — მარად ერთი და იგივე რჩება... არცერთი მისი ატრიბუტი არ შეიძლება დაიღუბოს... ამიტომ იმავე რკინისებური აუცილებლობით, როგორითაც ის ოდესღაც გაანადგურებს დედამიწაზე თავის უმაღლეს ყვაილს, მოაზროვნე სულს, — მან კვლავ უნდა წარმოშვას იგი სადმე სხვა ადგილას და სხვა დროს“.¹

ლენინი „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ სწერს: „მატერიის და შეგნების წინააღმდეგობას აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მეტად შეზღუდულ ფარგლებში; ამ შემთხვევაში — მხოლოდ ძირითადი გნოსეოლოგიური კითხვის ფარგლებში, რა ესცნოთ პირველად და რა მეორადად. ამ საზღვრებს იქით ამ დაპირისპირების რელატიურობა უცილობელია“ (ქართ. გამოც., გვ. 149).

1906 წელს ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ ამხანაგმა სტალინმა მოგვცა გენიალური ახსნა საკითხისა მატერიის და ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ:

„ზოგნი ამბობენ, რომ ბუნებასა და მის განვითარებას წინ უსწრებდა მსოფლიო იდეა, რომელიც შემდეგ საფუძველად დაედო ამ განვითარებას, ასე რომ ბუნების მოვლენათა მიმდინარეობა ცარიელი ფორმა ყოფილა იდეის განვითარებისა. ამათ იდეალისტებს ეძახდნენ, რომლებიც შემდეგ რამდენიმე მიმართულებად გაიყვნენ. ზოგნი კიდევ ამბობენ, რომ ქვეყანაზე თაობითვე არსებობს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალა — იდეა და მატერია, რომ თანახმად ამისა, მოვლენები ორ წყებად იყოფა — იდეალურად და მატერია-

¹) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XIV, გვ. 100

ლურად, რომელთა შორისაც მუდმივი ბრძოლა გამართულია ასე, რომ ბუნების მოვლენათა განვითარება — ეს მუდმივი ბრძოლა ყოფილა იდეალურ და მატერიალურ მოვლენათა შორის. ამათ დუალისტებს ეძახიან, რომლებიც იდეალისტებივით სხვა-და-სხვა მიმართულებად იყოფიან. მარქსის მატერიალური თეორია ძირიანად უარყოფს როგორც დუალიზმს, ისე იდეალიზმს. თქმა არ უნდა, რომ ქვეყანაზე ნამდვილად არსებობს იდეალური და მატერიალური მოვლენები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ ისინი უარყოფენ ერთმანეთს. პირიქით — იდეალური და მატერიალური მოვლენები ორი სხვა-და-სხვანაირი ფორმაა ერთი და იგივე მოვლენის, ისინი ერთად არსებობენ და ერთად ვითარდებიან, მათ შორის მჭიდრო კავშირია გამართული. მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ერთმანეთს უარყოფენ. ამგვარად, ევრეთწოდებული დუალიზმი ძირიანად ირღვევა. ერთი და განუყოფელი ბუნება, ორ სხვა-და-სხვანაირ ფორმაში გამოხატული, იდეალურში და მატერიალურში, — აი, როგორ უნდა ვუყურებდეთ ბუნების განვითარებას. ერთი და განუყოფელი ცხოვრება ორ სხვა-და-სხვანაირ ფორმაში გამოთქმული, იდეალურში და მატერიალურში, — აი როგორ უნდა ვუყურებდეთ ცხოვრების განვითარებას.

ასეთია მონიზმი მარქსის მატერიალური თეორიისა.

ამავე დროს მარქსი უარყოფს იდეალიზმსაც. მართალი არ არის ის აზრი, რომ ვითომ იდეა და საერთოდ სულიერი მხარე თავის განვითარებაში წინ უსწრებს ბუნებას და საერთოდ მატერიალურ მხარეს...

გამოდის, რომ თითონ სულიერი მხარის განვითარებისათვის საჭირო ყოფილა ორგანიზმის ასეთი თუ ისეთი აგებულება და მისი ნერვების სისტემის განვითარება. გამოდის, რომ სულიერი მხარის განვითარებას, იდეის განვითარებას წინ უსწრებს მატერიალური მხარის მდგომარეობა (MATTER) განვითარება. ცხადია, ჯერ ვარეშე პირობები იცვლება, ჯერ მატერია იცვლება და შემდეგ შესაფერისად იცვლება შეგნება და სხვა სულიერი მხარე — მატერიალური პირობების განვითარებას უკანა რჩება იდეალური მხარის განვითარება“.²

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებული ძალით ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ცნობიერება, სულიერი ცხოვრება მექანიკურად გამოჰყავდეთ მატერიალურიდან. იგი ამბობს, რომ თვით მატერიალური მხარე გამოვლინებაა უფრო ზოგადისა — მთლიანად ბუნებისა. ეს ოდნავაც არ ნიშნავს, რომ მატერიალური პირველადი არ არის.

სტალინი, ისევე როგორც ლენინი, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სულიერისა და მატერიალურის დაპირდაპირება ამსოლუტურია მხოლოდ გნოსეოლოგიური აზრით, ესე იგი რა არის პირველადი და რა — მეორადი. ამ ფარგლებს გარეთ ამ დაპირდაპირების შედარებითობა უეჭველია.

² სტალინი მოყვანილია ლ. ბერიას წიგნის მიხედვით „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1937. ქართ. 1938 წ. გამოც. გვ. 113—114.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ შეგრძნება არის მატერიის ატრიბუტი, შინაგანად მისთვის დამახასიათებელი თვისება. ეს უნდა გვესმოდეს არა იმ გულუბრყვილო-გილონთაქტურ-ფორმით, თითქოს მთელ ბუნებას, მასში არაორგანიულ მატერიასაც, შეესწავლა მატერიალისტების და გრძნობის უნარი („ქვევც აზროვნობს“, როგორც ფრანგი მატერიალისტები ამბობდნენ), თითქოს ადამიანის აზროვნების უნარსა და უკუფენის უნარს შორის, რაც მატერიას ახასიათებს, მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავებაა და არა თვისობრივი. ეს უნდა გვესმოდეს ისე, როგორც მიუთითებს ენგელსი: რომ ბუნება თავის განვითარებაში ყველგან და ყოველთვის, განსაზღვრული პირობების არსებობისას, რკინისებური აუცილებლობით წარმოშობს და მომავალშია ც წარმოშობს შეგრძნებას, ცნობიერებას, მოაზროვნე და მგრძნობიარე არსებებს. მატერიის თვით „საძირკველში“, როგორც ლენინი ამბობს, ესე იგი მისი განვითარების ყველა საფეხურზე, მას ახასიათებს, რა თქმა უნდა, უალრესად სხვადასხვა ფორმებში, სხვადასხვა ხარისხით, უკუფენის უნარი. უკუფენის პირველადი, ჩანასახი უნარიდან, რომელიც ბუნების დაბალ საფეხურებს ახასიათებს, ბუნების ისტორიული განვითარების მიხედვით ცხოველებში ცენტრალური ნერვული სისტემის გაჩენისას, წარმოიშევა შეგრძნების უნარი, ხოლო შემდეგ ტენის გაჩენისას, რომელიც ადამიანებში სრული ზომით ვითარდება მათი შრომითი საქმიანობის პროცესში, — აზროვნების უნარიც, ცნობიერება. ლენინი ამის შესახებ სწერს: „... ლოგიკური ყოფილა იმის თქმა, რომ მატერიას აქვს თვისება, რომელიც არსებითად ენათესავება შეგრძნებას, ანარეკლის თვისებასა“ (ქართ. გამოც., გვ. 92).

ამასთან ლენინი მკვეთრად, ხაზგასმით აღნიშნავს უკუფენის ფორმების პრინციპულ, თვისობრივ განსხვავებას მატერიის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე. იგი სწერს, რომ დიალექტიკური და ნაბტომისებურია გადასვლა მკვედარი მატერიიდანაც ცოცხალზე, შემდეგ კი მგრძნობიარეზეც და შეგრძნებიდან, რომელიც ცხოველებსაც მოეპოვებათ, აზროვნებაზე, რომელიც გაშლილი ფორმით მხოლოდ ადამიანებს ახასიათებს და რომელიც მხოლოდ საზოგადოებაში ვითარდება ადამიანთა საწარმოო საქმიანობის საფუძველზე.

ლენინი სწერს:

„მატერიალიზმი სრულიად ეთანხმება ბუნებისმეტყველებას და პირველ მოცემულად მატერიას სთვლის, ხოლო მეორადია შეგნება, აზროვნება. შეგრძნება, მატრი რომ ნათლად გამოხატული შეგრძნება მხოლოდ მატერიის უმაღლეს ფორმებთან (ორგანიულ მატერიასთან) არის შეკავშირებული, ხოლო „თვით მატერიის შენობის საძირკველში“ შეიძლება მხოლოდ ვიგულისხმოთ უნარის არსებობა, რომელიც ჰგავს შეგრძნებას“ (ქართ. გამოც., გვ. 43).

ყოველი ბუნებისმეტყველი, ვინც კი მოწამლული არ არის იდეალისტური და მეტაფიზიკური ცრურწმენებით, ლენინის ამ დებულებებში იპოვის თავისთვის პრინციპულ ხელმძღვანელ იდეას, რომელიც იძლევა შესაძლებლობას არაჩვეულებრივად გაბედულად დაისვას სულ ახალი და ახალი საკითხები ამ

სფეროში, მიღებულ იქნას ამ საკითხის სულ ახალი და ახალი გადაწყვეტა, და გამდიდრებულ იქნას მეცნიერება ახალი აღმოჩენებით.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, გვასწავლის ლენინი, რომ მთელ მატერიას აქვს უნარი, არსებითად შეგრძნების მონათესავე, — უფრო მეტი უნარი. საკითხის ასეთი დასმა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი საკითხის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

ბუნებისმეტყველებამ თავის შემდგომ განვითარებაში სულ უფრო უნდა გახსნას კონკრეტული ფიზიკური და ფიზიოლოგიური საფუძველი შეგრძნების ამ უნარისა, რომელიც მატერიის შენობის თვით საძირკველშია.

ასე სვამდა რა საკითხს, ლენინი გამოდიოდა თავისი თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარების დონიდან, იმოწმებდა რა ამასთან ისეთ დიდ მეცნიერებს, როგორცაა გერმანელი ბუნებისმეტყველი ერნსტ ჰეკელი, ინგლისელი ბიოლოგი ლოიდ მორგანი და სხვები.

ლენინი სწერს: „მატერიალიზმი ნათლად სვამს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხს და აზროვნებას უბიძგებს მისი გადაწყვეტისაკენ, უბიძგებს შემდგომი ექსპერიმენტული კვლევა-ძიებისაკენ“ (ქართ. გამოც., გვ. 44).

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი სასიკვდილო ლახვარს სცემს ყველა სახის იდეალიზმს. არსებობს ერთიანი ბუნება, ერთიანი მატერიალური გარეგანი სამყარო, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი. ადამიანი თვითონ ამ გარეგანი სამყაროს მხოლოდ ნაწილია. გარეგანი სამყარო, ანუ, როგორც მას კანტი უწოდებდა, საგანი თავისთავად, — სხვა არაფერია, თუ არა ბუნება, რომელსაც ადამიანი სულ უფრო და უფრო შეიცნობს. არავითარი გაუვალელი უფსკრული გარეგან სამყაროსა, „საგანსა თავისთავად“ და ადამიანის შემეცნებას შორის არ არსებობს. სამყარო ერთიანია, და ეს ერთიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს.

ბუნება, მატერია, მარადიული და განუწყვეტელი მოძრაობის პროცესშია. მოძრაობა მატერიის ატრიბუტია, მისი არსებობის ფორმაა. ენგელსი სწერდა: „მოძრაობა მატერიის ყოფიერების ფორმაა. მატერია უმოძრაოდ არსად და არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. მოძრაობა სამყაროს სივრცეში, უფრო პატარა მასების შექანიკური მოძრაობა ცალკეულ ციურ სხეულებზე, მოლეკულების რხევა სითბოს სახით ან ელექტრონული თუ მაგნეტური დენის სახით, ქიმიური დაშლა და შეერთება, ორგანული სიცოცხლე, — სამყაროს ნივთიერების ყოველი ცალკეული ატომი ყოველ მოცემულ მომენტში მუდამ იმყოფება მოძრაობის ან ერთ ან მეორე ფორმაში ან რამდენიმეში ერთბაშად... მატერია უმოძრაოდ ისევე წარმოუღვანელებია, როგორც მოძრაობა უმატერიოდ. ამიტომ სწორედ ისევე შეუძლებელია მოძრაობის შექმნა და მოსაზება, როგორც თვითონ მატერიისა...“¹

მატერია მარადიულია დროში და უსასრულოა სივრცეში. ადამიანთა ცნობიერება მარად მოძრავი და განუწყვეტლივ ცვალებადი სამყაროს, ბუნების

¹ ე. ენგელსი — „ანტი-დიურინგი“, გვ. 49 — 50. პოლიტიკატორის საბ. ვა-
შ-მცემლობა, 1938 წ.

ასახულებათა. ისტორიული განვითარების მსვლელობაში კაცობრიობა უფრო-
დაუფრო სრულად შეიცნობს ბუნების კანონებს, მისი მოძრაობისა და ცვალებადობის კანონებს.

„მატერია, — სწერს ლენინი, — არის ფილოსოფიური კატეგორიული კუთვნი-
ექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს მის
შეგრძნებაში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას, ანარეკლს ჩვენი შეგრძნება წარ-
მოადგენს და რომელიც შეგრძნების დამოუკიდებლად არსებობს“ (ქართ. გამოც.,
გვ. 131).

ასე სწვევტს მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი ბუნების, მა-
ტერიის პირველადობის საკითხს და ცნობიერების, აზროვნების, შეგრძნების
მეორადობის საკითხს.

საკითხის ეს გადაწყვეტა სავსებით შეესაბამება მეცნიერებას, და ბუნების-
მეტყველების განვითარება მუდამ სულ უფროდაუფრო ადასტურებს მარქსის-
ტულ-ლენინური ფილოსოფიის სიმართლეს. გაბრწილი ინტელიგენტები კი,
ბურჟუაზიული დეკადენტობის მეზობენი, რომელნიც მისტიკაში გადაეშენენ,
რომელთაც ქრისტე იწამეს, ცდილობდნენ შეეცვალათ ეს მეცნიერება მისტი-
კით, ზღაპრებით, სუბიექტური იდეალიზმით, მთლად რეაქციული, მახისტუ-
რი სულელური ფილოსოფიით.

მახისტები, რომელნიც სუბიექტურ იდეალიზმს ქადაგებდნენ და თავიანთ
თავს თანამედროვე ბუნებისმეტყველების წარმომადგენლებად ასალებდნენ, ყო-
ველ ნაბიჯზე ვარდებოდნენ გადაუწყვეტელ წინააღმდეგობებში.

მახი და აგენარიუსი, ბოგდანოვი და ბაზაროვი მუდამ ცდილობდნენ თავი
დაეძვრინათ ამ წინააღმდეგობებისათვის. მათს ფილოსოფიურ სიტყვებში იპო-
ვით მრავალ სხვადასხვანაირ გადახვევას იდეალიზმისაგან, თუ უმწუო ცდებს—
შეუმჩნეველად გადავიდნენ მატერიალიზმის მხარეზე ამა თუ იმ საკითხში, სა-
დაც ამსურდი ძალიან გხვდებათ თვალში. მაგრამ ეს ოდნეადაც არ შეელოდა
მათ, არამედ მხოლოდ კიდევ უფრო ნათლად ხაზს უსვამდა მათი ფილოსო-
ფიური პოზიციების მთელ უსუსურობას.

ემპირიოკრიტიკოსები ცდილობდნენ შეენიღბათ სუბიექტური მატერია-
ლიზმი ყოველგვარი „მარქსისტული“ სიტყვებით. ასე, მაგალითად, ბოგდანოვი
ცნება „მატერიას“ სცვლის ცნებით „გამოცდილება“, ხოლო, რათა კიდევ
უფრო დამაჯერებელი იყოს, რომ ის მარქსისტია, ლაპარაკობს „დიალექტი-
კურ გამოცდილებაზე“. გარეგანი სამყარო ადამიანს არა ინდივიდუალურ, არა-
მედ კოლექტიურ გამოცდილებაში აქვს მოცემულიო. ხოლო თუ დავაკვირდე-
ბით, აღმოჩნდება, რომ ეს „კოლექტიური გამოცდილება“ სხვა არაფერია, თუ
არა მახისტური „შეგრძნებათა კომპლექსი“. ბოგდანოვის მიხედვით, ყოფიერება
მხოლოდ აღქმაში არსებობს: გამოცდილების გარეშე, შეგრძნებათა გარეშე
არავითარი სამყარო არ არსებობს. მაგრამ ბოგდანოვი იძულებული იყო აღეა-
რებინა, რომ „ფსიქიური გამოცდილების ელემენტები იგივეა, რაც საერთოდ
ყოველი გამოცდილების ელემენტები“.

ლენინმა ამხილა და სასაცილოდ აიღო ბოგდანოვის ცდა — მარქსიზმად
ვაესაღებინა „გამოცდილების კოლექტიურობა“, როგორც ობიექტურობის კრი-

ტერიუმში) „იმის ფიქრი, რომ ფილოსოფიური იდეალიზმი გააქვრება, თუ ინდივიდის შეგნება კაცობრიობის შეგნებით შეეცვალეთ, ან ერთი პირის გამოცდილება სოციალურად ორგანიზაციამნილი გამოცდილებითაა, ეს ნიშნავს, რომ კაცმა წარმოიდგინოს, კაპიტალიზმი გააქვრება, თუ კომუნისტურ სააქციონერო კომპანიით შეეცვალოთ“ (ქართ. გამოც., გვ. 235).

ბაზროვი „აღრმავებს“ ბოგდანოვს და სწერს, რომ სამყაროს ყოფიერება ჩვენს შეგრძნებათა გარეშე ღია საკითხს წარმოადგენს, რომ სწორედ გრძნობადი წარმოდგენა არის ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილე.

ასე მივიდნენ რუსეთის მახისტები თავიანთ დასავლეთ-ევროპულ თანამომგებთან ერთად სუბიექტურ იდეალიზმამდე, ფაქტურად სრულ სოლოპისმამდე. ვახილართნენ რა აშკარად აბსურდულ წინააღმდეგობებში, მახისტები, რათა ამ წინააღმდეგობებს თავი დააღწიონ, ყოველგვარ სისულელეს იგონებენ. თუ, როგორც სწერენ მახი და ავენარიუსი, მხოლოდ შეგრძნება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც არსებული, ესე იგი თუ სუბიექტური აღქმის გარეშე ობიექტური რეალობა არ არის, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ის უდავო ფაქტი, მეცნიერებით დადგენილი, რომ დედამიწა ადამიანის გარეშე დიდხნით უფრო ადრე არსებობდა? ვის აღქმაში შეიძლებოდა მაშინ არსებულიყო დედამიწა? ან როგორ უნდა ავხსნათ ისეთი უდავო ფაქტი, რომ ადამიანი ჯერ კიდევ არ იცნობს ყოველივე იმას, რაც დედამიწაზე და საერთოდ გარეგან სამყაროში არსებობს? თუ არა ყოველივე არსებულს გაუფლია ადამიანის შეგრძნებაში, მაშინ, მახიზმის თვალსაზრისით, იგი ხომ არ არსებობს? თავიანთი სოლოპისმის შესანიღბავად მახისტები ამტკიცებენ არა მარტო იმას, რომ არ არსებობს ბუნება, გარემო, მე-ს გარეშე, შემგრძნები სუბიექტის გარეშე, არამედ, პირიქითაც, რომ არ არსებობს სუბიექტი მისი მომცველი გარემოს გარეშე.

ავენარიუსი იგონებს ყოველად უაზრო „თეორიას“, ეგრეთწოდებულ „პრინციპული კოორდინაციის თეორიას“, რომელშიაც მე, ესე იგი სუბიექტი, იწოდება კოორდინაციის ცენტრალურ წევრად, გარემო კი — მოპირდაპირე წევრად.

ჩვენს მე-სა და გარემოს, — სწერს ავენარიუსი, — მუდამ ერთად ვპოულობთ. არავითარს სრულს აღწერას მოცემულისა ან ჩვენ მიერ ნახულისა არ შეუძლია შეიკვას „გარემო“ ერთგვარი მე-ს გარეშე, რომლის გარემოსაც ეს გარემო წარმოადგენს, იმ მე-ს გარეშე მაინც, რომელიც აღწერს ამ მონახულს“ (ქართ. გამოც., გვ. 65 — 66).

მაგრამ რა ვუყოთ იმ დროს, როცა გარემო იყო, ხოლო არავითარი მე, არავითარი „ცენტრალური წევრი კოორდინაციისა“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო? ავენარიუსი ისევ ცდილობს თავი დაიძვრინოს და აცხადებს, რომ „მე — კოორდინაციის ცენტრალური წევრი არ ყოფილა, იგი უნდა „ვიგულისხმოთ“. ასეთ მიგონებულ სუბიექტს ავენარიუსი უწოდებს „კოორდინაციის პოტენციალურ ცენტრალურ წევრს“.

ლენინი სასაცილოდ იღებს ამგვარ, უკაცრავად ნუ ვიქნები, ფილოსოფიას. „ამ თეორიის სოფისტიკა, — სწერს ლენინი, — იმდენად თვალსაჩინოა, რომ უხერხულიცაა მისი გარჩევა. თუ ჩვენ ჩვენი თავი მივიაზრეთ, ჩვენი იქ ყოფნა

წარმოუდგენელი იქნება, ხოლო დედამიწის არსებობა რამდენიმე ფაქტიურად ადამიანს არ შეუძლია, მაგალითად, გავარჯერებული დედამიწის მსაყურებელი ყოფილიყო, ხოლო მისი იქ ყოფნის „გააზრება“ — მხოლოდ კურანტიზმია, როგორც ჯოჯოხეთის არსებობის დაცვა შემდეგის საბუთით: მე რომ ჩემი „მიმეაზრებია“, როგორც მსაყურებელი, შემძლო ჯოჯოხეთზე დაკვირვებანი მომეხდინაო“ (ქართ. გამოც., გვ. 76).

სწორედ ასევე ავენარიუსი აცხადებს, რომ მე გავებულ უნდა იქნას სიტყვის ფართო მნიშვნელობით, როგორც ცნობიერება არა მარტო ადამიანისა, არამედ საერთოდ ყოველი ცოცხალი არსებისაც — ადამიანისა თუ პირველყოფილი უჩრხულებისა: ინტიოზავრებისა და ბრონტოზავრებისა. მაშასადამე, როდესაც ადამიანი არ იყო, სამყარო არსებობდა ნამარხების, ჭიებისა და ჯოჯოხების აღქმასა და ცნობიერებაში.

აი რა უკიდურეს სისულელეებზე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სურვილი — რაც უნდა დაჯდეს, უკუაგდოს მატერიალიზმი. მაგრამ ეს უაზრობაც ვერ შევლის მახისტებს, ვინაიდან დედამიწა ობიექტურად არსებობდა ყოველი ცოცხალი არსების წარმოშობამდე დიდიხნით ადრე.

რუსი მახისტები — ბოგდანოევი, ბაზაროევი — ცდილობდნენ თავიანთ ყაიდაზე გამოეყენებინათ უაზრო თეორია „პრინციპული კოორდინაციისა“, უწოდეს რა მას „საყოველთაო საყრდნობის თეორია“.

როგორადაც არ უნდა ინიღბებოდნენ, როგორადაც არ უნდა იძვრენდნენ თავს მახისტები, ლენინმა ამხილა და მთელი უბადრუკობითა და საზიზღარო სიშიშვლით დაგვანახვა ემპირიოკრიტიციზმი, ემპირიომონიზმი, ემპირიოსიმბოლიზმი და სხვა.

„ყველამ ვიცით, — სწერს ლენინი, — რა არის ადამიანური შეგრძნება, მაგრამ უადამიანოდ ან ადამიანამდე არსებული შეგრძნება უაზროდ შეკვლარი აბსტრაქცია, იდეალისტური აბსურდია“ (ქართ. გამოც., გვ. 232).



მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი თავისი მოძღვრების გამოსავალ პუნქტად აღარებს იმას, რომ ჩვენი ცნობიერების გარეშე, მის დამოუკიდებლად, არსებობს ობიექტური მატერიალური სამყარო, ესე იგი ბუნება; ადამიანის ცნობიერება კი მხოლოდ ასახავს ამ გარეგან სამყაროს. აკრიტიკებს რა ბოგდანოეს, ლენინი აღნიშნავს, რომ სამყაროს სურათი, რომელიც ნამდვილად შეესაბამება ბუნებისმეტყველებას და მატერიალიზმს, ასეთია: 1) ფიზიკური სამყარო არსებობს ადამიანთა გამოცდილების დამოუკიდებლად; 2) ფსიქიური, ცნობიერება არის ფიზიკური მატერიის უმალღესი პროდუქტი, მატერიის განსაკუთრებით რთული ნაწილაკის — ადამიანის ტვინის ფუნქცია. ასე სწვევტს დიალექტიკური მატერიალიზმი ფილოსოფიის ძირითად საკითხს — აზროვნებასთან ყოფიერების დამოკიდებულების საკითხს.

ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: რამდენად გვაძლევს ჩვენი შემეცნება გარეგანი სამყაროს უტყუარ სურათს; წარმოადგენენ თუ არა ჩვენი ცნობიერე-

ბით მოპოვებული ქეშმარიტებანი ობიექტურ ქეშმარიტებებს, არსებობს თუ არა აბსოლუტური ქეშმარიტება?

მოდლერება ობიექტური და შედარებითი ქეშმარიტების შესახებ შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთერთ უმნიშვნელოდღვეს შემენტს წარმოადგენს. მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებს ობიექტურ ქეშმარიტებას, ესე იგი შემეცნების ისეთ ობიექტურ შინაარსს, რომელიც წარმოადგენს რა ობიექტური სამყაროს ასახულებას, არ არის დამოკიდებული არც შემეცნობი ადამიანისაგან, არც მთელი კაცობრიობისაგან. ობიექტური ქეშმარიტების არსებობა დაპირობებულია იმით, რომ სამყარო ობიექტურად არსებობს. რეალურად არსებული სინამდვილის შემეცნება — აი სწორედ ეს არის ობიექტური ქეშმარიტების შემეცნება. ობიექტური ქეშმარიტების აღიარება, როგორც აღნიშნავს ლენინი, დაკავშირებულია აბსოლუტური ქეშმარიტების აღიარებასთან. ადამიანს უნარი შესწევს შეიცნოს სამყარო და კიდევაც შეიცნოს მას. საზღვრები, ჩარჩოები, რომლებიც შეზღუდავენ მისი შემეცნების შესაძლებლობას, წინააღმდეგ ავონისტიკოსების მტკიცებისა, არ არსებობს. ამას ადასტურებს მთელი ერთობლიობა ადამიანთა პრაქტიკისა, რომლითაც მოწმდება ადამიანის შემეცნების ნამდვილობა. სამყარო უსასრულოა და ამოუწურავი, იგი განუწყვეტელი განვითარებისა და ცვალებადობის მდგომარეობაშია, ამიტომ ყოველ მოცემულ მომენტში შემეცნება შეზღუდულია ისტორიული შესაძლებლობით, საწარმოო ძალებისა და მეცნიერების დონით. შემეცნების ისტორიული განვითარება არის ობიექტური სამყაროს შემეცნების სულ უფროდაუფრო ზრდადი პროცესი. და სწორედ ეს არის აბსოლუტური ქეშმარიტების შემეცნება. ჩვენ სულ უფროდაუფრო ვუახლოვდებით აბსოლუტური ქეშმარიტების შემეცნებას, მაგრამ, რადგან სამყაროს განვითარება უსასრულოა, აბსოლუტური ქეშმარიტების შემეცნების პროცესიც უსასრულოა.

აბსოლუტური ქეშმარიტება შესდგება კონკრეტულ, შედარებითს ქეშმარიტებათაგან, ყოველი კონკრეტული მეცნიერული ქეშმარიტება შეიცავს აბსოლუტური ქეშმარიტების ნაწილობრივს შემეცნებას. აბსოლუტური ქეშმარიტება ადამიანს ერთბაშად, მთლად კი არ ეძლევა, არამედ მოქცეულია შემეცნების ისტორიულ პროცესში. თვითველ მოცემულ ისტორიულ მომენტში ჩვენი შემეცნება შედარებითია, სამყაროს კანონების ქეშმარიტი შემეცნება ქეშმარიტებათა — აბსოლუტურ და კონკრეტულ (შედარებითს) ქეშმარიტებათა ერთიანობაში მდგომარეობს.

ენგელსი სწერს: „კაცობრიობა რომ ოდესმე იქამდე მისულიყო, რომ საქმე ჰქონოდა მხოლოდ მარადიულ ქეშმარიტებებთან, აზროვნების მხოლოდ ისეთ შედეგებთან, რომელთაც სუვერენული მნიშვნელობა და ქეშმარიტების აბსოლუტური პრეტენზია აქვთ, მაშინ იგი ისეთ პუნქტს მიაღწევდა, სადაც ინტელექტუალური სამყაროს უსასრულობა რეალურადაც და პოტენციალურადაც ამოწურული აღმოჩნდებოდა, და, ამრიგად, მოხდებოდა დათვლილი ურიცხვის ყბადაღებული სასწაული“.¹

ლენინი ანვითარებს ენგელსის ამ აზრს:

¹ ე. ენგელსი, „ანტი-დიურიზმი“, გვ. 72

„მატერიალისტობა ნიშნავს იმ ობიექტური ქეშმარიტების აღზარებას, რომელსაც გრძნობის ორგანოები გვიმხელენ. ვინც ობიექტურ, ე. ი. ადამიანისა და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელ ქეშმარიტებას, ^{ქეშმარიტებას} იგი ასე თუ ისე სცნობს აბსოლუტურ ქეშმარიტებასაც. აი ეს „ასე [так] ჩვენ შეგვს მატერიალისტ მეტაფიზიკოსს დიურინგს მატერიალისტ დიალექტიკოს ენგელსისაგან... ადამიანის აზროვნებას, თავისი ბუნებით, შეუძლია მოგვეცეს და კიდევ გვაძლევს აბსოლუტურ ქეშმარიტებას, რომელიც სდგება შედარებითი ქეშმარიტებების ჯამისაგან. ყოველი საფეხური მეცნიერების განვითარებაში ახალ ნაწილს უმატებს აბსოლუტური ქეშმარიტების ამ ჯამს, მაგრამ ყოველი მეცნიერული დებულების ქეშმარიტების ფარგლები შედარებითია, ხან ფართოვდება, ხან ვიწროვდება მეცნიერების შემდგომი განვითარების წყალობით“ (ქართ. გამოც., გვ. 134, 137).

კანტიანობისა და ჰიუმანიზმის საპირდაპიროდ, რომელნიც უარყოფენ გარეგანი სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას, სუბიექტური იდეალიზმის საპირდაპიროდ, რომელიც ჰფიქრობს, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი შეგრძნობანი შეგვიძლია შევიცნოთ, დიალექტიკური მატერიალიზმი, მეცნიერებასა და კაცობრიობის პრაქტიკასთან სრული შეფარდებით, სამყაროს შეცნობის უსაზღვრო შესაძლებლობებს გვიშლის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერება, როცა იგი დიალექტიკას ჯერ კიდევ არ იცნობდა, არსებითად, ხელმძღვანელობდა გარეგანი სამყაროს შეცნობის შესაძლებლობის აღიარებით; წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი მეცნიერება, არავითარ შემეცნება არ იქნებოდა შესაძლებელი. ახლა მარქსიზმ-ლენინიზმის წყალობით ყოველ მეცნიერს, ყოველ ბუნებისმეტყველს შეუძლია იცოდეს, შეუძლია საესებით დარწმუნებული იყოს — ვინაიდან ამას ადასტურებს გამოცდილებით შემოწმებული მარქსისტული დიალექტიკა, — რომ მეცნიერებას ძალუძს უსასრულოდ შეიციონოს ბუნების კანონები, ძალუძს უსაზღვროდ გააფართოოს თავისი ჰორიზონტები.

გამოდის რა აგნოსტიკოსებისა და სკეპტიკოსების წინააღმდეგ, ლენინი სწერს:

„საგნები არსებობენ ჩვენი შეგნების, ჩვენი შეგრძნების დამოუკიდებლად. ჩვენს გარეშე. მიტომ, რომ, უეჭველია, ალიზარინი გუშინ ქვანახშირის კუპრში არსებობდა, უეჭველია ისიც, რომ გუშინ არაფერი ვიცოდით მისი არსებობის შესახებ, არავითარი შეგრძნებანი ამ ალიზარინისაგან არ მიგვილია.

...სრულიად არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს საგანსა თავისთავად და მოვლენას შორის. განსხვავება არის იმას შორის, რაც შეცნობილია, და იმასა, რაც ჯერ კიდევ შეცნობილი არ არის; ფილოსოფიური მოსაზრებანი განსაკუთრებული მიჯნების შესახებ მათ შორის, იმის თქმა, რომ საგანი თავისთავად მოვლენების „გაღმა“ იმყოფებაო (კანტი), რომ საჭიროც არის და შესაძლებელიც რაღაც ფილოსოფიური სატიხრით გამოვეყოთ ნაწილობრივად შეუცნობელს, მაგრამ ჩვენს გარეშე არსებულს ქვეყნიერებას (ჰიუმი), — ყოველივე ეს უაზრობაა... აბრუნდი, უკუღმართობაა.

... შემეცნების თეორიაში, ისევე, როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, დიალექტიკურად უნდა ვიმსჯელოთ, ე. ი. ჩვენი შემეცნება მზამზარეულად და უცვლელად როდი უნდა ვივულისებოთ, არამედ უნდა გავარკვევოთ როგორ იბადება უმეცრებისაგან ცოდნა, როგორ ხდება სასწრაფო და სიზუსტეს მოკლებული ცოდნა უფრო სრული და უფრო ზუსტი“ (ქართ. გამოც., გვ. 102 — 103).

ჩვენი შემეცნება მზამზარეულად და უცვლელად როდი უნდა ვივულისებოთ, არამედ უნდა გავარკვეოთ, როგორ ჩნდება უმეცრებისაგან ცოდნა, როგორ ხდება არასრული, არაზუსტი ცოდნა უფრო სრული და უფრო ზუსტი“ (გვ. 64).

აგნოსტიციზმი ამტკიცებს, თითქოს არ შეგვეძლოს იმის ცოდნა, რაც ჩვენი აღქმის მიღმა იმყოფება. ჩვენი შემეცნება, აგნოსტიკოსთა აზრით, სუბიექტური, შედარებითი, რელატიურია. შემეცნების პროცესი მხოლოდ უსასრულო ცვალებადობაა ერთი წარმოდგენებისა სხვებით, და არც ერთი ეს ცოდნა არ არის უტყუარი და მარადიული, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ რა არის ჩვენი აღქმის მიღმა. — ასეთი თვალსაზრისი ბუნების კანონთა შეცნობაზე უარისთქმავა. მას მოსდევს აბსოლუტური სკეპტიციზმი, სოფისტიკა.

რელატივიზმს მოსდევს რაიმე ობიექტური, კაცობრიობის დამოუკიდებლად არსებული კეშმარიტების უარყოფა, მაშასადამე, გარეგანი სამყაროს უარყოფაც.

შესანიშნავად მკაფიოდ და მახვილგონიერად დასცინა აგნოსტიკოსებს, გვიჩვენა რა მათი მსჯელობის მთელი უაზრობა, დიდმა რუსმა მატერიალისტმა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ. სტატიაში „ადამიანის ცოდნის ხასიათი“ ის გვაძლევს ისეთი „სწავლული“ აგნოსტიკოსის მსჯელობათა ნიმუშს, რომელიც გადაუწყვეტლად აცხადებს საკითხს, აქვს თუ არა ადამიანს ორი ხელი.

„... ადამიანს, რომელსაც ჰგონია, რომ მას ორივე ხელი მთელი აქვს, ჰგონია, რომ მას ორი ხელი აქვს; და მან რომ იცოდეს, რომ მას ხელები აქვს, მას ორი ხელი ექნებოდა; მაგრამ აქვს თუ არა მას ხელები, ეს მან არ იცის და არც მან, არც სხვა ადამიანმა არ შეიძლება იცოდეს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ჩვენი წარმოდგენანი საგნებზე, ხოლო თვით საგნები არ ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ. თუ საგნები არ ვიცით, ჩვენ ვერ შევადარებთ მათ ჩვენს წარმოდგენებს მათზე, ამიტომ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, წააგავან თუ არა ჩვენი წარმოდგენანი საგნებზე საგნებს. იქნება, წააგავან; მაგრამ იქნებ, არც წააგავან... ჩვენ გვაქვს წარმოდგენა ხელზე. მაშასადამე, არსებობს რაღაცა, რაც ჩვენში აღძრავს წარმოდგენას ხელზე. მაგრამ ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ, ჰგავს თუ არა ჩვენი წარმოდგენა ხელზე ამ „რაღაცას“, რაც მას აღძრავს. იქნებ, ჰგავს; ამ შემთხვევაში ის, რაც ჩვენ წარმოგვიდგურა მას აღძრავს. იქნებ, ჰგავს; და ჩვენ მართლაც გვაქვს ხელი. მაგრამ, იქნებ, ჩვენი წარმოდგენა ხელზე არც ჰგავს ნამდვილად არსებულ რაღაცას, რომელსაც ჩვენ მას მიეკუთვნებთ, ამ შემთხვევაში ის, რაც ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, როგორც ხელი, არ არსებობს, და ჩვენ ხელები არა გვაქვს; ხელების ნაცვლად ჩვენ გვაქვს რაღაცა ჯგუფები რაღაცისა, ჩვენთვის რაღაცა

უცნობის რაღაცა ჯგუფები, რომლებიც ხელებს არ ჰგვანან, მაგრამ ხელები ჩვენ არა გვაქვს... ამრიგად, გვაქვს თუ არა გვაქვს ჩვენ ხელები, გადამწყვეტადი საკითხია...“

მარქსიზმი არ უარყოფს ჩვენი ცოდნის შედარებითობას, მაგრამ საზგას-
მით აღნიშნავს, რომ შედარებითი ქეშმარიტება საფეხურია ობიექტური, აბსო-
ლუტური ქეშმარიტების შეცნობაში.

ლენინი სწერს: „როგორც ჯერ კიდევ ჰეგელმა განმარტა, დიალექტიკა შეიცავს რელატივიზმის, უარყოფის, სკეპტიციზმის მომენტს, მაგრამ იგი რელატივიზმი როდია. მარქსის და ენგელსის მატერიალისტური დიალექტიკა აუცილებლად შეიცავს რელატივიზმს, მაგრამ საესებით იგივე არ არის, ე. ი. მატერიალისტური დიალექტიკა აღიარებს ყველა ჩვენი ცოდნის რელატივობას არა ობიექტური ქეშმარიტების უარყოფის აზრით, არამედ იმ აზრით, რომ ისტორიულად განსაზღვრულია ჩვენი ცოდნის საზღვრების მიახლოება ქეშმარიტებასთან“ (ქართ. გამოც., გვ. 139).

მახისტები საწინააღმდეგო — იდეალისტურ და აგნოსტიკურ თვალსაზრის-
ზე დგანან. ამ პოზიციებზე იდგნენ რუსი ემპირიოკრიტიკოსებიც. მაგალითად, ბოგდანოვი სწერდა: „ჩემთვის მარქსიზმი შეიცავს რაიმე ქეშმარიტების უცო-
ლობელი ობიექტურობის უარყოფას, ყოველი მარადიული ქეშმარიტების უარ-
ყოფას“.

„... ქეშმარიტება, — ამბობს ბოგდანოვი, — არის იდეოლოგიური ფორმა —
ადამიანის გამოცდილების მარჯვანიზებული ფორმა“.

თუ ამას დავეთანხმებით, მაშინ, ცხადია, არ შეიძლება არსებობდეს კა-
ცობრიობისაგან დამოუკიდებელი ქეშმარიტება, არ შეიძლება არსებობდეს ობი-
ექტური ქეშმარიტება. ასეთ დასკვნაშივე მისვლა ისეთ ადამიანს შეუძლია, რო-
მელიც მთლიანად სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე დგას. რათა დაჰფა-
როს ეს აშკარად სოლიპსისტური და აბსურდული დასკვნა, ბოგდანოვს კვლავ
ამოაქვს „კოლექტიური გამოცდილების“ თეორია. მხილებული ლენინის მიერ.
ობიექტურს, — აცხადებს ბოგდანოვი, — ჩვენ ვუწოდებთ იმას, რაც არსებობს
არა ერთი, არამედ მრავალი ადამიანის ცნობიერებაში. „ობიექტურს, — გა-
ნაგრძობს ბოგდანოვი, — ჩვენ ვუწოდებთ გამოცდილების იმ ელემენტებს, რო-
მელთაც ერთნაირი ცხოვრებითი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის და სხვა ადა-
მიანებისათვის; იმ ელემენტებს, რომლებზედაც არა მარტო ჩვენ ვაყრდნობთ
წინააღმდეგობათა გარეშე ჩვენს მოღვაწეობას. არამედ რომლებზედაც სხვა
ადამიანებიც უნდა დაეყრდნონ, თუ არ უნდათ, რომ წინააღმდეგობაში გა-
დაეარდნენ. ფიზიკური ქვეყნიერების ობიექტური ხასიათი იმაში მდგომარე-
ობს, რომ იგი არსებობს არა ჩვენთვის პირადად, არამედ ყველასათვის... და,
ჩემის აზრით, ყველასათვის ისეთივე განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს, რო-
გორც ჩემთვის. ფიზიკური რიგის ობიექტივობა მის ყოველ ადამიანში
(общезначимость) მდგომარეობს... იმ ფიზიკური სხეულების ობიექტურო-
ბას, რომელთაც ჩვენს გამოცდილებაში ვხვდებით, საბოლოოდ სხვადასხვა ადა-
მიანის გამონათქვამთა ურთიერთ შემოწმების და შეთანხმების მიხედვით ვად-
გენთ. საზოგადოდ, ფიზიკური ქვეყნიერება სოციალურად შეთანხმებული, სო-

ციალურად პარმონიაქმნილი, ერთი სიტყვით, სოციალურად ორგანიზაციაციქმნილი გამოცდილებაა“ (ქართ. გამოც., გვ. 125).

„მარქსისტული“ სიტყვები, როგორცაა „სოციალური“ „ეკონომიკური“, საქმეს ვერ შევლის: ბოგდანოვის შეხედულებათა სუბიექტური ხასიათი სავსებით აშკარაა. სამყარო არსებობდა ადამიანამდეც, როდესაც არავითარი გამოცდილება — არც სუბიექტური, არც კოლექტიური — არ ყოფილა. სამყარო არსებობდა ბოგდანოვისეულ კოლექტიურ გამოცდილებამდე. ბოგდანოვის თეორიის თვალსაზრისით შეგვიძლია ვცნოთ ყოველივე, რაც გნებავთ, — კულიანებიც, ეშმაკებიც: ხომ იყო ისეთი დრო, როდესაც ყველა ან თითქმის ყველა ადამიანს, მთელ „სოციალურად-ორგანიზებულ კოლექტივს“ სწამდა, რომ არსებობენ კულიანებიც, ეშმაკებიც, ქაჯებიც. მაშასადამე, ემპირიოკრიტიკოსებს რომ დაუუჯეროთ, მთელი ეს ჯადოჭრობა რეალურად არსებობდა.

მარქსისტული მოძღვრება ობიექტური ქეშმარიტების შესახებ უდიდესი ძალაა კომუნისტური პარტიის ხელში, მის რევოლუციურ ბრძოლაში. თუ სამყაროში ყოველივე სუბიექტური და შეუცნობადია, თუ ქეშმარიტი და მცდარი თანაბარი ღირებულებისაა, მაშინ როგორ შეიძლება მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებანი მოქმედებისათვის? ის-ღა დაგვრჩენია, რომ შეხვეული თვალეზით, ბრმად ვიაროთ, ხელი ავიღოთ რევოლუციურ ბრძოლაზე, როგორც იქცეოდნენ მენშევიკები და სხვა ოპორტუნისტები.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ სწერია: „თუ სამყარო შეცნობადია და ჩვენი ცოდნა ბუნების განვითარების კანონებისა სარწმუნო ცოდნაა, რომელსაც ობიექტური ქეშმარიტების მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების განვითარება — აგრეთვე შეცნობადია, ხოლო მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ — სარწმუნო მონაცემებია, რომლებსაც ობიექტურ ქეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვთ... მაშასადამე, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში პროლეტარიატის პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს არა რაიმე შემთხვევითი მოტივებით, არამედ საზოგადოების განვითარების კანონებით, ამ კანონებიდან გამოყვანილი პრაქტიკული დასკვნებით“.¹

ის გარემოება, რომ ლენინმა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ დაიკვია და განავითარა მარქსისტული მოძღვრება ობიექტური და აბსოლუტური ქეშმარიტების შესახებ, წარმოადგენს პარტიის უდიდეს მონაპოვარს, მეცნიერების უდიდეს მონაპოვარს.

შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთერთი ძირითადი პრინციპია მოძღვრება პრაქტიკაზე, როგორც ქეშმარიტების კრიტერიუმზე. მარქსი ფიქერბახის შესახებ თეზისებში სწერდა, რომ საკითხი, შეუძლია თუ არა აზროვნებას სწორად შეიქნოს სამყარო, არის არა თეორიული, არამედ პრაქტიკული საკითხი. ადამიანმა პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ქეშმარიტობა, ესე იგი ნამდვილობა და ძალა. „დავა იმის შესახებ, ნამდვილი

¹ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, ქართ. გამოც., გვ. 138.

თუ არანამდვილია პრაქტიკას მოწყვეტილი აზროვნება, წმინდა სკოლასტიკური საკითხია“.

დიალექტიკური მატერიალიზმი იქიდან გამომდინარე, ^{ქართული} ~~რუსული~~ სწორედ ეს არა-ადამიანის მსჯელობა სამყაროს შესახებ, ამას პრაქტიკა ამოწმებს. მარქსიზმის თვალსაზრისით პრაქტიკა შეიცავს ადამიანის მოღვაწეობის მთელ ერთობლიობას: რევოლუციურ ბრძოლას, სამრეწველო საქმიანობას, მეცნიერების პრაქტიკას, მეცნიერულ ექსპერიმენტს. პრაქტიკა წარმოადგენს გამოსავალ მომენტს შემეცნების თეორიაში. „ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისით შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს“, — ამბობს ლენინი (ქართ. გამ., გვ. 145).

თეორია არის პრაქტიკის განზოგადოება, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა განზოგადოება. თეორიული მოღვაწეობის მიზანია ემსახუროს პრაქტიკულ ინტერესებს. სამყაროს სწორი შეცნობის შესაძლებლობა მხოლოდ თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობაშია მოცემული.

თეორიისა და პრაქტიკის დიალექტიკური შეხამების ბრწყინვალე ნიმუში იძლევა საკ. კ. პ. (ბ) მთელი მოღვაწეობა. ამ მოღვაწეობას საფუძვლად უდევს მეცნიერება, რევოლუციური თეორია, მეცნიერული მეთოდი — მატერიალისტური დიალექტიკა. კომუნისტური პარტია ყველაზე მოწინავე იდეებით, ყველაზე მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. ქვეყნიერებაზე არსებული არც ერთი სხვა პარტია, არც ერთი სხვა საზოგადოებრივი მიმდინარეობა თეორიას ესოდენ დიდ მნიშვნელობას არ აკუთვნებდა და არ აკუთვნებს. ამასთან ერთად ჩვენმა პარტიამ იცის, რომ თეორიის დიად ძალას შეადგენს მისი გამოყენება პრაქტიკაში, მისი შეხამება პრაქტიკასთან. „თეორია არის ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აღებული მისი ზოგადი სახით, რა თქმა უნდა, თეორია ხდება უსაგნო, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისევე, როგორც პრაქტიკაც ხდება ბრმა, თუ იგი არ აშუქებს გზას რევოლუციური თეორიით. მაგრამ თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ იგი იქმნება რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში, ვინაიდან მას, და მხოლოდ მას, შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა და გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგება, ვინაიდან მას, და მხოლოდ მას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას — გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა წაემართონ ისინი უახლოეს მომავალში“.¹

მახისტები მარქსიზმის საპირდაპიროდ უარპყობდნენ რევოლუციური პრაქტიკის როლს, კაცობრიობის პრაქტიკული მოღვაწეობის როლის ყოველგვარ მნიშვნელობას სამყაროს შეცნობაში. მახისტებისათვის გამოცდილება ინდივიდის მხოლოდ სუბიექტური ფსიქოლოგიური განცდაა. ცხადია, რომ ემპირიოკრიტიციზმის თვალსაზრისით რაიმე მეცნიერებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. თუ ყოველივე ის, რაც ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, მხოლოდ ჩვენი

¹ ს. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, ქართ. მე-10 გამოც., გვ. 21.

შეგრძნებანია, ამით პირდაპირი გზა იხსნება ფილენიზმისაკენ, რომელიც კოდნის ადგილზე რწმენას აყენებს, პირდაპირი გზა იხსნება ხუცობისაკენ, ასრულება და გვერჩენია, რომ ვირწმუნოთ: ყოველივე, რაც კი ადამიანის აღქმითა გარეშე იმყოფება, ღვთის მიერ არის შექმნილი.

ლენინმა, დღაცვა და განავითარა რა მარქსისტული მოძღვრება პრაქტიკის, როგორც ქვეყნარბების კრიტიკიუმის შესახებ, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა იდეალიზმსა და ხუცობას, შეაიარაღა პარტია იმ როლის ღრმა გაგებით, რომელსაც ასრულებს თეორია პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ხოლო პრაქტიკა — მეცნიერების განვითარებაში. სწორედ ამან უზრუნველყო საზოგადოებრივი ცხოვრების კანონთა სწორი შეცნობა, შესაძლებლობა მოგვეცა დაგვესახა სწორი გზები პროლეტარული რევოლუციის გასამარჯვებლად.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი აღიარებს, რომ მოძრავი მატერიის არსებობის ფორმებს სივრცე და დრო წარმოადგენენ. სივრცისა და დროის გარეშე მატერია არ არსებობს, ისევე როგორც მატერიის გარეშე არ არსებობს დრო და სივრცე. „ყოველი ყოფიერების ძირითადი ფორმები, — სწერს ენგელსი, — არის სივრცე და დრო; ყოფიერება დროის გარეშე ისეთივე უდიდესი უაზრობაა, როგორც ყოფიერება სივრცის გარეშე“. ლენინი, ანვითარებს რა ენგელსის აზრს, სწერს: „სამყაროში არაფერია, გარდა მოძრავი მატერიისა, მატერიას კი მხოლოდ სივრცესა და დროში შეუძლია იმოძრაოს“ (ქართ. გამოც., გვ. 178).

მოძრაობა, დრო, სივრცე, მიზეზობრიობა და ყოფიერების სხვა ფორმები და ბუნების კანონები მარქსიზმის თვალსაზრისით ობიექტური მოვლენებია, ესე იგი თვითონ ბუნების თანაარსი და ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი მოვლენები. „ხოლო მატერიალიზმშია იმის აღიარება, რომ ბუნების ობიექტური კანონშეზომილობა არსებობს და ეს კანონშეზომილობა დაახლოებით სწორად ისახება ადამიანის თავში“, — ამბობს ლენინი (ქართ. გამოც., გვ. 157).

დიალექტიკის კანონები თვითონ გარეგან სამყაროში არსებობენ. დიალექტიკა კი, როგორც მეცნიერება, ობიექტური კანონების ასახულებაა ადამიანის ცნობიერებაში. ადამიანს კი არ შეაქვს კანონები გარეგან სამყაროში, არამედ იგი მხოლოდ შეიცნობს იმ კანონებს, რომლებიც თავისთავად არსებობენ.

ენგელსი სწერს: „ეგრეთწოდებული ობიექტური დიალექტიკა სუფევს მთელს ბუნებაში, ხოლო ეგრეთწოდებული სუბიექტური დიალექტიკა, დიალექტიკური აზროვნება, მხოლოდ ასახულებაა მთელს ბუნებაში გაბატონებული მოძრაობისა და პირისპირებათა გზით, რომელნიც განაპირობებენ ბუნების სიციცხლეს თავიანთი მუდმივი წინააღმდეგობებით და თავიანთი სასრული გადასვლით ერთი-მეორეში, ანდა უმაღლეს ფორმებში“.¹

მხოლოდ ასეთი მიდგომა გარეგანი სამყაროს კანონებისადმი და აზროვნების კანონებისადმი უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ შევიცნოთ გარეგანი სამყაროს კანონები და ვიმოქმედოთ მათ შესაბამისად. საწინააღმდეგო თვალსაზრისი კი, იდეალისტური, კანტიანური, რომლის მიხედვითაც

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XIV, გვ. 433.

ჩვენს ცნობიერებას შეაქვს კანონები გარეშე სამყაროში და რომლის მიხედვითაც სივრცე, დრო, მიზეზობრიობა და სხვ. მხოლოდ ფორმებია შემეტნებისა, ეს თვალსაზრისი კაცობრიობას სრული უმეცრებისა და უმარქმედიანობის ხვედრად ხდის.

ისტორია და მეცნიერება ყოველდღე უარყოფენ იდეალისტურ თვალსაზრისს. მიუხედავად ამისა, რეაქციული იდეოლოგიის წარმომადგენლები ყოველთვის, როდესაც ამას მოითხოვენ ექსპლუატატორული კლასების ინტერესები, ცდილობენ გადააცდინონ კაცობრიობა ბუნების შეცნობისა და მასზე ზემოქმედების სწორ გზებს.

ყველა ჯურის მახისტები იცავდნენ ანტიმეცნიერულ, ანტიმატერიალისტურ თვალსაზრისს ამ საკითხში. მახი სწერდა: „სივრცე და დრო შეგრძნებათა რიგების მოწესრიგებული... სისტემებია... სავალდებულო არ არის, რომ ქიმიური ელემენტები სამი განფენილობის სივრცეში წარმოვიდგინოთ“ (ქართ. გამოც., გვ. 180, 182).

მეორე მახისტი — პირსონი — სწერს: „ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროსა და სივრცეს რეალური არსებობა აქვს; ისინი არიან არა სავსებში, არამედ ჩვენ მიერ საგანთა ათვისების წესში...“ (ქართ. გამოც., გვ. 186).

ბოგდანოვი თავისი მასწავლებლების მიყოლებით იმეორებდა, რომ დრო, ისევე, როგორც სივრცე, სხვადასხვა ადამიანთა სოციალურად-შეთანხმებული გამოცდილების ფორმაა.

მახი აცხადებს: „ბუნებაში არ არის არც მიზეზი და არც შედეგი... გარდა ლოგიკურისა, სხვა რომელიმე აუცილებლობა, მაგალითად, ფიზიკური, არ არსებობს“ (ქართ. გამოც., გვ. 161).

პირსონი ამტკიცებს: „მეცნიერების კანონები ბევრად უფრო ადამიანის ქუჩის პროდუქტებს წარმოადგენენ... ადამიანი არის ბუნების კანონის შემოქმედელი... ბევრად უფრო მეტი აზრია იმის თქმაში, რომ ადამიანი აძლევს კანონებს ბუნებასო, ვიდრე საწინააღმდეგო დებულებაში, რომ ბუნება უკარნახებს კანონებს ადამიანსო“ (ქართ. გამოც., გვ. 163).

მახისტი პეტკოლდი სუბიექტივიზმის უკიდურეს ფარგლებამდე მიდის: „ჩვენი აზროვნება, — სწერს ის, — ბუნებისაგან გარკვეულობას მოითხოვს და ბუნება ყოველთვის ეჭვმდებარება ამ მოთხოვნას, — ჩვენ დავინახეთ, რომ რამდენიმედ იგი იძულებულია დაეჭვმდებაროს მას“ (ქართ. გამოც., გვ. 165).

რუსი მახისტები სიტყვა-სიტყვით იმეორებდნენ თავიანთ მასწავლებლთა ხუცურ ბოღვას. ბოგდანოვი სწერდა: „... თანამედროვე პოლიტიკიზმი მიზეზობრივობის კანონს სთვლის მხოლოდ საშუალებად მოვლენების შეკავშირებისა განუწყვეტელს რიგში, მხოლოდ გამოცდილების კოორდინაციის ფორმად... კანონები სრულიადაც არ ეკუთვნიან გამოცდილების სფეროს... ისინი მოცემული არ არიან გამოცდილებაში, არამედ იქმნებიან აზროვნების მიერ, როგორც საშუალება გამოცდილების ორგანიზაციისა, მისი ჰარმონიულად შეთანხმებისა ერთ მწყობარ ერთეულში“ (ქართ. გამოც., გვ. 171).

ამაზე შორს წასვლა არ შეიძლება. ეს სუბიექტური იდეალიზმის საზღვარია, სრული სოლიპსიზმია, წმინდა წყლის ფიდეიზმია. ^{და განდგურებულნი} ცდილობდნენ მუშათა კლასისათვის თავზე მოეხვიათ ეს ^{მხსნიკური} სისულელე! ვასაგებია, თუ რა დიადი საქმე გააკეთა ლენინმა თავისი გენიალური შრომით „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, როდესაც მან გააცამტვერა ამგვარი იდეოლოგიური აბდა-უბდა, გასწმინდა მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი ყოველგვარი დამახინჯებისა და შერყენისაგან; დაიცვა ეს შეხედულებანი, გააძლიერა ისინი მუშათა კლასის ბრძოლისა და მეცნიერების განვითარების ახალი გამოცდილებით და წინ წასწია მარქსისტული თეორია.

ემპირიოკრიტიკოსები სრულიად უარპყოფდნენ მარქსიზმის მთელ ფილოსოფიას და მის დიალექტიკურ მეთოდს. ბოგდანოვი, ბაზაროვი, იუშკევიჩი, ჩერნოვი, ვალენტინოვი და მთელი დანარჩენი მახისტური ხროვა დასცილდნენ დიალექტიკას, ატყვედნენ მას სოფისტიკად, სიტყვების თამაშად.

ლენინის წიგნის გამოსვლისა და მუშათა კლასის მოწინავე ნაწილში, ინტელიგენციის მოწინავე ფენებს შორის მისი გავრცელების წყალობით მახიზმი რუსულ და საერთაშორისო ნიადაგზე განადგურებულ იქნა. იმ წარმოდგენილი ხმაურიდან, რომელიც ემპირიოკრიტიკოსებმა 1908 — 1910 წლებში ასტეხეს, თითქმის კვალიც არ დარჩენილა. ყოველ შემთხვევაში, მახიზმის ახალი პროზელიტები იმდენად ცოტანი-ლა დარჩნენ, რომ რუსული ფილოსოფიური ლიტერატურის ისტორიაში ისინი თითქმის შეუმჩნეველნი არიან.

ლენინის წიგნი შეიქნა ახალი ისტორიული საფეხური მეცნიერების განვითარებაში; მან არაჩვეულებრივად მაღალ დონეზე აიყვანა მეცნიერული მოწინავე თეორია. ლენინის წიგნმა, ვით მძლავრმა პროექტორმა, გაანათა კაცობრიობის მიერ მიღწეული დონე მეცნიერული განვითარებისა და ახალი გზები გადაუშალა მომავალ მეცნიერებას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „უკვდავება“

ბამრმს. საბლიტბამი, 1939 წ.

ბელორუსული მოთხრობების წიგნი

კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნი „უკვდავება“ ახალი და ფრთხილ მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში: იგი გამოხატულებაა სოციალისტური მწერლობის სწრაფვისა — თემატიკის სფეროში დაძლეულ იქნას ნაციონალური კარჩაკეტილობის ტრადიცია, გაფართოვდეს საბჭოთა მწერლის მხატვრული ხედვის არე, მისი თემატიკური დიაპაზონი.

მოთხრობების ციკლი „უკვდავება“ ჩვენს მოძმე ბელორუსიის ხალხის ყოფიაცხოვრების მასალებზეა აგებული. მწერალს დიდი გულმოდგინებით და სიყვარულით შეუსწავლია, განუცდია ეს მასალა და იგი გულწრფელ და მკვეთრ საღებავებში აუსახავს, როგორც შემოხილვით და ახლობლივით.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ქართველ მწერალთა უკუფართოვებთან ერთად იმოგზაურა მოძმე ბელორუსიაში. ეს წიგნი ამ მოგზაურობის შემოქმედებითი შედეგია. აყვავებულ და აღორძინებულ ბელორუსიაში მოგზაურობის დროს მწერალი გასცნობია და დამეგობრებია ყოფილ პარტიზანს — ქალაქა გნედკას, რომელიც მწერალს უამბობდა ხოლმე „ომკვადახ-დილ ძა-კაცების ამბავს, ისინებდა თავდადებულ მებრძოლებს, კირი რომ ნახეს და ლხინი არ დასცალდათ“. გნედკას ნაამბობს, კერძოდ მის მიერ მოთხრობილ ამბავს ერთი მოხტეცი გლეხის — რუხლოს შესახებ. შთაუვონებია კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამ წიგნის დასაწყისად.

წიგნი ასახავს ბედნიერი და თავისუფალი ბელორუსი ხალხის ახლო წარსულს — იმპერიალისტური ომის სუსხიანი წლებისა სამოქალაქო ბრძოლათა ქარიშხლიანი ეპოქის სინამდვილიდან.

წიგნი ოთხი მოთხრობისაგან შედგება. ყოველი მათგანი დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელსაც ამ ციკლის სხვა მოთხრობებისაგან განსხვავებული ფაბულა აქვს და საკუთარი სიუჟეტური რკალი. მაგრამ ეს ოთხი მოთხრობა ამავე დროს ორგანიზულ მთლიანობაშია მოქცეული. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მარტო იდეური თემატიკური მოტივების და მხატვრული სტილის ერთიანობით, არამედ ოთხივე მოთხრობისათვის საერთო პერსონაჟითაც. ამ მოთხრობებში ასახული სოციალური ატმოსფერის ერთიანობითაც. მოთხრობები იმგვარის თანმიმდევრობით სცეცილიან და განავრცობენ ერთმანეთს, თითქოს ისინი ერთი მთლიანი ნაწარმოების ცალკე თავებს შეადგენდნენ.

პირველი მოთხრობა „ფუნდუკში“ ერთგვარი ექსპოზიციის როლს ასრულებს მოთხრობათა მთელი ციკლის მიმართ, ჩვენ თვალწინ ერთბაშად იშლება რამდენიმე მკვეთრი შტრახით დახატული ნისლიანი და ჭაობიანი ბუნების, პეიზაჟი, რომლის კალორიტი ორგანიზულად შეფარდებულია მოთხრობაში ასახული სოციალური მოვლენებისა და მათში მომქმედ ადამიანთა შრბადი ხედვრის დრამატიკულ ბუნებასთან.

პირველი მოთხრობის შესავალში დახატული ბუნების სურათი თითქოს გვაშხადებს ბელორუსული რევოლუციამდელი სოფლის იმ დუხპირი და მძიმე ცხოვრების განსაცდულად, რომელსაც ასახავს მწერალი ამ მოთხრობაში:

„მოშამულ ტბის პირას მიმედ დაფრინდა თეთრი ყანა. გრძელი ნიჭიერი რამდენჯერმე აძვრა კონჭვოს, მერე ცალფეხზე შედგა და გაკვირებით გახსნა ტყეების ტბას შუაგულამდე წალალი წიწვანარის ჩრდილი ეფინება“.

„ტბასთან მჭიდროდ მიჭუჭუტლა ერთმანეთზე კილით ბურული შინაგან ნიჭიერი დასადგამ სოკოებივით გართობულან მიწაზე და თითქოს კმარა, ერთნაირად მჭიჭიერების ამ წიფლანარმა, რომ ყველა ერთად ტბაში გადაბერტყოს“.

ეს რამოდენიმე ფრაზა არა მარტო მკაფიოდ დახატულ ბუნების სურათს წარმოგვიდგენს, არამედ გეაგრძობინებს იმ სოციალურ ფონსაც, რომელზეც იშლებიან მოთხრობის სოციალური მოტივები, რომელთა ნიადაგზეც ამოიზრდებიან მოთხრობათა ამ ციკლის გმირები.

მოთხრობა „ფუნდუკში“ ასახავს ბელორუსული სოფლის გამწარებულ ყოფას იმპერიალისტური ომის წლებში. ომის განმანდგრებელი საშინელებებით წელში გატეხილი, მშამულტურ-მონარქიული მონობის უღელქვეშ ილაგავწყვეტილი ღარიბი გლეხობის მდგომარეობისა და სულსიყვითლის გამოშხატველ სახედ აყალიბებს შერეული ამ წიგნის მთავარი მომქმედი პირის — ბაბუა რუხლოს სახეს. ბაბუა რუხლო აეტარის მიერ ღრმად განცდილი და რეალისტური გზებით დახატული რთული ხასიათი, რომელიც ერთსადაიმავე დროს უკიდურეს უმწიკობასა და დამაბუნებლსაც გამოხატავს და ნამდვილ სულიერ რანდობასაც. მხაგრელი ძალების მიმართ უსახლგრო ზიზღისა და მშრომელი ხალხის საწინააღმდეგო განწირული ერთგულების უმაღლეს გრძობასაც.

ბაბუა რუხლოს უფროსი ვაჟი ოში დაღუპულა. მეორე ვაჟი — მისსაც ჯარში გაუწვევით. მუშა-ხელს მოკლებული ოჯახი უყოფრეს სიღარიბესა და გაკვირებას მოუტაცს. „და აწუხებს ბაბუა რუხლოს, რომ მარტოდ დარჩა ამ ქვეყანაზე, თავისი უღონო წლებისა და მისი წლებივით უღონო შეიღიშვლის ამარა“ — მუდამ მშვიერი და მოტირალი ძუძუ-მწიკეარა ბავშვისა, რომელსაც ველარ კვებას აეტანელი შრომით და სიმშლით ქანცობული რძედაშრალი უღადა — ბაბუა რუხლოს რძალი.

ბუნესა და ქუქიან ფუნდუკში შეგროვილ ჩაღვადრებს ბაბუა რუხლო უამბობს მიმზიდველ ზღაპრს, რომელშიაც გამოხატულია ღარიბი გლეხობის მარადიული ოცნება ცხენისა და მიწაზე. რუხლოს ზღაპრის გმირმა — ცალთვალა გლეხმა ღმერთს შესთხოვა: რასაც ჩემი უკანასკნელი თვალი აიწონის, იმდენი მიწა მომიტო. გლეხს თვალი მოსთარეს, რათა მისი სიმამის მიწა აუწონონ, მაგრამ ამ თვალს წონა მიწა ეტარებოდა მოაგროვეს. მიწის მთელი გორები დასდგეს, მაგრამ „ყანთარის ისარი მაინც თვალისკენ იყო გადახრილი, ვერაფრის დიდებით აერ დასდრეს“.

და ბაბუა რუხლო ამ ზღაპრულ უცნაურობას მარტივი, ქეშპირიტი აზრით ხსნის, აზრით, რომელშიაც უმიწაწულო ღატაკი გლეხობის სულისკვეთება გამოთქმულია: არა მიწა გააძღობს გლეხსაცის თვალს! რა იყოდა უფალმა, რომ ამ ერთსაზე თვალში იმდენი ცრემლი იყო, იმდენი დარდი და უბილო ღამე, მთელი პოლესიც რომ მოეზიდათ, მაინც ვერ გადაწონინდენ“.

და სწორედ ეს უსახლგრო ცრემლი, დარდი და ტანჯვა დაგუბებული მონტრი ცხოვრებით ილაგავწყვეტილი გლეხობის თვალსა და გულში — მკაფიო გამოხატულებას პოულობს ე. ლორთქიფანიძის ამ მოთხრობაში.

ბაბუა რუხლოს ვარდა აქ ჩვენ ვეცნობით გრამოს, მხაგრელებსადაც ზიზღითა და გულსწიერებით შეპყრობილ ახალგაზრდა გლეხს, რომელსაც შემდეგ შესანიშნავ მებრძოლად, სახელმთხვეილ პარტიზანად გვევლინება. ამავე ფუნდუკში ჩვენ ვხვდებით გლეხობის ფენებიდან გამოსულს, ბნელი საშუალებით გამდიდრებულ პარაზიტულ ტბას პაპვეცს, რომელიც შემდეგ თეთრგვარდიული კონტრარევილუციის დასაყრდენ ძალიად ხდება სოფელში.

შემდეგს მოთხრობებში შერეული უფროდაუფრო აღრმავებს პირველი მოთხრობით მთავრულ მოტივებს. მოთხრობაში „ცხენი“ იმპერიალისტური ომის საშინელებათა ფონზე ასახულია ღარიბი გლეხობის შეუღლის, დაჭრილი ჯარისკაცის — მისასის სულიერი დრამა, რომელიც ტიპური და დამახასიათებელია ამ პერიოდის ამ მდგომარეობის ადამიანებისათვის.

მიხასი ბაბუა რუხლოს ვაჟია. მან თავისთავზე განიცადა იმპერიალისტური სასაქლოის შარბაროსული უკუღმართობანი და უსაზღვრო პროტესტითა და ბოღმით განსჯილული იგი გამობრბის შინსაიქენ, თან მოჰყავს გაძვალტვავებული ცხენი — საჩუქარი — ბაბუა რუხლოს ოჯახში წუთიერად სიხარულისა და ბედნიერების იმეო. ვახტანგის შვიკენალი ვაჟიეც შინ არის, ცხენიც იზოვეს, მაგრამ ეს ენაყოფილება ნაადრევიმ. მამაცხენებით და წუ-
თიერი: ბელორუსიის სოფელს თეთრგვარდიული ბანდები და გერმანელი ინტერვენტები შესყვიან, მათ უნდათ სიხალში ჩაახრჩონ რევოლუციის ბრძოლისათვის ამხედრებული ხალხი და იგი კვლავ მონობის, უმეცრების წყევლიაში ჩაჰკეტონ. ხალხის საუკეთესო შვი-
ლები გამოიწულად იბრძვიან თავისუფლებიასა და სამართლიანობის საქმისათვის. ამ ბრძოლის შგზნებარე ეპიზოდს ხატავს მწერალი მოთხრობაში „ისევ ცხენი“. მოთხრობის მთავარი გმირი გლენხიპარტიზანი გრაბკო არის, იგი შემამულეებისა და ოფიცრების მიერ უსაზღვროდ განწამებში, რევოლუციური შურისძიების გრძობით აღზნებული მებრძოლის ტაპირი სა-
ზნა, გრაბკო გააფთრებით ებრძვის თურების და ხალხისთვის საყვარელ ლეგენდარულ გმირად ხდება. მას თან ახლავს მისი ერთგული მეგობარი, პატარა „ადულტანიტი“ პისკენი, რომელიც უდიდესი ვატაკებით და ერთგულებით დაკავშირებია გრაბკოს და ამ უკანასკნელის დაღუბვის შემდეგ თვითონ ხდება პარტიზანული მოძრაობის სახელოვან გმირად და მეთაურად.

ამ მოთხრობაში ავტორი ღრმა ექსპრესიით ავციწერს პარტიზანების თავგანწირულ გმირობას ხალხის მტრებთან ბრძოლაში.

მოთხრობა მთავრდება თეთრების მიერ სოფლის დაბრვეისა და აწიოების შემადრწუნებელი სურათით. დარბულია ბაბუა რუხლოს ოჯახიც და ეს გამანადგურებელი თავდასხმა კიდევ უფრო ზრდის მშრომელი ხალხის საბრძოლო ნებისყოფას, მის გულსწყრომას და შურისძიების წყურვილს. ხალხის ეს განწყობილება გამოთქმულია ბაბუა რუხლოს სიტყვებში: „არა უშვის, არაფრის გაგება არ ჰქონია ადამიანს! არ შეიძლება გლესკაცის დატოვება ცარიელი ხელის-მარა, არ შეიძლება რამეს ხომ უნდა მოკიდოს ხელი! კავს მომწყვეიტეს? სხვა რამეს ავიღებ ხელში, გესმის, მიხას? სხვა რამეს“.

და წიგნის უკანასკნელი მოთხრობა „უკვდავება“ გვიჩვენებს, რომ ეს მუქარის სიტყვები საქმედ ქცეულა. ხალხის საუკეთესო შვილებს იარაღისათვის მოუკიდიათ ხელი და გამოიწული პარტიზანული ბრძოლა გაურბლებით ახალგაზრდა პისკენის მეთაურობით. ბაბუა რუხლოც ჩამხულია ამ ბრძოლაში, იგი შეტად სახიფათო და ამივე დროს შეტად საჭირო დავალებას ასრულებს: პარტიზანებისათვის თოფებს იძენს, იარაღით ამზარაგებს პისკენის რაზმს.

ამ მოთხრობაში მწერალმა დიდი შინაგანი დრამატიზმით აღბეჭდილი ეპიზოდით გვიამბო თუ როგორ მოსწამლა ბაბუა რუხლომ მის ქონში მოსული გაბოროტებული თეთრგვარდიელები, თუ როგორ გადააარჩინა რუხლომ თავისი სიცოცხლის ფასით დამღუპველი საფრთხის წინ მდგომი პისკენი.

სწორედ ამ ეპიზოდში გვიჩვენა მწერალმა, თუ როგორი გმირული სული სიცოცხლოს ბაბუა რუხლოს გარეგნულად დაუძლურებულ არსებაში. რუხლომ სასიკვდილოდ გასწირა თავი, რათა გადაერჩინა ხალხის საქმისათვის მებრძოლი სახელოვანი პარტიზანი. მოხუცი დამწვეიდებით ეგებება სიკვდილს, რადგან ასეთი რანდული სიკვდილი მოასწავებს მისთვის ნამდვილ უკვდავებას.

ამ მოთხრობების წერის დროს ავტორი დიდი სიძნელის წინაშე იდგა: იგი მუშაობდა შედარებით უცნობ მასალაზე, ასეთ შემთხვევაში ზედაპირულობის და სქემატიზმის საშინოებამ საესებით რეალური იყო, მაგრამ ენაყოფილებით უნდა ითქვას, რომ მწერლის მიხეილმა ხელმა, მისმა მხატვრულმა აღლომ, მასლისადმი გულწრფელმა, დაკვირვებულმა ინდოგომამ დასძლია ეს საშიშროება. კ. ლორთქიფანიძის წიგნში ჩვენ ეგვრებით არა პარტო მოქმედების ფონის სპეციფიკურ პეიზაჟს, არამედ ხალხის ყოფაცხოვრებით თავისებურებებს, ხალხის თავისებურ ხასიათს, რომელიც განსაზიერებულა ამ პატარა მოცულობის მოთხრობებში. წიგნი ცხოველი ინტერესით და ყურადღებით იკითხება.

შინაარსი

	83-
მხატვრული ლიტერატურა	
აღ. აბაშელი — ლექსები	3
პ. ჩხიკვაძე — ახალი ზმელეთი (რომანი)	9
შ. ამისულაშვილი — ყორანი (ლექსი)	33
მირზა გელოვანი — ორი ლექსი	34
ანა ხახუტაშვილი — იოსებ ლალიაშვილი	36
კონსტ. გამსახურდია — დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა (რომანი)	55
ლიტერატურის თეორია და ისტორია	
პავლე ინგოროყვა — ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (წერილი მეორე)	94
მეცნიერება და ფილოსოფია	
პ. იუდინი — ვ. ი. ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიო-კრიტიციზმი“-ს შესახებ	139
გიგლიოგრაფია	
ბეს. ელენტი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „უკვდავება“	161

№ 2 1986. 50 კვ.

39 198

საქართველოს
საბჭოთავო კულტურის



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ